

რუდოლფ შტაინერი

# აკადა-ქრონიკილან

სტატიების კრებული ჟურნალიდან  
„ლუციფერ-გნოზისი“ - 1904/05

ბიბლიოგრაფია № GA 11

თბილისი 2017

RUDOLF STEINER

# Aus der Akasha-Chronik

Gesammelte Artikel aus der Zeitschrift  
„Lucifer-Gnosis“ - 1904/05

Bibliographie Nr. GA 11

Dornach  
Rudolf-Steiner-Verlag, 1986

Tbilisi - 2017

მკითხველის წინაშეა რედოლფ შტაინერის წიგნი „აგა-შა-ქრონიკიდან“, რომელიც წარმოადგენს ანთროპოსოფიული სულისმეცნიერების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომს. მასში აღწერილია სამყაროსა და კაცობრიობის განვითარება დასაბამიდან ვიდრე „აღსასრულადმდე სოფლისა“ და ადამიანი, როგორც მისი ცენტრალური მოვლენა.

ეს არის წიგნის მეორე შევსებული და სრული თარგმანი.

მთარგმნელები: **ი. გვარაცხელია**

**ა. გვარაცხელია**

მთ. რედაქტორი: **ლ. მესხია**

რედაქტორი: **ხ. ნაჟმებია**

მხატვარი: **გ. ბუღაძე**

ფოტოგრაფი: **გ. წიბახაშვილი**

Übersetzt ins Georgisch von: **I. Kvaratskhelia**  
**A. Kvaratskhelia**

Redaktion: **L. Mesxia, X. Natskhebia**

Maler: **G. Bughadze**

Fotograf: **G. Tzibaxaschvili**

ასოციაცია „კოგიტო“

თარგმანი შესრულებულია 1986 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

Assoziation „Cogito“  
GA 11

გარეპანი: გია ბუღაძის ნახატი – „სეპენტინია“

## სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა. . . . .	5
მარია შტაინერის წინასიტყვაობა	
პირველი წიგნის გამოცემისთვის 1939 . . . . .	6
თანამედროვეობის კულტურა სულისმეცნიერების ჰრილში . . . . .	7
აკაშა ქრონიკიდან	
შესავალი . . . . .	16
ჩვენი ატლანტიდელი წინაპრები . . . . .	20
მეოთხე ძირეული რასის გადასვლა მეცნიერების ლემურიული რასა . . . . .	35
სქესებად დაყოფა . . . . .	45
უკანასკნელი პერიოდი სქესებად დაყოფის წინ . . . . .	58
ჰიპერბორეული და პოლარული ეპოქები. . . . .	68
თანამედროვე დედამიწის დასაბამი, მზის გამოსვლა . .	77
მთვარის გამოსვლა . . . . .	87
რამდენიმე აუცილებელი დამატებითი შენიშვნა . . . .	94
დედამიწის წარმოშობის შესახებ . . . . .	101
დედამიწა და მისი მომავალი . . . . .	111
სატურნის ცხოვრება . . . . .	119
მზის ცხოვრება . . . . .	127
ცხოვრება მთვარეზე . . . . .	136
ცხოვრება დედამიწის ცხოვრება . . . . .	146
დედამიწის ცხოვრება . . . . .	157
დედამიწის ოთხწევრა ადამიანი . . . . .	171
პასუხები კითხვებზე . . . . .	187
აკვიატებული შეხედულებები მოჩვენებითი	
მეცნიერებიდან . . . . .	190
შენიშვნები . . . . .	199
რუდოლფ შტაინერის ცხოვრება და მოღვაწეობა . . . .	201
რუდოლფ შტაინერის ცხოვრების მოკლე მიმოხილვა. .	202
მითითებები ლიტერატურაზე . . . . .	207

## მთარბმნელის უნასიტეტის განვითარება

რედოლფ შტაინერის წინამდგებარე წიგნი „აკაშა-ქრონიკიდან“ 1904 წელს ლექციების სახით იძეჭდებოდა ჟურნალ „Lucifer-Gnosis“-ში, ხოლო ცალკე წიგნად გამოიცა 1939 წელს მარია შტაინერის რედაქციით. „აკაშა-ქრონიკიდან“ შემდგომშიც არაერთხელ დაიბეჭდა. აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს ერთ გარემოებაზე. ჟურნალის პერიოდულობის გამო ლექციები ქვეყნდებოდა დროის დიდი ინტერვალებით და ამიტომ ხშირად ხდება საკითხების გამორება.

წიგნში მკითხველი შეხვდება მისთვის უცნობ ბევრ ახალ ცნებასა და ტერმინს, რომელიც აღებულია სულისმეცნიერებიდან, კერძოდ, როგორც აღმოსავლეური, ისე დასავლეური ეზოთერული ცოდნიდან. ამ ტერმინოლოგიის ზუსტად განსაზღვრისთვის რუდოლფ შტაინერმა კოლოსალური შრომა გასწია, რათა კოველივე ზედმიწევნით, მაქსიმალურად გასაგები გაეხადა. ხოლო სულიერი სამყაროს იერარქიების აღწერისას, ცხადია, იგი იუნგბს ქრისტიანულ რელიგიაში მიღებულ ტერმინოლოგიას.

ამასთან წიგნში ბევრი რამ აღწერილია მოკლედ და ლაპონურად, რაც აღქმისას გარკვეულ სირთულეს ქმნის, მაგრამ ამ საკითხებს ნათელს ჰყენს რედოლფ შტაინერის შრომები: „სულისმცოდნება; ზეგრძნობადი სამყაროს შემეცნება და ადამიანის დანიშნულება“ და „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, რომლებიც გარკვეულწილად „აკაშა-ქრონიკის“ გაგრძელებას წარმოადგენენ. მიუხდავად ამისა, შესაძლოა აქ გადმოცემული ბევრს ფანტასტიკურად მოეჩვენოს; ამიტომ, როცა იბადება სურვილი, საფუძვლიანად გაერკვნენ, თუ როგორ შეიძლება „აკაშა-ქრონიკის“ კითხვა და მასში წვდომა, საჭიროა, ანთროპოსოფიულ სულისმეცნიერებაში უფრო მეტად ჩაღრმავება. ანთროპოსოფიულმა სულისმეცნიერებამ, როგორც შემეცნებამ, სხვა მსოფლმხედველობებს რამდენად მეტე გაუსწრო და თუ მას შინაგანად სწორად განვიცდით და ჩვენს სამშვინველში გამოვალებით დიად, ყოვლისმომცველ აზრებს, დაგინახავთ, რომ ეს სწავლება შეიძლება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდეს. რედოლფ შტაინერის ოქმით: „სულისმეცნიერული სწავლება არის იდეათა ჯამი, რომელსაც ზეგრძნობადი სამყაროებისკენ მივყავართ, ამიტომ ზენა სამყაროებს სულისმეცნიერული აზროვნებით უნდა მივაღწიოთ. ამასთან, სამყაროში ჰქონდა ნაციონალური დამაიანური სიყვარული შესაძლებელია მხოლოდ შემეცნების, თანაც – სულისმეცნიერული შემეცნების საფუძველზე“. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საკითხის ნათელსაყიფად წიგნს დართული აქვს რედოლფ შტაინერის წერილი, რომელიც დაიბეჭდა იმავე ჟურნალში და შეიცავს მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს.

მარია შტაინერის ღინასიტყვაობა  
პირველი წიგნის გამოცემისთვის 1939

უამრავი ადამიანის თხოვნის გათვალისწინებით 1904 წელს რუდოლფ შტაინერის მიერ პირველად გამოქვეყნებული სტატიები ოცდათხუთმეტი წლის მერე წიგნად გამოიცემა. თავიდან ეს სტატიები იწერებოდა ყოველთვიური, შემდგომ კი უფრო დიდი შუალედებით გამოსული შურნალისთვის „ლუციოფერ-გნოზისი“. ამით აიხსნება ხშირი გამეორებები უკვე ნათქვამის შესაბამისად, ასევე მითითებები უკვე ნათქვამზე. სულისმეცნიერების შესწავლისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა გამეორებები. დღეს ზოგიერთისთვის შეიძლება დამაბნეველი იყოს, რომ დასავლეთში არსებული ტერმინოლოგიის გვერდით გამოყენებული იქნება აღმოსავლური ეზოოჯრიკიდან აღებულიც. ევროპაში ის პოპულარული გახდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, თეოსოფიური საზოგადოების მიერ გამოცემული ლიტერატურის მეშვეობით. ეგზოტიკური სახელები მეხსიერებაში მყარად დარჩა; ფაქიზი ნიუანსები, რომელიც აღმოსავლურს უკავშირდება, ევროპელებისთვის მაინც დახურული რჩებოდა. ფაქიზი სულიერი მცნებებისთვის ჩვენი აღქმის ორგანოებს მორგებული ენის ფორმირებისთვის და ასევე ზეგრძნობადის კონკრეტულ სურათებად გადმოსაცემად რუდოლფ შტაინერი მუდმივად მუშაობდა. იქრარქიების მოქმედების აღწერისას ის იყენებდა ამისთვის ჩვეულ ქრისტიანულ ტერმინოლოგიას.

იმის გაგრძელება, რაც აქ „აკაშა-ქრონიკაში“ მოკლედ და თვალსაჩინოდ იყო ნაჩვენები, წარმოდგენილია წიგნებში „სულისმცოდნეობა“ (იგივე „თეოსოფია“) და „იდუმალ-თმეტყველების ნარკვევი“.

ლექციებითა და სხვა აქტივობებით გადატვირთვის გამო შურნალ „ლუციოფერ-გნოზისის“ გამოცემა შეუძლებელი აღმოჩნდა. იდუმალ კვლევებთან ერთად ის შეიცავს ბევრ სტატიას, რომლებშიც რუდოლფ შტაინერი აწყოს საბუნებისმეტყველო აზროვნებით ხსნის. არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ისეთი ხელნაწერები, როგორიცაა „აკაშა-ქრონიკა“, მოუმზადებელ მკითხველთა უმრავლესობისთვის დღეს აღიქმება, როგორც ველური ფანტასტიკა, ამიტომ სტატიები ამ ჟურნალიდან თანამედროვე შემეცნების ორ პრობლემას უნდა შექმნავთ. მათ თავიანთი მარტივი ლოგიკით უნდა

დაემტკიცებინათ, რომ ზეგრძნობადი სამყაროს მკვლევარს ასევე შეუძლია თანამედროვეობის პრობლემების მშვიდად და საქმიანად განხილვა.

შურნალი ასევე უძღვნებოდა პასუხებს მკითხველთა მიერ დასმულ კითხვებზე. სწორედ იქიდან ვიღებთ ჩვენ ზოგიერთ ნაწილს, რომელიც ატლანტიდის პერიოდის კაცობრიობას და იდუმალომებრეველებას ეხება. ვისაც უნდა მიაგნოს სტილს, თუ როგორ უნდა წაიკითხოს „აკაშა-ქრონიკა“, საჭიროა თავი ანთროპოსოფიის შესწავლას მიუძღვნას.

ზემოაღნიშნულ წიგნებთან ერთად სულისმეცნიერების შესწავლაში წინწასულებისთვის რუდოლფ შტაინერი მიუთითებს ასევე წიგნზე: „ოკულტური კითხვა და ოკულტური მოსმენა“ და ხელნაწერების სახით ახლახან გამოქვეყნებულ მესამე წიგნზე: სულიერი არსებებისა და მათი მოქმედებების შესახებ, რომლებიც დღეს განსაკუთრებით უნდა გაინტერესებდეთ: „სულიერი აუცილებლობა და თავისუფლება. ბედისწერის ზემოქმედება გარდაცვლილების სამყაროდან“.

### თანამედროვეობის პალტურა სულისმეცნიერების ჰილმი

მათ, ვინც ბოლო ათწლეულებია თვალს ადევნებს მეცნიერების განვითარებას, შეუძლებელია ეჭვი შეიტანონ ამ პერიოდში მომზადებულ დიდ შემოტრიალებაში. დღეს ეს სულ სხვანაირად ჟღერს, ვიდრე ცოტა ხნის წინ, როდესაც ბუნებისმეტყველი საუბრობდა არსებობის ე.წ. გამოცანაზე. მეცნამეტე საუკუნის შეაში იყვნენ ერთული მამაცი სულები, რომლებიც მეცნიერულ მატერიალიზმში ხედავდნენ ერთადერთ სარწმუნოებას, რაც შეიძლება ჰქონდეს ვინმეს, ვინც გაცნობილია უახლესი კვლევების შედეგებს. ცნობილია იმდროინდელი გამოთქმა, რომ „აზრები დაახლოებით ისეთივე მიმართებაშია ტვინთან, როგორც ნალვლის ბუშტი ლვიძლოან“\*. ეს ოქა კარლ ფოგთმა\*, რომელიც თავის ნაშრომში „ბრძა რწმენა და მეცნიერება“ და სხვა ნაწერებში ყველაფერს, რაც არ იყო ტვინის მექანიზმებიდან გამომდინარე სულიერი მოქმედება და ნერვული სისტემის მშვინვიერი ცხოვრება, ისე გასაოცრად ხსნიდა, როგორც ფიზიკა ხსნის საათის მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს ისარს, წინ წავიდეს. ეს იყო დრო, როდესაც ლუკვიზ ბუხნერის\* „ძალა და მატერია“ განათლებულ საზოგადოებაში ერთგვარ ბიბლი-

ად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული, დამოკიდებლად მოაზროვნე ადამიანები ძლიერი ზეგავლენის გამო მივიღნენ მტკიცებულებებამდე, რომლებიც ბოლო პერიოდში საბუნებისმეტყველო შეცნიერებებში დიდი წარმატებით გაკეთდა. მიკროსკოპის საშუალებით შესაძლებელი გახდა ცოცხალი არსებების შემადგენლობის, მისი ყველაზე პატარა ნაწილების, უჯრედების შესწავლა. გეოლოგია – მეცნიერება მიწაზე ცოდნის შესახებ, იქამდე მივიდა, რომ ჩვენი პლანეტის წარმოქმნა შესაძლებელია, აისხნას იმავე კანონებით, რომლებიც დღეს კიდევ მოქმედებს. დარვინიზმი პირობას იძლევა, ადამიანის წარმოშობა ახსნას ძალიან ბუნებრივი გზით და ის წარმატებით შემოვიდა განათლებულ სამყაროში იმით, რომ მისი მეშვეობით ძალიან ბევრისოფის მთელი „მკლი რწმენა“ დასრულებული ჩანდა. არც ისე დიდი ხნის წინ ეს ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ჯერ კიდევ არსებობენ ამ ხედვის მიმდევრები, რომლებიც ფიქრობენ დადგებურგივთ\*, რომელმაც 1903 წ. საბუნებისმეტყველო მკლევრების შეხვედრაზე წარადგინა მატერიალისტური სახარება; მაგრამ ასეთებს უპირისპირდებიან სხვები, რომლებიც მეცნიერულ შეკითხვებზე უფრო მომწიფებული მსჯელობით, სრულიად სხვა მოსაზრებამდე მივიღნენ. გამოქვეყნდა ხელნაწერი, რომლის სათაურია „საბუნებისმეტყველო მეცნიერება და მსოფლმხედველობა“. იგი დაწერა ჰეკლსის სკოლიდან გამოსულმა ფიზიოლოგმა მაქს ვერვორნმა\* (Verworn). ამ ნაშრომში წერია: „სინამდვილეში, მაშინაც თუ ჩვენ სრული ცოდნა გვაქნება დიდი ტვინის ქრქის უჯრედებსა და ბოჭკოებში ფიზიოლოგიური მოქმედებების შესახებ, რომელშიც გაერთიანებულია ფიზიკური მოქმედებები, ასევე შესაძლებელი რომ იყოს ტვინის მოქმედებებში ჩახედვა, როგორც საათის ჭანჭიკების მექანიზმი, მაინც ვერ ვიპოვიდით სხვას ვერაფერს, გარდა მოძრავი ატომებისა. ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს, დაინახოს ან რაიმე სხვა გზით აღიქვას, როგორ წარმოიშობა ამ დროს აღქმები და წარმოდგენები. შედეგები, რომლითაც მატერიალისტური განმარტება ცდილობს სულიერი პროცესების დაკავშირებას ატომების მოძრაობასთან, ძალიან თვალსაჩინოდ ახდენს მუშაობის უნარის იღუსტრირებას: მატერიალისტური ხედვის არსებობის განმავლობაში, უმარტივესი გრძნობებიც არ არის ახსნილი ატომური მოძრაობებით. ასე იყო და ასე იქნება მომავალშიც. როგორ შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული, დამოკიდებლად მოაზროვნე ადამიანები ძლიერი ზეგავლენის გამო მივიღნენ მტკიცებულებებამდე, რომლებიც ბოლო პერიოდში საბუნებისმეტყველო შეცნიერებებში დიდი წარმატებით გაკეთდა. მიკროსკოპის საშუალებით შესაძლებელი გახდა ცოცხალი არსებების შემადგენლობის, მისი ყველაზე პატარა ნაწილების, უჯრედების შესწავლა. გეოლოგია – მეცნიერება მიწაზე ცოდნის შესახებ, იქამდე მივიდა, რომ ჩვენი პლანეტის წარმოქმნა შესაძლებელია, აისხნას იმავე კანონებით, რომლებიც დღეს კიდევ მოქმედებს. დარვინიზმი პირობას იძლევა, ადამიანის წარმოშობა ახსნას ძალიან ბუნებრივი გზით და ის წარმატებით შემოვიდა განათლებულ სამყაროში იმით, რომ მისი მეშვეობით ძალიან ბევრისოფის მთელი „მკლი რწმენა“ დასრულებული ჩანდა. არც ისე დიდი ხნის წინ ეს ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ჯერ კიდევ არსებობენ ამ ხედვის მიმდევრები, რომლებიც ფიქრობენ დადგებურგივთ\*, რომელმაც 1903 წ. საბუნებისმეტყველო მკლევრების შეხვედრაზე წარადგინა მატერიალისტური სახარება; მაგრამ ასეთებს უპირისპირდებიან სხვები, რომლებიც მეცნიერულ შეკითხვებზე უფრო მომწიფებული მსჯელობით, სრულიად სხვა მოსაზრებამდე მივიღნენ. გამოქვეყნდა ხელნაწერი, რომლის სათაურია „საბუნებისმეტყველო მეცნიერება და მსოფლმხედველობა“. იგი დაწერა ჰეკლსის სკოლიდან გამოსულმა ფიზიოლოგმა მაქს ვერვორნმა\* (Verworn). ამ ნაშრომში წერია: „სინამდვილეში, მაშინაც თუ ჩვენ სრული ცოდნა გვაქნება დიდი ტვინის ქრქის უჯრედებსა და ბოჭკოებში ფიზიოლოგიური მოქმედებების შესახებ, რომელშიც გაერთიანებულია ფიზიკური მოქმედებები, ასევე შესაძლებელი რომ იყოს ტვინის მოქმედებებში ჩახედვა, როგორც საათის ჭანჭიკების მექანიზმი, მაინც ვერ ვიპოვიდით სხვას ვერაფერს, გარდა მოძრავი ატომებისა. ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს, დაინახოს ან რაიმე სხვა გზით აღიქვას, როგორ წარმოიშობა ამ დროს აღქმები და წარმოდგენები. შედეგები, რომლითაც მატერიალისტური განმარტება ცდილობს სულიერი პროცესების დაკავშირებას ატომების მოძრაობასთან, ძალიან თვალსაჩინოდ ახდენს მუშაობის უნარის იღუსტრირებას: მატერიალისტური ხედვის არსებობის განმავლობაში, უმარტივესი გრძნობებიც არ არის ახსნილი ატომური მოძრაობებით. ასე იყო და ასე იქნება მომავალშიც. როგორ შეიძლ

ლება იფიქრო, რომ ოდესმე საგნები, რომლებიც, როგორც  
ფსიქიკური პროცესები, აღქმითი ორგანოებით არ აღიქმება,  
ახსნას იმით, რომ უბრალოდ დიდი სხეული დაიშალოს ყვე-  
ლაზე პატარა ნაწილებად! ატომი ხომ ყოველთვის მაინც სხე-  
ულად რჩება და ატომების მოძრაობა ვერასდროს შეძლებს  
იმ ნაკრალის შევსებას, რომელიც არსებობს სხეულებრივ  
სამყაროსა და ფინქიკას შორის. მატერიალისტური განმარტე-  
ბა, რამდენადაც ნაყოფიერი იყო, როგორც ბუნებისმეტყველე-  
ბის სამუშაო ჰიპოთეზა, ამ გაგებით ასევე უქმედად ნაყო-  
ფიერი იქნება მომავალშიც, – მე მივუთიოგებ მხოლოდ  
სტრუქტურული ქიმიის წარმატებებზე, - ასევე გამოუსადეგა-  
რია ის მსოფლისგველობისთვის, როგორც ბაზისი. აქ ის  
წარმოჩნდება, როგორც ძალიან ვიწრო ფილოსოფიურმა მა-  
ტერიალიზმმა თავისი ისტორიული როლი უმჯე ითამაშა. სა-  
ბუნებისმეტყველო მსოფლისგველობის ეს მცდელობა ყო-  
ველთვის წარუმატებელია“. ასე საუბრობს თავის ნაშრომში  
მეოცე საუკუნის დასაწყისში ერთი ბუნებისმეტყველი მკაფე-  
ვარი ხედვაზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუაში, რო-  
გორც ახალი, გამოცხადდა მეცნიერების წინსვლის მეშვეო-  
ბით მიღებულ სახარებად.

განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდათიანი,  
სამოციანი და სამოცდათიანი წლები იყო ის პერიოდი, რო-  
მელსაც შეიძლება მატერიალიზმის პიკი ვუწოდოთ. ჭეშმარი-  
ტად შთამბეჭდავ გავლენას ახდენდა მაშინ სულიერი და  
მშვინვერი გამოვლინებების ახსნა წმინდა მექანიკური  
პროცესებით. მაშინ მატერიალისტებს უფლება ჰქონდათ, ეთ-  
ქათ, რომ მათ სულიერი მსოფლისგველობის მიმდევრებთან  
გამარჯვებას მიაღწიეს. მათ შეუერთდნენ ასევე ისინიც, რომ-  
ლებიც ბუნებისმეტყველებიდან არ მოღიოდნენ. თუ ბუნერმა,  
ფოგომა, მოღვაწეობა\* და სხვებმა თავიანთი შეხედულებები -  
ბუნებისმეტყველების წინაპირობებზე ააგეს, დავიდ ფრიდრიხ  
შტაუსი 1872 წელს თავის წიგნში „ძველი და ახალი რწმენე-  
ბი“ ცდილობდა, ახალი სარწმუნოებისთვის საყრდენი წერტი-  
ლები საკუთარი თეოლოგიური და ფილოსოფიური ცოდნი-  
დან მიეღო. ჯერ კიდეც ათწლეულების წინ ის სულიერ  
ცხოვრებაში ჩაერია თავისი ნაშრომით „იქსოს ცხოვრება“.  
ისე ჩანდა, თოთქოს ის იცნობდა თავისი დროის მთელ თეო-  
ლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს. ის თამაბად ამ-  
ბობდა, რომ მატერიალისტური გაგებით მსოფლიოს შექმნის

არსებულმა ახსნამ, ადამიანების ჩათვლით, ბაზისი უნდა შექმნას ახალი სახარებისთვის, არსებობის ახალი მორალური გაგებისა და გეშტალტისთვის. კაცობრიობის წარმოშობა წმინდა ცხოველური წინაპრებისგან ჩანდა, როგორც ახალი დოგმა და ყველანაირი ჩაღრმავება იმ იდეაში, რომ ჩვენს წინაპრებს სულიერ-მშვინვიერის წარმომავლობა აქვთ, საბუნებისმეტყველო ფილოსოფოსების თვალში მიიჩნეოდა, როგორც ჩამორჩენილი ცრურწმენა კაცობრიობის ბავშვობის ასაკიდან, ამიტომაც არ უნდოდათ ამით დაკავებულიყვნენ.

კულტურის ისტორიკოსებს უდიდესი დახმარება გაუწიეს მათ, ვინც უახლეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ქმნიდა. ჩატარდა კვლევები ვალური ტომების მანერებსა და ხედვებზე. პრიმიტიული კულტურების ნარჩენებს, რომლებსაც მიწიდან ამოთხრი, როგორც პრეისტორიული ცხოველების ძვლებსა და გადაგვარებული მცენარეული სამყაროს ნაკვალევს, უნდა მოეცათ მტკიცებულებები ფაქტებისთვის, რომ ადამიანი დედამიწაზე თავისი პირველი გამოჩენის დროს მხოლოდ მისი აღმართულობით განსხვავდებოდა სხვა მაღალგანვითარებული ცხოველებისგან, ამავე დროს ის თავისი სულიერ-მშვინვიერის განვითარებამდე ჩვეულებრივი ცხოველური სამყაროდან დღევანდელ სიმაღლემდე ნელ-ნელა უნდა მისულიყო. ეს მივიდა იმ მომენტამდე, როცა ყველაფერი მატერიალისტურ ჭრილში განიხილებოდა. რაღაც სინდისის იმულებით, რომლითაც დროის წარმომადგენა მასზე აისახებოდა, ადამიანები ფიქრობდნენ ისე, როგორც მორწმუნე მატერიალისტი წერს: „მეცნიერების ბეჯითმა კვლევებმა მიმიყვანეს იქმდე, რომ ყველაფერი მივიღო მშვიდად, რომ შესაძლებელია მოთმინებით ატარო და იზრუნო იმაზე, დაეხმარო კაცობრიობას, რათა მისი ტრაგედია ნელ-ნელა შემცირდეს. ფანტასტიკურ ნუგაშზე, რომელსაც მორწმუნე სული სასწაულებრივ წინასწარგანსაზღვრულობაში ეძებს, შემიძლია უფრო ადვილად ვთქვა უარი, ვიდრე ჩემს ფანტაზიაზე, რომელიც ლიტერატურასა და ხელოვნებაში მშვენიერ იმპულსებს პოულობს. თუ თვალს ვადევნებ დიდი დრამის მიმდინარებას, ან სწავლულის მითითებით ვმოგზაურობ სხვა ვარსკვლავებზე, ვმოგზაურობ პრეისტორიულ ლანდშაფტებში, სადაც მწვერვალიდან აღფრთოვანებით ვუმზერ ბუნების დიდებულებას ანდა თაყვანს ვცემ ადამიანის ოსტატობას ტონებსა თუ ფერებში, ნუთუ მე არ ვარ საკმაოდ ამაღლებული?

მჭირდება კი მე კიდევ რაიმე, რაც ჩემს გონიერას ეწინააღმდეგება? – ჩემთვის სრულიად უცხოა სიკვდილის შიში, რომელიც ამდენ კეთილშობილ ადამიანს ტანჯავს. მე ვიცი, რომ ჩემი სხეულის დაშლისას ისევე შშვიდად გავაგრძელებ ცხოვრებას, როგორც ვცხოვრობდი დაბადებამდე. განსაწმენდელის ტანჯვა და ჯოჯოხეთი ჩემთვის არ არსებობს. მე დავუბრუნდები უსაზღვრო ბუნებას, რომელიც ყველა ბავშვს სიყვარულით მოიცავს. ჩემი ცხოვრება არ იყო უაზრო. მე მაქვს უნარი იმისა, რომ ძალა, რომელსაც ვფლობდი, ამას კარგად მივუსადაგო. მე დავშორდები დედამიწას იმ ძლიერი რწმენით, რომ ყველაფერი უფრო კარგიდ და ლამაზად იქნება მოწყობილი!“. (რწმენიდან ცოდნამდე ცოდნით სავსე განვითარების გზა, ზუსტად აღწერილი კუნო ფრაიდანის ცხოვრების მიხედვით.) ასე ფიქრობს დღეს უამრავი ადამიანი, რომლებსაც აქვთ აკვიატებული იდეების გავლენა, რომელიც ზემოაღნიშნულ დროში მატერიალისტური მსოფლმხედველობის წარმომადგენლებზე მოქმედებდა.

სრულიად სხვა წარმოდგენებამდე მივიდნენ ისინი, ვინც ცდილობდა მეცნიერული აზროვნების სიმაღლეზე დგომას. ცნობილი გახდა პირველი საპირისპირო მოსაზრება, რომელიც გააუდერა შესანიშნავმა ნატურალისტმა ლაიპციგში 1876 წელს ნატურალისტების შეკრებაზე და ეს მოსაზრება ეფუძნებოდა მატერიალისტურ ბუნებისმეტყველებას. დუ ბოის-რეიმონდმა\* იქ წაიკითხა თავისი „Ignorabimus-Rede“. მან სცადა, ეწვენებინა, რომ მატერიალისტური ბუნებისმეტყველება სინამდვილეში სხვა არაფერს ცდილობს, თუ არა, დაადგინოს ყველაზე პატარა მატერიების მოძრაობა და ის ითხოვდა, რომ ამით დაგმაყოფილებულიყვნენ. მაგრამ იქვე აღნიშნავდა, რომ მცირედიც არ იყო გაკეთებული სულისა და სამშვინველის წარმოშობის ასენისოვის. დუ ბოის-რეიმონდის ნათქვამის გაგება შეიძლება სხვადასხვაგვარად: ის ცხადია, გულისხმობდა მატერიალისტური სამყაროს ასენის უარყოფას. ის აჩვენებდა, როგორ შეიძლება ნატურალისტი ამ შემთხვევაში შეცდეს.

ამით სამყაროს მატერიალისტური ახსნა შევიდა იმ ფაზაში, როდესაც ის მოკრძალებით ეხებოდა სამშვინველის ცხოვრებას. მან გამოამჟღავნა თავისი „არცოდნა“ (აგნოსტიზმი). ის სხნიდა, რომ ისინი „მეცნიერულები“ რჩებიან და რომ არ უნდოდა ცოდნის წყაროებში სხვა თავშესაფარი ეპო-

ვა; მაგრამ მას ასევე არ უნდოდა თავისი გზებით ასულიყო უფრო მაღალი მსოფლმხედველობისკენ. (ნატურალისტმა რაულ ფრანსესმა\* ყოვლისმომცველი ფორმით აჩვენა ახალ დროში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევების არასაკმარისობა მაღალ მსოფლმხედველობაში. ეს არის მცდელობა, რომელსაც სხვა დროს მივუბრუნდებით).

აი, ასე მრავლდებოდა მუდმივად ფაქტები, რომელიც აჩვენებდა ამ მცდელობის შეუძლებლობას, სამშვინველის უწყებები აეგოთ მატერიის გამოვლინებების პლევაზე. მეცნიერება იძულებული გახდა, შეესწავლა გარკვეული „პათოლოგიური“ გამოვლინებები: სამშვინველის ცხოვრება, ჰიპნოზიზმი, შთაგონება და სომნამბულიზმი. ამან აჩვენა, რომ ეს გამოვლინებები, ნამდვილად მოაზროვნების საწინააღმდეგოდ, მატერიალისტური თვალსაზრისით სრულიად არასაკმარისი იყო. არ იყო არანაირი ახალი ფაქტები, რომლებიც შეიძლებოდა შეესწავლათ. იყო უფრო მეტი გამოვლინება, რომლებიც ძალა დორში და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდევ ისწავლებოდა და მატერიალისტური დიდი ნაკადის დროს გვერდზე გადადეს, როგორც მოუხერხებელი.

ამასთან ერთად კიდევ სხვა რამეც მოხდა. უფრო მეტად გამოჩნდა, რამდენად სუსტ ბაზისზე ააგეს ნატურალისტებმა ცხოველური ფორმის და შემდგომ ასევე ადამიანის წარმოშობის შესახებ თავიანთი ახსნა. მიზიდულობის რომელი ძალა სწავლობდა წარმოდგენებს „შეგუებასა“ და „გადარჩენისთვის ბრძოლაზე“ სახეობების შექმნის ახსნისას. უნდა ეღიარებინათ, რომ მათ იღუზორულად მიუდგნენ. ჩამოყალიბდა სკოლა, – ვაისმანის ხელმძღვანელობით\*, – რომელსაც არაფრის ცოდნა არ უნდოდა იმაზე, რომ თვისებები, რომლებიც ერთ ცოცხალ არსებას გარე სამყაროზე შეგუებით უვითარდება, გზებითკურად შეიძლება რგბოდათ, და, რომ ამ გზით თავს იჩენდა ცოცხალი არსების გარდაქმნა. ამიტომ ყველაფერს მიაწერდნენ „გადარჩენისთვის ბრძოლას“, საუბრობდნენ „ბუნებრივი გადარჩევის ყოვლისშემძლეობაზე“. ამის მკვეთრ მოწინააღმდეგებად გამოდიოდნენ, უდავო ფაქტზე დაყრდნობით, ისინი, რომლებიც საერთოდ არ არსებულს სსნიდნენ იმ შემთხვევებზე საუბრისას, როგორიცაა „ბრძოლა არსებობისთვის“. მათ უნდოდათ ეწვენებინათ, რომ ამით არაფრის ახსნა არ შეიძლებოდა. ისინი საუბრობდნენ „ბუნებრივი გადარჩევის უძლურებაზე“. შემდგომ, მომდევნო წლებში დე ვრისმა\* შექ-

ლო ცდებით ქმვენებინა, რომ ერთი ცოცხალი ფორმის ცვლილებები ნახტომისებურად ვლინდებოდა (მუტაცია) მეორეში. ასევე გაოცებული იყო იმით, რაც დარვინისტების მხრიდან გამოიყურებოდა, როგორც მყარი სარწმუნო საგანი, რომ ცხოველური და მცენარეული ფორმები ნელ-ნელა იცვლებოდა. ამით უფრო მეტად ეცლებოდა ფეხებები მიწა, რომელზეც ეს ათწლეულების განმავლობაში იყო აშენებული. მანამდე მოაზროვნე მკვლევრებს ამის გარეშეც უკვე ეგონათ, რომ ეს მიწა უნდა დაეტოვებინათ, როგორც ხსნიდა უკვე 1884 წელს ახალგაზრდა აწ გარდაცვლილი კ. პ. როლფი\*, რომელიც თავის წიგნში: „ბიოლოგიური პრობლემები, ამავე დროს მცდელობა რაციონალური ეთიკის განვითარებისა“ წერდა: „მხოლოდ გაუმაძღვრების შემოტანით შეიძლება მიიღო დარვინისტული პრინციპი – არსებობისთვის ბრძოლა. რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში გვაქვს იმ ფაქტის ახსნა, რომ არსება, სადაც კი მას შეუძლია, იღებს მეტს, ვიდრე ეს „სტატუს“ კაოს“ შესანარჩუნებლად არის საჭირო, რომ მისი მოთხოვნილება ასევე გადაჭარბებულად იზრდება, სადაც კი ამის შესაძლებლობა ეძლევა . . . , მაშინ, როცა დარვინისტებისთვის არ არსებობს არანაირი ბრძოლა არსებობისთვის იქ, სადაც არსების ეგზისტენციალობას არაფერი ემუქრება, ჩემთვის კი ბრძოლა არის მუდმივად აქტიური. ეს არის სიცოცხლისთვის, სიცოცხლის გამრავლებისთვის ბრძოლის მაგალითი, მაგრამ არანაირი ბრძოლა არსებობისთვის“.

ბუნებრივია, რომ საქმის ასეთი ვითარების დროს გონიერი ადამიანები აღიარებდნენ: მატერიალისტური აზროვნების სამყარო არ ვარგა მსოფლმხედველობის შესაქმნელად. აქედან გამომდინარე, არ გვაქვს უფლება, რაიმე ვთქვათ მშვინვიერისა და სულიერის გამოვლინებებზე. და დღეს არიან ნატურალისტები, რომლებიც სამყაროს შექმნის ახსნას სრულიად სხვა წარმოდგენებით ცდილობენ. საკმარისია გავიხსენოთ ბოტანიკოს რეინკებ\* ნაშრომი – „სამყარო, როგორც ფაქტი“. სხვათაშორის მასში ნაჩვენებია, რომ მსგავსი ნატურალისტები უპრობლემოდ არ გაზრდილან წმინდა მატერიალისტურ წარმოდგენებზე. საცოდაობაა, რასაც ისინი ამტკიცებენ თავიანთი ახალი იდეალისტური პოზიციიდან, რასაც შეუძლია რადაც დონემდე დაკმაყოფილება, მაგრამ არა იმათი, რომლებიც სამყაროს გამოცანებში ღრმად იხედებიან. ასეთ ნატურალისტებს არ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება, მიმართონ

იმ მეთოდებს, რომლებიც სულისა და სამშვინველის ნამდვილი დაკვირვებიდან მომდინარეობს. მათ აქვთ უდიდესი შიში „მისტიკის“, „გნოზისის“, ასევე „თეოსოფიის“ მიმართ. ეს აშკარაა, მაგრა, ვერორნსის ნაწერიდან, სადაც ის ამბობს: „რაღაც შეიძრა ბუნებისმეტყველებაში. საგნები, რომლებიც ყველასთვის ცხადი და თვალსაჩინო იყო, დღეს დაიბინდა. დიდი ხნის გამოცდილი სიმბოლოები და წარმოდგენები, რომლებსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ზედმეტი ფიქრის გარეშე ყველა ნაბიჯზე მიმართავდნენ და რომლებზეც მუშაობდნენ, შეირყა და მას უნდობლობით უყურებენ. ბაზისური ცნებები, როგორიცაა მატერია, შემაძრწუნებლად ვლინდება და უმყარესი მიწა ნაწურალისტების ფეხევეშ რყევას იწყებს. უეჭველად არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლებზეც აქამდე ბუნებისმეტყველების ყველა მცდელობა, ყველა ძალისხმევა დაინგრა. უიმედობა ასეთი შემუცნებით ურიგდება მისტიკას სიღარიბეში, რაც აქამდე ბოლო თავშესაფარი იყო, სადაც ნაწამები გონება სხვა გზას გვრარ ხედავდა. ის გასხივოსნებული ეძებდა ახალ სიმბოლოებს და ცდილობდა ახალი ბაზისის შექმნას, რომელზეც შემდგომ შეეძლო აშენება“. თვალსაჩინოა, რომ ბუნებისმკლევარ მოაზროვნეს დღეს თავისი წარმოდგენების ჩვევების გამო არ შეუძლია „მისტიკის“ ქვეშ სხვა რამ იგულისხმოს, თუ არა ქაოსი, გონის ბუნდოვანება. საინტერესოა, სამშვინველის ცხოვრების რომელ წარმოდგენებამდე მიღის ასეთი მოაზროვნე! სენებული ნაშრომის ბოლოს გკითხულობთ: „პრეისტორიულმა ადამიანმა განავითარა იდეა სიკვდილის დროს სეულისა და სამშვინველის განცალკევებაზე. სამშვინველი განცალკევდება სეულისაგან და აგრძელებს დამოუკიდებულ არსებობას. ის ვერ პოულობს სიმშვიდეს და კვლავ მოდის, როგორც სული, თუ ის sepulkrale ცერემონიით არ განიდევნება. შიში და ცრურწმენა ადამიანებს აფრთხობდა. ამ ხედვის ნარჩენებმა დღევანდელ დრომდე მოადწია. დღესაც ძალიან გავრცელებულია სიკვდილის შიში, რაც ნიშნავს შიშს იმის მიმართ, რაც მერე მოვა. – და რამდენად სხვა სახეს მიიღებს ეს ყველაფერი ფსიქომონიზმის პოზიციიდან! შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდის ფსიქოური გამოცდილებების არსებობა, თუ არსებობს გარკვეული კანონზომიერი კაგშირები; როგორც კი ეს კავშირები აღარ მყარდება, ისინიც აღარ არსებობს, როგორც ეს მუდმივად ხდება დღის განმავლობაში. სიკვდილისას სეულებრივის

ცვლილებებით ეს კავშირები სრულიად წყდება. ინდივიდის განცდებისა და წარმოდგენების, აზრებისა და გრძნობების ასე არსებობა შეუძლებელია. ინდივიდუალური სამშვინველი მკვდარია. მიუხედავად ამისა განცდები, აზრები და გრძნობები განაგრძობენ ცხოვრებას. ისინი ცხოვრობენ წასული ინდივიდის იქით სხვა ინდივიდებში, ყველგან, სადაც არსებობს მსგავსი პირობების ერთობლიობა. ისინი მრავლდებიან ინდივიდიდან ინდივიდამდე, გენერაციიდან გენერაციამდე, ერიდან ერამდე. ისინი მოქმედებენ და იქსოვებიან სამშვინველის უსასრულო საქსოვ დაზგაზე. ისინი მუშაობენ ადამიანური სულის ისტორიაზე. – ასე ვცხოვრობთ ჩვენ ყველანი სიკვდილის შემდეგ, როგორც ნაწილები დიდი, ერთმანეთთან დაკავშირებული ჯაჭვისა სულიერ განვითარებაში“. მაგრამ განა ეს არის რაიმე სხვა, თუ არა წელის ტალღის შემდგომი ცხოვრება სხვებში, რომლებიც მან ამოსწია მაღლა მაშინ, როდესაც თვითონ გაქრა? ჭეშმარიტად აგრძელებ კი ცხოვრებას, როდესაც სიცოცხლე მხოლოდ შემდგომ ზემოქმედებებში გამოიხატება? ამ შემდგომი ცხოვრების ყველა გამოვლინებაში ხომ არ იგულისხმება ფიზიკური ბუნებაც? ცხადია, მაგრინიალისტურ სამყაროზე ხედვამ თვითონ უნდა მოამზადოს საკუთარი საფუძველი. ახალი კი აშენებისთვის ჯერ მზად არ იყო. მხოლოდ მისტიკის, თეოსოფიის, გნოზისის ნამდვილი გაგება მისცემს მას საშუალებას, შესაძლებლად იქცეს. ქმიტლის ოსვალდი\* წლების წინ ბუნებისმეტყველების შეკრებაზე ლიუბეგში საუბრობდა „მაგრინიალიზმის გადალახვაზე“ და ამისთვის კონკრეტული მიზნით დააფუძნა ახალი საბუნებისმეტყველო ფილოსოფიური გაზეთი. ბუნებისმეტყველება მომწიფებულია, რათა უფრო მაღალი მსოფლმეცველობის ნაყოფი მიიღოს. ნებისმიერი წინააღმდეგობა მისთვის არასასურველია; მას მოუწევს მსურველი ადამიანის მშვინვიერი მოთხოვნილებების გათვალისწინება.

აპაშა ქრონიკიდან  
შესავალი

ჩვეულებრივი ისტორიიდან ადამიანს შეუძლია ჩასწვდეს კაცობრიობის მიერ გარდასულ ეპიქებში განცდილის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. ისტორიული წყაროები ნათელს ჰყენს მხოლოდ რამდენიმე ათასწლეულს, ხოლო არქეოლოგიიდან, პალეონტოლოგიიდან და გეოლოგიიდან მიღებული ცოდნა ფრიად შეზღუდულია. ამ შეზღუდულობას ისიც ემატება, რომ ხშირად ძალზე საჭკვრა გარეგნულ მტკიცებათა ის საფუძვლები, რასაც ეს წყაროები ემყარებიან. საქმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ იცვლებოდა შეხედულებები, ჩვენგან არცთუ ძალზე დაშორებულ ამა თუ იმ მოვლენასა თუ ხალხზე, როცა რაიმე ახალ ისტორიულ წყაროს აღმოაჩენდნენ. შეადარეთ ერთმანეთს სხვადსხვა ისტორიკოსის მიერ აღწერილი ერთი და იგივე მოვლენა და იოლად დარწმუნდებით, თუ რაოდენ არამყარია ეს საფუძვლები. ყოველივე, რაც გარეგნულ გრძნობად სამყაროს ეკუთვნის, დროს ექვემდებარება; ხელო დროთა განმავლობაში წარმოქმნილს ისევ დრო ანგრევს. გარეგნული ისტორია შემოფარგლულია მხოლოდ იმ საზღვრებით, რაც დროშია შემონახული. გარეგნულ მტკიცებებზე დაყრდნობით დაბეჯითებით ვერავის იტყვის, რომ შემონახული ამავე დროს ყველაზე არსებითიცაა; მაგრამ ყოველივეს, რაც დროშია წარმოქმნილი, დასაბამი მარადისობაშია, მარადიული კი გრძნობადი აღქმისთვის მიუწვდომელია. ამასთან, ადამიანს გზა სსნილი აქვს აღქმისკენ. მას ძალუმს საკუთარ თაგში მთვლემარე ძალთა იმგვარად განვითარება, რომ მარადიულის შემეცნება შეძლოს. წიგნში „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება“, (რუდოლფ შტაინერის აღნიშნული წიგნი პირველად გამოიცა 1909წ. GA 10. მთარგ. შენიშვნა) მოცემულია ასეთი განვითარებისთვის საჭირო მითითებები. აგრეთვე ნაჩვენებია, რომ დროთა განმავლობაში საკუთარი შემეცნებითი უნარის გარკვეულ სიმაღლემდე განვითარებით ადამიანს ძალუმს, წარმავალი საგნებისა თუ მოვლენების მარადიულ პირველწყაროებს ჩასწვდეს. როდესაც ადამიანი ამგვარად განივითარებს საკუთარ შემეცნებით უნარს, წარსულის შემეცნებისას მხოლოდ გარეგნული მტკიცებებით აღარ შე-

მოიფარგლება. მაშინ იგი დაინახავს მოვლენათა იმ მხარეს, რომელიც მიუწვდომელია გრძნობადი ადქმისთვის და რომელსაც მასში დრო ვერ ანგრევს. წარმავალი ისტორიიდან ადამიანი წარუვალში აღწევს. თუმცა ეს ისტორია დაწერილია ჩვეულებრივისგან სრულიად განსხვავებული დამწერლობით. თეოსოფიაში მას „აკაშა-ქრონიკას“ უწოდებენ. ჩვენს ენაზე შესაძლებელია მასზე მხოლოდ ძალზე მკრთალი წარმოდგენა შევიქმნათ; რადგანაც ჩვენი ენა განკუთვნილია გრძნობადი სამყაროსთვის და რასაც იგი აღნიშნავს, მაშინვე ამ სამყაროს ხასიათს იღებს. ამიტომ, არახელდასხმულზე, რომელიც საკუთარი გამოცდილებით ჯერ ვერ დარწმუნებულა განსაკუთრებული სულიერი სამყაროს არსებობაში, ადვილი შესაძლებელია „აკაშა-ქრონიკაში“ ფანტასტიკის (თუ უფრო უარესის არა) შთაბეჭდილება მოახდინოს. ხოლო, ვინც სულიერ სამყაროში აღქმის უნარი გამოიმუშავა, მასში მიმდინარე მოვლენებს მათს მარადიულ ასპექტში შეიმუცნებს. ისინი მის წინაშე წარმოჩნდება არა ისტორიის მკვდარ მტკიცებებად, არამედ როგორც სიცოცხლით აღვსილი. გარკვეული თვალსაზრისით, მის თვალწინ გადათამაშდება ადრე მომხდარი მოვლენები. ამგვარი ცოცხალი დამწერლობის წამკითხველ ხელდასხმულთ შეუძლიათ გარეგნულ ისტორიაში აღბეჭდილზე გაცილებით შორეულ წარსულშიც ჩაიხედონ; უშუალო სულიერი აღქმის საფუძველზე მათ შეუძლიათ აგრეთვე აღწერონ მოვლენები, რომლებზეც გარეგნული ისტორია გვაუწყებს – ამასთან, გაცილებით მეტი სიზუსტით, ვიდრე ამ უკანასკნელს ძალუძა. შესაძლო შეცდომისგან თავის დაზღვევის მიზნით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არც სულიერი ჰკრეტაა ყოველთვის უშეცდომო, ისიც შეიძლება შეცდეს, – არასწორად, მრუდედ და დამახინჯებულად დაინახოს. ამ სფეროში არც ერთი ადამიანი (რაოდენ მაღალგანვითარებულიც უნდა იყოს) არაა დაზღვეული შეცდომის დაშვებისაგან. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ასეთი სულიერი წყაროებიდან მიღებული ცნობები ყოველთვის ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან, აქ დაკვირვებათა საიმედოობა გაცილებით მაღალია, ვიდრე გარეგნულ გრძნობად სამყაროში და სხვადასხვა ხელდასხმულის ცნობები ისტორიულ და ისტორიამდელ ეპოქებზე არსებითად ყოველთვის დაემთხვევა

ერთმანეთს. მართლაც, ამ ეპოქებზე ცოდნა ყველა ეზოთურულ სკოლაში არსებობს და ათასწლეულების განმავლობაში მათ შორის ისეთი თანხმობა სუფეს, როგორიც შეუძლებელია არსებობდეს თვით ერთი ეპოქის ისტორიკოსთა შორისაც. ხელდასხმულები კი არსებითად ყველგან და ყოველთვის ერთსა და იმავე აღწერას იძლევიან.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია შევუდგეთ „აკაშა-ქრონიკიდან“ ზოგიერთი თავის აღწერას. იგი დაიწყება იმ პერიოდის მოვლენათა გადმოცემით, როდესაც ევროპასა და ამერიკას შორის ჯერ კიდევ ეწ. ატლანტიკიდის მატერიკი გაწოლილიყო. დედამიწის ზედაპირის ეს ნაწილი ოდესადაც ხმელეთს წარმოადგენდა. დღეს იგი ქმნის ჩვენი ატლანტის ოკეანის ფსკერს. ჯერ კიდევ პლატონი უვება ამ ქვეყნის უკანასკნელ ნარჩენებზე\*, კუნძულ პოსეიდონიაზე, რომელიც ევროპისა და აფრიკის დასავლეთით მდებარეობს. ის, რომ ატლანტის ოკეანის ფსკერი ოდესადაც მატერიკი იყო, რომ იგი დაახლოებით მიღიონი წლის განმავლობაში კულტურის (მართალია, ჩვენი კულტურისგან სრულიად განსხვავებული) არენას წარმოადგენდა – ყოველივე ამაზე, ისევე, როგორც ქრისტეს შობამდე ათი ათასი წლის წინ ამ ქვეყნის უკანასკნელი ნარჩენების დაღუპვაზე, შეიძლება წავიკითხოთ სკოტ ელიოტის წიგნში „ატლანტიდა ოკულტური წყაროების მიხედვით“. შემდგომში ამ უძველეს კულტურაზე მოგაწოდებო ცნობებს, რომლებიც ელიოტის წიგნში აღწერილს შეავსებს. მაშინ, როცა მის წიგნში ძირითადად აღწერილია ამ კულტურის გარეგნული შსარე და ჩვენს ატლანტიდელ წინაპართა ეპოქის გარეგნული მოვლენები, ქვემოთ აღვნიშნავთ მათი მშვინვერი თვისებების ზოგიერთ ასკექტსა და იმ პირობების შინაგან ბუნებას, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ამდენად, მკითხველმა აზრობრივად უნდა გადაინაცვლოს ეპოქაში, რომელიც ჩვენსას 10 000 წლით ჩამორჩება და მრავალი ათასწლეულის განმავლობაში გრძელდებოდა. რასაც ქვემოთ აღწერთ, ხდებოდა არა მარტო იმ მატერიკზე, რომელიც ამჟამად ატლანტის ოკეანის წყლითაა დაფარული, არამედ ახლანდელი აზიის, აფრიკის, ევროპისა და ამერიკის მიმდებარე ტერიტორიებზეც. შემდგომში ამ ქვეუნებში ყოველივე იმ წინარე კულტურიდან განვითარდა. მე ვალდებული ვარ, ჯერჯერობით არ გავამჟღავ-

ნო ის წყაროები, საიდანაც ეს ცნობები მოვიპოვე. ვინც რაიმე იცის ამ წყაროებზე, მიხვდება, თუ რატომაა ეს აუცილებელი; მაგრამ შესაძლოა განვითარდეს ისეთი მოვლენები, რომლებიც მალე ამაზე საუბრის ნებას დაგვრთავენ. თუ რა დოზით შეიძლება თანდათანობით გვუწიოს ანთროპოსოფიული მიმდინარეობის წიაღში დაფარული ცოდნა, მთლიანად დამოკიდებულია თანამედროვეების ანთროპოსოფიასთან მიმართებაზე. ახლა კი ამ შენიშვნებს მოსდევს იმ პირველი ფრაგმენტის აღწერა, რომლის აქ გამოქვეყნებაც მიზანშეწონილად მივიჩიეთ.

ჩვენი ატლანტიდები წინაპრები უფრო მეტად განსხვავდებოდნენ თანამედროვე ადამიანებისგან, ვიდრე საკუთარი შემეცნებით მხოლოდ გრძნობადი სამყაროთი შემოფარგლულმა შეიძლება წარმოიდგინოს. ეს განსხვავება არა მარტო გარეგნულ იქრ-სახეს, არამედ სულიერ უნარებსაც ეხება. მათი შემეცნებები და ტექნიკური შესაძლებლობები, მთლიანად მათი კულტურა არ ჰგავდა იმას, რასაც ჩვენს დროში შეიძლება დაგაკვირდეთ. თუ მივუბრუნდებით ატლანტიდის კაცობრიობის პირველ პერიოდებს, ჩვენგან აბსოლუტურად განსხვავებულ სულიერ უნარებს აღმოვაჩინოთ. ლოგიკური განსჯა და გამოთვლა-გაანგარიშება, რომლებსაც გმურება ყოველივე, რასაც ამჟამად ვქმნით, პირველ ატლანტიდელებში საერთოდ არ არსებობდა. სამაგიეროდ ისინი ძალზე განვითარებულ მეხსიერებას ფლობდნენ. ეს მათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ სულიერ ნიშანს წარმოადგენდა. მაგალითად, ისინი არ ითვლიდნენ, როგორც ჩვენ, როცა ვითვისებთ განსაზღვრულ კანონებს, რომლებსაც შემდეგ ვიყენებთ. ატლანტიდის ეპოქის პირველი პერიოდისთვის გამრავლების ტაბულა რადაც სრულიად უცნობს წარმოადგენდა. საკუთარი გონებით არავინ ითვისებდა, რომ სამჯერ ოთხი თორმეტია. ხოლო ის გარემოება, რომ საჭიროების შემთხვევაში ატლანტიდელს შეეძლო თავი გაერთმია ამგვარი გამოთვლისთვის, აისხენება იმით, რომ ამ დროს იგი იხსენებდა ასეთივე ან მსგავს შემთხვევას; მას ახსენდებოდა, თუ რა ხდებოდა ამგვარ სიტუაციაში ადრე. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველთვის, როცა რომელიმე არსებაში ახალი უნარი ვითარდება, ძველი ძალასა და სიმძაფრეს ნელ-ნელა კარგავს. ატლანტიდელთან შედარებით თანამედროვე ადამიანს ის უპირატესობა გააჩნია, რომ ფლობს ლოგიკური განსჯისა და წარმოსახვის უნარს. სამაგიეროდ, მისი მეხსიერება ჩამორჩა. ამჟამად ადამიანები ცნებებით აზროვნებენ, ატლანტიდელი კი სურათ-ხატებით აზროვნებდა. როდესაც ატლანტიდელის სამშვინველში რაიმე სურათ-ხატი წარმოიქმნებოდა, იგი ადრე თავის მიერვე განცდილ მსგავს ხატ-სახეებს იხსენებდა; საკუთარ მსჯელობაშიც ამითვე ხელმძღვანელობდა. ამიტომ სწავლებაც (გვიანდელ პერიოდთან შედარებით)

სრულიად განსხვავებული იყო. ატლანტიდელი არ ისწრაფოდა ბავშვის რაიმე წესებით აღჭურვისოვის, ან განსჯაში გავარჯიშებისკენ. ბავშვს მკაფიო სურათ-ხატებით ისე აცნობდნენ ცხოვრებას, რომ შემდეგში, როცა მას ამა თუ იმ სიტუაციაში უნდა ემოქმედა, უკვე შეეძლო მოგონებათა დიდი მარაგით ესარგებლა. როდესაც ბავშვი მოწიფელობის ასაკში შეაბიჯებდა, შეეძლო რაიმე ქმედების განხორციელებამდე გაეხსენებინა, რომ სწავლების წლებში რაღაც მსგავსი უკვე გააცნეს; ხოლო სიტუაციაში უკეთ ერკეოდა, თუ ახალი შემთხვევა უკვე ნანახს ჰგავდა. სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში ატლანტიდელი იმულებული იყო, ალალბედზე ემოქმედა, მაშინ, როცა თანამედროვე ადამიანი ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, – იგი აღჭურვილია წესებით, რომლებიც ადვილად შეუძლია გამოიყენოს ისეთ სიტუაციებშიც, როგორიც ადრე არ ჰქონია. ადზრდის ამგვარი სისტემა მთელ ცხოვრებას ერთგვაროვნების დას ასვამდა. საქმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ყველაფერი ასეთივე ერთგვაროვანი თანმიმდევრობით ხორციელდებოდა. მართებული მეხსიერება ისეთს არაფერს დაუშვებდა, რაც ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ტემპებს თუნდაც ოდნავ მაინც დაემსგავსებოდა. ატლანტიდელები აკეთებდნენ მხოლოდ იმას, რაც ადრე უკვე „ნანახი“ ჰქონდათ. ისინი არაფერს იგონებდნენ, მხოლოდ იხსენებდნენ. ავტორიტეტად ითვლებოდა არა ის, ვინც ბევრი ისწავლა, არამედ, ვინც მეტი განიცადა და ამიტომაც შეეძლო ბევრი ხსომებოდა. ატლანტიდის ეპოქაში შეუძლებელი იყო, რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მიენდოთ ადამიანისთვის, ვინც გარკვეულ ასაკს ჯერ კიდევ არ იყო მიტანებული. მხოლოდ მრავალწლიანი გამოცდილების მქონეს ენდობოდნენ.

ზემოთქმული არ ეხება ხელდასხმულებსა და მათ სკოლებს. ამიტომ ისინი საკუთარი ეპოქის განვითარების დონეს ყოველთვის წინ უსწრებდნენ. ასეთ სკოლებში მიღება ასაკზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ იმაზე, მასში შესვლის მსურველმა საკუთარ ადრინდელ განსხეულებებში, თუ როგორ გამოიმუშავა უნარები უმაღლესი სიბრძნის მისაღებად. ატლანტიდის ეპოქაში ხელდასხმულებისა და მათი წარმომადგენლებისთვის გამოცხადებული ნდობა მდიდარ პირად გამოცდილებას კი არ ემყარებოდა, არამედ

მათი სიბრძნის წლოვანებას. ხელდასხმულში ინდივიდუალობა კარგავს მნიშვნელობას, იგი მოლიანად ეძღვავა მარადიული სიბრძნის მსახურებას. ამიტომ შეუძლებელია, იგი რომელიმე კონკრეტული ეპოქის თავისებურებებს დაუქვემდებაროთ.

ამგვარად, როცა ატლანტიდელებს ლოგიკური აზროვნების ძალა არ გააჩნდათ (განსაკუთრებით უფრო ადრეულ პერიოდში), მათ ქმედებებს განსაკუთრებულ თვისებებს ანიჭებდა უაღრესად განვითარებული მეხსიერება; მაგრამ ცალკეული ადამიანური ძალის არსეს ყოველთვის უკავშირდება სხვა ძალებიც. ადამიანის ღრმა ბუნებრივ საწყისთან გონების ძალაზე უფრო ახლოს დგას მეხსიერება და მასთან კავშირში განვითარდა ზოგიერთი სხვა ძალაც, რომელიც უფრო მეტად პგავს დაბლა მდგომ ბუნებრივ არსებათა ძალებს, ვიდრე დღეს მოქმედი ადამიანური ქმედითი ძალები. ამდენად, ატლანტიდელების ძალაუფლება ვრცელდებოდა იმაზე, რასაც სასიცოცხლო ძალა ეწოდება. როგორც იღებენ დღეს ქვანახშირისგან სითბოს ძალას, გარდაქმნილს ჩვენი მიმოსვლის საშუალებათა მამოძრავებულ ძალად, ასევე შეეძლოთ, ატლანტიდელებს თავიანთი ტექნიკური მიზნებისთვის ესარგებლათ ცოცხალ ორგანიზმთა საოესლე ძალით. ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ, თუ როგორ ხორციელდებოდა ეს. წარმოვიდგინოთ ხორბლის მარცვალი. მასში თვლემს სწორედ ის ძალა, რომლის მეოხებითაც თესლიდან დერო ამოიზრდება. ბუნებას შეუძლია თესლში დავანებული ძალის გამოღვიძება. თანამედროვე ადამიანს საკუთარი ნებელობით ეს არ ძალუძს. მან უნდა დათესოს მარცვალი და მის გამოღვიძება ბუნების ძალებს მიანდოს; მაგრამ ატლანტიდელს სხვა რამეც ხელეწიფებოდა. მან იცოდა, თუ როგორ გარდაექმნა მარცვლების გროვაში დავანებული ძალები ტექნიკურ ძალად, მსგავსად იმისა, როგორც თანამედროვე ადამიანი გარდაქმნის ქვანახშირის გროვაში არსებულ სითბოს ძალას მამოძრავებულ ძალად. ატლანტიდის ეპოქაში მცენარეები მოჰყავდათ არა მარტო საკვებად, არამედ იმისათვისაც, რომ მათში მოვლემარე ძალები გამოეყენებინათ სამრეწველო მიზნითა და კავშირის საშუალებებად. როგორც ჩვენ გაგხანია მოწყობილობები ქვანახშირში მთვლემარე ძალათა გარდასაქმნელად ამჟამინდელი ორთქლმავლების მამოძ

რავებელ ძალად, ასევე ჰქონდათ ატლანტიდელებსაც მოწყობილობები, რომლებსაც, ასე ვთქვათ, მცენარეთა თესლით ათბობდნენ და რომლებშიც სასიცოცხლო ძალა გარდაიქმნებოდა საჭირო ტექნიკურ ძალად. ასე მოპყავდა ატლანტიდელს მოძრაობაში საქუთარი ოთხთვალა, რომელსაც მიწიდან უმნიშვნელო სიმაღლეზე ატარებდა. სიმაღლე, რომელზეც ეს ოთხთვალები მოძრაობდნენ, ატლანტიდის ეპოქაში არსებულ მთებზე უფრო დაბალი იყო, ამიტომ მათ ჰქონდათ საჭირი მოწყობილობები, რომელთა დახმარებით შეეძლოთ ეს მთები გადაელახათ.

აქ საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ დროთა განმავლობაში დედამიწაზე ყველანაირი პირობები რადიკალურად შეიცვალა. ატლანტიდელების ზემოაღნიშნული მოწყობილობები ჩვენს დროში სრულიად გამოუსადევარი იქნებოდა. მათი მოხმარება ეფუძნებოდა იმას, რომ ჰაერის მასა, რომელიც იმ დროს გარს ერტყმოდა დედამიწას, გაცილებით გავრცელ იყო დღეგანდელზე. აქ ჩვენ არ უნდა დავიწყოთ გარკვევა, შესაძლებელია თუ არა, წარმოვიდგინოთ, თანამედროვე მეცნიერული ცნებების თანახმად, ასეთ დონეზე გამავრივებული ჰაერი. მეცნიერება და ლოგიკური აზროვნება, უკვე თვით საქუთარი არსიდან გამომდინარე, ვერასდროს გადაწყვეტს, თუ რა არის შესაძლებელი ან შეუძლებელი. მათ ძალუმთ, ახსნან მხოლოდ ის, რაც ცდითა და დაკვირვებითაა დადგენილი; ოკულტური გამოცდილებისთვის კი ჰაერის ზემოაღნიშნული სიმპარივე ისევე ზუსტადაა ცნობილი, როგორც შეიძლება დადგინდეს ნებისმიერი ფაქტი ჩვენი გრძნობადი დაკვირვებით. უეჭველია ის ფაქტიც, თუმცა თანამედროვე ფიზიკისა და ქიმიისთვის ეს შეიძლება უფრო მეტად გაუგებარი იყოს, რომ იმ ეპოქაში მთელ დედამიწაზე წყალი გაცილებით უფრო ნატიფი იყო, ვიდრე ამჟამად. წყლის ამ თვისებას ატლანტიდელები იყენებდნენ საკუთარი ტექნიკური მიზნებისთვის, მათ მიერვე ათვისებული თეხლის ძალის დახმარებით, რაც ჩვენს დროში მიუღწეველია. წყლის გამყარების გამო ამჟამად შეუძლებელია, იგი ისევე ოსტატურად ვმართოთ და ვამოძრაოთ, როგორც – ადრინდელ ეპოქებში. აქედან ნათელია, რომ ატლანტიდის ეპოქის ცივილიზაცია ჩვენი ცივილიზაციისგან ძირულად განსხვავდებოდა; გასაგები ხდება ისიც, რომ ატლანტიდელის ფიზიკური ბუნებაც თანამედ-

როვე ადამიანის ფიზიკური ბუნებისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა. ატლანტიდელი იყენებდა წყალს, რომელიც მისი ბუნებისთვის ნიშანდობლივი სასიცოცხლო ძალით შეიძლებოდა გადამუშავებულიყო სულ სხვაგვარად, ვიდრე – თანამედროვე ადამიანის სხეულშია შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ატლანტიდელს შეეძლო საკუთარი ნებით, თანამედროვე ადამიანისგან სრულიად განსხვავებულად, თავისივე ფიზიკური ძალებითაც ესარგებდა. როდესაც ატლანტიდელს ესაჭიროებოდა საკუთარი ფიზიკური ძალები, იგი თავის თავში, ასე ვთქვათ, მათი გაძლიერების საშუალებებს ფლობდა. ატლანტიდელებზე ჩვენ მხოლოდ მაშინ შევიქმნით მართებულ წარმოდგენას, თუკი გავიაზრებთ, რომ მათ დაღლასა და ძალების დახარჯვაზეც თანამედროვე ადამიანთან შედარებით სრულიად განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ატლანტიდური დასახლება ატარებდა ისეთ თვისებებს, რაც არაფრით მოგვაგონებს თანამედროვე ქალაქს. ასეთ დასახლებაში ყველაფერი ჯერ კიდევ ბუნებას უკავშირდებოდა. აქ მივიღებთ მხოლოდ ოდნავ მიმსგავსებულ სურათს, თუ ვიტყვით, რომ ატლანტიდის ეპიქის პირველ პერიოდებში, – დაახლოებით მესამე ქვერასის შეა პერიოდამდე, – დასახლება ჰგავდა ბადს, რომელშიც სახლები აგებულია ერთმანეთთან ოსტატურად გადანასკვული ტოტებიანი ხეებისგან. რასაც მაშინ ადამიანის ხელი ქმნიდა, თითქოს ბუნებიდან ამოიზრდებოდა და თვით ადამიანიც თავს მთლიანად მის მონათესავედ აღიქვამდა. ამიტომ საზოგადოებრიობის განცდაც ამჟამინდელისგან სრულიად განსხვავებული იყო. ბუნება ხომ ყველა ადამიანს ეკუთვნის, ხოლო ყოველივე, რასაც ატლანტიდელი ქმნიდა, ემყარებოდა სწორედ ბუნებას და მას მიაჩნდა, რომ იგი იყო საერთო მონაპოვარი, ისევე, როგორც თანამედროვე ადამიანი სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს თავის კერძო საკუთრებად ყოველივეს, რაც საკუთარი გონებისა და მოხერხებულობის წყალობით გამოიმუშავა ან შექმნა.

ვინც გაითავისა აზრი, რომ ატლანტიდელები ფლობდნენ ზემოაღწერილის მსგავს ფიზიკურ და სულიერ ძალებს, მიხვდება, რომ კიდევ უფრო ადრეულ ეპოქაში კაცობრიობა ისეთ ხატს წარმოადგენდა, რაც ამჟამად ჩვენ-

თვის ცნობილ ხატ-სახეს იოტისოდენადაც არ გვაგონებს. დროთა განმავლობაში არა მარტო ადამიანები, არამედ მათი გარემომცველი ბუნებაც ძალზე შეიცვალა. სახე იცვალეს მცენარეულმა და ცხოველურმა ფორმებმა. მიწიერმა ბუნებამაც მთელი რიგი ცვლილება განიცადა. დედამიწის ოდესლაც დასახლებული ტერიტორიები დაინგრა. წარმოიქმნა – ახალი. ატლანტიდელთა წინამორბედნი ცხოვრობდნენ ამჟამად გამქრალ მატერიკზე, რომლის ძირითადი ნაწილიც ახლანდელი აზიის სამხრეთით იყო გაწოლილი. თეოსოფიურ თხზულებებში მათ ლემურიელებს უწოდებენ. მათი უდიდესი ნაწილი (განვითარების სხვადასხვა საფეხურის გავლის შემდეგ) თითქმის დაეცა. ისინი გადაგვარდნენ და მათი შთამომავლები ახლაც აგრძელებენ ცხოვრებას დედამიწის ზოგიერთ რეგიონში, ე.წ. ველური ტომების სახით. ლემურიული კაცობრიობის მხოლოდ მცირე ნაწილს აღმოაჩნდა უნარი შემდგომი განვითარებისთვის. მათგან წარმოიშვნენ ატლანტიდელები. შემდეგში მსგავსი რამ კვლავ განმეორდა. ატლანტიდის მოსახლეობის უმრავლესობა განადგურდა, ხოლო გადარჩენილი უმნიშვნელო ნაწილისგან წარმოიშვნენ ე.წ. არიელები, რომელთაც მიეკუთვნება ჩვენი თანამედროვე პულტურული კაცობრიობა. იდუმალთმეტყველებაში ლემურიელები, ატლანტიდელები და არიელები წარმოადგენენ კაცობრიობის ე.წ. ძირეულ რასებს. თუ წარმოვიდგენთ ლემურიელების წინამორბედ ორ რასას და შემდგომ ორს, რომლებიც მოჰყვება არიულს, მაშინ ჯამში მივიღებთ შვიდ რასას. ერთი რასა მუდმივად წარმოიქმნება მეორისგან, ზუსტად ისეთი სახით, როგორც ეს ზემოთ – ლემურიელებთან, ატლანტიდელებსა და არიელებთან დაკავშირებით აღვნიშნეთ. ყველა ძირეულ რასას წინამორბედისგან სრულიად განსხვავებული ფიზიკური და სულიერი თვისებები გააჩნია. ამასობაში თუ ატლანტიდელებმა უპირატესად განავითარებს მეხსიერება და ყოველივე მასთან დაკავშირებული, არიელებს მართებთ ახლანდელ დროში განავითარონ აზროვნების ძალა და ყველაფერი, რაც მას უკავშირდება.

თითოეულმა ძირეულმა რასამ, საკუთარი განვითარების ფარგლებში ასევე უნდა განვლოს სხვადასხვა საფეხური, რომელიც სულ შვიდია. ასეთი ძირეული რასის მიერ მოცული დროის საწყის ეტაპზე, ამ რასის ძირითადი

თვისებები თითქოს სიყმაწვილის ხანაშია. ისინი თანდა-თან აღწევენ მოწიფელობას და ბოლოს ნადგურდებიან. ამდენად, ძირეული რასის მოსახლეობა კიდევ შვიდ ქვერა-სად იყოფა, მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თით-ქოს ახალი ქვერასის წარმოქმნას მყისვე ძველის გაქრობა მოსდევდეს. თითოეული ქვერასა კიდევ დიდხანს აგრძე-ლებს არსებობას იმის შემდგაც, როცა მის გვერდით სხვებიც ვითარდებიან. ამგვარად, დედამიწა მუდმივად და-სახლებულია ისეთი პინადრებით, რომლებიც განვითარე-ბის სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან.

ატლანტიდელების პირველი ქვერასა წარმოიქმნა ლემუ-რიელების იმ ნაწილისაგან, რომლებმაც განვითარებით ძალზე გაუსწრეს თანამედროვეებს და აღმოაჩნდათ უნარი შემდგომი განვითარებისთვის. ამ უკანასკნელთ მეხსიერე-ბის უნარი ჩანასახის სახითდა გააჩნდათ და მხოლოდ გან-ვითარების ბოლო პერიოდში გამოვლინდა. უნდა ვიცოდეთ, რომ ლემურიელს კი შეგძლო გარკვეული წარმოდგენა ჰქო-ნოდა საკუთარ განცდებზე, მაგრამ არ იცოდა, როგორ შეე-ნარჩუნებინა იგი, — რასაც წარმოიდგენდა, მყისვე ავიწყდე-ბოდა. ხოლო ის გარემოება, რომ იგი მაინც ცხოვრობდა ზოგიერთ კულტურათა შორის და ჰქონდა, მაგალითად, ხელსაწყო-იარაღები, აშენებდა ნაგებობებს და ა. შ. მომდი-ნარეობდა არა საკუთარი წარმოსახვის უნარისგან, არამედ მასში დაგანხებული, ასე ვთქვათ, გარკვეული ინსტინქტუ-სულიერი ძალისაგან. ოდონდ ამ სიტყვაში ამჟამინდელ ცხოველთა ინსტინქტი კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ — სულ სხვა სახის ინსტინქტი.

თეოსოფიურ თხზულებებში ატლანტიდელების პირ-ველ ქვერასას რმოაპალებს (Rmoahals) უწოდებენ. ამ რა-სის მეხსიერება ძირითადად მიმართული იყო გრძნობათა ორგანოების მკაფიო შთაბეჭდილებებისკენ. თვალის მიერ ადქმული ფერები, ყურის მიერ მოსმენილი ხმები დიდ-ხანს აგრძელებდნენ სამშვინველში ცხოვრებას. ეს განა-პირობა რმოაპალების მიერ იმ გრძნობათა განვითარებამ, რომელთაც მათი ლემურიელი წინაპრები არ იცნობდნენ. ასეთ გრძნობებს განეკუთვნება, მაგალითად, წარსულის განცდებისადმი ერთგულება.

მეხსიერების განვითარებასთან დაკავშირებული იყო ძეგლების განვითარებაც. სანამ ადამიანი მეხსიერება-

ში წარსულს არ ინახავდა, მას არ შეეძლო განცდილი გადმოეცა მეტყველების დახმარებით. იმდენად, რამდენადაც, ლემურიული პერიოდის ბოლოს გაჩნდა მესიერების პირველი ჩანასახები, შესაძლებელი გახდა, განვითარებულიყო ნანახისა და მოსმენილისთვის სახელის დარქმევის უნარი. საგანთა სახელი კი მხოლოდ მას სჭირდება, ვისაც მესიერების უნარი გააჩნია. ამიტომაც განეკუთვნება ატლანტიდის პერიოდს მეტყველების განვითარება. ხოლო მეტყველებასთან ერთად დამყარდა კავშირი ადამიანურ სამშვინველსა და გარე სამყაროს საგნებს შორის. ადამიანმა საკუთარ არსებაში ბერითი სიტყვა შვა და ეს სიტყვა გარე სამყაროს საგნებს განეკუთვნებოდა. მეტყველების მეშვეობით ურთიერთობა კი ადამიანებს შორის ახალ კავშირსაც ქმნის. მართალია, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბელი ფორმით, მაგრამ რმოაპალებს ყოველივე ეს პქონდათ და ამით თავიანთი ლემურიელი წინაპრებისაგან უკვე ძირულად განსხვავდებოდნენ.

ამ პირველი ატლანტიდელების სამშვინველებში მცხოვრებ ძალებს თანდაყოლილ სიძლიერებთან რაღაც საერთო ჯერ კიდევ პქონდათ. გარკვეული თვალსაზრისით, ეს ადამიანები ჯერ კიდევ იმაზე მეტად ენათესავებოდნენ გარე-მომცველ ბუნებრივ არსებებს, ვიდრე მათი შთამომავლები. მათი მშვინვერი ძალები თანდაყოლილ სიძლიერეს გაცილებით მაღალი ხარისხით წარმოადგენდნენ, ვიდრე თანამედროვე ადამიანთა მშვინვერი ძალები. ამიტომ, მათ მიერ წარმოთქმულ ბერით სიტყვასაც ბუნებრივი სიძლიერე გააჩნდა. ისინი საგნებს არქმევდნენ არა მარტო სახელს, არა-მედ მათი სიტყვების ძალაუფლება ვრცელდებოდა საგნებსა და თანამომქმე ადამიანებზეც. რმოაპალების სიტყვას პქონდა არა მარტო მნიშვნელობა, არამედ ძალაც. როდესაც საუბრობენ სიტყვის მაგიურ ძალაზე, ამით აღნიშნავენ ამ ადამიანებისთვის რაღაც ბევრად უფრო რეალურს, ვიდრე ჩვენი თანამედროვეობისთვის. როდესაც რმოაპალი რაიმე სიტყვას წარმოთქვამდა, იგი ისეთსავე ძალას ავითარებდა, როგორსაც თვით ის საგანი, რასაც ამ სიტყვით აღნიშნავდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმ ეპოქაში სიტყვებს განმეურნავი ძალა პქონდათ, შეეძლოთ მცენარეთა ზრდისთვის ხელშეწყობა, მხეცთა მძვინვარების დაოკება და ნებისმიერი სხვა, მსგავსი ქმედების განხორციელება.

ყველა ეს უნარი ატლანტიდის გვიანდელ ქვერასებში სულ უფრო და უფრო ქრებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ბუნების სიდიადის ძლიერი შეგრძნება თანდათან იკარგებოდა. რმო-აპალები მას მთლიანად ძლევამოსილი ბუნების ძღვნად შე-იგრძნობდნენ. ბუნებისადმი ამგვარი დამოკიდებულება მათ-ში რელიგიურ ხასიათს ატარებდა. განსაკუთრებით მეტყვე-ლება იყო მათვის რაღაც წმიდათაწმიდა. თითქმის შეუძლებელი იყო მნიშვნელოვანი ძალის მქონე ზოგიერთი ბგე-რის წარმოთქმა ბოროტად გამოყენების მიზნით. ნებისმიერი ადამიანი გრძნობდა, რომ მსგავსი სიტყვების ასე გამოყენებას შეეძლო მისთვის უდიდესი ზიანი მიეყენებინა. ამგვარ სიტყვათა მაგიური ძალა უკუქმედებას გამოიწვევდა. მართებულად გამოყენებისას ამ სიტყვებს შეეძლო სიკეთის მოტანაც, მაგრამ უკანონოდ გამოყენების შემთხვევაში მის წარმომთქმელს დამღუპველად უბრუნდებოდა. გრძნობათა გარ-კვეულ უბიწოდებაში თავიანთ ძალაუფლებას რმოაპალები მიაწერდნენ არა იმდენად საკუთარ თავს, არამედ მათში მოქმედ დავთაუბრივ ბუნებას.

ეს ყოველივე შეიცვალა მეორე ქვერასასთან (ე.წ. ტლა-ვატლები, Tlavatli-Völkern). ამ რასის ადამიანებმა იწყეს სა-კუთარი პირადი მნიშვნელობის შეგრძნება. მათში ჩნდება პატივმოყვარეობა, თვისება, რომელიც რმოაპალებისთვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობია. ერთობლივი ცხოვრების აღქმაზე გარკვეული თვალსაზრისით ზემოქმედებას იწყებს მოგონება. ვისაც შეეძლო საკუთარ გმირობაზე რაიმე მო-გონების აღმვრა, ამისთვის თანამოძმეთაგან ითხოვდა ადია-რებას, რათა მისი ქმედებები მეხსიერებაში შეენარჩუნები-ნათ. გრძნობათა ამგვარ სხვანაში იდო საფუძველი იმისა, რითაც ადამიანთა რომელიმე დარაზმული ჯგუფი ბელადს ირჩევდა. განვითარდა რაღაც მეფური წოდების მსგავსი. ამ აღიარებას ბელადის სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებ-დნენ. წარმოიშვა მოგონებები წინაპრებზე და დაიწყო მა-თი სხოვნის პატივისცემა, ისევე, როგორც ყველასი, ვინც საკუთარი ცხოვრება რაიმე დამსახურებით აღნიშნა. ამის შედეგად ზოგიერთ ცალკეულ ტომში განვითარდა გარ-დაცვლილებისადმი რელიგიური თაყვანისცემის განსაკუთ-რებული სახე – წინაპართა კულტი. იგი გრძელდებოდა გაცილებით უფრო გვიანდელ პერიოდშიც და მრავალგვარ ფორმას იღებდა. შეიძლება ითქვას, რომ რმოაპალებში

ადამიანს სხვების თვალში ჯერ კიდევ მხოლოდ ის წონა ჰქონდა, რისი გამართლებაც მოცემულ მომენტში თავისი სიძლიერის სრულად გამოვლენით შეეძლო. თუ ვინმე ადრე ჩადენილის საფუძველზე აღიარებას მოითხოვდა, მას ახალი გმირობით უნდა დაემტკიცებინა, რომ ის ძველი ძალა ახლაც მოსდევს. გარკვეული თვალსაზრისით, მას ახალი ქმედებებით მესიერებაში აღრინდელი უნდა აღედგინა. ნამოქმედარს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მხოლოდ მეორე ქვერასაში დაიწყეს ცალკეული ადამიანის პიროვნული თვისებებისთვის ანგარიშის გაწევა იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანის შეფასებისას ყურადღებას მის წარსულ ცხოვრებაზეც ამახვილებდნენ.

ქეხსიერების განვითარებამ ერთობლივ ცხოვრებაზე სხვა მხრივაც მოახდინა ზეგავლენა: ჩამოყალიბდა ადამიანთა ისეთი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ერთობლივ ქმედებებზე მოგონებით. ადრე მსგავსი ჯგუფების ჩამოყალიბება მთლიანად დამოკიდებული იყო ბუნებრივ ძალებზე, საერთო წარმოშობაზე. ადამიანი საკუთარი სულით ჯერჯერობით ვერაფერს მატებდა ბუნების მიერ მისგანვე შექმნილს. ახლა კი რომელიმე ძლიერი ინდივიდი საერთო ქმედებისათვის გარშემო იკრებდა ადამიანთა ჯგუფს და მსგავს საერთო საქმეზე მოგონება საზოგადოებრივ ჯგუფს ჰკრავდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ფორმა სრულად მხოლოდ მესამე ქვერასაში (ტოლტეკებში, Tolteken) გამოვლინდა. ამიტომ, პირველად სწორედ ამ ქვერასის ადამიანებმა დაუდეს დასაბამი იმას, რასაც შეიძლება უკვე საზოგადოება და გარკვეული თვალსაზრისით, სახელმწიფოს წარმოქმნა ვუწოდოთ. ასეთი თემების მართვა და ხელმძღვანელობა შთამომავლობაზე მეტკვიდრეობით გადადიოდა. რაც ადრე მხოლოდ ადამიანთა მესიერებაში ცოცხლობდა, ახლა მამისგან შვილს გადაეცემოდა. წინაპართა ქმედებანი მთელ გვარს არ უნდა დაევიწყებინა. შთამომავლობა ჯერაც აგრძელებდა წინაპართა დვაწლის დაფასებას. მხედველობაში აუცილებლად უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იმ დროს ადამიანები შთამომავლობაზე საკუთარ დირსებათა გადაცემის ძალას რეალურად ფლობდნენ. აღზრდა მთლიანად მიმართული იყო იქითკენ, რომ ცხოვრება თვალსაჩინო სურათ-ხატებით ეჩვენებინათ; მსგავსი აღზრდის ზემოქმედება

აღმზრდელისგან მომდინარე პიროვნულ ბალაუფლებას ეფუძნებოდა. იგი ყურადღებას გონების ძალაზე კი არ ამახვილებდა, არამედ სხვა, შედარებით უფრო ინსტინქტური ხასიათის დირსებებზე. უმეტეს შემთხვევაში, აღზრდის ასეთი სისტემით მამის უნარები შვილში გადადიოდა.

ასეთ პირობებში, მესამე ქვერასაში, პიროვნული გამოცდილება სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა. როდესაც ადამიანთა ერთი ჯგუფი მეორეს გამოეყოფოდა, მაშინ, ახალი თემის ჩამოყალიბების შემდეგ, იგი აღრინდელ პირობებში განცდილზე ცოცხალ მოგონებებს ინარჩუნებდა. ამასთან, მსგავს მოგონებაში იყო რაღაც ისეთი, რაც ამ თემს ადარ აკმაყოფილებდა და მასში უკმარისობის განცდის ბადებდა. ამიტომ, იგი ცდილობდა ამ მიმართებით რაღაც ახლის შექმნას. ამდენად, ყოველი მომდევნო დაუუძნებების შემდეგ პირობები უმჯობესდებოდა. სრულიად ბუნებრივია, რომ უკეთესი პირობები მიბაძის სურვილს იწვევდა. აი ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს მესამე ქვერასის ეპოქაში თემთა ცხოვრების იმ აყვავებას, რაც თეოსოფიურ ლიტერატურაშია აღწერილი. პიროვნულად განხორციელებული მცდელობები ყოველთვის პოულობდნენ მხარდაჭერას მათგან, ვინც სულიერი განვითარების მარადიულ კანონებში ხელდასხმულები იყვნენ. ძლიერი მბრძანებლები თავად იღებდნენ ხელდასხმას, რათა საკუთარი პიროვნული სიქველისთვის მყარი საყრდენი ჰქონოდათ. სიქველით ადამიანი ხელდასხმის მიღწევის უნარს თანდათანობით მოიპოვებს. ოდონდ, თავდაპირველად მან უნდა შეძლოს საკუთარი ძალის განვითარება, ამაღლება, რათა მიაღწიოს, ნათელსილვა მოდიოდეს ზეციდან. ასე გაჩნდნენ ატლანტიდელთა ხელდასხმული მეფეები და სახალხო ბელადები. მათ ხელში იყო უზარმაზარი ძალაუფლება. ასევე უსაზღვრო იყო მათ მიმართ გამოვლენილი თაყვანისცემაც.

ნგრევისა და დაცემის მიზეზიც სწორედ ამ ფაქტში იყო ფესვგადგმული. მეხსიერების ძალის განვითარებამ განაპირობა პიროვნების უდიდესი ძლევამოსილება. ძლევამოსილების წყალობით ადამიანს მოუნდა რაღაც მნიშვნელოვანი გავლენაც ჰქონოდა. რაც უფრო იზრდებოდა ძალაუფლება, მით უფრო ესწრაფოდა იგი საკუთარი პირადი მიზნებისთვის მის გამოყენებას. განვითარებული პატივმოყვარეობა გადაიზარდა მკვეთრად გამოხატულ თვითსიამოვნე-

ბაში, რამაც გასაქანი მისცა ძალთა ბოროტად გამოყენებას. თუ გავიხსენებთ, რისი მიღწევაც შეეძლოთ ატლანტიდელებს სასიცოცხლო ძალებზე ბატონობის წყალობით, ადვილად მივხვდებით, რა უმძიმესი შედეგები მოჰყავბოდა ძალთა ამგარ გამოყენებას – ბუნებაზე მოპოვებული განუზომელი ძალაუფლება შეიძლებოდა გამოეყენებინათ პირადი ეგოისტური მიზნებისთვის.

მთელი სისრულით ეს მეოთხე ქვერასის ადამიანთა (პირველყოფილი ტურანელები, Ur-Turanier) მიერ განხორციელდა. ამ ქვერასის ადამიანები გაიწაფნენ აღნიშნულ ძალებზე ბატონობაში, ამიტომ მათ საკუთარი ანგარებიანი სურვილებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად მაქსიმალურად იყენებდნენ. ამგვარად გამოყენებული ძალები საკუთარი ქმედებებით ერთმანეთს ანგრევდნენ. ეს იგივეა, როცა ადამიანის ფეხები მტკიცედ მიიწევენ წინ, მაშინ, როცა სხეულის ზედა ნაწილი უკან, საპირისპირო მიმართულებით ისწრაფვის.

ასეთი დამანგრეველი ძალის შეგავება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ადამიანში უმაღლესი ძალის განვითარებით. ეს იყო აზროვნების ძალა. ლოგიკური აზროვნება ანგარებიან სურვილებზე შემაფერხებელ გავლენას ახდენს. ასეთი ლოგიკური აზროვნების წყარო მეხუთე ქვერასაში (პირველყოფილი-სემიტები, Ur-semiten) უნდა ვეძიოთ. ადამიანები გასცდნენ უბრალო გახსენების ეტაპს და სხვადასხვა განცდის შედარებას შეუდგნენ. განვითარდა მსჯელობის უნარი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებდნენ სურვილებსა თუ მისწრაფებებს. ადამიანმა დაიწყო თვლა, კომბინირება, ისწავლა აზრებით მუშაობა. თუ ადრე იგი თავის ნებისმიერ სურვილს ეძლეოდა, ამჟამად უკვე საკუთარ თავს ეკითხებოდა: აზრსაც შეუძლია თუ არა, ეს სურვილი მოიწონოს. თუ მეოთხე ქვერასის ადამიანები დაუცხომლად ისწრაფოდნენ თავიანთი სურვილების დაკმაყოფილებისკენ, მეხუთე ქვერასის ადამიანები უკვე საკუთარ შინაგან ხმას აყურადებდნენ. ეს შინაგანი ხმა სურვილებს გარდებულ ჩარჩოებში კი ამწყვდევს, მაგრამ არ შეუძლია ანგარებიანი პიროვნების მოთხოვნილებათა ჩახშობა.

ამდენად, მეხუთე ქვერასამ ქმედებისკენ წაქეზება ადამიანის შინაგან სიღრმეებში გადაიტანა. ადამიანს სურს, საკუთარ სიღრმეში თავად გადაწყვიტოს: რა აკეთოს და რა

არა. ამასთან, საკუთარ სიღრმეში აზროვნების ძალაზე გა-  
მარჯვებით, იგი იმავე დოზით კარგავს ძალაუფლებას ბუ-  
ნების გარეგნულ ძალებზე. შეიძლება ასეთი გამჭრიანი  
აზროვნებით დაიქვემდებარო მინერალური სამყაროს ძა-  
ლები, მაგრამ – არა სასიცოცხლო ძალა. ამდენად, მეტ-  
თე ქვერასამ აზროვნება მოიპოვა სასიცოცხლო ძალებზე  
ბატონობის დაკარგვის ფასად და სწორებ ამით შვა კა-  
ცობრიობის შემდგომი განვითარების ჩანასახიც. ახლა კი,  
რაოდენ ძლიერად უნდა ყოფილიყო განვითარებული პი-  
როვნების განცდა, თავმოყვარეობა და ოვით ეგოიზმიც,  
აზროვნებას (რომელიც მოქმედებს ადამიანის შიგნით და  
არ ძალუბს საკუთარი ბრძანებები უშუალოდ გადასცეს  
ბუნებას) უკვე აღარ შეეძლო ისე დამანგრევლად ემოქმე-  
და, როგორც ადრე ბოროტებას დაქვემდებარებული ძალე-  
ბი მოქმედებდნენ. მეტოუ ქვერასიდან შეირჩა განსაკუთ-  
რებული ნიჭით დაჯილდოებულთა ჯგუფი, რომლის  
მხრებზეც გადაიარა მეოთხე ძირეული რასის დაღუპვამ.  
მან წარმოშვა მეტოუ, არიული რასის ჩანასახი, რომლის  
ამოცანა იყო აზროვნების ძალისა და ყოველივე მასთან  
დაკავშირებულის სრულად გამოვლენა.

მეტოუსთან შედარებით მექქსე ქვერასის (აკადიელე-  
ბი, Akkadier) ადამიანებმა, აზროვნების ძალა კიდევ უფრო  
განავითარეს. ისინი იმით განსხვავებიდნენ კ. წ. პირველყო-  
ფილი-სემიტებისგან, რომ ეს უნარი უფრო ფართო გაგებით  
გამოიყენეს. ზემოთ ითქვა, რომ აზროვნების ძალის განვი-  
თარება, მართალია, აფერხებდა პიროვნების ანგარებიან  
მისწრაფებათა (რომელიც ადრინდელ რასებში დასაშვები  
იყო) დამანგრეველ ქმედებას, მაგრამ მათ მთლიანად ვერ  
სპობდა. პირველყოფილი-სემიტები საკუთარ პიროვნულ მო-  
ვალეობებს აზროვნების კარნახით ახორციელებდნენ. ცარი-  
ელი სურვილები და უინი გონებით შეიცვალა. შეიქმნა  
ცხოვრების ახალი პირობები. თუ წინარე ქვერასები მიდრე-  
კილი იყვნენ ბელადად აერჩიათ ის, ვისი გმირობებიც მათ  
მეხსიერებაში ღრმად იყო ჩაბეჭდილი ან ვისაც შეეძლო  
ცხოვრების გადმოსახედიდან მდიდარი მოგონებები ჰქონო-  
და, ახლა ამ როლმა გონიერებაზე გადაინაცვლა. თუ ადრე  
ხელმძღვანელობდნენ კეთილი მოგონებებით, ახლა ყველა-  
ზე მეტად უკვე აზრისთვის უფრო დამაჯერებელს აფასე-  
ბდნენ. მესიერების გავლენით ადრე მისდევდნენ განსაზ-

დვრულ წესებს, სანამ იგი არასაკმარისი აღმოჩნდებოდა და თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სიახლეს ის გაატარებდა, ვისაც გაჭირვებაში შველა შეეძლო; მაგრამ აზროვნების უნარის გავლენით განვითარდა სიახლისა და ცვლილებათა გატარების წყურვილიც. ყველას გონების ნაკარნახევის განხორციელება სურდა. ამიტომ მეხუთე ქვერასის ეპოქაში იწყება მღელვარება და შიში, რომელთაც მექანიზმი ქვერასაში ცალკეულ ადამიანთა თვითნებური აზროვნება საერთო კანონისთვის დაქვემდებარების აუცილებლობის შეგრძნებამდე მიჰყავთ. მესამე ქვერასის სახელმწიფოთა აყვავება ეფუძნებოდა იმ მოგონებათა ერთიანობას, რომელსაც წესრიგი და ჰარმონია შემოჰქონდა. მეექვსე ქვერასის ეპოქაში კი ეს წყობა გამოვონილ კანონთა დახმარებით უნდა განხორციელებულიყო. ამდენად, სამართლებრივი და კანონიერი წყობის წყარო სწორედ მეექვსე ქვერასაში უნდა ვეძიოთ. მესამე ქვერასის ეპოქაში ადამიანთა გარკვეული ჯაშუფის გამოყოფა მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა ეს ჯაშუფი თითქოს გამოდევნილი იყო საკუთარი ტომიდან იმის გამო, რომ მას მოგონებები არასასურველ პირობებს უქმნიდა. მეექვსე ქვერასაში ეს ყოველივე არსებითად შეიცვალდა. გამჭრიახი აზროვნება ეძებდა ახალს და აგულიანებდა წამოწყებისა და ახალი დასახლებებისაკენ. ამიტომ, აკადიელები ძალიან ფხიანები და კოლონიზაციისკენ მიღრეკილი იყვნენ. აზროვნებისა და განსჯის აღმოცენებადი უნარისთვის საზრდო განსაკუთრებით ვაჭრობას უნდა მიეცა.

აზროვნების უნარი მეშვიდე ქვერასაშიც (მონღოლებში, Mongolen) მუშავდებოდა, მაგრამ ადრინდელ ქვერასათა ზოგიერთი უნარი, განსაკუთრებით მეოთხე ქვერასისა, მათში გაცილებით მეტად შემოინახეს, ვიდრე – მეხუთესა და მეექვსეში. ისინი მოგონებებისადმი მიღრეკილებათა ერთგული დარჩენენ და ამიტომაც მივიღნენ დასკვნამდე, რომ ყველაზე უძველესი ამავე დროს ყველაზე ჭკვიანურიცაა, ანუ ყველაზე უკეთ მას შეუძლია აზროვნების ძალასთან გამკლავება. მართალია, სასიცოცხლო ძალებზე ძალაუფლება მონღოლებმაც დაკარგეს, მაგრამ მათში განვითარებული აზრის ძალა გარკვეული თვალსაზრისით, თავად ულობდა ამ სასიცოცხლო ძალის ბუნებრივ სიძლიერეს. მათ დაკარგეს ცხოვრებაზე ძალაუფლება, მაგრამ მის მიმართ საკუთარი უშუალო მიამიტერი რწმენა არასდროს დაუკარგავთ;

ეს ძალა მათთვის გადაიქცა ღმურობად, რომლის უფლება-მოსილებითაც მოქმედებდნენ, როდესაც ქმნიდნენ ყოველი-ვეს, რასაც მართებულად მიიჩნევდნენ. ამიტომ, მეზობელ ხალხებს ეჩვენებოდათ, თითქოს ისინიც ამ იდუმალი ძა-ლით იყვნენ შეაყრობილი და თავადაც ბრმად ენდობოდნენ მას. მათი შთამომავლები აზისა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ავლენდნენ და რამდენადმე დღესაც ავლენენ ამ თავისებურებებს.

ადამიანში ჩადებული აზროვნების უნარმა საკუთარი განვითარების სრულ აყვავებას მიაღწია მხოლოდ მეხუთე ძირეულ რასაში ახალი სტიმულის მიღებით. მეოთხე რასა-ში ამ ძალას შეეძლო, სამსახური გაეწია მხოლოდ იმის-თვის, რაც მასში მეხსიერების უნარად აღიზარდა. მხოლოდ მეხუთე რასამ მიაღწია ისეთ ფორმებს, რომლებისთვისაც აზროვნების უნარი აუცილებელი იარაღია.

## მეოთხე ძირული რასის გადასცლა მესამეში

შემდგომი ცნობები ეხება მეოთხე (ატლანტიდის) ძირული რასის გადასცლას მესუთეში (არიულში), რომელსაც თანამედროვე ცივილიზაციული კაცობრიობა განეკუთვნება. მართებულად მათ მხოლოდ ის გაიგებს, ვინც შეძლებს განვითარების აზრის მთელ მოცულობასა და მნიშვნელობას ჩასწევდეს. ყოველივე, რასაც ადამიანი გარშემო ამნევს, მუდმივად ვითარდება. თავიდან ასე განვითარდა ჩვენი მესუთე ძირული რასის ადამიანების მიერ აზრის გამოყენების თავისებურება. დიახ, აზროვნების უნარი ნელნელა და თანდათან სწორედ მესუთე ძირულ რასაში მწიფდება. თანამედროვე ადამიანი ჯერ (აზრობრივად) წევეტს რაღაცას და შემდეგ ახორციელებს მას, როგორც საკუთარი აზრების შედეგს. ატლანტიდელებში ეს უნარი ჯერ მხოლოდ ყალიბდებოდა. მათ ნებელობაზე მათივე აზრები კი არ ზემოქმედებდნენ, არამედ ის აზრები, რომლებიც მათში უმაღლესი არსებებისგან იღვრებოდა. გარკვეული თვალსაზრისით, მათი ნებელობა გარედან იმართებოდა. ვინც გაითავისებს ამგვარ მოსაზრებას ადამიანის განვითარებაზე და დაუშვებს, რომ უძველეს დროში იგი (როგორც მიწიერი არსება) გახლდათ ამჟამინდელისგან სრულიად სხვაგვარად ორგანიზებული არსება, შეძლებს წარმოიდგინოს ის სრულიად სხვაგვარი არსებები, რომლებზეც აქ ვისაუბრებთ. განვითარებამ, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, დროის წარმოუდგენლად დიდი შუალედი მოითხოვა. ამაზე დეტალურად უახლოეს თავებში ვისაუბრებთ.

\* \* \*

მეოთხე ძირულ რასაზე, ატლანტიდელებზე, ზემოთქმული ეხებოდა მთელ კაცობრიობას; ეს უკანასკნელი იმყოფებოდა ბელადების ხელმძღვანელობის ქვეშ, რომლებიც თავიანთი უნარებით მას საგრძნობლად აღემატებოდნენ. ვერავითარი მიწიერი აღზრდით ადამიანები ვერ შეძლებდნენ საკუთარ თავში განევითარებინათ ის სიბრძნე და ძალები, რომლებსაც ბელადები ფლობდნენ. ისინი მათ არამიწიერი უმაღლესი არსებებისგან უწყებოდათ. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ადამიანთა საერთო მასას ეს ბელადები მიაჩნდა უმაღლესი რანგის არსებებად, „დვთის დეპანე-

ბად“, რადგანაც შეუძლებელი იყო ადამიანური გრძნობის ორგანოებითა და ადამიანური გონის მეშვეობით მიეღწიათ იმისთვის, რაც ბელადებმა იცოდნენ და რისი განხორციელებაც მათ შეუძლოთ. ბელადებს თაყვანს სცემდნენ, როგორც „ლვთის დესპანებს“; მათგან იღებდნენ ბრძანებებს, მცნებებსა და აგრეთვე დარიგებებს. ამგვარი არსებები კაცობრიობას ასწავლიდნენ მეცნიერებას, ხელოვნებას და ხელსაწყო-იარადების დამზადებას. ამასთან, „ლვთის დესპანები“ ან თავად მართავდნენ თემებსა თუ ტომებს, ან მართვის ხელოვნებას ასწავლიდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც საამისოდ საკმაოდ იყვნენ მომწიფებული. ამ ბელადებზე ამბობდნენ, რომ ისინი „ლმერთებს უკავშირდებიან“, რომ თავად ლმერთები აუწყებდნენ მათ კანონებს, რომლებითაც კაცობრიობა უნდა განვითარებულიყო. ეს კი რეალობას შეესაბამებოდა. მსგავსი გამოცხადება და ლმერთებთან კავშირი ისეთ ადგილებში ხორციელდებოდა, რომლებზეც ხალხმა არაფერი უწყოდა. გამოცხადებათა მსგავს ადგილებს მისტერიათა ტაძრებს უწოდებდნენ. ამდენად, კაცობრიობის მოდგმაც სწორედ იქიდან იმართებოდა.

შესაბამისად, რაც მისტერიათა ტაძრებში ხდებოდა, ხალხისათვის გაუგებარი იყო. ასევე არ ესმოდა მას თავის დიად ბელადთა ზრახვებიც. საკუთარი გრძნობებით ხალხს შეეძლო გაეგო მხოლოდ უშუალოდ დედამიწაზე მომხდარი, მაგრამ არა ის, რაც ზენა სამყაროებიდან დედამიწის კუთილდღეობისთვის იხსნებოდა. ამიტომ, ბელადთა მოძღვრებებიც იმგვარი ფორმით უნდა გადმოცემულიყო, რომელიც არ დაემსგავსებოდა მიწიერ მოვლენებზე გადმოცემულს. ენა, რომლითაც ლმერთები მისტერიებში თავიანთ დესპანებს ესაუბრებოდნენ, სრულებითაც არ იყო მიწიერი; ასევე ნაკლებმიწიერი იყო ის სურათ-ხატები, რომლებშიც მათ ეს ლმერთები ეცხადებოდათ. უზენაესი სულები თავიანთ დესპანებს ეცხადებოდნენ „ცეცხლოვან ლრუბლებში“, რათა ეუწყებინათ, თუ როგორ გაძლიერდნენ ადამიანებს. ადამიანურ სურათ-ხატში შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის გამოცხადება, ხოლო ის არსებები, რომელთა უნარებიც ადამიანურს აღემატება, უნდა გაცხადდნენ სურათ-ხატებში, რომლებიც შეუძლებელია მიწიერ ხატ-ხახებში მოიძებოს.

„ლვთის დესპანთა“ მიერ მსგავსი გამოცხადების მიღების უნარი მომდინარეობდა იქიდან, რომ თავად ისინი იყ-

ვნერ თავიანთ თანამობმე ადამიანთა შორის ყველაზე სრულყოფილი. განვითარების წინა საფეხურებზე მათ უკვე განვლეს ის, რაც ადამიანთა უმრავლესობას მომავალში უნდა გაევლო. ისინი ამ კაცობრიობას მხოლოდ გარკვეული მიმართებით მიეცუთვნებოდნენ; შეეძლოთ ადამიანური იერ-სახის მიღება, მაგრამ მათი სულიერ-მშვინვიერი თვისებები ზეადამიანური იყო. ამდენად, ისინი იყვნენ გაორებული დვთაებრივ-ადამიანური არსებები. ამიტომ, მათვის შეგვეძლო გვეწოდებინა ზენა არსებებიც, რომლებიც განსხეულდნენ ადამიანურ სხეულში, რათა კაცობრიობა თავისი მიწიერი განვითარების დროს წინ წაეწიათ. მათი ჰქომარიტი სამშობლო დედამიწაზე არ იყო. ეს არსებები წარმართავდნენ ადამიანებს, თუმცა არ ჰქონდათ შესაძლებლობა ეუწყებინათ ის კანონები, რომლითაც მათ მიუძღვებოდნენ. ასე რომ, ადამიანებს ატლანტიდის მეხუთე ქვერასამდე (პირველყოფილ-სემიტებამდე), ამ კანონთა გაგების უნარი აბსოლუტურად არ გააჩნდათ. ასეთი უნარის იყო აზროვნების ძალა, რომელიც მხოლოდ მეხუთე ქვერასაში განვითარდა. იგი ნელა ვითარდებოდა. თვით ატლანტიდელთა უკანასკნელი ქვერასებისთვისაც ჯერ კიდევ მცირე რამ იყო გასაგები დვთაებრივ ბელადთა კანონებიდან. ისინი თანდათან ხვდებოდნენ (თავდაპირველად ძალზე არასრულყოფილად), თუ რას წარმოადგენდა ეს კანონები. ამიტომ დვთაებრივ ბელადთა აზრები, ისევე, როგორც კანონები, რომლებშიც საუბარი იყო სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, მათ მიერ აღიქმებოდა უფრო ბუნდოვნად, ვიდრე ცხადად და აწონილ-დაწონილად.

მთავარი ბელადები ატლანტიდის მეხუთე ქვერასას თანდათანობით ამზადებდნენ იმისათვის, რომ ატლანტიდელთა ცხოვრების წესის გაქრობის შემდგე მას შესძლებოდა საფუძველი ჩაეყარა ახალი ცხოვრებისთვის, რომლის წარმმართველი მთლიანად აზროვნების ძალა იქნებოდა.

გავისხენოთ, რომ ატლანტიდის ეპოქის მიწურულისთვის ჩვენთვის ცნობილია ადამიანურ არსებათა სამი ჯგუფი. 1. სახელით „დვთის დესანები“, რომლებმაც თავიანთი განვითარებით ძალზე გაუსწრეს საერთო მასას და იყვნენ დვთაებრივი სიბრძნის მასწავლებლები, დვთაებრივ საქმეთა განმხორციელებლები. 2. თვით საერთო მასის აზროვნების ძალა ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო, თუმცა გააჩნდა მცენარე-

ულ ბალთა თვისებების ბუნებრივად ტარების ის უნარებიც, რომლებიც თანამედროვე ადამიანმა დაკარგა. 3. მცირე ჯგუფია, რომელმაც აზროვნების ძალა განივითარა. მართალია, შემდგომში მათ ამის გამო ნელ-ნელა დაკარგეს ატლანტიდელთა პირველქმნილი უნარები, მაგრამ სამაგიეროდ „ღვთის დესპანთა“ კანონებში აზრობრივ წვდომამდე ამაღლდნენ. ადამიანთა მეორე ჯგუფი თანდათანობითი კვდომისთვის იყო განწირული. მესამე ჯგუფის არსებები კი პირველის მიერ ისე აღიზარდნენ, რომ საკუთარი თავის-თვის თავადვე ეხელმძღვანელათ.

მთავარმა ბელადმა, რომელიც თეოსოფიურ ლიტერატურაში მანუს სახელითაა ცნობილი, მესამე ჯგუფიდან ამოარჩია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულნი, რათა მათგან ახალი კაცობრიობა აღმოცენებულიყო. ეს განსაკუთრებით ნიჭიერნი მეხუთე ქვერასას ეკუთვნოდნენ. მეექვსე და მეშვიდე ქვერასაში აზროვნების ძალამ გარკვეულწილად უკვე გადაუხებია მონიშნული გზიდან და შემდგომი განვითარებისთვის გამოუსადეგარი გახდა. ახლა საჭირო შეიქმნა საუკეთესო ადამიანთა საუკეთესო თვისებების განვითარება, რაც მოხდა კიდეც, იმის წყალობით, რომ ბელადმა რჩეულნი განსაკუთრებულ ადგილას (შუა აზიაში) განაცალკევა და გაათავისუფლა ჩამორჩენილთა თუ გზას აცდენილთა ნებისმიერი ზეგავლენისაგან. ბელადმა მიზნად დაისახა, ეს ჯგუფი იმდენად განევითარებინა, რომ მასში შემავალთ საკუთარ სამშვინეულში შესძლებოდათ, თავიანთი აზროვნების ძალით ჩასწვდომოდნენ ბუნდოვნად ნაგრძნობ, მაგრამ მკაფიოდ გაუცნობიერებულ იმ კანონებს, რომლებითაც მანამდეც ხელმძღვანელობდნენ. ამიერიდან ადამიანებს უნდა შეუცნოთ ის ღვთაებრივი ძალები, რომელთაც აქამდე არაცნობიერად მიჟყვბოდნენ. ადრე დამერთები ადამიანებს წარმართავდნენ თავიანთ დესპანთა მეშვეობით; ახლა კი ადამიანებს ეს ღვთაებრივი არსებები უნდა სცოდნოდათ. მათ უნდა ესწავლათ, როგორ დაენახათ საკუთარი თავი, როგორც ღვთის განგების აღმსრულებელი იარადი.

ადამიანთა ამ განცალკევებულ ჯგუფს უმნიშვნელოვანები გადაწყვეტილება უნდა მიეღო. ღვთაებრივი ბელადი მათ შორის ადამიანური სახით იმყოფებოდა. ადრე, კაცობრიობა, საკუთარი ქმედებების განმსაზღვრელ მითითებებსა და ბრძანებებს დმერთების ასეთი ღესანებისგან იღებდა.

ადამიანები იღებდნენ რჩევა-დარიგებებს იმ მეცნიერებებში, რომელთა აღქმაც მათს გრძნობათა ორგანოებს შეეძლო. დკოაქტრივ მსოფლმართველობას ადამიანები ბუნდოვნად აღიქვამდნენ; ისინი საკუთარ ქმედებებში კი შეიგრძნობდნენ, მაგრამ მასზე მკაფიოდ არაფერი უწყოდნენ. ახლა კი ბელადი მათ სრულიად სხვაგვარად ესაუბრებოდა; ასწავლიდა, რომ ადამიანთაოვის ხილულს უხილავი ძალები მართავენ, რომ თვით ისინიც ამ უხილავ ძალთა მსახურები არიან და საკუთარი აზრებით იმავე უხილავ ძალთა კანონები უნდა აღასრულონ. ადამიანებმა გაიგეს ზემიწიერდკოაქტრივზე და მოისმინეს, რომ სწორედ უხილავი სულიერია ხილულ-სხეულებრივის შემოქმედი და მფარველი. აქამდე ისინი მზერას მიაპყრობდნენ დმერთების მიერ გამოგზავნილ ხილულ დესანებს – თავიანთ ზეადამიანურ ხელდასხმულებს (ერთი მათგანი იყო ის, ვინც მათ ამჟამად ასე ესაუბრებოდა) და მათგან იღებდნენ მითითებებს, რა უნდა და უკოტებინათ და რა – არა. ახლა კი იმის დირსიც შეიქმნენ, რომ თვით დმერთების დესანი აღაპარაკდა საკუთრივ დმერთებზე. შთამბეჭდავი იყო სიტყვები, რომელთაც იგი ისევ და ისევ უმეორებდა თავის მოწაფეებს: „დღემდე თქვენ ხედავდით მათ, ვინც წარგმართავდათ; მაგრამ არიან უზენაესი ბელადები, რომელთაც ვერ ხედავთ. თქვენ სწორედ ამ ბელადებს ემორჩილებით. თქვენ უნდა აღასრულოთ თქვენთვის უხილავი დმერთის ბრძანებები და დაემორჩილოთ მას, ვისზეც არ შეგიძლიათ რაიმე სურათ-ხატი ან წარმოდგენა შეიქმნათ“. ამგვარად ქდერდა ახალი უზენაესი მცნება დიალი ბელადის ბაგეთაგან. იგი განაპირობებდა დკონისადმი იმგვარ თაყვანისცემას, რომლის გადმოცემაც არც ერთ გრძნობად – ხილულ ხატს არ შეეძლო და ამის გამო არც უნდა გამოსახულიყო. ამ დიალი უმთავრესი მცნების ანარეკლია მეხუთე ძირეული რასის ცნობილი სიტყვები: „არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშ“ (მოსე, გამოს. 20. 4).

მთავარი ბელადის (მანუს) გვერდით იყვნენ დმერთა სხვა დესპანებიც, რომლებიც აღასრულებდნენ მის ზრასვებს ცხოვრების ცალკეულ სფეროებთან მიმართებით და ახალი რასის განვითარებაზეც მუშაობდნენ, რადგანაც აუცილებელი იყო მთელი ცხოვრების მოწყობა დკონისადმი

მსოფლიმართველობის ახლებურად გაგების სულისკვეთუბით; საჭირო იყო ადამიანის აზრების წარმართვა ყოველგვარი ხილულიდან უხილავისკენ. ცხოვრება განპირობებულია ბუნების ძალებით. ადამიანური ცხოვრების მდინარება დამოკიდებულია დღისა და დამის, ზამთრისა და ზაფხულის, დარისა და ავდრის მონაცვლეობაზე; თუ როგორ არიან დაკავშირებული ეს ძლიერი ხილული მოვლენები უხილავ (დვთაებრივ) ძალებთან და როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რათა საკუთარი ცხოვრება მოაწყოს უხილავ ძალთა შესაბამისად – მას ეს ყოველივე აჩვენეს და განუმარტეს. ყოველგვარი ცოდნა და შრომა ამ სულისკვეთებით უნდა წარმართულიყო. ვარსკვლავთა ურთიერთმიმართებასა და ამინდში ადამიანს უნდა ენახა დვთაებრივი გადაწყვეტილებები, დვთაებრივი სიბრძნის გადმოღვრა. ამ თვალსაზრისით ასწავლიდნენ მას ასტრონომიას და აძლევდნენ ცოდნას ამინდის შესახებ. საკუთარი მუშაობა და ზნეობრივი ცხოვრება ადამიანს იმგვარად უნდა მოეწყო, რომ ისინი დვთაებრივი, ბრძნული კანონების შესაფერისად წარმართულიყო. ცხოვრება მოწყობილი იყო დვთაებრივი მცნებების შესაბამისად, იმგვარად, როგორც ესხებოდათ ადამიანებს დვთაებრივი აზრები ვარსკვლავთა ურთიერთმიმართებაში, ამინდის ცვალებადობასა და სხვა მოვლენებში. ღმერთების მიერ მონიშნულთან თანხმობაში ადამიანური საქმეები მხებელპლაზმირევებს უნდა მოეყვანა, – მანუ ისწრაფოდა, რომ ადამიანურ ცხოვრებაში ყოველივე ზენა სამყაროებისკენ ყოფილიყო მიმართული. ყოველგვარ ადამიანურ ქმედებებსა და წესჩვეულებებს რელიგიური ხასიათი უნდა ჰქონოდა. ამით მანუს სურდა, დაენერგა ის, რაც საკუთრივ მეხუთე ძირეული რასის ამოცანას წარმოადგენდა. ადამიანს უნდა ესწავლა საკუთარი თავის მართვა თავისივე აზრების დახმარებით. ასეთ თვითგამორკვევას სიკეთის მოტანა მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ ადამიანი საკუთარ თავს ზენა ძალების სამსახურში თავად ჩააყენებდა. ადამიანს უნდა ესარგებლა საკუთარი აზროვნების ძალით, მაგრამ ეს ძალა დვთაებრივისკენ მიმართული მზერით უნდა ყოფილიყო გასხივოსნებული.

ყოველივეს, რაც იმ დროს განხორციელდა, სრულად მხოლოდ მაშინ ჩავწედებით, თუ გვეცოდინება, რომ ატლანტიდის მეხუთე ქვერასიდან მოყოლებული, აზროვნების ძა-

ლის განვითარებას სხვა შედეგებიც მოჰყვა. კერძოდ, ადამიანები გარკვეულწილად დაუფლებები ისეთ ცოდნასა და ხელოვნებებს, რომლებიც ზემოთ სესხებულ მანუს მიერ ჭეშმარიტ ამოცანად მიჩნეულს უშუალოდ არ უპავშირდებოდნენ. თავდაპირველად ამ ცოდნასა და ხელოვნებებს ნაკლებად რელიგიური ხასიათი ჰქონდათ. ეს კოველივე ადამიანს მიეცა ისე, რომ არ შეეძლო ეფიქრა სხვა რამეზე, გარდა იმისა, რომ ისინი საკუთარი ანგარებიანი მიზნებისა და პიროვნული საჭიროებებისთვის დაეჭვემდებარებინა...<sup>1</sup>

მაგალითად, ასე დამკვიდრდა ცოდნა ცეცხლსა და მის გამოყენებაზე ადამიანური მოთხოვნილებისთვის. ატლანტიდის ეპოქის პირველ პერიოდებში ადამიანს ცეცხლი არ სჭირდებოდა, რადგან მის განკარგულებაში იყო სასიცოცხლო ძალა, მაგრამ დროთა განმავლობაში, რაც უფრო ნაკლებად შეეძლო ამ ძალის მოხმობა, მით უფრო საჭიროებდა, შეესწავლა საკუთარი მოთხოვნილებისთვის აუცილებელი იარაღებისა და ჭურჭლეულობის დამზადება კ. წ. უსიცოცხლო საგნებისაგან. ცეცხლის გამოყენებაც სწორედ ამას ემსახურებოდა. იგივე მეორდებოდა ბუნების სხვა ძალებთან მიმართებითაც. ადამიანმა ისწავლა მათი გამოყენება ისე, რომ ამ ძალთა ღვთაებრივ წარმომავლობას ვერც აცნობიერებდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. არაფერს არ უნდა აიძულებინა ადამიანი, ღვთაებრივი მსოფლწესრიგისთვის მიეკუთვნებინა ყველა საგანი, რომლებიც მისი აზროვნების ძალას ექვემდებარებოდა. პირიქით, მას ეს საპუთარ აზრებში ნებაყოფლობით უნდა გაეკეთებინა. მანუს განზრახული ჰქონდა, ადამიანები იმდენად განევითარებინა, რომ მათ დამოუკიდებლად, შინაგანი მოთხოვნილების საფუძველზე, თავად დაეკავშირებინათ ეს საგნები უმაღლეს მსოფლწესრიგთან. ადამიანებს თითქოს არჩევის უფლება მიეცათ, მათზე იყო დამოკიდებული, მოპოვებულ შემცნებებს პიროვნული ანგარებისთვის გამოიყენებდნენ თუ ზენა სამყაროს რელიგიური მსახურების მიზნით. ამდენად, თუ ადრე ადამიანი იძულებული იყო, საკუთარი თავი ჩაეთვალი ღვთაებრივი მსოფლმართველობის წევრად (საიდანაც,

<sup>1</sup> ჯერჯერობით უფლება არა გვაქვს, ღიად ვილაპარაკოთ ამ ცოდნისა და ხელოვნებების წარმომავლობებზე. ამიტომ, აქ აკაშა-ქრონიკიდან გარკვეული აღგილი უნდა გამოვტოვოთ.

მაგალითად, მასში სასიცოცხლო ძალაზე ბატონობის უნარი აზროვნების ძალის გამოყენების გარეშე იღვრებოდა) ახლა მას უკვე შეეძლო ესარგებლა ბუნების ძალებით; ამასთან ისე, რომ საკუთარი აზრები ღვთაებრივისკენ არ წარემართა. ამ ამოცანათა გადაწყვეტის სიმაღლეზე მხოლოდ მანუს გარშემო შეკრებილი იდგნენ; მხოლოდ ამ ჯგუფიდან შეეძლო მანუს, რეალური საფუძველი ჩაეყარა ახალი რასის ჩანასახისთვის. სწორედ მათთან ერთად განცალკევდა იგი, რათა კიდევ უფრო განევითარებინა ისინი მაშინ, როცა სხვები დანარჩენ კაცობრიობაში აითქვიფნენ. საბოლოოდ სწორედ მანუს გარშემო თავმოყრილ ადამიანთა ამ მცირერიცხოვანი ჯგუფისგან წარმოიშვა ყოველივე ის, რაც დღეს მეხუთე ძირეული რასის განვითარების ჭეშმარიტ საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ამით აისხება ისიც, რომ მეხუთე ძირეული რასის განვითარების დროს გამოიყოფა ორი დამახასიათებელი თავისებურება. ერთი მათგანი ახასიათებს ადამიანებს, რომლებიც აღვესილნი არიან უმაღლესი იდეალებით და თავს ღვთაებრივი სამყაროსეული ძალის შვილებად მიიჩნევენ. მეორე – კი დამახასიათებელია მათვის, ვინც საკუთარ პიროვნულ ინტერესებსა და ანგარებიან მიზნებს ემსახურება.

ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი მანუსთან იმყოფებოდა მანამ, სანამ იმდენად არ გაძლიერდა, რომ შეძლო ახალი სულისკვეთებით ემოქმედა და სანამ მისმა წევრებმა ვერ შეძლეს ეს სულისკვეთება გადაეცათ კაცობრიობის წინარე რასების შემდეგ გადარჩენილი ნაწილისთვის. ბუნებრივია, რომ ახალმა სულისკვეთებამ სხვადასხვა ხალხში (სხვადასხვა რეგიონში მათი ინდივიდუალური განვითარებიდან გამომდინარე) განსხვავებული სახე მიიღო. ხასიათში შემონახული ადრინდელი თვისებები შეერწყა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მანუს წარგზავნილთა მიერ შეტანილს. ასე წარმოიქმნენ ახალი, მრავალფეროვანი კულტურები და ცივილიზაციები.

მანუს გარემოცვიდან ყველაზე გამორჩეულნი მოწოდებულნი იყვნენ, მისი ღვთაებრივი სიბრძნიდან თანდათან მოეპოვებინათ ხელდასხმა ისე, რომ შესძლებოდათ, დანარჩენ ადამიანთა მასწავლებლობა ეტვირთოთ. მოხდა ისე, რომ ღმერთთა ადრინდელ დესპანებს ამჟამად ახალი ტიპის ხელდასხმულებიც შეუერთდნენ. თავიანთი აზროვნების ძალა მათ ისევე განივითარეს, როგორც დანარჩენმა ადამია-

ნებმა – წმინდა მიწიერად. ამას ღმერთთა ადრინდელ დესანებთან და არც მანუსთან ადგილი არ ჰქონია. ეს განვითარება ზენა სამყაროებს განეკუთვნება. თავიანთ უმაღლეს სიბრძნეს ისინი დედამიწის პირობებში ნერგავდნენ. ის, რითაც ისინი კაცობრიობას ასაჩუქრებდნენ, „ზეციური ძღვენი“ იყო. ატლანტიდის ეპოქის შუასანებამდე ადამიანებს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ ღვთაებათა გადაწყვეტილებებს ჩასწვდომოდნენ. ამჟამად, ზემოაღწერილ პერიოდში, ადამიანებს ამისთვის უნდა მიეღწიათ. მიწიერი აზროვნება ღვთაებრივის შეცნობამდე უნდა ამაღლებულიყო. ადამიანური ხელდასხმულები შეუერთდნენ ზეადამიანურს. ეს ადამიანთა მოდგმის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას მოასწავებდა. პირველ ატლანტიდელებს ჯერ კიდევ არ პქონდათ არჩევანი, ჩაეთვალით თუ არა ღმერთთა დესანებად თავიანთი ბელადები, რადგან მათი ნამოქმედარი ზენა სამყაროთა უცილობელ ქმედებად აღიქმებოდა. მათზე ღვთაებრივი წარმომავლობის ნიშანი იყო აღბეჭდილი. ამიტომ ატლანტიდის ეპოქის დესანები წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ არსებებს, რომლებიც კურთხეული იყვნენ მათივე ძალაუფლებით და გარემოცულნი იმ ბრწყინვაღლებით, რაც მათ ამ ძალაუფლებას ანიჭებდა. შემდგომი პერიოდის ადამიანური ხელდასხმულები თავიანთი იერით დანარჩენ ადამიანებს ჰგვანან; ცხადია, ისინი იმყოფებიან ზენა სამყაროებთან კავშირში და ღმერთების დესპანთა ზეშთაგონებები და გამოცხადებანი მათ ცნობიერებამდე აღწევს. ღვთისგან ბოძებული გარკვეული ძალებით ისინი სარგებლობენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ამას უზენაესი აუცილებლობა მოითხოვს. მაშინ ახორციელებენ ისინი იმ საქმეებს, რომელთა ასენაც ადამიანებს მათვის ცნობილი კანონებით არ შეუძლიათ და ამიტომ, ბუნებრივია, მათ განიხილავენ, როგორც სასწაულს; ყოველივე ამის უზენაესი მიზანია, კაცობრიობის ფეხზე დაყენება და მასში აზროვნების ძალის სრულყოფილად განვითარება. ჩვენს დროში ხელდასხმულები ხალხსა და უზენაეს ძალებს შორის შუამავლებს წარმოადგენენ. მხოლოდ ხელდასხმა ანიჭებს ადამიანს ღვთის დესანებთან დაკავშირების უნარს.

ადამიანური ხელდასხმულები, წმინდა მასწავლებლები, მეხუთე ძირეული რასის პირველ პერიოდებში დანარჩენი კაცობრიობის ბელადებად იქცნენ. ხელდასხმულთა ამ

გუნდს მიეკუთვნებიან ბველი დროის მეფე-ქურუმები, რასაც ადასტურებს არა ისტორია, არამედ თქმულებათა სამყარო. დვოთის უზენაესი დესპანები სულ უფრო და უფრო სცილ-დებოდნენ დედამიწას და მმართველობას გადასცემდნენ ამ ადამიანურ ხელდასხმულებს, რომლებსაც რჩევა-დარიგებებს მაინც არ აკლებდნენ. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ადამიანი საკუთარი აზროვნების ძალის თავისუფალ გამოყენებას ვერასდროს შესძლებდა. სამყარო იმყოფება დვოთა ებრივი წინამდოლობის ქვეშ, მაგრამ ადამიანმა ეს იმულებით არ უნდა ცნოს, არამედ თავისუფალი გონებით უნდა დაინახოს და ჩასწვდეს. ხელდასხმულები მხოლოდ ამის მიღწევის შემდეგ გაანდობენ თანდათან ადამიანებს თავიანთ საიდუმლოებს, მაგრამ ეს ერთბაშად არ უნდა მოხდეს. მეხუთე ძირეული რასის მთელი განვითარება ამ მიზნისკენ მიმავალი აუზქარებელი გზაა. ჯერ კიდევ მანუც ადამიანთა თავის ჯგუფს ისე მიუმდვებოდა, როგორც – ბავშვებს. შემდეგში ამ წინამდოლობამ თანხდათანობით ადამიანურ ხელდასხმულებზე გადაინაცვლა და წინსვლა დღესაც ადამიანთა ქმედებებისა და აზრების ცნობიერი და ქვეცნობიერი ადრევით მიმდინარეობს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეხუთე ძირეული რასის ბოლო პერიოდში, აგრეთვე მეექვსე და მეშვიდე ქვერასათა ეპოქაში ადამიანთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ცოდნის მისაღებად მომწიფდება, ისინი უდიდეს ხელდასხმულს დიად იხილავენ. მაშინ, ეს ადამიანური ხელდასხმული საკუთარ ხელში აიღებს შემდგომ უზენაეს წინამდოლობას ისევე, როგორც ეს განახორციელა მანუშმეოთხე ძირეული რასის დასასრულს. ამდენად, მეხუთე ძირეული რასის აღზრდა მაშინ მოხდება, როცა კაცობრიობის უდიდესი ნაწილი საიმისოდ მომზადდება, რომ მან თავისუფლად შეძლოს მისდიოს ადამიანურ მანუს, მსგავსად იმისა, როგორც ამ მეხუთე ძირეული რასის მამამთავარი გაჰყვა დვთაებრივს.

ახლა აკაშა-ქრონიკიდან მოვიყვანთ ფრაგმენტებს, რომლებიც კაცობრიობის განვითარების უძველეს პერიოდს განეკუთვნება. ეს პერიოდი წინ უსწრებდა წინა თავებში აღწერილს. აქ საუბარია კაცობრიობის განვითარების მეხამე ძორულ რასაზე, რომელიც თეოსოფიურ წიგნებში აღწერილის თანახმად, ლემურის მატერიკზე ცხოვრობდა. ამ წიგნების მიხედვით ეს მატერიკი მდებარეობდა აზის სამხრეთით, მაგრამ გადაჭიმული იყო ცეილონიდან მაღაგასკარამდე. მას მიეკუთვნებოდა დღევანდელი აზის სამხრეთი და აფრიკის ნაწილიც. მართალია, „აკაშა-ქრონიკის“ მიმოხილვა შესრულებულია მაქსიმალური გულმოდგინებით, მაგრამ აუცილებელია, ხაზი გაესვას, რომ ეს ცხობები არსად არ უნდა ჩაითვალოს რაიმე სახის დოგმად; ჩვენი ეპოქისგან ასე დაშორებულ საგნებსა და მოვლენებზე მოწოდებული ინფორმაციის წაკითხვაც კი საკმაოდ რთულია, ხოლო ყოველივე ნანახისა და განხილულის თანამდროვე ენაზე თარგმნა და გადმოტანა დაკავშირებულია თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობებთან. მოგვიანებით მოგაწოდებო ცხობებს მოვლენათა განვითარების პერიოდებზე. ისინი უფრო გასაგები გახდება მთელი ლემურიული რასის და აგრეთვე ჩვენი (მეხუთე) ძირებული რასის დღევანდელ დღემდე აღწერის შემდეგ. აქ მოცემული ცხობები მოვლოდნელი იქნება, — თუმცა ეს სიტყვა მთლად ზუსტი არ არის, — თვით ოკულტისტისთვისაც, როცა მათ შესახებ პირველად წაიკითხავს. ამიტომ თკულტისტს შეუძლია, ამის შესახებ მხოლოდ საგულდაგულო შემოწმების შემდეგ გვაუწყოს.

\* \* \*

მეოთხე (ატლანტიდის) ძირეულ რასას წინ უსწრებდა ე. წ. ლემურიული რასა, რომლის განვითარების პერიოდში დედამიწასთან და ადამიანთან მიმართებით უდიდესი მნიშვნელობის მოვლენები განხორციელდა; ამ მოვლენათა დასრულების შემდეგ აქ საჭიროა, ჯერ მოკლედ შევეხოთ მესამე ძირებული რასის თავისებურებებს და მხოლოდ შემდეგ შევუდგეთ მათ გადმოცემას. ამრიგად, მთელ ამ რასას მეხსიერება ჯერ არ ჰქონდა განვითარებული. მართალია, ადამიანებს შეეძლოთ, წარმოდგენა ჰქონოდათ საგნებსა და მოვლენებზე, მაგრამ ამ

წარმოდგენებს მექსიერებაში ვერ ინარჩუნებდნენ. ამიტომ მეტყველება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჯერ არ არსებობდა. ამ თვალსაზრისით მათ შეეძლოთ გამოეცათ მხოლოდ საკუთარი შეგრძნებების, კმაყოფილების, ტკივილის და ა. შ. გამომხატველი ბგერები, რომლებიც გარეგნულ საგნებს არ აღნიშვნავნენ; ამასთან, მათ წარმოდგენებს სულ სხვა ძალა ჰქონდა, ვიდრე გვიანდებულ ადამიანთა წარმოდგენებს. ამ წარმოდგენათა ძალით ისინი ირგვლივ არსებულ სამყაროზე ზემოქმედებდნენ. დანარჩენ ადამიანებს, აგრეთვე ცხოველებს, მცენარეებსა და თვით უსიცოცხლო საგნებსაც შეეძლოთ ეგრძნოთ ეს ზემოქმედება და უბრალო წარმოდგენათა გავლენის ქვეშ მოქცეულიყვნენ. ასე შეეძლო ლემურიელს, მეტყველების მოთხოვნილების გარეშე, ურთიერთობა და ემყარებინა გარშემო მყოფ ადამიანებთან. ეს ურთიერთობა მდგრმარეობდა გარკვეული სახის „აზრთა ამოკითხვაში“. საკუთარ წარმოდგენათა ძალას ლემურიელი უშუალოდ გარემომცველი საგნებიდან იღებდა. იგი მასში ჩაედინებოდა მცენარეთა ზრდის ძალებისა და ცხოველთა სასიცოცხლო ძალებიდან. ასე აღიჭვამდა იგი მცენარეებსა და ცხოველებს მათსავე შინაგან ცხოვრებაში, აგრეთვე – უსიცოცხლო საგნების ფიზიკურ და ქიმიურ ძალებსაც. რაიმეს შენებისას, მას არ სჭირდებოდა ხის ბოძის წინააღმდეგობის გამოთვლა ან სამშენებლო მასალის წონის გაგება. ხის ბოძის მიხედვით ხვდებოდა, რამდენს გაუძლებდა იგი და სამშენებლო ქვის მიხედვით – სად იქნებოდა მისი წონა ხელსაყრელი და სად – არა. აი, ასე აშენებდა ლემურიელი კოველგვარი საინჟინრო ხელოვნების გარეშე, ემყარებოდა რა წარმოდგენათა საკუთარ უნარს, რომელიც ინსტინქტის დამაჯერებლობით მოქმედებდა. ამასთან, საკუთარ სხეულს საოცრად მძლავრად იმორჩილებდა. ნებისყოფის მხოლოდ დაძაბვით, საჭიროებისას შეეძლო, საკუთარი ხელი ფოლადივით გაემაგრებინა. მაგალითად, მას მხოლოდ ნებელობის განვითარების წყალობით შეეძლო უზარმაზარი სიმძიმის აწევა. თუ შემდგომში ატლანტიდელს გააჩნდა მხოლოდ სასიცოცხლო ძალებზე ბატონობის უნარი, ლემურიელს შეეძლო ნებელობის მართვა და გამოყენებაც. მდაბალი ადამიანური ქმედებების კველა სფეროში ლემურიელი ჭეშმარიტი ჯადოქარი (დავ, ამ გამოთქმას უკუდმართად ნუ გავიგებო) გახლდათ.

ლემურიელების ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო ნებელობისა და წარმოდგენის ძალთა განვითარებაზე. ბავშვების აღზრდაც მთლიანად ამისქენ იყო მიმართული... ბიჭები უაღრესად ძალისმიერად იწროობოდნენ. მათ ასწავლიდნენ სიფათის გადალახვას, ტკიფილების ატანასა და გაბედული საქციელის ჩადენას. ვისაც არ შეეძლო ტანჯვა-წამების ატანა და წინააღმდეგობის გადალახვა, კაცობრიობის სასარგებლო წევრად არ ითვლებოდა. იგი დაიღუპებოდა აღზრდის თანმხლები საშიშროებისა და უმძიმესი შრომისაგან. ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით „აკაშა-ქრონიკაში“ აღბეჭდილი ბევრად აღემატება თანამედროვე ადამიანის ყველაზე თამამ ფანტაზიაში წარმოდგენილსაც. სიცხის ატანა მწველ პაპანაქებამდე, ტანის ჩხვლეტა ბასრი საგნებით აღზრდის ყველაზე ჩვეულებრივ ხერხს წარმოადგენდა. გოგონებს განსხვავებულად ზრდიდნენ. მართალია, მათაც აწროობდნენ, მაგრამ ყოველივე დანარჩენი მიმართული იყო ძლიერი ფანტაზიის განვითარებისკენ. ასე მაგალითად, მათ აიძულებდნენ, გაეძლოთ ქარიშხლისთვის, რათა მისი მრისხანე სილამაზე მშვიდად განეცადათ. გოგონები უშიშრად უნდა დასწრებოდნენ მამაკაცთა შეჯიბრებებს და მხოლოდ იმ სიმტკიცითა და ძალით უნდა განმსჭვალულიყვნენ, რაც მათ თვალწინ თამაშდებოდა. გოგონებში ამის წყალობით მეოცნებებისა და ფანტაზიორობის მონაცემები ვითარდებოდა. სწორედ ეს ფასობდა ყველაზე მეტად. ვინაიდან მესხიერება ჯერ კიდევ არ არსებობდა, ამიტომ არ შეიძლებოდა, ეს მონაცემები გადაგვარებულიყო. ოცნებითა და ფანტაზიით შობილი ყველა ეს წარმოდგენა მხოლოდ შესაბამისი გარეგნული საბაბის არსებობამდე გრძელდებოდა. ამდენად, ამ წარმოდგენათა საფუძველი გარეგნული საგნები თუ მოვლენები იყო. ისინი უსაფუძვლობის შემთხვევაშიც არ იკარგებოდნენ. ეს იყო, ასე ვთქვათ, ქალის სამშვინველში დავანებული თავად ბუნების ფანტაზია და მეოცნებეობა.

ლემურიელებში არ არსებობდა საცხოვრებელი დღევანდელი გაგებით; იგი მხოლოდ ლემურიული ეპოქის მიწურულში გაჩნდა. ისინი სახლდებოდნენ იქ, სადაც სამისო პირობებს თავად ბუნება ქმნიდა. ასე მაგალითად, ბუნებრივ გამოქვაბულებს ლემურიელები იმგვარად გადააკეთებდნენ და მოაწყობდნენ, როგორც მათვის იყო აუცილებელი. მოგვიანებით ასეთ გამოქვაბულებს თვითონვე აშენებდნენ თი-

ხისგან; სწორედ აქ, ამ ნაგებობებში გამოვლინდა მათი უდიდესი მოხერხებულობა და სიმარჯვე. ამასთან, არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქოს ლემურიელები არ აშენებდნენ ხელოვნურ ნაგებობებს; აშენებდნენ, ოღონდ ამ უკანასკნელთ საცხოვრებლად არ იყენებდნენ. პირველ სანებში მათ ქმნიდნენ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომ ბუნებრივი საგნებისთვის ადამიანის მიერ მოფიქრებული ფორმა მიენიჭებინათ. ბორცვებს ისეთ ფორმას აძლევდნენ, როგორიც ადამიანს სიხარულსა და სიმოვნებას მოჰკვრიდა. ამავე მიზანსა და აგრეთვე რაიმე სხვა მოთხოვნილებას უმორჩილებდნენ ქვათა წყობასაც. ამგვარად აგებულ გალავნებს შემოვლებდნენ იმ ადგილებს, სადაც ბავშვებს ამტანობას, გამძლეობას აჩვევდნენ. ამასთან, ლემურიული ეპოქის ბოლოს სულ უფრო და უფრო მეტ დიდებულებასა და სრულყოფილებას იძენდა შენობები, რომლებიც განეკუთვნებოდა „დვთაებრივი სიბრძნისა და დვთაებრივი ხელოვნების“ მსახურებას. ეს შენობები მკეთრად განსხვავდებოდა გვიანდელი კაცობრიობის ტაძრებისაგან, რადგან ერთდროულად წარმოადგენდა სასწავლო დაწესებულებებსა და მეცნიერებისადმი მიძღვნილ ადგილებსაც. აქ აზიარებდნენ სამყაროსეულ კანონებსა და მათ გამოყენებაზე ცოდნას იმ ადამიანებს, რომლებსაც საამისოდ გამოსადეგად მიიჩნევდნენ. თუკი ლემურიელი ბუნებით იყო ჯადოქარი, აქ ეს მონაცემები ხელოვნებისა და ცოდნის დონემდე აჲყავდათ. მასში შეიძლებოდა დაეშვათ მხოლოდ ისინი, რომელთაც ყველანაირი წრთობის გზით, წინააღმდეგობათა გადალახვის უნარი უმაღლეს დონეზე განივითარეს. ხოლო ყავლა დანარჩენისთვის ასეთ ტაძრებში მომხდარი ულრმეს საიდუმლოს წარმოადგენდა. აქ ბუნების ძალებს ეცნობოდნენ მათივე უშეალო ჭკრეტით და სწავლობდნენ მათ დაუფლებას, მაგრამ სწავლება ისე იყო წარმართული, რომ ბუნების ძალები ადამიანში ნებელობის ძალებად გარდაიქმნებოდნენ. ამდენად, ადამიანს შეეძლო, ბუნებისგან წარმოქმნილი თავად განეხორციელებინა. მაშინ ინსტინქტური ქმედების სასიათს ატარებდა ის, რასაც გვიანდელი კაცობრიობა გონებისა და წარმოსახვის მეოქებით ახორციელებდა. ოღონდ, სიტყვა „ინსტინქტი“ აქ იმ მნიშვნელობით არ უნდა გამოვიყენოთ, როგორც ცხოველთა სამყაროსთან მიმართებით, რადგან ლემურიელის ნებისმიერი ნამოქმედარი ამ სამყაროს მიერ ინსტინ

ქტურად განხორციელებულზე განუზომლად მაღლა იდგა. ისინი გაცილებით მაღლა იდგნენ იმ მიღწევებზეც კი, რაც შემდეგში კაცობრიობამ ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროში მეხსიერების, გონებისა და ფანტაზიის წყალობით მოიპოვა. თუ მოვისურვებდით, სახელი მოგვეძებნა მსგავსი საიდუმლო დაწესებულებებისთვის, შეგვეძლო მათთვის დაგვერქმია: „ნებელობითი ძალებისა და სიძლიერის ნათელმხილველურ წარმოდგენათა უმაღლესი სკოლები“. იქ განსწავლული ადამიანები, ყველა თვალსაზრისით, სხვათა მბრძანებლები ხდებოდნენ. ამჯამად ძალზე ძნელია ყველა ამ გარემოებაზე მართველი წარმოდგენის შექმნა და სიტყვებით გადმოცემა, რადგან მას შემდეგ დედამიწაზე ყოველივე შეიცვალა. თავად ბუნება და მთელი ადამიანური ცხოვრებაც სულ სხვანაირი იყო; ამიტომ ადამიანური შრომა და ადამიანთა ურთიერთობებიც ძალზე განსხვავდებოდა დღევანდლისაგან.

ჰაური უფრო მეტად იყო გამყარებული ვიდრე შემდგომ, ატლანტიდის კოოქში, ხოლო წყალი – კიდევ უფრო თხევადი. ის, რაც დღეს ქმნის დედამიწის მყარ, მიწიერ ქერქს, ჯერ კიდევ არ იყო ისე გამყარებული, როგორც მოგვიანებით. ცხოველთა სამყარო განვითარებული იყო მხოლოდ ამფიბიათა, ფრინველთა და დაბალი ქვეწარმავლების სამყაროთა დონეები, ხოლო მცენარეთა სამყარო – იმ მცენარეებამდე, რომლებიც დღევანდელ პალმასა და მის მსგავს ხეებს წააგავდნენ; ამასთან, ყოველგვარი ფორმა იყო სულ სხვანაირი, ვიდრე – ამჟამად. რაც დღეს მცირე ზომისაა, მაშინ გიგანტურ ზომამდე იყო განვითარებული. დღევანდელი გვიმრა მაშინ ხეს წარმოადგენდა და ქმნიდა ტყის მძლავრ მასივს. დღევანდელი უმაღლესი ქვეწარმავლები აღარ არსებობდნენ. სამაგიეროდ, კაცობრიობის უდიდესი ნაწილი განვითარების იმდენად დაბალ საფეხურზე იდგა, რომ უპტველად ცხოველთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს. საერთოდ, ზემოაღწერილი ეხება ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფს. დანარჩენი ნაწილი კი ცხოველური ცხოვრებით არსებობდა. ეს ადამიანი – ცხოველები ძალზე განსხვავდებოდნენ ადამიანთა ამ მცირე ჯგუფისაგან თვით გარეგნული აგებულებითა და ცხოვრების წესითაც. ისინი დიდად არ განსხვავდებოდნენ დაბალი ქვეწარმავლებისაგან და თავიანთი იურით გარკვეულწილად წააგავდნენ კიდეც მათ.

ზემოთ ნახსენებ ტაძართა მნიშვნელობაზე კიდევ რამდენიმე სიტყვას დავაძატებთ. არსებითად, რითაც მათი ყოველ-დღიურობა განისაზღვრებოდა, ის რელიგიის არ წარმოადგენდა. ეს იყო „დვოთაებრივი სიბრძე და ხელოვნება“. რაც იქ ადამიანს ეძლეოდა, მის მიერ აღიქმებოდა, როგორც უშუალოდ სამყაროსეულ სულიერ ძალთა ძღვენი. ხოლო ამ ძღვენთან ზიარების შემდეგ ადამიანი თავის თავს სამყაროსეულ ძალთა „მსახურად“ მიიჩნევდა. ყველანაირი არასულიერის წინაშე იგი საგუთარ თავს „კურთხევულად“ შეიგრძნობდა. თუ კაცობრიობის განვითარების ამ საფეხურზე რაიმე სახის რელიგიაზე ვისახებრებთ, მაშინ შეიძლებოდა მისთვის „ნებელობის რელიგია“ გვეწოდებინა. რელიგიური განწყობილება და მოწიწება გამოიხატებოდა ადამიანის მიერ მისთვის ნაბოჟები ძალების, როგორც მკაცრი დვოთაებრივი „საიდუმლოს“ შენახვითა და ცხოვრების ისეთი წესით, რომლითაც საკუთარ ძალაუფლებას აკურთხებდა. ასეთი ძალებით აღჭურვილ ადამიანთა მიმართ უდიდეს შიშა და მოწიწებას განიცდიდნენ. ეს განპირობებული იყო არა კანონით ან რაიმე მისი მსგავსით, არამედ უშუალოდ მათგან მომდინარე ძალაუფლებით. თავისთავად გასაგებია, რომ არახელდასხმულნი იმყოფებოდნენ ხელდასხმულთა უდიდესი მაგიური ზეგავლენის ქვეშ. ასევე, თავისთავად ცხადია, რომ ეს უკანასკნელნი თავს კურთხეულად მიიჩნევდნენ, რადგანაც ისინი თავიანთ ტაძრებში შინაგანი ჩაღრმავებისა და განჯვრეტის დროს ბუნების ქმედით ძალთა თანაზიარნი ხდებოდნენ. მათი მზერა აღწევდა ბუნების შემოქმედებით სახელოსნომდე. ისინი განიცდიდნენ სამყაროს შემოქმედებით არსებებთან შერწყმის გრძნობას. შეიძლება ამ შერწყმას ღმერთთან კავშირი ეწოდოს. ისიც, რაც შემდგომში განვითარდა, როგორც „ხელდასხმა“, როგორც „მისტერიები“, წარმოიქმნა ღმერთებთან ადამიანების ამ პირველქმნილი სახის კავშირებიდან. მომდევნო პერიოდებში ეს კავშირები სულ სხვა ფორმით უნდა წარმოქნილიყო, რადგანაც ადამიანურმა წარმოდგენამ, ადამიანურმა სულმა სულ სხვა ფორმა შეიძინა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი გარემოება, რომელიც ლემურიული განვითარების შემდგომი მსვლელობის დროს ქალთა ზემოაღწერილი სახის ცხოვრებითაა განპირობებული. ამ გზით მათ გამოიმუშავეს განსაკუთრებული ადამიანური ძალები. ბუნებასთან დაკავშირებულმა ქალთა წარ-

მოსახვის ძალებმა საფუძველი დაუდეს წარმოდგენათა ცხოვრების უმაღლეს განვითარებას. თავის თავში დაკვირვებით ისინი იდებდნენ ბუნების ძალებს და მათ საკუთარ სამშვინველში მოქმედების საშუალებას აძლევდნენ. ასე წარმოიშვა მეხსიერების ჩანასახი. მეხსიერებასთან ერთად კი, სამყაროში გაჩნდა აგრეთვე პირველი უმარტივესი ზეობრივი ცნებების წარმოქმნის უნარი. მამაკაცთა ნებელობის განვითარებამ თავდაპირველად მსგავსი არაფერი უწყოდა. მამაკაცი ბუნების ზრახვებს ან ხელდასხმულთა მითითებებს სტიქიურად მისდევდა. „სიკეთესა და ბოროტებაზე“ პირველადი წარმოდგენები ქალის არსებისგან წარმოიქმნა. იმისდა მიხედვით, თუ რა ახდენდა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას წარმოდგენათა ცხოვრებაზე, ადამიანებს ზოგ რამეზე სიყვარულის, ხოლო გარკვეული რაღაცებისადმი ზიზდის გრძნობა უწნდებოდათ. მაშინ, როცა ძალაუფლება, რომელსაც მამაკაცები ფლობდნენ, მიმართული იყო უფრო ნებელობით ძალთა გარეგნულ ქმედებასა და ბუნების ძალთა მართვისკენ – იქვე, მის გამრდით, სამშვინველისა და ადამიანის პიროვნულ შინაგან ძალთა მეოხებით, ქალებში სულ სხვაგვარი ქმედება წარმოიშვა. კაცობრიობის განვითარებას მართებულად მხოლოდ ის გაიგებს, ვინც გაითვალისწინებს, რომ წარმოდგენათა ცხოვრებაში პირველი ნაბიჯები ქალებმა გადადგეს. მათგან წამოვიდა ის ჩვეულებები, რომლებიც უკავშირდებოდა წარმოდგენათა ცხოვრების დაკვირვებასა და მეხსიერების გამომუშავებას, აგრეთვე სამართლებრივი ცხოვრების ჩანასახსა და გარკვეული სახის ზეობათა წარმოქმნას. თუ მამაკაცი ჰკრებტდა და ფლობდა ბუნების ძალებს, ქალი იყო მისი პირველი განმმარტებელი. ის, რაც აქ წარმოიქმნა, გახლდათ ახალი, განსაკუთრებული სახის ცხოვრება აზროვნების დახმარებით. მასში გაცილებით მეტი იყო პირადული, ვიდრე მამაკაცთა ცხოვრებაში. საჭიროა აგრეთვე წარმოვიდგინოთ, რომ ქალთა ამგვარი მშვინვიერი ცხოვრება წარმოადგენდა გარკვეული ტიპის ნათელ ხილვას, თუმცა მამაკაცთა ნებელობითი მაგიისაგან განსხვავდებოდა. საკუთარ სამშვინველში ქალი გახსნილი იყო სულ სხვა სახის სულიერი ძალებისთვის. კერძოდ, იგი მიღრეკილი იყო უფრო ფშვინვიერი გრძნობის ელქმენტისკენ, ვიდრე – სულიერისკენ. მამაკაცი კი სულიერისკენ მიმართულს ექვემდებარებოდა. ამდენად, მამაკაცთა ქმედება

უფრო მიწიერ-დვთაებრივი იყო, ხოლო ქალებისა – უფრო მეტად მშვინვიერ-დვთაებრივი.

ლემურის პერიოდში ქალის ამგვარი განვითარება გახდა იმის მიზეზი, რომ მისთვის ბედს დაეკისრებინა მნიშვნელოვანი როლი დედამიწაზე, მომდევნო მეოთხე, – ატლანტიდის, – ძირეული რასის ეპოქაში. ამ რასის გამოჩენა განხორციელდა ძალზე მაღალგანვითარებულ არსებათა ზეგავლენით, რომლებიც იცნობდნენ რასათა წარმოქმნის კანონებს და ხელუწიფებოდათ ადამიანური ბუნების არსებულ ძალთა იმ გზით წარმართვა, რასაც ახალი რასა უნდა წარმოეშვა. მომავალში ამ არსებებზე დაწვრილებით ვისაუბრებთ. ამჟამად საკმარისია ითქვას, რომ მათ ახასიათებდათ ზეადამიანური სიბრძნე და ძალა. ამ არსებებმა ლემურიული კაცობრიობიდან გამოყვეს ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელსაც მომდევნო ატლანტიდური რასის მამამთავრობა დააკისრებს. ხოლო ადგილი, სადაც ეს განხორციელდა, მდებარეობდა ცხელ სარტყელში. მაღალგანვითარებულ არსებათა ხელმძღვანელობით ამ ჯგუფის მამაკაცები ისე განვითარდნენ, რომ ბუნების ძალებს შრომით ეუფლებოდნენ. ისინი ძლიერნი იყვნენ და შესწევდათ უნარი დედამიწიდან მრავალფეროვანი სიმდიდრე მიეღოთ. მათ შეეძლოთ მიწის დამუშავება და მისი ნაყოფის საკუთარი ცხოვრებისთვის გამოყენება. მკაცრ აღზრდაში განვლილმა წლებმა ისინი ჩამოაყალიბა ძლიერ, ნებელობით ნატურებად, მაგრამ სამშვინველი და გონება ძალზე სუსტად პქონდათ განვითარებული. სამაგიეროდ, ეს უნარები მეღავნეობიდა ქალებში, რომლებსაც გააჩნდათ მეხსიერება, ფანტაზია და ყოველივე მასთან დაკავშირებული.

ზემოაღნიშვნულ ბელადთა ზეგავლენით ეს ნაკადი პატარა ჯგუფებად დაიყო. ამ დაჯგუფებათა ორგანიზება და მოწყობა ქალებს დაეკისრათ. საკუთარი მექსიკების წყალობით ქალმა ცალკეული გამოცდილებებისა და შთაბეჭდილებების მომავლისთვის სასარგებლობ გამოყენების უნარი შეიძინა. რაც გუშინ მიზანშეწონილი იყო, ქალი იმას დღესაც იყენებდა და ისიც იცოდა, რომ იგი ხგალაც გამოადგებოდა. ამის წყალობით, მისგან მომდინარეობდა ერთად ცხოვრების ორგანიზება. მცნება „სიკუთესა და ბოროტებაზე“ ქალის ზეგავლენით წარმოიქმნა. საკუთარი აზრობრივი ცხოვრების გზით მან შეძლო ბუნების წვდომა. ბუნებაზე დაკვირვებით მასში ამოიზარდნენ წარმოდგენები, რომელთა მეოხებით ადამიანთა ქმედებებს

წარმართავდა. ბელადებმა მოახერხეს, რომ ქალის სამშვინგველის მეშვეობით მამაკაცების ნებელობითი ბუნებისა და ჭარბ ფიზიკურ ძალთა გაკეთილშობილება და განწმენდა განხორციელებულიყო. ცხადია, ეს ყველაფერი მისი ბავშვური, გულუბრევილო ჩანასახის დონეზე უნდა გავიაზროთ. სიტყვები ჩვენს ენაში ძალზე იოლად, უმაღვე აღძრავენ თანამედროვე ცხოვრებიდან აღებულ წარმოდგენებს.

ქალში გადვიძებული მშვინგვიერი ცხოვრების მეოხებით, მხოლოდ შემოვლითი გზით იწყეს ბელადებმა მამაკაცის მშვინგვიერი ცხოვრების განვითარება. ამიტომ აღნიშნულ კოლონიაში ქალთა ზეგავლენა ძალზე დიდი იყო. მათვის უნდა მიემართათ რჩევებისთვის, როდესაც ბუნების მოვლენათა განმარტება სურდათ; ქალის მშვინგვიერი ცხოვრების მთელი ბუნება ჯერაც ისეთი იყო, რომ ადამიანის „იდუმალი“ მშვინგვიერი ძალებით იმართებოდა. მთლად ზუსტად არა, მაგრამ მიახლოებით მაინც განვსაზღვრავთ მოვლენათა რაობას, თუ ვიტყვით, რომ ეს ქალები ფლობდნენ სომნამბულური ჭვრუტის უნარს. გარკვეული სახის უმაღლეს სიზმრისეულ მდგომარეობაში მათ ესხნებოდათ ბუნების იდუმალებანი და მოქმედების სურვილი უწნდებოდათ. მათვის გასულიერებული იყო ყველაფერი და ესხნებოდათ მშვინგვიერ ძალებსა და მოვლენებში. ისინი საკუთარ მშვინგვიერ ძალთა იდუმალ ქმედებებს ეძლეოდნენ. ქმედებების სურვილს მათში აღძრავდა „შინაგანი ხმა“, ან ის, რასაც აუწყებდნენ მცენარეები, ცხოველზბი, ქვები, ქარი და ღრუბლები, ხეთა შრიალი და ა. შ.

სწორედ ამგვარი მშვინგვიერი განწყობილებიდან იშვა ის, რასაც შეიძლება ადამიანთა რელიგია ვუწოდოთ. ბუნებისა და ადამიანის ცხოვრებაში მშვინგვიერი თანდათან მოწიწებისა და თაყვანისცემის საგნად გადაიქცა. ზოგიერთმა ქალმა მოიპოვა განსაკუთრებული ძალაუფლება, რადგან შეეძლო სამყაროში არსებულ ძალებზე განმარტებათა მიღება უაღრესად იდუმალი სიღრმეებიდან.

ამდენად, მსგავს ქალებში შესაძლებელი გახდდათ მათივე სიღრმეებში დაგინებულის გარკვეული სახის ბუნებრივ სიტყვად გარდაქმნა; ვინაიდან სიტყვის საწყისი ძევს რაღაც ისეთში, რაც სიმღერას ჰგავს, აზროვნების ძალა სმენისთვის მისაწვდომ ხმის ძალად გარდაიქმნებოდა. „ბრძენ“ ქალთა ბაგეთაგან ბუნების შინაგანმა რიგმა გაიქდერა. ასეთ ქალთა გარშემო იკრიბებოდნენ ადამიანები, რომლებიც მათ ჟღერად

სიტყვაში უმაღლეს ძალთა გამოხატულებას შეიგრძნობდნენ. აქედან იღებს სათავეს ადამიანის ლკოსმისახურება. საუბარიც კი ზედმეტია იმ პერიოდში წარმოთქმულისთვის რაიმე „მნიშვნელობის“ მინიჭებაზე. იგრძნობოდა ხმა, ტონი და რიტ-მი. ამასთან, მეტის წარმოლგენა არც შეეძლოთ, უბრალოდ მოსმენილის ძალას სამშვინველში იწოდნენ. მოვლენა ეს მოვლენა უმაღლეს ბელადთა ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. მათგან მოედინებოდა ხმები და რიტმები „ბრძენ“ ქურუმებამდე, ოლონდ, თუ როგორ ხორციელდებოდა ეს, ამაზე დიად საუბარი შეუძლებელია. ასე ახდენდნენ ისინი გამაკე-თილ შობილებელ ზემოქმედებას ადამიანთა სამშვინველებზე. შეიძლება ითქვას, რომ საერთო, ჰეშმარიტმა მშვინვერმა ცხოვრებამ მხოლოდ ამგვარად გამოიღვიძა.

ამ სფეროში აკაშა-ქრონიკა ბრწყინვალე სცენებს წარმოგვიდგენს. ერთ-ერთ მათგანს ქვემოთ აღვწერთ. ჩვენ ვიმყოფებით ტყეში, ვეგერთელდა ხესთან. მზე ეს-ესაა ამოიწვერა აღმოსავლეთიდან. პალმისაგარი ხე, რომლის ირგვლივაც სივრცე სხვა ხეებისაგან გაწმენდილია, უზარმაზარ ჩრდილს ქმნის. ბუნების იშვიათი ნობათისა და მცენარეებისგან მოწყობილ ტახტზე ზის ექსტრაზში მყოფი ქურუმი ქალი – აღმოსავლეთისკენ მიმართული მზერით. მის ბაგეთაგან ნელი, რიტმული თანმიმდევრობით იღვრება სულ რამდენიმე უცნაური ბგერა, რომელიც მუდმივად მეორდება. გარშემო ზმანებაში ჩაძირული სახეებით სხედან მამაკაცები და ქალები, რომლებიც მოსმენილისაგან შინაგან ცხოვრებას ითვისებენ. შეიძლება სხვა სცენის დანახვაც. ამგვარადგე „მღერის“ ქურუმი ქალი, ასეთივე სახით მოწყობილ სხვა ადგილას, მაგრამ მის ბგერაში არის რადაც უფრო ძლიერი. ხოლო ადამიანები მის გარშემო რიტმულად ცეკვავენ; სწორედ ეს იყო მეორე გზა, რომლითაც „სამშვინველი“ კაცობრიობაში შემოვიდა. საჯუთარი სხეულის მოძრაობით ადამიანები ბაძავდნენ ბუნებაში მოსმენილ იღუმალ რიტმებს, რასაც ისინი ბუნებასა და მასში მოქმედ ძალებთან ერთიანობის განცდამდე მიჰყავდა.

დედამიწის ის ადგილი, სადაც კაცობრიობის მომდევნო რასის ეს ამონაზარდი ვითარდებოდა, საამისოდ განსაკუთრებით გამოდგებოდა. ეს იყო ადგილი, სადაც გრიგალებით შერყეულმა დედამიწამ ჯერ კიდევ მაშინ შეძლო გარკვეული სიმშვიდის მიღწევა, ვინაიდან ლემურია გრიგალებისგან ირყეოდა. მიწას ჯერაც არ გააჩნდა ის სიმყარე, როგო-

რიც შემდეგში მოიპოვა. მიწის თხელი ქერქი ყველგან გამოიხრა ვულკანური ძალებისგან, რომლებიც დიდ თუ მცირე ნაკადებად ამოხეთქავდნენ. თითქმის ყველგან არსებობდა მძლავრი ვულკანები, რომლებიც მუდამ დამანგრევლად ზემოქმედებდნენ. ადამიანები მიეჩივნენ და თავიანთ ქმედებებში ცეცხლის ამ მოქმედებას ანგარიშს უწევდნენ; ამასთან, იყენებდნენ კიდევ მას თავიანთი სამუშაოსა და მოწყობილობებისათვის. ეს უკანასკნელი ხშირად იყო იმგვარი, რომ მათ საფუძვლად გამოიყენებოდა ბუნებრივი ცეცხლი ისევე, როგორც დღეს ადამიანური საქმიანობისას იყენებენ ხელოვნურ ცეცხლს.

ლემურიული რეგიონის დაღუპვაც სწორედ ასეთი ვულკანური ცეცხლის მოქმედებამ განაპირობა. ლემურიის ის ნაწილი, სადაც მომავალში ატლანტიდელთა ძირითადი რასა უნდა განვითარებულიყო, ცხელი კლიმატით კი გამოირჩეოდა, მაგრამ მთლიანად ვულკანთა მოქმედების ქვეშ არ მოჰყოლია. დედამიწის სხვა ადგილებისგან განსხვავებით ადამიანურ ბუნებას აქ ბევრად უფრო მშვიდად და წენარად შეეძლო გახსნა. ადამიანებმა უარი თქვეს ადრეული პერიოდის მოხეციალე ცხოვრებაზე და მკვიდრი დასახლებები სულ უფრო და უფრო მრავლდებოდა.

აქ საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ იმ დროის ადამიანური სხეული ძალზე პლასტიკური და მოქნილი იყო. იგი ჯერაც გამუდმებით იცვლებოდა შინაგანი ცხოვრების შეცვლის შესაბამისად. ცოტა ხნით ადრე ადამიანები ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ ძალზე განსხვავდებოდნენ. იმ დროს გადამწყვეტი იყო ქეყნისა და კლიმატის გარეგნული ზეგავლენა ადამიანის აგებულებაზე. მხოლოდ აღნიშნულ კოლონიაში იქცა ადამიანის სხეული მისი შინაგანი მშვინვიერი ცხოვრების უფრო ზუსტ გამოხატულებად. ამავე დროს, ამ კოლონიას განეკუთვნებოდა საკუთარი განვითარებით ძალზე წინ წასული და გარეგნული იერით გაკეთილშობილებულ ადამიანთა მოდგმაც. საჭიროა ითქვას, რომ ბელადთა მიერ განსხორციელებულის საფუძველზე მათ, არსებითად, პირველი ნამდვილი ადამიანური სურათ-ხატი შექმნეს. ცხადია, ეს პროცესი ძალზე ნელა და თანდათანობით მიმდინარეობდა. ამასთან ისე, რომ თავდაპირველად ადამიანში გაჩადდა მშვინვიერი ცხოვრება, ხოლო შემდეგ მას ჯერაც რბილი და მოქნილი სხეული შეეგუა. ასეთია კაცობრიობის განვითარების კანონი, როცა თი-

თოვეული წინგადადგმული ნაბიჯის შემდეგ ადამიანის სულ უფრო ნაკლებად ძალუქს საკუთარ ფიზიკურ სხეულზე გარდამქმნელი ზემოქმედების მოხდენა. არსებითად, ადამიანის ამ ფიზიკურმა სხეულმა საკმაოდ მყარი ფორმა მხოლოდ გონების ძალის განვითარებითა და მასთან დაკავშირებული მიწოერი ქვების, მინერალებისა და ლითონების გამკვრივებით შეიძინა. ვინაიდან ლემურისა და თვით ატლანტიდის ეპიქაშიც ქვები და ლითონები გაცილებით რბილი იყო, ვიდრე – შემდგომ პერიოდებში (ამას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ახლაც კი არსებობენ ლემურიელებისა და ატლანტიდელების შთამომავლები, რომლებსაც ისეთივე მყარი ფორმები გააჩნიათ, როგორც შემდეგში წარმოქმნილ ადამიანურ რასებს. ისინი იძულებული იყვნენ, შეგუებოდნენ გარემომცველი პირობების ცვალებადობას დედამიწაზე და ამიტომ მკვრივდებოდნენ. სწორედ ესაა მათი ამჟამინდელი დაცემის მიზეზიც. ისინი შინაგანად არ გარდაქმნილან, მაგრამ გამკვრივებულ სხეულში მათი ნაკლებგანვითარებული შინაგანი ცხოვრება გარედან ჩატენეს და ამდენად, განვითარებაში შეფერხებულია. ეს შეფერხება მართლაც უკუსვლა იყო, ვინაიდან შინაგანი ცხოვრებაც დაილია – ვერ შეძლო გამკვრივებულ გარეგნულ სხეულებრიობას გამკლავებოდა).

კიდევ უფრო დიდი ცვლილება ცხოველურმა ცხოვრებამ განიცადა. შემდგომში ჩვენ შევეხებით იმ ცხოველთა სახეებსა და წარმოშობას, რომლებიც ადამიანთა თანადროულად ცხოვრობდნენ, აგრეთვე, ახალ ცხოველურ ფორმათა წარმოქმნას უკვე ადამიანის გაჩენის შემდეგ. აქ კი მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ცხოველთა მაშინდელი სახეობები განუწყვეტლივ იცვლებოდა და წარმოიქმნებოდა ახლები. ცხადია, ეს გარდაქმნა თანდათანობით ხდებოდა. იგი ნაწილობრივ განპირობებული იყო ადგილსამყოფლისა და ცხოვრების წესის შეცვლით. ცხოველები ახალ პირობებთან სწრაფად შეგუების უნარს ფლობდნენ. პლასტიკური სხეული შედარებით სწრაფად იცვლიდა საკუთარ ორგანოებს ისე, რომ მეტ-ნაკლებად მოკლე დროში რომელიმე სახის ცხოველთა შთამომავალი თავის წინაპარს უკვე ნაკლებად ჰგავდა. იგივე ეხება მცენარეებსაც და შეიძლება უფრო მეტადაც. ადამიანთა და ცხოველთა გარდაქმნაზე უდიდეს ზეგავლენას თვით ადამიანი ახდენდა. მას ან ინსტინქტურად გადაჰყავდა ცოცხალი არსებები ისეთ გარემოში, რომელშიც ისინი განსაზღვრულ ფორმას

იღებდნენ, ან ამას შერჩევის გზით აღწევდა. მაშინ ბუნებაზე ადამიანის გარდამქმნელი ზემოქმედება განუზომლად დიდი იყო, კიდრე ახლანდელ პირობებში. ამ გარემოებას განსაკუთრებული ადგილი ეყავა ზემოაღწერილ კოლონიაში, რადგანაც ადამიანებისთვის გაუცნობიერებლად, ბელადები იქ სწორედ ამ გარდაქმნით ხელმძღვანელობდნენ. ეს უნარი იმდენად განვითარდა, რომ ატლანტიდური სხვადასხვა რასის ჩამოსაყალიბებლად იქიდან დაძრულმა ადამიანებმა თან გაიყოლეს უდიდესი ცოდნა, თუ როგორ გამოევანათ ცხოველები და მცენარეები შერჩევის გზით. მაშინ ატლანტიდაში კულტურული საქმიანობა უმეტესად, სწორედ ამ თან გაყოლილი ცოდნის შედეგს წარმოადგენდა. ამასთან, აქაც ხაზი უნდა გაესვას ამ ცოდნათა ინსტინქტურ ხასიათს. არსებითად, პირველ ატლანტიდურ რასებში იგი არც შენარჩუნებულა.

ქალის სამშვინველის ზემოაღნიშნული გაბატონება განსაკუთრებით ძალუმად შეიგრძნობა ლემურის პერიოდის ბოლოს და გრძელდება იმ ატლანტიდურ პერიოდამდე, როდესაც მეოთხე ქვერასა მზადდებოდა; მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს მოელ კაცობრიობას ახასიათებდა. ეს გარემოება ეხება დედამიწის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლისგანაც შემდგომში საკუთრივ მოწინავე რასები წარმოიქმნენ. ადამიანში ქალის სამშვინველის ზეგავლენა ყველაზე მეტად მასში არსებულსა და მისთვის შეუცნობელში ვლინდებოდა. ზოგიერთი მუდმივი ჟესტის ჩამოყალიბება, გრძნობადი განჭვრეტის გარკვეული სიფაქიზე, სილამაზის შეგრძნება, აგრეთვე ყველა ადამიანისთვის საერთო გრძნობებისა და შეგრძნებების დიდი ნაწილი თავდაპირველად ქალის შშვინვერი ზეგავლენიდან მომდინარეობდა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ აკაშა-ქრონიკაში მოძიებულს შემდგნაირად ჩამოვაყალიბებთ: „კულტურული ერები ფლობენ ისეთ სხეულებრივ აგებულებასა და გამომეტყველებას, ასევე სხეულებრივ-შშვინვერი ცხოვრების ზოგიერთ იმგვარ საფუძველს, როგორიც ქალის მიერ აღიბეჭდა“.

შემდგომში შევეხებით კაცობრიობის განვითარების კიდევ უფრო ძველ პერიოდს, როდესაც დედამიწის მოსახლეობა ჯერ კიდევ ერთსქესიანი იყო. მომდევნო თავში გადმოვცემთ, თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი ადამიანის ორ სქესად გაყოფას.

როგორც არ უნდა განსხვავდებოდეს თანამედროვე ადამიანის იქრი „აკაშა-ქრონიკის“ წინა თავებში აღწერილი უძველესი დროის ადამიანის იქრისგან, თუ კაცობრიობის ისტორიაში უფრო დრმად ჩავიხედავთ, მივალთ კიდევ უფრო განსხვავებულ მდგომარეობამდე. ვინაიდან, კაცისა და ქალის ფორმებიც წარმოიქმნენ ასევე მხოლოდ დროთა განმავლობაში, ამასთან კიდევ უფრო ძველი ძირითადი ფორმისაგან, როცა ადამიანი არც კაცი იყო და არც ქალი, არამედ ერთდროულად – ერთიც და მეორეც. ვისაც სურს, წარმოდგენა შეიქმნას ამ შორეულ, უკვე განვლილ პერიოდზე, ცხადია, მთლიანად უნდა გათავისუფლდეს იმ ჩვეულებრივი წარმოდგენებისაგან, რომლებიც ადამიანის გარშემო მომხდარისა და ნანახის საფუძველზე აღმოცენდა. დრო, რომელზეც ახლა ვისაუბრებთ, განეკუთვნება იმ პოქის რამდენადმე ადრეულ ხანას, რომელსაც წინა თავებში ლემურია გუწოდეთ. იმ პერიოდის ადამიანური სხეული რბილი, პლასტიკური ნივთიერებებისაგან შედგებოდა. ჯერაც რბილი და პლასტიკური იყო აგრეთვე დედამიწის სხვა წარმონაქმნებიც. საკუთარ გვიანდელ გამყარებასთან შედარებით მაშინ დედამიწა ჯერ კიდევ დენად, ბევრად უფრო თხევად მდგომარეობაში იმყოფებოდა. იმ დროს, მატერიალურში განსხეულებისას, ადამიანურ სამშვინველს შეეძლო ამ მატერიას გაცილებით უკეთ შეგუებოდა, ვიდრე მოგვიანებით; ვინაიდან სამშვინველის მიერ კაცის ან ქალის სხეულის მიღება მომდინარეობს იმ ზემოქმედებიდან, რომლითაც გარემიწიერი ბუნების განვითარება ერთს, ან მეორეს განაპირობებს. სანამ მატერია ჯერ კიდევ არ იყო გამყარებული, სამშვინველს შეეძლო, ისინი საკუთარი კანონებისთვის დაექვემდებარებინა. სამშვინველი სხეულს აქცევდა საკუთარი არსის ანაბეჭდად, მაგრამ, როცა მატერია გამყარდა, იგი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა იმ კანონებს, რომლებსაც ამ ნივთიერებებს გარემიწიერი ბუნება აუწესდა. მანამ, სანამ მატერიაზე სამშვინველის ძალაუფლება ვრცელდებოდა, იგი საკუთარ სხეულს აგებდა არა კაცის ან ქალის სახით, არამედ მას ერთდროულად ანიჭებდა ორივე მათგანის თვისებებს. რადგანაც სამშვინველი ერთდროულად ქალისა და კაცის ბუნებისაა, ამიტომ საკუ-

თარ თავში ორივე ბუნებას ატარებს. მისი მამაკაცური საწყისი ენათესავება იმას, რასაც ნებელობას ვუწოდებთ, ხოლო ქალური საწყისი – წარმოღვენას. დედამიწის გარეგნულმა წარმოქმნამ სხეული მიიყვანა ცალმხრივი აგებულების ათვისებამდე. მამაკაცის სხეულმა მიიღო იერი, რომელიც განპირობებულია ნებელობითი საწყისით, ხოლო ქალისა კი, პირიქით – ატარებს უფრო წარმოღვენის ანაბეჭდს. ასე განხორციელდა ის, რომ ორსქესიანი მამაკაცურ-ქალური სამშვინველი ცხოვრობს ერთსქესიანი მამაკაცის ან ქალის სხეულში. ამრიგად განვითარების განმავლობაში გარეგნულ მიწიერ ძალთა ზეგავლენით სხეულმა იმდენად განსაზღვრული ფორმა შეიძინა, რომ სამშვინველს ამიერიდან ადარ შეეძლო ამ სხეულში მთელი თავისი შინაგანი ძალა ჩაედგარა. მას საკუთარი არსების შიგნით უნდა დაეტოვებინა თავისი ძალის ნაწილი და ამ სხეულში მხოლოდ მის ნაწილს შეეძლო ჩადგრილიყო.

თუ თვალს მიგადაგნებთ აკაშა-ქრონიკას, აღმოჩნდება, რომ უძველეს დროში ადამიანური ფორმები გვიანდელის გან სრულიად განსხვავებულად, რბილი და პლასტიკური სახით წარმოგვიდგება. თავის თავში ისინი ჯერ კიდევ თანაბრად შეიცავენ კაცისა და ქალის ბუნებას. დროთა განმავლობაში მატერია მყარდებოდა. ადამიანური სხეული ჩნდება ორი ფორმით, რომელთაგან ერთი გვიანდელი მამაკაცისას ემსგავსება, ხოლო მეორე – გვიანდელი ქალისას. ამ განსხვავების წარმოქმნამდე უკელა ადამიანს შეეძლო, საკუთარი არსებისგან სხვა ადამიანი ეშვა. განაყოფიერება გარეგნული აქტი კი არ იყო, არამედ ადამიანური სხეულის შიგნით ხორციელდებოდა. მამაკაცისა და ქალის ფორმად გარდაქმნის გამო, სხეულმა თვითგანაყოფიერების ეს უნარი დაკარგა. მისთვის აუცილებელი შეიქმნა სხვა სხეულთან ურთიერთობა, რათა ახალი ადამიანი ეშვა.

ორ სქესად გაყოფის უამი დგება მაშინ, როდესაც დედამიწა განსაზღვრულ დონემდე გამყარებას აღწევს. ნივთიერებათა სიმყარე აკავშირებს გამრავლების ძალთა გარკვეულ ნაწილს. ამ ძალის ქმედითუნარიანი ნაწილი გარედან, სხვა ადამიანის საპირისპირო ძალისგან უნდა შეივსოს, ამასთან, როგორც მამაკაცის ისე ქალის სამშვინველმა უნდა შეინარჩუნოს საკუთარი ადრინდელი ძალის ნაწილი. მას არ შეუძლია, გარეგნულ სხეულებრივ სამყაროში მისი

დახარჯვა. ამჯერად ძალის ეს ნაწილი მიმართულია ადამიანის შინაგანი ორგანოებისკენ. შეუძლებელია, მან გარეთ იჩინოს თავი და ამიტომაც თავისუფლდება შინაგანი ორგანოებისთვის. ახლა კი კაცობრიობის განვითარებაში მნიშვნელოვანი მომენტი დგება. ის, რასაც პქვია სული, აზროვნების უნარი, ადრე ადამიანში საკუთარ ადგილს ვერ პოულობდა; რადგან მაშინ ამ უნარს საკუთარი მოღვაწეობისთვის შესაფერისი ორგანო არ პქონდა. სამშვინველი მთელ თავის ენერგიას გარეთ, სხეულის შესაქმნელად ხარჯავდა. ახლა კი, მშვინველ ძალას, რომელიც ვერ ხედავს გარეთ საკუთარი გამოყენების აუცილებლობას, შეუძლია სულიერ ძალასთან შეერთება. ამ შეერთების მეშვეობით სხეულში ვითარდება ორგანოები, რომლებიც მოგვიანებით ადამიანს მოაზროვნე არსებად გადააქცევს. ამრიგად, საკუთარი არსების სრულყოფისთვის ადამიანს შეეძლო გამოყენებინა იმ ძალის ნაწილი, რომელსაც ადრე ხარჯავდა თავისივე მსგავსის შესაქმნელად. ძალა, რომლის მეშვეობითაც კაცობრიობა მოაზროვნე ტვინს იქმნის, იგივე ძალაა, რითაც ადამიანი ადრეულ პერიოდებში საბუთარ თავს ანაყოფიერებდა. აზროვნება ერთსქესიანობის ფასად შეიძინეს. თვითგანაყოფიერების შეწყვეტილა და ურთიერთგანაყოფიერების დაწყებით ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავიანთ წარმომქმნელ ძალთა ნაწილი შიგნით მიმართონ და მოაზროვნე ქმნილებებად გარდაიქმნან. ამრიგად, გარე სამყაროში მამაკაცისა და ქალის სხეულები წარმოადგენენ სამშვინველის არასრულყოფილ წარმონაქმნებს, მაგრამ საკუთარ არსებაში სწორედ ამით ყალიბდებიან უფრო სრულყოფილ ქმნილებებად.

ეს გარდაქმნა ადამიანში ძალზე ნელა და თანდათან ხორციელდება. უძველეს ორსქესიან ადამიანურ ფორმათა გვერდით თანდათან ჩნდებიან უფრო ახალგაზრდა, ერთსქესიანი ფორმები.

განაყოფიერების სხვა სახე ადამიანში მაშინ ყალიბდება, როცა იგი სულიერ არსებად გადაიქცევა. მშვინვერ ძალთა სიჭარბისგან წარმოქმნილ შინაგან ორგანოთა განაყოფიერებას სული ახორციელებს. თავისთვალ სამშვინველი ორსქესიანია: იგი მამაკაცურ-ქალურია. უძველეს დროში მან საკუთარი სხეულიც ასეთად ჩამოქნა. მოგვიანებით გარე სამყაროსთვის იგი საკუთარ სხეულს მხოლოდ იმ

შემთხვევაში შექმნის, თუკი სხვა სხეულთან ექნება ურთიერთქმედება. თავად სამშვინველი კი ამით სულთან ურთიერთობის უნარს შეიძენს. ამიერიდან გარე სამყაროსთვის ადამიანის განაყოფიერება ხდება გარედან, ხოლო შინაგანისთვის – შიგნიდან, სულის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ მამაკაცის სხეულს ქალის სამშვინველი აქვს, ხოლო ქალის სხეულს – მამაკაცის სამშვინველი. ამ შინაგან ცალმხრივობას ადამიანში ახლა სულით განაყოფიერება აწონასწორებს. ცალმხრივობა ისპობა. მამაკაცის სამშვინველი ქალის სხეულში და ქალის სამშვინველი მამაკაცის სხეულში სულით განაყოფიერების მეოხებით ორსქესიანი ხდება. ამგვარად, ქალი და მამაკაცი განსხვავდებიან თავიანთი გარეგნული იერით; შიგნით კი ეს მშვინვერი ცალმხრივობა ერთშიც და მეორეშიც პარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. შიგნით სული და სამშვინველი ერთმანეთს ერწყმიან. ქალში მამაკაცურ სამშვინველზე სული ქალურად ზემოქმედებს და ამდენად, მას მამაკაცურ-ქალურად გადააჭვევს, ხოლო მამაკაცში ქალურ სამშვინველზე სული მამაკაცის სახით ზემოქმედებს და შესაბამისად მას მამაკაცურ-ქალურად აყალიბებს. ადამიანურმა ორსქესიანობამ გარეგნული სამყაროდან, რომელშიც არსებობდა იგი ლემურიულ პერიოდამდე, ახლა ადამიანის შიგნით გადაინაცვლა.

აქ ჩანს, რომ ადამიანის უმაღლეს შინაგან სამყაროს არაფერი აქვს საერთო მამაკაცსა და ქალთან; თუმცა ქალში შინაგანი წონასწორობა მომდინარეობს მამაკაცური სამშვინველიდან. მამაკაცში კი, შესაბამისად, ქალური სამშვინველიდან. ბოლოს და ბოლოს, თანასწორობა სულთან შერწყმას მოაქვს, ხოლო ის გარემოება, რომ ამ თანასწორობის განხორციელებამდე არსებობს განსხვავება, – წარმოადგენს ადამიანური ბუნების საიდუმლოებას. ამ საიდუმლოს შეცნობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი იდუმალთმეტყველებისთვის, რადგანაც ეს წარმოადგენს გასაღებს მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცანების გადასაწყვეტად. ჯერჯერობით ამ საიდუმლოებაზე ჩამოვარებული საბურვლის ჩამოხსნა ნებადართული არ არის...

ამდენად, ფიზიკური ადამიანი ერთსქესიანიდან განვითარდა ორსქესიანად, მამაკაცად და ქალად გაიყო. ამის წყალობით იქცა ადამიანი ისეთ სულიერ არსებად, როგორიც ამჟამად არის; არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს დედამიწასთან

დაკავშირებული ცნობიერი არსებები მანამდე არ არსებობდნენ. თუ თვალს მივადევნებთ აკაშა-ქრონიკას, ცხადია, აღმოჩნდება, რომ საკუთარი ორსქესიანობის წყალობით, ადამიანი ლემურიის ეპოქის პირველ პერიოდებში სრულიად განსხვავებულ არსებას წარმოადგენდა, ვიდრე ამჟამინდელი ადამიანი. მას არ შეეძლო საკუთარი გრძნობადი აღქმები აზრობრივად დაეკავშირებინა, იგი ვერ აზროვნებდა. მისი ცხოვრება იმართებოდა მიდრეკილებებით, ხოლო სამშვინველი ვლინდებოდა მხოლოდ ინსტინქტებში, გულისთქმაში, ცხოველურ სურვილებში და ა. შ. მისი ცნობიერება სიზმრისებრი იყო. ის ცხოვრობდა გაურკვევლობაში; მაგრამ ამ ეპოქაში სხვა არსებებიც ცხოვრობდნენ. ცხადია, ისინიც ორსქესიანნი იყვნენ, რადგან დედამიწის განვითარების მაშინდელ მდგომარეობაში შეუძლებელი იყო კაცისა და ქალის ადამიანური სხეულები წარმოქმნილიყო. ამისთვის აუცილებელი გარეგნული პირობები ჯერ კიდევ არ არსებობდა. თუმცა იყვნენ ისეთი არსებებიც, რომელთაც შეეძლოთ (ორსქესიანობის მიუხედავად), შემეცნება და სიბრძნე შეეძინათ. ეს მოხდებოდა იმის გამო, რომ მათ კიდევ უფრო ადრეულ პერიოდებში სულ სხვაგვარი განვითარება განვლეს. სულით განაყოფიერების შესაძლებლობა მათ სამშვინველს ისე მიეცა, რომ კაცობრიობის ფიზიკური სხეულის შინაგან ორგანოთა განვითარებას აღარ დალოდებია. თანამედროვე ადამიანის სამშვინველს მხოლოდ ფიზიკური ტვინის დახმარებით ძალუძოთ გაიაზროს ის, რასაც ფიზიკური გრძნობების მეოხებით გარედან იღებს. ეს განპირობებულია ადამიანის მშვინვიერი განვითარებით. ადამიანის სამშვინველი უნდა დალოდებოდა ტვინის წარმოქმნას, რომელიც სამშვინველსა და სხეულს შორის შუამავლად იქცა. ამგვარი შემოვლითი გზის გარეშე ეს სამშვინველი დაკარგავდა სულს და სიზმრისებრი ცნობიერების საფეხურზე დარჩებოდა. ზემოსხენებულ ზეადამიანურ არსებებში ეს ყოველივე სულ სხვაგვარად მიმდინარეობდა. ამ არსებათა სამშვინველმა ადრეულ საფეხურებზევე განივითარა ის მშვინვიერი ორგანოები, რომლებიც სულთან შეერთებისას არანაირ ფიზიკურს არ საჭიროებდნენ. მათ შემეცნება და სიბრძნე ზეგრძნობადი გზით მოიპოვეს. ასეთ შემეცნებას ინტეიციური ეწოდება. თანამედროვე ადამიანი თავისი განვითარების მხოლოდ შედარებით უფრო გვიანდელ საფეხურზე მიაღწევს ისეთ ინ-

ტუციას, რომელიც მას გრძნობადის გარეშე სულთან შეხების შესაძლებლობას მისცემს. მან უნდა შეასრულოს შემოვლითი გზა გრძნობადი საგნობრიობის გავლით. ასეთ გზას უწოდებენ ადამიანური სამშვინველის მატერიაში გარდამოსვლას, ანუ პოპულარულად „შეცოდებას“. ზეადამიანური არსებებისთვის თავიანთი ადრინდელი, სულ სხვა სახის განვითარების წყალობით, ამ გარდამოსვლაში მონაწილეობა აუცილებელი არ იყო. იმის გამო, რომ ამ არსებათა სამშვინველებმა უკვე მიაღწიეს განვითარების უფრო მაღალ საფეხურს, მათი ცნობიერება სიზმრისებრი კი არ იყო, არამედ შინაგანად მკაფიო. მათთვის შემეცნებისა და სიბრძნის აღქმას წარმოადგენდა ნათელი ილვა, რომელიც არანაირ გრძნობებისა და აზროვნების ორგანოებს არ საჭიროებდა. სიბრძნე, რომლის შესაბამისადაც სამყაროა აგებული, უშუალოდ მათივე სამშვინველში კაშკაშებდა. ამიტომ, მათ შეეძლოთ ჯერ კიდევ ბუნდოვანი ცნობიერების მდგომარეობაში ჩაფლული ნორჩი კაცობრიობის ბელადებად ქცევლიყვნენ. ისინი ატარებდნენ „უძველეს სიბრძნეს“, რომლის წვდომის-თვისაც კაცობრიობა ზემოაღნიშნული შემოვლითი გზით ჯერ მხოლოდ ისწრაფოდა ზევითკენ; ეს არსებები კ. წ. „ადამიანისგან“ იმით განსხვავდებოდნენ, რომ სიბრძნე მათთვის ასხივებდა, როგორც „ზეგარდმო“ თავისუფალი ძღვენი, მსგავსად მზის სხივისა, რომელიც ჩვენთვის ანათებს. „ადამიანი“ კი სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას სიბრძნე გრძნობებისა და აზროვნების ორგანოთა მუშაობით უნდა მოებოვებინა. თავდაპირველად მას ეს თავისუფალი ძღვენივით არ ეძლეოდა. ადამიანი საამისო ჟინით უნდა გამსჭვალულიყო და მხოლოდ მაშინ, თუ მასში იარსებებდა სიბრძნის მიღების ასეთი სურვილი, შეეძლო, იგი გრძნობებისა და აზროვნების ორგანოთა მეშვეობით გამოემუშავებინა. ამრიგად, სამშვინველში უნდა გაღვიძებულიყო ახალი განზრახვა: ცოდნის წყურვილი და უნი. ადამიანურ სამშვინველს არ შეეძლო ეს წყურვილი განვითარების ადრეულ საფეხურებზე პერნოდა. მისი ზრახვები შემოქმედებითი მუშაობისკენ მხოლოდ გარეგნულად იყო მიმართული და მასში ხორციელდებოდა სიზმრისებრი ცხოვრების მსგავსად, მაგრამ გარეგნული სამყაროს შემეცნებისა და ცოდნისკენ არ იყო მიღრეკილი. ცოდნისკენ ლტოლვა მხოლოდ სქესთა გაყოფის შემდეგ გაჩნდა.

ნათელი გზის გზით ზეადამიანურ არსებებს სიბრძნე სწორედ იმიტომ ეხსნებოდათ, რომ ისინი მისადმი ამგვარ ლტოლვას არ განიცდიდნენ. ისინი ელოდებოდნენ, რომ სიბრძნე ისევე გამოასხივებდა მათვის, როგორც ჩვენ ველოდებით მზის სხივს, რომელსაც დამით ვერ წარმოვქმნით, მაგრამ დილით თავისთავად უნდა გვეწვიოს. ცოდნის სურვილს იწვევს სწორედ ის, რომ სამშვინველი გამოიმუშავებს შინაგან ორგანოებს (ტვინს და ა. შ.), რომელთა მეშვეობითაც ცოდნას ეუფლება. ეს იმის შედეგია, რომ მშვინვიერ ძალთა ნაწილი საკუთარ ქმედებას უკვე გარეთ კი არ მიმართავს, არამედ – შიგნით. ხოლო ის ზეადამიანური არსებები, რომელთაც მშვინვიერ ძალთა ამგვარად გაყოფა არ განუხორციელებიათ, მთელ თავიანთ მშვინვიერ ენერგიას გარეთ მიმართავენ. ამიტომ გარეთ სულით განაყოფიერებისთვის ისინი იმ ძალასაც ფლობენ, რომელსაც „ადამიანი“ შიგნით, შემეცნების ორგანოთა ასაგებად მიმართავს. – ამასთან, ძალა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი მიმართულია გარეთ, სხვებთან ურთიერთქმედებისთვის, არის სიყვარული. ზეადამიანური არსებები მთელ თავიანთ სიყვარულს მიმართავთნენ გარეთ, რათა მათში სამყაროსეული სიბრძნე ჩაღვრილიყო; მაგრამ „ადამიანს“ შეეძლო, გარეთ მხოლოდ ძალის ნაწილი წარემართა. „ადამიანი“ გახდა გრძნობადი და მასთან ერთად გრძნობადად იქცა მისი სიყვარულიც. გარე სამყაროს იგი ართმევს საკუთარი არსების იმ ნაწილს, რომელსაც ხარჯავს თავისივე შინაგანი ჩამოყალიბებისთვის. ამაში ჩაღებულია ის, რასაც თავკერძობას უწოდებენ. მას შემდეგ, რაც საკუთარ ფიზიკურ სხეულში მამაკაცად ან ქალად იქცა, „ადამიანი“ ემორჩილება საკუთარი არსების მხოლოდ ნაწილს, დანარჩენი ნაწილით კი გარემომცველ სამყაროსაგან განცალკევდა. იგი თავკერძა არსებად იქცა. თავკერძა გახდა მისი ქმედება გარეთ და შინაგანი განვითარებისქვენ სწრაფვაც. მას უყვარდა იმიტომ, რომ სურდა; აზროვნებდა იმიტომ, რომ სწორედ ასევე სურდა ცოდნაც. ამ ჯერ კიდევ ბავშვივით თავკერძა ადამიანის გვერდით ბელადები, ზეადამიანური არსებები ისე იდგნენ, როგორც თავგანწირულნი, საყოველთაო სიყვარულით აღსავსენი. მათი სამშვინველი, რომელიც არაა დაგანებული არც მამაკაცის და არც ქალის სხეულში, თავად წარმოადგენს მამაკაცურ-ქალურს. მას უყვარს

ნდომის გარეშე. სქესთა გაყოფამდე ადამიანის უბიწო სამ-შვინველსაც ასე უყვარდა. სწორედ იმიტომ, რომ მაშინ იგი იმყოფებოდა ჯერ კიდევ შედარებით დაბალ საფეხურზე, — სიზმრისებრი ცნობიერების საფეხურზე, — მას არ შეეძლო შეგეცნებინა; ასევე უყვარს ზეადამიანური არსების სამ-შვინველსაც, რომელსაც საკუთარი უმაღლესი განვითარების მიუხედავად, მაინც ძალუმს შეგეცნება. „ადამიანმა“ უნდა განვლოს თავისებრობა, რათა უმაღლეს საფეხურზე ხელახლა მივიდეს თავგანწირვამდე, ოდონდ უკვე სრულიად მკაფიო ცნობიერებით.

ზეადამიანური არსებების, უდიდეს ბელადთა ამოცანა სწორედ ის იყო, რომ ნორჩ ადამიანში საკუთარი თვისებები, ანუ სიყვარული ჩაენერგათ; მათ შეეძლოთ ემოქმედათ მშვინვერი ძალის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც გარეთ იყო მიმართული. ასე წარმოიქმნა გრძნობადი სიყვარული. ამიტომ არის იგი მამაკაცის ან ქალის სხეულში სამშვინველის მოღვაწეობის თანამდევი მოღვაწნა. გრძნობადი სიყვარული ადამიანის ფიზიკური განვითარებისთვის ძალად იქცა. ეს სიყვარული აერთიანებს მამაკაცსა და ქალს, ვინაიდან ისინი ფიზიკურ არსებებს წარმოადგენენ. ფიზიკური კაცობრიობის წინსვლა სწორედ ამ სიყვარულს ეფუძნება, — აღნიშნული ზეადამიანური არსებების ძალაუფლება მხოლოდ ამ სიყვარულზე კრცელდებოდა. ადამიანური მშვინვერი ძალის ის ნაწილი, რომელიც მიმართული იყო შიგნით და შემეცნებამდე შემოვლითი გზით გრძნობების მეოხებით უნდა მისულიყო, სხვა ზეადამიანურ არსებათა ძალაუფლებას არ ემორჩილებოდა. თავად ისინიც შესაბამის შინაგან ორგანოთა განვითარებამდე არასოდეს დასულან. მათ შეეძლოთ სიყვარულით აღეჭურვათ თავიანთი სწრაფვა სხეულის გარეთ, ვინაიდან გარეთ მიმართული სიყვარული თავის ქმედებაში, არსებითად მათივე საკუთარ არსს წარმოადგენდა. ეს იქცა იმ უფსეკრულის მიზეზად, რომელიც ამ არსებებსა და ნორჩ კაცობრიობას შორის გააჩნდა. თავდაპირველად მათ შეეძლოთ გრძნობადი ფორმით ადამიანში ჩაენერგათ სიყვარული, მაგრამ არ შეეძლოთ მიეცათ შემეცნება, ვინაიდან საკუთრივ მათი შემეცნება არასოდეს დასდგომია შემოვლით გზას იმ შინაგანი ორგანოების მეშვეობით, რომლებსაც ახლა ადამიანი ივითარებდა. მათ არ

ხელგწიფებოდათ საუბარი იმ ენაზე, რომელიც გასაგები იქნებოდა ტვინის მქონე არსებისთვის.

ადამიანის აღნიშნული შინაგანი ორგანოები სულთან შეხებისთვის მომწიფებინენ მიწიერი ყოფიერების იმ საფეხურზე, რომელიც ემთხვევა ლემურიის ეპოქის შუა პერიოდს, მაგრამ არასრულყოფილი სახით ისინი ერთხელ უპვე გამომუშავდნენ განვითარების გაცილებით უფრო ადრინდელ საფეხურზე; ვინაიდან სამშვინველი უკვე იმ ადრინდელ პერიოდებშიც გადიოდა ფიზიკურ განსხვაულებებს, ოღონდ მაშინ იგი ცხოვრობდა არ დედამიწაზე, არამედ სხვა ციურ სხეულებში, გამკვრივებულ ნივთიერებაში. უფრო დაწვრილებით ამაზე საუბარი შემდეგში გახდება შესაძლებელი. ახლა კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მიწიერი არსებები ადრე სხვა პლანეტაზე ცხოვრობდნენ და მასზე არსებული ცხოვრების პირობების შესაბამისად მიაღწიეს განვითარების იმ საფეხურს, რომელზეც დედამიწაზე გამოჩენისას იმყოფებოდნენ. მათ სამოსელივით მოიშორეს წინა პლანეტის ნივთიერებები და ამ გზით მიღწეული განვითარების საფეხურზე გადაიქცნენ სამშვინველის წმინდა ჩანასახებად, რომელთაც გააჩნდათ შეგრძნების, გრძნობისა და ა. შ. უნარები; ერთი სიტყვით, უნარი, ეწარმოებინათ ის სიზმრისებრი ცხოვრება, რომელიც მათ მიწიერი არსებობის პირველ პერიოდებშიც ახასიათებდათ; ჯერ კიდევ წინა პლანეტაზე ზეადამიანური არსებები, სიყვარულის სფეროს ბელადები, იმდენად სრულყოფილნი იყვნენ, რომ ამ შინაგან ორგანოთა ჩანასახების გამომუშავებამდე გარდამოსვლას უკვე ადარ საჭიროებდნენ. თუმცა იყვნენ სხვა არსებებიც, რომლებიც ისე შორს არ წასულან, როგორც სიყვარულის ეს ბელადები. ისინი ჯერ კიდევ წინა პლანეტაზე მიეკუთხნებოდნენ: „ადამიანებს“, მაგრამ მაშინ ადამიანებს გაუსწრეს. ამდენად, მართალია, ისინი დედამიწის წარმოქმნის საწყის ეტაპზე ადამიანებზე წინ იყვნენ, მაგრამ ჯერაც იმ საფეხურზე იმყოფებოდნენ, რომელზეც შემცნება შინაგან ორგანოთა მეოხებით უნდა მოეპოვებინათ. ეს არსებები განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი ძალზე მაღალგანვითარებული იყვნენ საიმისოდ, რათა ადამიანური ფიზიკური სხეული (ქალისა და მამაკაცის) გაევლოთ, მაგრამ არც იმდენად, რომ სიყვარულის ბელადების მსგავსად სრული ნათელ ხილვის გზით მოქმედება

შესძლებოდათ. სიყვარულის არსებებად ისინი ჯერ ვერ იქცეოდნენ, ხოლო „ადამიანებად“ ყოფნა უკვე აღარ შეეძლოთ. ამდენად, მათ, როგორც ნახევრად ზეაღამიანებს, მხოლოდ საკუთარი თავი უნდა განევითარებინათ, ოდონდ ადამიანთა დახმარებით. მათ შეეძლოთ ტვინის მქონე არსებებთან ესაუბრათ მათვის გასაგებ ენაზე. ეს ადამიანის შიგნით მიმართულ მშვინვიერ ძალას აგულიანებდა შემეცნებასა და სიბრძნესთან შესარწყმელად. საერთოდ, პირველად ადამიანური სიბრძნე დედამიწაზე ამის მეშვეობით ჩამოვიდა. მისით შეეძლოთ ესარგებლათ ზემოაღნიშნულ „ნახევრად ზეაღამიანებს“, რათა თავად მოეპოვებინათ ის, რაც მათ სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ აკლდათ. ასე გადაიქცნენ ისინი ადამიანური სიბრძნის შემაგულიანებლებად. ამიტომ უწოდებენ მათ სინათლის მატარებლებს (ლუციფერი). ამდენად, იმ პერიოდში კაცობრიობას ორგვარი ბელადი ჰყავდა: სიყვარულის არსებები და სიბრძნის არსებები. ადამიანური ბუნება, დედამიწაზე თავისი ამჟამინდელი ფორმის მიღებისას, სიყვარულსა და სიბრძნეს შორის მდებარეობდა. სიყვარულის არსებები მას ფიზიკური განვითარებისკენ აქეთებდნენ, სიბრძნის არსებები კი – შინაგანი არსების სრულყოფისკენ. ფიზიკური განვითარების წყალობით კაცობრიობა წინ მიდის თაობიდან თაობამდე, ქმნის ახალ ტომებსა და რასებს. ხოლო შინაგანი განვითარების მეშვეობით ცალკეული პიროვნებები აღწევენ შინაგან სრულყოფილებას და ხდებიან მცოდნე ადამიანები, ბრძენი, მხატვრები, ინჟინერები და ა. შ. ფიზიკური კაცობრიობა რასიდან რასამდე წინ მიიწევს. ფიზიკური განვითარების წყალობით თითოეული რასა მომდევნოს მემკვიდრეობით გადასცემს გრძნობადი აღქმისთვის ხელმისაწვდომ საკუთარ თვისებებს. აქ მეტყველების კანონია გაბატონებული. ბავშვები თავიანთი მამების ფიზიკურ თვისებებს მემკვიდრეობით იღებენ. ამის შემდეგ მოდის სულიერ-მშვინვიერი სრულყოფილების სფერო, რომლის წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ საკუთრივ სამშვინველის განვითარების გზით, რომელსაც მიწიერი არსებობის ფარგლებში სამშვინველის განვითარების კანონამდე მივყავართ. იგი დაკავშირებულია შობისა და სიკვდილის კანონებთან და საიდუმლოსთან.

## უკანასკნელი პერიოდი სქმსებად დაყოფის წინ

ახლა უნდა აღვწეროთ ადამიანის მდგომარეობა მისი მამაკაცად და ქალად დაყოფამდე. მაშინ სხეული რბილი, პლასტიკური მასისაგან შედგებოდა. ნებელობას მასზე გაცილებით დიდი ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე გვიანდელ ადამიანში. საკუთარი მშობლის არსებისგან გამოცალკევების შემდეგ ადამიანი უკვე წარმოადგენდა ჯერ კიდევ არასრულყოფილ, მაგრამ დანაწევრებულ ორგანიზმს. მისი ორგანოების შემდგომი განვითარება უკვე მშობლის არსების გარეშე ხორციელდებოდა. მაშინ ბევრი რამ, რაც შემდეგში მწიფდებოდა დედის არსების შიგნით, სრულყოფილებას მის გარეთ იძენდა იმ ძალთა მეშვეობით, რომლებიც ჩვენს ნებელობით ძალებს ენათესავებოდა. ამგვარი გარეგანი მომწიფებისთვის აუცილებელი იყო უდიდესი მზრუნველობა წინაპართა არსებებისაგან. ადამიანი ქვეყანას ევლინებოდა ზოგიერთი ისეთი ორგანოთი, რომელსაც შემდეგ იცილებდა. სხვა ორგანოებს, რომლებიც მისი პირველი გაჩენისას ჯერ კიდევ არ იყო მოლად სრულყოფილი, თანდათან გამოიმუშავებდა. მთელ ამ პროცესში იყო ისეთი რამ, რაც შესაძლოა შევადაროთ კვერცხისებრი ფორმისგან გამოთავისუფლებასა და კვერცხის გარსის მოცილებას. ოღონდ აქ კვერცხის მყარი ნაჭუჭი არ უნდა წარმოვიდგინოთ.

ადამიანის სხეული თბილსისხლიანი იყო. ამის ხაზგასმა აუცილებელია, ვინაიდან, როგორც შემდეგ დავინახავთ, უფრო ადრინდელ პერიოდებში ცვლილება სხვანაირად მიმდინარეობდა. დედის არსების გარეშე მომწიფება ასევე გარედან მომდინარე გაძლიერებული სითბოს ზეგავლენით ხორციელდებოდა. თუმცა, ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ ეს იყო ადამიანი – კვერცხის გამოჩეკა. შემოკლების მიზნით შეიძლება მას ასეც ვუწოდოთ. სითბური და ცეცხლოვანი პირობები მაშინ დედამიწაზე განსხვავდებოდა, გვიანდელ პერიოდთან შედარებით. საკუთარი ძალებით მაშინ ადამიანს შეეძლო ცეცხლის ან სითბოს განთავსება რაიმე განსაზღვრულ სივრცეში. მას შეეძლო, ასე ვთქვათ, თავი მოეყარა (კონცენტრირებით) სითბოსთვის. ამის წყალობით მას შეეძლო პატარა არსებისთვის ეწილადებინა მომწიფებისთვის აუცილებელი სითბო.

იმ დროს ადამიანს ყველაზე განვითარებული ჰქონდა სამოძრაო ორგანოები. გრძნობის ამჟამინდელი ორგანოები მაშინ სრულიად განუვითარებული იყო. განვითარების თვალსაზრისით სხვებზე მაღლა იდგა სმენის, სიობოსა და სიცივის აღქმის ორგანოები (შეგრძნების ორგანო); სინათლის აღქმა ჯერ ძალზე ჩამორჩებოდა. ადამიანი ქვეყანას ევლინებოდა სმენისა და შეხების შეგრძნებით, ხოლო სინათლის აღქმა განვითარდა მოგვიანებით.

ყოველივე, რასაც აქ ვეხებით, განეკუთვნება იმ უკანასკნელ პერიოდს, რომელიც წინ უსწრებდა სქესებად დაყოფას. ეს უკანასკნელი ნელა, თანდათან ხორციელდებოდა. ამ მოქნების რეალურად დადგომამდე ადამიანთა განვითარება უკვე ისე მიედინებოდა, რომ ერთი ინდივიდი იბადებოდა უფრო მამაკაცის, მეორე კი, ქალის თვისებებით. თუმცა თითოეულ ადამიანს იმავდროულად გააჩნდა საბირისპირო სქესის თვისებებიც, ასე რომ, შესაძლებელი ხდებოდა თვითგანაყოფიერებაც, მაგრამ არა ყოველთვის, რადგან დამოკიდებული იყო გარეგანი პირობების ზემოქმედებაზე წლის განსაზღვრულ პერიოდებში. საერთოდ, ადამიანი, სხვადასხვა თვალსაზრისით, მსგავს გარეგან პირობებზე ძალზე ძლიერ იყო დამოკიდებული. ამიტომ მთელი თვისი აგებულება მას უნდა შეეხამებინა ამ გარეგანი პირობების-თვის, მაგალითად, მზისა და მთვარის მოძრაობისთვის, ოღონდ ეს შეხამება ხორციელდებოდა არა ცნობიერად, ამ სიტყვის დღვენდელი გაგებით, არამედ იმგვარად, რომ მას შეიძლება ეწოდოს უფრო ინსტინქტური, რაც უკვე მიუთითებს იმჟამინდელი ადამიანის შშვინვიერ ცხოვრებაზე.

ამ შშვინვიერ ცხოვრებას არ შეიძლება ნამდვილი შინაგანი ცხოვრება ვუწოდოთ. სხეულებრივი და მშვინვიერი მოღვაწეობა თუ თვისებები ერთმანეთისგან ჯერ კიღევ მკაცრად არ იყო გამიჯნული. სამშვინველი ცხოვრობდა ბუნებასთან ერთად, თავისი გარეგანი ცხოვრებით. გარემომცველი სამყაროს თითოეული რყევა განსაკუთრებით ძლიერ მოქმედებდა სმენის გრძნობაზე. „ისმოდა“ ჰაერის ნებისმიერი რხევა, გარემომცველი სამყაროს ნებისმიერი მოძრაობა. საკუთარ მოძრაობებში ჰაერი და წყალი ადამიანისთვის „მკაფიო“ „მეტყველებას“ ქმნიდა. ეს იყო ბუნებაში არსებული იდუმალი თრთოლისა და იმ ცხოვრების აღქმა, რომელიც ადამიანს ამგვარად მსჭვალავდა. ეს თრთოლა და

ცხოვრება მის სამშვინველშიც პოულობდა გამოძახილს. ადამიანის საქმიანობაც ამ ზემოქმედებათა გამოძახილს წარმოადგენდა. ბეჭრათა აღქმები მას საკუთარ საქმიანობაში გადაკქონდა. იგი ცხოვრობდა მსგავს ბეჭრით მოძრაობებში და მათ საკუთარი ხებელობის დახმარებით გამოხატავდა. ასე ასრულებდა ადამიანი თავის ყოველდღიურ სამუშაოს. გაცილებით სუსტი იყო მასზე იმ ზემოქმედებათა გავლენა, რომლებიც შეხებით გადაეცემოდა. მიუხედავად ამისა, ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. საკუთარ სხეულში იგი „გრძნობდა“ გარემომცველ სამყაროს და ამის შესაბამისად მოქმედებდა. ამ შეხებითი შთაბეჭდილებებისგან იცოდა, როდის და სად ემუშავა. მათგან იცოდა, თუ სად უნდა დასახლებულიყო; მათგანვე იგებდა იმ საშიშროებებზე, რომლებიც მის ცხოვრებას ემუქრებოდა და ამ საშიშროებებს გაურბოდა. საკვების მიღებასაც მათ უსადაგებდა.

გვიანდელთან შედარებით, შემდგომი მშვინვიერი ცხოვრებაც სულ სხეგაგარად მიეღინებოდა. სამშვინველში არსებობდა გარეგან საგანთა სურათ-ხატები და არა წარმოდგენები მათზე. მაგალითად, როცა ადამიანი შედარებით ცივი სათავსიდან უფრო თბილში გადადიოდა, მის სამშვინველში ჩნდებოდა გარკვეული სახის ფერადოვანი სურათ-ხატი. მას არაფერი პქონდა საერთო რომელიმე გარეგან საგანთან. იგი ნებელობის მონათესავე რომელიდაც შინაგანი ძალიდან წარმოიშობოდა. ასეთი სურათ-ხატები განუწყვეტლივ ავსებდნენ ადამიანის სამშვინველს. მთლიანად ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ადამიანის სიზმრისებრ წარმოდგენათა მიქცევასა და მოქცევას; საქმე ის არის, რომ მაშინ სურათ-ხატები მოუწესრიგებელი კი არ იყო, არამედ – კანონზომიერი. ამიტომ, კაცობრიობის განვითარების ამ საფეხურზე საჭიროა ვისაუბროთ არა სიზმრისებრ, არამედ ხატოვან ცნობიერებაზე – უპირატესად ფერადოვანი სურათ-ხატებით აღსავსე ცნობიერებაზე, რომელთა მსგავსიც ერთადერთი არ იყო. ასე დაეხეტებოდა ადამიანი დედამიწაზე და სმენისა და შეხების მეშვეობით განიცდიდა სამყაროსეულ მოვლენებს, ხოლო მისი მშვინვიერი ცხოვრება მასში ამ სამყაროს ასახავდა იმგვარ სურათ-ხატებში, რომლებიც გარე სამყაროში არსებულს სრულებითაც არ ჰგავდა. სიხარული და მწუხარება ამ მშვინვიერი სურათ-ხატებს გაცილებით ნაკლებად უკავშირდებოდა, ვიდრე დღევანდელი ადამი-

ანის მიერ გარე სამყაროს აღქმის გამომხატველ წარმოდგენებს. ერთი აღუძრავდა სიძულვილს, მეორე კი – სიყვარულს. მაგრამ ეს გრძნობები უფრო მეტად უფერულ ხასიათს ატარებდა; ამის საწინააღმდეგოდ ძლიერ გრძნობათა გამოწვევა სხვაგვარად ხდებოდა. ადამიანი მაშინ გაცილებით უფრო მოძრავი, ქმედითუნარიანი იყო, ვიდრე – მოგვიანებით და გარემომცველ სამყაროში ყოველივე, სურათ-ხატების ჩათვლით, საქმიანობისა და მოძრაობისკენ უბიძგებდა. ადამიანი საკუთარი საქმის დაუბრკოლებლად დაძლევისას კმაყოფილებას განიცდიდა; ხოლო, როცა მისი ქმედება რაიმე მხრიდან დაბრკოლებას აწყდებოდა, მას უკმაყოფილება და წყენა ეტყობოდა. წინააღმდეგობების არსებობა და არასებობა განსაზღვრავდა ადამიანის ნებელობისთვის თავისივე ცხოვრების გრძნობათა შინაარსს, მის სიხარულსა და ტანჯვას. სიხარული თუ ტანჯვა მის სამშვინველში წყდებოდა თავისი რიგის მიხედვით, მისივე სურათ-ხატების ცოცხალ სამყაროში. როცა ადამიანს შეეძლო გახსნილიყო სრულიად თავისუფლად, მასში ნათელი, მკაფიო, ბრწყინვალე სურათ-ხატები მკვიდრდებოდა. ხოლო, როცა საკუთარ ქმედებებში იზღუდებოდა, მის სამშვინველში პირქუში, მახინჯი სურათ-ხატები ჩნდებოდა.

აქამდე აღწერილი, კაცობრიობის ძირითად მასას ეხბოდა. სულ სხვაგვარად მიედინებოდა მშვინველი ცხოვრება იმ არსებებში, რომლებიც გარკვეულწილად ზეადამიანურ არსებათა დონემდე ამაღლდნენ. (იხ. გვ. 65) მშვინველი ცხოვრება მათში ინსტინქტურ ხასიათს არ ატარებდა. სმენითა და შეხებით ისინი აღიქვამდნენ ბუნების უღრმეს საიდუმლოებს, რომელთა განმარტებაც ცნობიერად შეეძლოთ. ქარის ზუზუნსა თუ ფოთლების შრიალში მათ ეხსნებოდათ კანონები, ბუნების სიბრძნე. მათი სამშვინველის სურათ-ხატებში მოცემული იყო არა მარტო გარე სამყაროს ანარეკლი, არამედ სამყაროში სულიერ ძალთა გამოსახულებაც. ისინი გრძნობად საგნებს კი არ აღიქვამდნენ, არამედ – სულიერ არსებებს. მაგალითად, ჩვეულებრივი ადამიანი განიცდიდა შიშს და მის სამშვინველში მახინჯი, პირქუში სურათ-ხატები ჩნდებოდა. ზეადამიანური არსება ასეთი სურათ-ხატებიდან იღებდა ინფორმაციასა და გამოცხადებას სამყაროს სულიერ არსებებზე. ბუნების პროცესები მას არ ეჩვენებოდა ბუნებისავე მკვდარ კანონებზე დამოკი-

დებულად (როგორადაც თანამედროვე მეცნიერი აღიქვამს), არამედ – სულიერ არსებათა ქმედებად წარმოუდგებოდა. გარეგანი რეალობა ჯერ კიდევ არ არსებობდა, რადგან გარე გრძნობები ჯერ არ არსებობდა; უზენაეს არსებებს კი სულიერი რეალობა ეხსნებოდათ. მათში სული ისევე აფრქვევდა საკუთარ სხივებს, როგორც თანამედროვე ადამიანის ფიზიკურ თვალში დვრის მზე საკუთარ სხივებს. ამ არსებებში შემეცნება, თავისი სრული მნიშვნელობით, გახლდათ ის, რასაც შეიძლება ინტეიციური ცოდნა ეწოდოს. მათ არ შეეძლოთ სულიერ არსებათა შემოქმედების განცდა და განსჯა, არამედ მას მხოლოდ უშუალოდ ჭრებდნენ. ამიტომ ეს ზეადამიანური არსებები სულიერი სამყაროდან ნაუწყებს საკუთარი ნებელობით აღიქვამდნენ. დანარჩენ ადამიანებს ისინი ცნობიერად სელმძღვანელობდნენ. ხოლო საკუთარ მისიას იდგებდნენ სულიერი სამყაროდან და მის შესაბამისად მოქმედებდნენ.

როდესაც დადგა სქესთა გაყოფის ჟამი, ამ არსებებს თავიანთი ამოცანა უნდა დაეხახათ ახალ ცხოვრებაზე საკუთარი მისის სულისკვეთებით ზემოქმედებაში. მათგან მოდიოდა სქესობრივი ცხოვრების მოწყობა. მათგანვე დაედო დასაბამი კაცობრიობის გამრავლებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ პრინციპს. ამასთან, ისინი სავსებით ცნობიერად მოქმედებდნენ; სხვა ადამიანებს ეს ზემოქმედება შეიძლება შეეგრძნოთ, როგორც მათში ჩანერგილი ინსტინქტი. სქესობრივი სიყვარული ადამიანში ჩაინერგა აზრის უშუალო გადაცემით; თავდაპირველად მისი ყოველგვარი გამოვლინება ძალზე კეთილშობილურ ხასიათს ატარებდა. ყოველივე, რამაც ამ სფეროში ულამაზო, უზნეო სახე მიიღო, მომდინარეობს გვიანდელი პერიოდიდან, როდესაც ადამიანი გახდა დამოუკიდებელი და პირველქმნილი წმინდა ლტოლვა დაამახინჯა. სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილება იმ უძველეს დროში თვითმიზანს არ წარმოადგენდა. იქ ყოველივე არსებობდა, როგორც მსხვერპლ შეწირვა კაცობრიობის ყოფიერების გასაგრძელებლად. გამრავლებას უყურებდნენ, როგორც რაღაც სიწმინდეს, მსახურებას, რომელიც ადამიანს სამყაროსთვის უნდა მიეძღვნა. ამ სფეროს სელმძღვანელებსა და კანონმდებლებს ქურუმები წარმოადგენდნენ.

სულ სხვაგვარი იყო ნახევრად ზეადამიანურ არსებათა (იხ. ზემოთ გვ. 65/66) ზემოქმედებანი. ისინი არ იყვნენ საკ-

მარისად განვითარებული საიმისოდ, რომ სულიერი სამყაროს გამოცხადებანი აბსოლუტური სიწმინდით მიეღოთ. სულიერი სამყაროს მსგავს შთაბეჭდილებათა გვერდით მათ-სავე მშვინვიერ სურათ-ხატებში გრძნობადი დედამიწის ზე-მოქმედებაც ჩნდებოდა. ზეადამიანური არსებები გარე სამყაროდან (სიტყვის სრული მნიშვნელობით) არანაირ სიხარულსა და ტანჯვას არ განიცდიდნენ. ისინი მთლიანად ეძლეოდნენ სულიერ ძალთა გამოცხადებებს. სიბრძნე მათში ისევე იღვრებოდა, როგორც სინათლე იღვრება გრძნობად არსებებში. მათი ნებელობა მიმართული იყო მხოლოდ ამ სიბრძნის სულისკვეთებით მოქმედებისკენ. მათ ეს მოღვაწეობა უდიდეს სიხარულს ანიჭებდა. მთელი მათი არსება სიბრძნის, ნებელობისა და მოქმედებისგან შედგებოდა. ნახევრად ზეადამიანურ არსებებში კი ყოველივე სხვაგვარად ხდებოდა. ისინი მიიღოვნენ გარე შთაბეჭდილების მიღებისკენ და მის დაცმაყოფილებას უკავშირებდნენ სიხარულს, ხოლო შეუსრულებლობას – უკავშირებდნენ. ამით განსხვავდებოდნენ ისინი ზეადამიანური არსებებისგან; ამ უკანასკნელთათვის გარედან მიღებული შთაბეჭდილებები მხოლოდ სულიერ გამოცხადებათა დასაბუთებას წარმოადგენდა. სამყაროს ხედვისას ისინი სხვას არაფერს ამჩნევდნენ, გარდა იმ სურათ-ხატის ანარეკლისა, რომელიც მათ უკვე მიიღეს სულისგან. ნახევრად ზეადამიანური არსებები თავისთვის რაღაც ახალს იგებდნენ. ამიტომაც შეძლეს მათ გამხდარიყვნენ ხალხთა ბელადები, ვინაიდან ადამიანთა სამშვინველების უბრალო სურათ-ხატები მათთვის გამოსახულებებად, გარეგან საგანთა წარმოდგენებად იქცა. ეს მოხდა მაშინ, როცა ადრეული კაცობრიობის გამრავლების ძალთა ნაწილი შიგნით მიმართეს, როცა განვითარდნენ ტვინის მქონე არსებები. მაშინ ადამიანმა ტვინთან ერთად გარეგრძნობად შთაბეჭდილებათა წარმოდგენებში გარდასახვის უნარიც განივითარა.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ ნახევრად ზეადამიანურმა არსებებმა ადამიანი მიიყვანეს საკუთარი შინაგანი ცხოვრების გარეგრძნობად სამყაროსკენ წარმართვამდე. მას არ შეეძლო საკუთარი მშვინვიერი სურათ-ხატები წმინდა სულიერი ზეგავლენებისთვის უშუალოდ გადაეშალა. ზეადამიანური არსებებისგან ადამიანმა მიიღო საკუთარი არსებობის გაგრძელების უნარი, რომელიც მასში ისტინქტურ ლტოლ-

ვათა ფორმით ჩაინერგა. ნახევრად-ზეადამიანურ არსებათა ჩარევის გარეშე ადამიანს უკვე სულიერად მოუწევდა სიზ-მრისებრი არსებობის გაგრძელება. მათი ზემოქმედების წყალობით კი მისი მშვინვიერი სურათ-ხატები მიიმართა გარეგრძნობადი სამყაროსკენ. იგი გადაიქცა არსებად, რომლიც გრძნობად სამყაროში საკუთარ თავს აცნობიერებდა. ამით შესაძლებელი გახდა, რომ ადამიანს საკუთარ ქმედებებში გრძნობადი სამყაროს აღქმებით ცნობიერად ეხელ-მძღვანელა. ადრე მისი მოქმედება გარკვეული სახის ინ-სტინქტებით იყო განპირობებული. იგი გარემომცველი გარე სამყაროს გავლენისა და მასზე უფრო დიდი ინდივიდუალობების ძალთა ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ახლა კი საკუთარი წარმოდგენებისგან აღმრული განზრახვებისა და ცდუნებების აყოლა დაიწყო. ამან გამოიწვია სამყაროში ადამიანური თვითნებობის გაჩენაც. ეს იყო „სიკეთისა და ბოროტების“ დასაწყისი.

სანამ ამ მიმართულებით წინ წაგიწევდეთ, საჭიროა ორი-ოდე სიტყვა ითქვას ადამიანის დედამიწისეულ გარემოცვა-ზე. ადამიანის გვერდით არსებობდნენ ცხოველები, რომლებიც თავის სახეობაში განვითარების იმავე საფეხურზე იმყოფებოდნენ, როგორზეც – ადამიანი. თანამედროვე ცნებებით მათ, ალბათ, ქვეწარმავლებს მიაკუთვნებდნენ. მათ გარდა ცხოველური სამყაროს უფრო დაბალი ფორმებიც არსებობდნენ; ადამიანი და ცხოველები ერთმანეთისგან არსები-თად განსხვავდებოდნენ. საკუთარი სხეულის პლასტიკურობის გამო ადამიანს შეეძლო ეცხოვრა მხოლოდ დედამიწის იმ ადგილებში, რომლებიც უხეშ საგნობრივ მდგომარეობაში ჯერ კიდევ არ იყო გადასული და იქ მათთან ერთად ბინად-რობდნენ პლასტიკური სხეულის მქონე ცხოველური არსებებიც. სხვა ადგილებში კი ბინადრობდნენ ცხოველები, რო-მელთაც სხეული უკვე გამკვრივებული ჰქონდათ და გარდა ამისა, განვითარებული გრძნობის ორგანოები და ერთსქესია-ნი აგებულება გააჩნდათ. თუ საიდან მოვიდნენ ისინი – მომ-დევნო ინფორმაციებში გაირკვევა. ამ არსებებს აღარ შეეძლოთ შემდგომი განვითარება, რადგან მათმა სხეულებმა უფრო მკვრივი საგნობრიობა მეტისმეტად ადრე შეითვისეს. შემდეგში მათგან ზოგიერთი სახეობა დაიღუპა. სხვები კი თავისებური სახით ვითარდებოდა, თითქმის ამჟამინდელ ფორმებამდე. ადამიანმა უმაღლეს ფორმებს მიაღწია იმის

წყალობით, რომ დარჩა იმ ადგილებში, რომელიც მის მაშინ-დელ თვისებებს შეესაბამებოდა. ამის მეშვეობით შეინარჩუნა მისმა სხეულმა ისეთი მოქნილობა და სირბილე, რომ საკუთარი არსებიდან გამოყო თრგანოები, რომელთაც სულით განაყოფიერება შეეძლოთ. მისი გარეგანი სხეული უკვე იმდენად იყო განვითარებული, რომ უფრო მკვრივ საგნობრიობაში გადადიოდა და ამით დამცველ გარსს ქმნიდა სულის უფრო ფაქიზი ორგანოებისთვის, მაგრამ ამ საფეხურს უველა ადამიანურმა სხეულმა ვერ მიაღწია. ცოტა იყო ისეთი სხეულები, რომლებმაც სხვებს გაასწრეს. ისინი გააცოცხლა სულმა, სხვები კი – არა. მათში სული რომ შეჭრილიყო, მაშინ ჯერ კიდევ არასრულყოფილ შინაგან თრგანოთა ძალით ის მხოლოდ არასაკმარისად გაიხსნებოდა. ეს ადამიანური არსებები ჯერჯერობით სულის გარეშე უნდა განვითარებულიყვნენ. მესამე სახეობის ადამიანები იმდენად იყვნენ განვითარებულნი, რომ სულის ზემოქმედება მათში მხოლოდ ოდნავ კლინდებოდა. მათი სულიერი მოღვაწეობა ბუნდოვანი რჩებოდა. ისინი უმაღლეს სულიერ ძალებს უნდა წარემართათ. ადამიანთა ამ სამ სახეობას შორის მრავალნაირი გადასვლა არსებობდა. შემდგომი განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის საშუალებით, რომ ადამიანურ არსებათა ნაწილმა უმაღლეს საფეხურს სხვების ხარჯზე მიაღწია. თავდაპირველად საჭირო გახდა, გაეწირათ ისინი, რომლებსაც სული საერთოდ არ გააჩნდათ. გამრავლების მიზნით მათთან შერწყმა უფრო განვითარებულებსაც კი მათი განვითარების დონემდე დაიყვანდა. ამიტომ, ყოველივე, რასაც სულის აღქმა შეეძლო, მათგან გამოცალკევდა. ამის შედეგად ისინი სულ უფრო და უფრო დაბლა, ცხოველურ საფეხურამდე ეშვებოდნენ. ამდენად, ადამიანთან ერთად წარმოიქმნენ ადამიანის მსგავსი ცხოველებიც. საკუთარი განვითარების გზაზე ადამიანმა უკან ჩამოიტოვა, ასე ვთქვათ, თანამოძმეთა ნაწილი, რათა თავად წინ წასულიყო; მაგრამ ეს პროცესი ჯერ სულაც არ იყო დასრულებული. იმ ადამიანთა შორის, რომლებიც სულის ბუნდოვანი ცხოვრებით არსებოდნენ, უფრო მაღალგანვითარებულებს უმაღლეს არსებებთან ურთიერთობა იზიდავდათ, ისინი სულით ნაკლებად გამსჭვალულებს გამოყოფილნენ და წინ მიდიოდნენ. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ მათ განევითარებინათ სხეული, რომელიც ადამიანური სულის მისაღებად სრულ მზადყოფ-

ნაში იქნებოდა. ფიზიკურმა განვითარებამ კი გარკვეული დროის შემდეგ ისეთ საფეხურს მიაღწია, რომელიც ამ მიმართულებით თითქოს ერთგვარად შეფერხდა, მაგრამ გარკვეული ზღვრის გადალახვის შემდეგ ყოველივე ადამიანურ სფეროში დარჩა. ამ დროისათვის საცხოვრებელი პირობები დედამიწაზე იმდენად შეიცვალა, რომ შემდგომი უკანდახევის შემთხვევაში უკვე ცხოველის მსგავსს კი არა, საერთო ცხოვრებისთვის სრულიად უუნარო არსებებს მივიღებდით. ის, რაც ცხოველის დონემდე დაეშვა, მთლიანად გადაშენდა ან აგრძელებს ცხოვრებას სხვადასხვა უმაღლეს ცხოველში. ამდენად, ამ ცხოველებში ჩვენ უნდა დავინახოთ ის არსებები, რომლებიც ადამიანის განვითარების ადრეულ საფეხურზევე იძულებით ჩამორჩნენ. ოდონდ მათ ვერ შეინარჩუნეს ის ფორმა, რომელიც გამოყოფისას გააჩნდათ და უმაღლესი საფეხურიდან დაბალზე დაეშვნენ. გარდასული ეპოქის ასეთ ადამიანებს წარმოადგენდნენ მაიმუნები, რომლებიც უკუ განვითარდნენ; ისევე, როგორც ადამიანი იყო ოდესლაც უფრო განუვითარებელი, ისინიც ამჟამინდელზე უფრო სრულყოფილი იყვნენ. ადამიანურის სფეროში დარჩენილმაც მსგავსი პროცესი განვლო, ოდონდ მხოლოდ ამ ადამიანურობის ფარგლებში. ამიტომ ზოგიერთ ველურ ხალხში ჩვენ უნდა დავინახოთ ადამიანურ ფორმათა ის გადაშენებული შთამომავლობა, რომელიც ოდესლაც უფრო მაღლა იდგა. ისინი არ დაშვებულან ცხოველის დონემდე, არამედ მხოლოდ გაველურდნენ.

ის, რაც ადამიანში უკვდავია – ესაა სული. უკვე ითქვა, თუ როდის შევიდა სული სხეულში. მანამდე სული სხვა სფეროებს განეკუთვნებოდა. მას შეეძლო სხეულს შეერთებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა განვითარების გარკვეულ საფეხურს მიაღწია. როდესაც მთელი სისრულით ჩავწვდებით, თუ როგორ განხორციელდა ეს შეერთება, მხოლოდ მაშინ გავიგებთ შობისა და სიკვდილის მნიშვნელობას, ისევე, როგორც შევიცნობთ მარადიული სულის არსს.

„აკაშა-ქრონიკის“ მომდევნო თავები გვატრუნებენ იმ დროში, რომლებიც წინ უსწრებდა აქამდე აღწერილს. შესაძლოა, თანამედროვე მატერიალისტურ აზროვნებასთან მიმართებით ამ ცნობების გადმოცემა წინა თავებში მოწოდებულზე უფრო სარისკო აღმოჩნდეს. ჩვენს დროში ამ საკითხებთან დაკავშირებით ყოველთვის გვსაყვედურობენ ფანტასტიკით გატაცებას და გვაბრალებენ უსაფუძლო სპეცულაციას. როდესაც იცი, თუ რამდენად შორს დგას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, – ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, – გათვითცნობიერებული ადამიანი ამ მოსაზრებებისადმი თუნდაც მხოლოდ სერიოზულ დამოკიდებულებასთან, მაშინ მათ ამ ინფორმაციისადმი ინტერესი შეიძლება გაუდვივოს მხოლოდ იმის შეგნებამ, რომ ყოველივეს სულიერ გამოცდილებასთან აბსოლუტურ ჰარმონიაში გადმოსცემ. აქ არაფერია ნათქვამი, რაც საგულდაგულოდ არაა გადამოწმებული სულისმეცნიერების სამუალებებით. დავ, ბუნებისმეტყველი ისეთივე ტოლერანტული იყოს სულისმეცნიერებისადმი, როგორც ეს უკანასკნელია საბუნებისმეტყველო-მეცნიერული აზროვნებისადმი (იხ. ჩემი წიგნი: „სამყაროსა და ცხოვრების განჯვრება XIX საუკუნეში“, რომელშიც, ჩემი აზრით, ვაჩვენე, რომ შემიძლია მატერიალისტურ-საბუნებისმეტყველო შეხედულების ჯეროვნად დაფასება)<sup>2</sup>. ხოლო სულისმეცნიერული შეხედულებებისადმი კეთილგანწყობილთათვის მსურს კიდევ ერთი, ამჯერად ახალ ცნობებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული შენიშვნა გავაკეთო. შემდგომში საუბარი გვექნება განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომლებიც დიდი ხნის წინანდელ პერიოდს ეხება. აკაშა-ქრონიკის ამ ნაწილის განხილვა სულაც არ არის იოლი. მისი ავტორი სრულებითაც არ მოითხოვს ავტორიტეტისადმი რაიმე რწმენას. მას სურს, მხოლოდ ის გაუწყოთ, რის კვლევასაც

<sup>2</sup> 1914 წელს ამას მოჰყვა ახალი გამოცემა, „ფილოსოფიის გამოცანები, წარმოდგენილი მისი ისტორიის მიმოხილვით“ (იხ. რედოლფ შეაინერის მემკვიდრეობის კატალოგი: GA 18. 1990 წ. დორნახი, შვეიცარია), რომელიც შევსებული იყო ნაშრომით: „დასავლური ფილოსოფიის წინაისტორია და მისი მიმდინარეობა თანამედროვე პერიოდამდე“.

უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა. მისთვის სასიამოვნო იქნება საქმის ცოდნაზე დაფუძნებული ნებისმიერი შესწორება. იგი თავს ვალდებულად თვლის, გადმოსცეს კაცობრიობის განვითარების ამ მოვლენათა ისტორია, ვინაიდან ამისკენ უბიძებს დროის ნიშნები. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი იყო დროის დიდი შეაღედის აღწერა, რათა იგი ერთბაშად განეხილათ. ამჟამად მხოლოდ მინიშნებებით ნათქვამ მრავალ საკითხზე შემდეგში დაწვრილებით ვისაუბრებთ. ძალზე მნელია „აკაშა-ქრონიკაში“ აღბეჭდილის გადმოცემა ჩვეულებრივი სასაუბრო ენით. მათი გადმოცემა ითლი იქნებოდა ოკულტურ სკოლებში მიღებულ ნიშანთა სიმბოლური ენით, მაგრამ მისი გახსნა ჯერ კიდევ ნებადართული არ არის. ამიტომ, დაკ, მკითხველი შეეგუს ზოგიერთ ბუნდოვან და მნელად აღსაქმელ ადგილებს და შეეცადოს, შეძლებისდაგვარად ჩასწვდეს მათ, მსგავსად ავტორისა, რომელიც ცდილობდა, ისინი ყველასთვის გასაგებად გადმოეცა. კითხვისას წარმოქმნილ სირთულეს უკუგბა მაშინ ექნება, როდესაც ადამიანი მზერას მიაპყრობს იმ უდრმეს საიდუმლოებს, კაცობრიობის უმნიშვნელოვანებს გამოცანებს, რომლებზეც აქაა მინიშნებული; ვინაიდან ადამიანის ჰეშმარიტი თვითშემეცნება ამოიზრდება ასევე ამ „აკაშას მონახაზებიდან“, რომელიც ოკულტური მკვლევრისთვის ისეთივე მყარ რეალობას წარმოადგენს, როგორც მთები და მდინარეები – გრძნობადი თვალისთვის. ცხადია, აღქმაში შეცდომა აქაც ისევე დასაშვებია, როგორც – იქ. აუცილებელია, მივუთითოთ აგრეთვე, რომ მოცემულ ფრაგმენტში თავდაპირველად საუბარია მხოლოდ ადამიანის განვითარებაზე. ცხადია, მასთან ერთად ვითარდება ბუნების სხვა სამეფოც: მინერალური, მცენარეული, ცხოველური. უახლოეს ფრაგმენტებში სწორედ ამაზე ვისაუბრებთ. საუბარი მოგვიწევს ბევრ ისეთ რამეზე, რომელიც ადამიანის შესახებ ჩვენს განმარტებებსაც უფრო გასაგებს გახდის. მაგრამ სულისმეცნიერული თვალსაზრისით არ შეიძლება პირუკუ ვისაუბროთ სხვა მიწიერ სამეფოთ განვითარებაზე მანამ, სანამ ადამიანის თანდათანობით განვითარებას არ აღვწერთ.

\*\*\*

თუ მივუბრუნდებით დედამიწის განვითარებას კიდევ უფრო შორეულ წარსულში, ვიდრე წინა ფრაგმენტებში

იყო მოცემული, მივუახლოვდებით ჩვენი ციური სხეულის ნივთიერებათა კიდევ უფრო ფაქტზე მდგომარეობებს. მოგვიანებით გამკვრივებული ნივთიერებები ადრე იმყოფებოდნენ თხევად მდგომარეობაში, გაცილებით ადრე კი – გაზისა და ორთქლისებრ, ხოლო უფრო ღრმა წარსულში – უფაქტზეს (ეთერულ) მდგომარეობაში. ნივთიერებათა გამკვრივება მხოლოდ სითბოს შემცირებამ გამოიწვია. აქ საჭიროა, ჩვენი მიწიერი ადგილსამყოფლის ნივთიერებათა ყველაზე ფაქტზე ეთერულ მდგომარეობას დავუბრუნდეთ. ადამიანმა დედამიწაზე მხოლოდ მაშინ შემოაბიჯა, როცა დედამიწა განვითარების ამ სტადიაში იმყოფებოდა. ადრე იგი ეპუთვნოდა სხვა სამყაროებს, რომლებზეც მოგვიანებით ვისაუბრებო. საჭიროა მივუთითოთ უშუალო წინამორბედზე. ეს იყო ე.წ. ასტრალური ანუ მშვინვიერი სამყარო. ამ სამყაროს არსებები გარეგან (ფიზიკურ) სხეულებრივად არ არსებობდნენ. ასევე იყო ადამიანიც, რომელსაც წინა მიმოხილვაში ნახსენები ხატოვანი ცნობიერება უკვე გამომუშავებული პქონდა. მას გააჩნდა გრძნობები, სურვილები, მაგრამ ეს ყოველივე მშვინვიერ სხეულში იყო მოქცეული. ასეთი ადამიანის ადგმა მხოლოდ ნათელმხილველური მზერით შეიძლებოდა. ცხადია, ამგვარ ნათელხილვას იმდროინდელი შედარებით მაღალგანვითარებული ადამიანური არსებები ფლობდნენ. თუმცა ეს ნათელხილვა სრულიად ბუნდოვანი იყო და სიზმარს წააგადა. ეს არ იყო თვითცნობიერი ნათელხილვა. გარდეს ული თვალსაზრისით ეს ასტრალური არსებები ადამიანის წინაპრებს წარმოადგენდნენ. რასაც ახლა „ადამიანურს“ უწოდებენ, თავის თავში უკვე თვითცნობიერ სულს ატარებს. ეს სული ამ წინაპრიდან ლემურიის შუა პერიოდში წარმოქნილ არსებას შეუერთდა (წინა ფრაგმენტებში ამ შეერთებაზე უკვე ვისაუბრეთ. ადამიანთა წინაპრების განვითარების მსვლელობის გადმოცემისას, როცა ამ ეპოქამდე მივალთ, მას კიდევ ერთხელ დეტალურად განვიხილავთ). ადამიანის ეს მშვინვიერი ანუ ასტრალური წინაპრები დამკვიდრდნენ ფაქტზე ანუ ეთერულ დედამიწაში. ისინი თითქოს ღრუბლის მსგავსად, უხეშად რომ ვთქათ, იწოვდნენ ფაქტზე ნივთიერებას და მისით ამგვარად განმსჭვალვის შედეგად საკუთარ ეთერულ სხეულს ქმნიდნენ. ამ უკანასკნელთ მოგრძო ელიფსური ფორმა პქონდათ. თუმცა ნივთიერებათა ნაზ ელფერში უკვე იკვე

თებოდა ასოებისა და სხვა, შემდგომში წარმოქმნილ ორგანოთა, ჩანასახებიც. ამ მასაში მთელი პროცესი მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიური იყო; ამასთან, მართვადიც და სამშვინველს ექვემდებარებოდა. როდესაც ნივთიერების ამგვარი მასა აღწევდა განსაზღვრულ სიდიდეს, იგი ორ ნაწილად იყოფოდა. თითოეული მათგანი ემსგავსებოდა იმ წარმონაქმნის, რომლისგანაც წარმოიშობოდა, ამასთან თითოეულში იგივე პროცესები ხორციელდებოდა, როგორიც – მასში. ნებისმიერი ასეთი ახალი წარმონაქმნი ისევე იყო დაჯილდოებული სამშვინველით, როგორც – დედის არსება. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ მიწიერ არენაზე ადამიანურ სამშვინველთა განსაზღვრულ რიცხვს კი არ შემოუბიჯებია, არამედ თითქოს – მშვინველები ხეს, რომელსაც შეეძლო, საერთო ფესვიდან ამოეზარდა ცალკეულ სამშვინველთა ურიცხვი რაოდენობა. როგორც მცენარე ამოიზრდება კვლავ და კვლავ საკუთარი უთვალავი თესლიდან, ასევე აღმოცენდა მშვინველი ცხოვრება ურიცხვ ნაშიერში – სანგრძლივი გახლების შედეგად (ცხადია, მშვინველ სახეობათა მკაცრად განსაზღვრული რიცხვი თავიდანვე არსებობდა, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ; მაგრამ ამ სახეობათა შიგნით განვითარება ზემოაღნიშნულის მიხედვით მიმდინარეობდა. თითოეული მშვინველი სახეობა ურიცხვ შთამომავალს იძლევოდა).

ამასთან საკუთრივ სამშვინველებმა მიწიერ საგნობრიობაში შესვლასთან ერთად უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განიცადეს. სანამ სამშვინველებს რაიმე საგნობრივი არ გააჩნდათ, მანამდე მათზე ზემოქმედება არავითარ საგნობრივ პროცესს არ შეეძლო. მათზე ნებისმიერი ზემოქმედება იყო წმინდა მშვინველი, ნათელმხილველური. ასე განიცდიდნენ ისინი მშვინველს საკუთარ გარემოცვაში. ყველაფერი, რაც იმ დროს გარშემო ხდებოდა, ასეთი სახით განიცდებოდა. ასევე, მხოლოდ ასტრალური (მშვინველი) წარმონაქმნების სახით არსებული, იმდროინდელი ქვების, მცენარეთა და ცხოველთა ზემოქმედება შინაგან მშვინველ განცდათა მსგავსად შეიგრძნობოდა. დედამიწაზე გადმოსვლისთანავე ამას რადაც სრულიად ახალიც შეერწყა. საგნობრივ სამოსელში გახვეულ სამშვინველზე ზემოქმედება იწყეს გარე განმა საგნობრივმა პროცესებმა. თავდაპირველად ეთერული სხეულის შიგნითაც, მხოლოდ ამ გარეგანი საგნობრივი

სამყაროს მოძრავი პროცესები იწვევდნენ მოძრაობებს. მსგავსად იმისა, როგორც დღეს ჰაერის რხევას აღვიქვამთ ბეჭრად, ასევე აღიქვამდნენ ეთერული არსებები გარემომცელ ეთერულ საგანთა რყევებს. არსებითად, ამგვარ არსებას მხოლოდ სმენის ორგანო წარმოადგენდა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ სმენის შეგრძნება განვითარდა; მაგრამ აქედანაც ჩანს, რომ სმენის გამოცალკევებული ორგანო მხოლოდ მოგვიანებით წარმოიქმნა.

მიწიერი საგნობრიობის შემდგომი გამყარებით მშვინვიერმა არსებამ მისთვის ფორმის მინიჭების უნარი თანდათან დაკარგა. მხოლოდ უკვე წარმოქმნილ და არსებულ არსებებს შეეძლოთ თავისივე მსგავსი საკუთარი თავიდან ჯერ კიდევ წარმოქმნათ. დგება ახალი სახით გამრავლების უძმი. ასულის არსება გაცილებით იშვიათად ჩნდება, ვიდრე დედის არსება და მხოლოდ თანდათან აღწევს მის სიმაღლემდე. ამასობაში, რადგანაც ადრე არ არსებობდა გამრავლების ორგანოები, ახლა ისინი გაჩნდა; ახლა ამ არსებაში მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიური პროცესები არ მიმდინარეობდა, რადგან ასეთი პროცესები უკვე ვედარ გამოიწვევდა გამრავლებას. საკუთარი გამქვრივების წყალობით გარეგანი საგნობრიობა უკვე ისეთი ადარაა, რომ სამშვინველმა მას სიცოცხლე უშუალოდ მიანიჭოს. ამიტომ ახალი არსებების შიგნით გარევეული ნაწილი გამოცალკევდა. მისი მოცილება გარეგანი საგნობრიობის უშუალო ზემოქმედებით ხორციელდება. ამ ზემოქმედების ქვეშ ჯერ კიდევ რჩებიან სხეულის მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც გამოცალკევებული ნაწილის გარეთ იმყოფებიან. ისინი რჩებიან იმგვარ მდგომარეობაში, როგორშიც ადრე მთელი სხეული იმყოფებოდა. გამოცალკევებულ ნაწილში კი ამიერიდან მშვინვიერი ზემოქმედებს. აქ სამშვინველი იქცევა სასიცოცხლო საწყისის მატარებლად (თეოსოფიურ ლიტერატურაში მას პრანას უწოდებენ). ასე გაჩნდა ადამიანის სხეულებრივი წინაპარი, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: ერთი მათგანია – ფიზიკური სხეული (ფიზიკური გარსი), რომელიც ეჭვემდებარება გარემომცელი სამყაროს ფიზიკურ-ქიმიურ კანონებს; მეორე ნაწილი კი ორგანოთა ერთობლიობაა, რომელიც განსაკუთრებულ სასიცოცხლო საწყისს ემორჩილება; ოღონდ ამის წყალობით მშვინვიერი მოღვაწეობის ნაწილი გამოთავისუფლდა. მას უკვე აღარა აქვს ძალაუფლება

სხეულის ფიზიკურ ნაწილზე. მშვინვიერი მოდვაწეობის ეს მხარე უკვე შიგნითაა მიმართული და სხეულის ნაწილს განსაკუთრებულ ორგანოებში უყრის თავს. ამის შემდეგ სხეულის შინაგანი ცხოვრება იწყება. იგი უკვე აღარ განიცდის მარტოდებ გარე სამყაროს რევებს; სხეული იწყებს მათ შეგრძნებას შიგნით, ისევე, როგორც განსაკუთრებული მოვლენების განცდისას. აქადა შეგრძნებათა ამოსავალი წერტილიც. თავდაპირველად ეს შეგრძნება წარმოადგენს განსაკუთრებული სახის შეხების გრძნობას. არსება გრძნობს გარე სამყაროს მოძრაობას, ნივთიერებათა ზემოქმედებას და ა. შ. ამ დროს ჩნდება სითბოსა და სიცივის პირველი შეგრძნებებიც.

ამით კაცობრიობა განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს აღწევს. ფიზიკური სხეული კარგავს სამშვინველის უშუალო ზემოქმედებას და იგი მთლიანად ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიური სამყაროს კუთვნილება ხდება. იგი იწყებს დაშლას, როგორც კი სამშვინველი, საცუთარი მოქმედებით, მისივე სხვა ნაწილებზე ვერ იძაგონებს. არსებითად სწორედ მაშინ დგება ის მომენტი, რასაც „სიკვდილს“ უწოდებენ. წინა მდგომარეობებითან მიმართებით სიკვდილზე საუბარიც კი ზედმეტია. გაყოფისას დედის წარმონაქმნი მთლიანად აგრძელებს ცხოვრებას ასულის წარმონაქმნში. ვინაიდან ამ უკანასკნელში მოქმედებს მთელი გარდაქმნილი მშვინვიერი ძალა ისევე, როგორც ადრე – დედის წარმონაქმნში. გაყოფისას მათში სამშვინველის არსებობის გარეშე არაფერი რჩება. ახლა ეს სხვა სახეს იღებს. როგორც კი სამშვინველი კარგავს ძალაუფლებას ფიზიკურ სხეულზე, ეს უკანასკნელი მოქმედება გარე სამყაროს ფიზიკურ-ქიმიურ კანონთა გავლენის ქვეშ, ანუ მოკვდება. სამშვინველის მოდვაწეობის სახით რჩება მხოლოდ ის ძალები, რომლებიც გამრავლებასა და განვითარებულ შინაგან ცხოვრებაში მოქმედებენ. ეს ნიშნავს, რომ გამრავლების ძალთა წყალობით ჩნდება შთამომავლობა, რომელიც იმავე დროს დაჯილდოებულია ორგანოების წარმომქმნელ ძალთა სიჭარბითაც. ამ სიჭარბეში მშვინვიერი არსება მუდამ ხელახლა ცოცხლდება. ადრე, როცა გაყოფისას მთელი სხეული აღვსილი იყო მშვინვიერი მოდვაწეობით, ასევეა ამჟამად აღვსილი გამრავლებისა და შეგრძნებების ორგანოებიც; ამ-

რიგად, ხელახლა წარმოქმნილ ასულის ორგანიზმში ადგილი აქვთ მშვინვიერი ცხოვრების გარდასხეულებას.

თუოსოფიურ ლიტერატურაში ადამიანის განვითარების ეს ორივე საფეხური მიჩნეულია დედამიწის პირველ თრ ძირეულ რასად. პირველს ეწოდება პოლარული რასა, მეორეს კი – პიპერბორეული.

უნდა წარმოგიდგინოთ, რომ ადამიანის ამ წინაპართა შეგრძნებების სამყარო ჯერ კიდევ ძალზე ზოგადი და გაურკვეველი იყო. ოღონდ ჩვენს ამჟამინდელ შეგრძნებათაგან ორი – სმენისა და შეხების შეგრძნებები, უკვე მაშინ იყო განცალკევებული; სხეულისა და აგრეთვე მთელი ფიზიკური გარემოს შეცვლის წყალობით მთლიანი ადამიანური წარმონაქმნი უკვე აღარ შეიძლებოდა, ასე ვთქვათ, მარტოდენ „ყური“ ყოფილიყო. სხეულის მხოლოდ განსაკუთრებული ნაწილი შეეგუა იმას, რომ ამიერიდან ფაქიზი რჩევები განცადა. მან მოგვცა საფუძველი შემდეგში ჩვენი სმენის ორგანოს თანდათანობითი განვითარებისთვის. შეხების ორგანოდ კი მეტ-ნაკლებად მთელი დანარჩენი სხეული დარჩა.

ცხადია, რომ ადამიანის განვითარების აქ გადმოცემული მთელი მსვლელობა დედამიწის სითბური მდგომარეობის შეცვლასთან იყო დაკავშირებული. ზემოაღწერილ საფეხურამდე ადამიანი, რეალურად, მისმა გარემომცველმა სითბომ მიიყვანა; ამასთან, გარეგანმა სითბომ უკვე მიაღწია იმ წერტილს, რომლის დროსაც ადამიანის შემდგომი წარმოქმნა უკვე შეუძლებელი იქნებოდა. მაშინ მის შიგნით წინ წამოიწვეს დედამიწის შემდგომი გაცივებისადმი უკუჭმედება. ადამიანი წარმოშობს სითბოს საკუთარ წყაროს. მანამდე მას საკუთარი გარემოს ტემპერატურა პქონდა. ახლა კი მასში ჩნდება ორგანოები, რომლებიც მას საკუთარ თავში თავისივე სიცოცხლისათვის აუცილებელი ტემპერატურის განვითარების უნარს ანიჭებენ. აქამდე მისი შინაგანი ორგანოები გამსჭვალული იყო მასში გარდაქმნილი ნივთიერებებით, რომლებიც ამ მხრივ გარე სამყაროზე იყვნენ დამოკიდებული. ახლა მას უკვე შეეძლო, ამ ნივთიერებებისთვის საკუთარი სითბო თავად განვითარებინა. სხეულის სითხეები თბილ სისხლად გარდაიქმნა. ამის წყალობით მან, როგორც ფიზიკურმა არსებამ, მიაღწია გაცილებით მეტ დამოუკიდებლობას, ვიდრე – მანამდე. გაძლიერდა მთელი შინაგანი ცხოვრება. შეგრძნებები კი ჯერაც მთლი-

ანად გარე სამყაროს ზემოქმედებაზე იყო დამოკიდებული. საკუთარი სითბოთი ავსებამ სხეულს დამოუკიდებელი შინაგანი ფიზიკური ცხოვრება მიანიჭა. ახლა სამშვინველს არენა დაეთმო სხეულის შიგნით, სადაც მას შეეძლო განვითარებინა სიცოცხლე, რომელიც გარე სამყაროს ცხოვრებაში მარტოოდენ მონაწილეობით არ შემოიფარგლებოდა.

ამ მოვლენით მშვინვიერი ცხოვრება მიწიერ-მატერიალურის სფეროში ჩაება. უწინ გულისთქმა, სურვილები, ვნებები, მშვინვიერი სიხარული და მწუხარება შეიძლებოდა მხოლოდ მშვინვიერი მიზეზებითვე ყოფილიყო გამოწვეული. სხვა მშვინვიერი არსებებისგან მომდინარე განცდები მოცემულ სამშვინველში აღვიძებდა სიყვარულს ან ზიზდს, აღძრავდა ვნებებს და ა. შ. ასეთი ზემოქმედება არც ერთ გარეგან ფიზიკურ საგანს არ შეეძლო. ახლა კი პირველად გაჩნდა შესაძლებლობა, რომ მსგავს გარეგან საგნებს სამშვინველისთვის რაიმე მნიშვნელობა მინიჭებოდა; ვინაიდან საკუთარ სითბოსთან ერთად გამოდგინებული ამ შინაგანი ცხოვრების ხელშეწყობა მან სიამოვნებად შეიგრძნო, შინაგანი ცხოვრების დარღვევა კი – უსიამოვნებად. გარეგანი საგანი, რომელსაც ძალებდა სხეულებრივი კეთილდღეობის შენარჩუნება, შეიძლებოდა გულისთქმის საგნად, სასურველად ქცეულიყო. ის, რასაც თეოსოფიურ ლიტერატურაში „Kama“-ს (სურვილთა სხეულს) უწოდებენ, მიწიერ ადამიანს უკავშირდებოდა. გრძნობადი აღქმის საგნები გულისთქმის უნარის მქონე საგნებად გადაიქცა. სურვილთა საკუთარი სხეულით ადამიანი მიწიერ ყოფიერებას მიეჯაჭვა.

ეს ფაქტი ემთხვევა ერთი უდიდესი კოსმიური მნიშვნელობის მოვლენას, რომელთანაც იგი მიზეზობრივ კავშირშია. აქამდე მზეს, დედამიწასა და მთვარეს შორის მატერიალური დაყოფა არ არსებობდა. ადამიანზე სამივე ზემოქმედებდა, როგორც ერთი სხეული. ახლა დადგა გაყოფის ქამი: უფრო ფაქიზი საგნობრიობა, რომელიც თავის თავში შეიცავდა ყოველივეს, რაც მანამდე სამშვინველს შესაძლებლობას აძლევდა უშუალოდ მაცოცხლებლად ემოქმედა, მზის სახით განცალკევდა; ყველაზე უხეში ნაწილი მთვარის სახით გამოიყო. ხოლო დედამიწამ საკუთარი საგნობრიობით ადგილი მათ შუაგულში დაიკავა. ცხადია, ეს გამოყოფა უეცრად არ მომხდარა; მთელი პროცესი ხორციელდებოდა ნელ-ნელა, სანამ ადამიანი გაყოფის გზით გამ-

რავლებიდან ახლახან აღწერილზე გადავიდოდა. ადამიანის ეს განვითარება სწორედ აღნიშნული კოსმიური პროცესებით იყო გამოწვეული. თავდაპირველად საერთო კოსმიური სხეულიდან საკუთარი საგნობრიობა მზემ დაიხსნა. ამ გარემოებამ მშვინვიერს მიტოვებული მიწიერი მატერიის უშუალოდ გაცოცხლების შესაძლებლობა მოუსპო. შემდეგ მთვარემაც იწყო მისგან გამოთავისუფლება. ამის წეალობით დედამიწამ მიაღწია იმ მდგომარეობას, როცა შესაძლებელი გახდა შეგრძნების ზემოაღწერილი უნარის განვითარება. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ახალი გრძნობაც განვითარდა. დედამიწაზე შეიქმნა ისეთი სითბური პირობები, რომ სხეულებმა ნელ-ნელა შეიძინეს მყარი მოხაზულობები, რომლებიც გამჭვირვალეს გაუმჯგირვალისგან აცალკებდნენ. დედამიწის მასიდან გამოსული მზის ამოცანას სინათლის გამოსხივება-გაცემა წარმოადგენდა. ადამიანურ სხეულში წარმოიშვა მხედველობის გრძნობა. თავიდან იგი არ იყო ისეთი, როგორსაც ამჟამად ვიცნობთ. სინათლე და სიბნელე ადამიანზე გაურკვეველი გრძნობების მსგავსად ზემოქმედებდა. მაგალითად, გარკვეულ პირობებში სინათლეს ადამიანი შეიგრძნობდა, როგორც რადაც სასიამოვნოს, მისი სხეულებრივი ცხოვრების ხელ შემწყობს და ეძებდა მას, ისწრაფოდა მისკენ. ამასთან, საკუთრივ მშვინვიერი ცხოვრება ჯერ კიდევ სიზმრისებრ სურათ-ხატებში მიედინებოდა. ამ ცხოვრებაში ჩნდებოდა და ქრებოდა სხვადასხვა ფერადი სურათ-ხატი, რომლებიც უშუალოდ გარეგან საგნებს არ უკავშირდებოდა. ამ ფერად სურათ-ხატებს ადამიანი ჯერაც მშვინვიერ ზემოქმედებებს მიაწერდა. ნათელი სურათ-ხატები მას მაშინ ეცხადებოდა, როდესაც იგი განიცდიდა სასიამოვნო მშვინვიერ ზემოქმედებას, ხოლო შავბნელი – როცა მშვინვიერი ზემოქმედებები უსიამოვნოდ ეხებოდა. ზემოთ გადმოცემულში ყველაფერი, რაც განპირობებული იყო ადამიანის საკუთარი სითბოს წარმოქმნით, აღინიშნებოდა, როგორც „შინაგანი ცხოვრება“. ცხადია, რომ კაცობრიობის გვიანდელი განვითარების თვალსაზრისით ეს ჯერ კიდევ არ იყო შინაგანი ცხოვრება. ყოველივე საფეხურებად მიიწევს წინ და ასევე შინაგანი ცხოვრების განვითარებაც. ზემოაღნიშნული თვალსაზრისით ჭეშმარიტი შინაგანი ცხოვრება იწყება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ჩნდება სულით განაყოფიერება და ადამიანი იწ-

ყებს ფიქრს იმაზე, თუ რა მოქმედებს მასზე გარედან (აქ აღწერილი გვიჩვენებს, თუ როგორ მიაღწივს ადამიანი წინა ფრაგმენტში ასახულ მდგომარეობას). შემდგომი მოვლენების აღწერით ჩვენ, არსებითად, უკვე ვიმუოფებით ზემოთ დახასიათებულ ეპოქაში: სამშვინველი სულ უფრო მეტად სწავლობს იმას, რომ ადრე საკუთარ თავში განცდილი, რასაც იგი მხოლოდ სულიერებას მიაწერდა, მიაკუთვნოს გარეგან სხეულებრივ ყოფიერებას. ახლა იგივე ხდება ფერადოვან სურათ-ხატებთან მიმართებით. როგორც ადრე, საკუთარ სამშვინველში, მშვინვიერით აღძრული რაიმე სასიამოვნო შთაბეჭდილება უკავშირდებოდა ნათელ, ფერადოვან სურათ-ხატს, ასევე წნდება ამჟამადაც ნათელი სურათ-ხატი, ოდონდ გარედან. სამშვინველი იწყებს გარშემო არსებულ საგანთა დანახვას ფერებში, რაც დაკავშირებული იქმ მხედველობის ახალ ორგანოთა წარმოქმნასთან. უწინდელ განვითარებებში სინათლისა და სიბეჭდის განუსაზღვრელად შეგრძნებებისთვის სხეულს გააჩნდა განსაკუთრებული თვალი, რომელიც ახლა უკვე ადარ არსებობს (თქმულება ცალთვალა ციკლოპებზე ამ მდგომარეობებზე მოგონებას წარმოადგენს). ჩვენი თვალები ვითარდებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ იწყებდა სამშვინველი საკუთარ ცხოვრებასთან გარეგანი სინათლის შთაბეჭდილებათა სულ უფრო მჭიდროდ დაკავშირებას. ამასთან ერთად გარემომცემ სამყაროში მშვინვიერის აღქმის უნარიც იკარგებოდა. სამშვინველი სულ უფრო და უფრო იქცა გარე სამყაროს სარკედ. ეს გარე სამყარო სამშვინველის სიღრმეში მეორდება, როგორც წარმოდგენა. სქესთა გაყოფაც ამასთან ერთად მიმდინარეობდა. ერთი მხრივ, ადამიანური სხეული განაყოფიერებას ითვისებდა მხოლოდ სხვა ადამიანური არსებისაგან, მეორე მხრივ კი, სხეულში ვითარდებოდნენ „მშვინვიერი ორგანოები“ (ნერვული სისტემა), რომელთა დახმარებით სამშვინველში აღიბეჭდებოდა გარე სამყაროს გრძნობადი შთაბეჭდილებები – ამით ადამიანურ სხეულში მოაზროვნე სულის დავანება მომზადდა.

თანამედროვე დედამიწის დასაბამი,  
მზის ბამოსცლა

ახლა საჭიროა, აკაშა-ქრონიკას თვალი გავადევნოთ იმ შორეულ პერიოდამდე, როდესაც თანამედროვე დედამიწა არსებობას შეუდგა. ამასთან, დედამიწის ცნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ პლანეტის ის მდგომარეობა, რომლის წყალობითაც იგი მინერალების, მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანის სამკვიდროა მათი ახლანდელი სახით; ვინაიდან მას წინ უსწორებდა სხვა მდგომარეობები, რომლებშიც ბუნების სამეფოთა ზემოაღნიშნულ წარმომადგენლებს არსებითად განსხვავებული ყოფიერება ჰქონდათ. პლანეტამ, რომელსაც დღეს დედამიწას უწოდებენ, განვლო გარდაქმნის სხვადასხვა საფეხური, ვიდრე შეძლებდა დღეგანდელი მინერალების, მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანის სამყაროები ეტარებინა. იმ გაცილებით ადრინდელ მდგომარეობებშიც უკვე არსებობდნენ აგრეთვე, მაგალითად, მინერალები, მაგრამ მათ სულ სხვაგვარი სახე ჰქონდათ, ვიდრე – ახლანდელ მინერალებს. ამ განვლილ მდგომარეობებზე ქვემოთ კიდევ იქნება საუბარი. ახლა საჭიროა ვაჩვენოთ, როგორ გარდაისახა წინარე მდგომარეობა თანამედროვედ. შეიძლება ამ გარდაქმნაზე გარკვეული წარმოდგენა შევიწმნათ, თუ მას შევადარებოთ მცენარის გზას თესლის ჩანასახის მდგომარეობის გავლით. წარმოვიდგინოთ მცენარე ფესვებით, ღეროთი, ფოთლებით, ყვავილებითა და ნაყოფით. საკუთარი გარემოცვიდან იგი იწოვს ნივთიერებებს და შემდგომ მათ ხელახლა გამოყოფს; ხოლო, ყოველივე, რაც მასში არის ნივთიერებები, ფორმები და პროცესი, – ეს ყველაფერი გაიფანტება თვით უმცირეს მარცვლამდე. მისი მეოხებით გადაეცემა შემდგომში სიცოცხლე, რათა მომავალ წელს იგივე ფორმით აღმოცენდეს. სწორედ ამგვარად გაქრა ყოველივე, რაც არსებობდა ჩვენს დედამიწაზე მის წინარე მდგომარეობაში, რათა აწმუოში ხელახლა აღორძინდეს. ყველაფერი, რასაც შეიძლებოდა წინა მდგომარეობაში მინერალები, მცენარეები და ცხოველები რქმეოდა, გაქრა, როგორც ქრება ფეხი, ღერო და ა. შ. და აქაც, როგორც იქ, დარჩა თესლის ჩანასახის მდგომარეობა, რომლისგანაც შემდეგში ადრინდელი ფორმა ხელახლა აღმოცენდება.

მარცვალში ლდგებიან ძალები, რომლებიც თავისთავში ახალ ფორმებს წარმოშობენ.

მაშასადამე, იმ დროს, რომელზეც აქად საუბარი, არსებობდა მხოლოდ დედამიწის თავისებური ჩანასახი. იგი შეიცავდა ძალებს, რომლებმაც დედამიწა დღევანდელ მდგომარეობამდე მიყვანა. ეს ძალები მოპოვებულია ადრინდელ მდგომარეობათა წყალობით; მაგრამ დედამიწის ეს თესლი მცენარის თესლივით მყარ-საგნობრივად არ უნდა წარმოვიდგინოთ. პირიქით, იგი მშვინვიერი ბუნებისა იყო და შედგებოდა იმ ფაქტით, პლასტიკური, მოძრავი ნივთიერებისაგან, რომელსაც თეოსოფიურ ლიტერატურაში „ასტრალური“ ეწოდება. დედამიწის ამ ასტრალურ თესლში თავდაპირელად მხოლოდ ადამიანური ჩანასახები იმყოფება და გვიანდელ ადამიანურ სამშვინველთა ჩანასახებს წარმოადგენს. ამ ადამიანურმა ჩანასახებმა შეიწოვეს ყოველივე, რაც არსებობდა ჯერ კიდევ ადრეული მდგომარეობების მინერალურ, მცენარეულ და ცხოველურ ბუნებაში და ეს მათ შეერწყა. ამგვარად, ფიზიკურ დედამიწაზე გადმოსვლამდე ადამიანი მშვინვიერ, ასტრალურ არსებას წარმოადგენდა. ასეთივე რჩება იგი ფიზიკურ დედამიწაზეც. მაშინ იგი იმყოფებოდა უმაღლესი ხარისხის ფაქტი საგნობრიობაში, რომელსაც ოკულტურ ლიტერატურაში უფაქიზეს ეთერს უწოდებენ; მომდევნო თავებში კი საუბარი იქნება იმაზე, საიდან იღებს ეთერული დედამიწა საწყისს. ამ ეთერს ასტრალური ადამიანური არსებები უერთდებიან. ისინი საკუთარ არსებას როგორდაც აღბეჭდავენ ამ ეთერში ისე, რომ იგი ასტრალური ადამიანური არსების გამოხატულებად იქცევა. მაშასადამე, ამ საწყის მდგომარეობაშია ეთერული დედამიწა, რომელიც შედგება საკუთრივ მხოლოდ ამ ეთერული ადამიანებისგან და ოდენ მათ კონგლომერატს წარმოადგენს. საკუთრივ ასტრალური სხეული ანუ ადამიანის სამშვინველი ჯერაც ძირითადად ეთერული სხეულის გარეთ იმყოფება და გარედან ახდენს მის ორგანიზებას. ოკულტისტი მკვლევრისთვის ეს დედამიწა თითქოს სფეროს ფორმისაა, რომელიც თავის მხრივ შედგება უთვალავი ეთერული სფეროსგან (ეთერული ადამიანებისგან) და გარემოცულია ასტრალური გარსით, მსგავსად იმისა, როგორც ჩვენს დედამიწას აკრაგს ჰაერის გარსი. ასტრალური ადამიანები ამ ასტრალურ გარსში (ატმოსფეროში) ცხოვრობენ

და იქიდან ზემოქმედებენ თავიანთ ეთერულ გამოსახულებებზე, რომელშიც ასტრალური ადამიანური სამშვინველები ქმნიან ორგანოებს და მათში ადამიანურ ეთერულ ცხოვრებას აღძრავენ. მთელ დედამიწაზე არსებობს ნივთიერების მხოლოდ ერთი მდგომარეობა, კერძოდ ფაქიზი ცოცხალი ეთერი. თეოსოფიურ ლიტერატურაში ამ პირველ კაცობრიობას პირველ (პოლარულ) ძირეულ რასას უწოდებენ.

ახლა დედამიწის შემდგომი განვითარება ისე ხორციელდება, რომ ნივთიერებათა ერთი მდგომარეობიდან ორი წარმოქმნება. როგორდაც გამოიყოფა უფრო მკვრივი ნივთიერება, რომელიც ტოვებს უფრო ფაქიზს. ეს უფრო მკვრივი წაგავს ჩვენს ამჟამინდელ პაერს, უფრო ფაქიზი კი იმას, რაც წარმოადგენს ქიმიური ელემენტების წარმოქმნის საფუძველს მანამდე განუყოფელი ნივთიერებისაგან. მის გაერდით რჩება ადრინდელი საგნობრიობის, გაცოცხლებული ეთერის ნაწილი, ხოლო ნივთიერების ორ ხსენებულ მდგომარეობად მხოლოდ მისი ნაწილი იყოფა. ამრიგად, უშუალოდ ფიზიკური დედამიწის შიგნით ახლა არსებობს სამი ნივთიერება. მაშინ, როცა ადრე ასტრალური ადამიანური არსებები მიწიერ გარსში მხოლოდ ერთ ნივთიერებაზე ზემოქმედებდნენ. ამჟამად მათი მოქმედების არეალი სამ ნივთიერებაზე ვრცელდება. ისინი მათზე ზემოქმედებენ შემდგანირად: პაერის მსგავსად ქცეული თავდაპირველად წინააღმდეგობას უწევს ასტრალურ ადამიანთა მუშაობას. იგი არ იღებს კველაფერს, რაც სრულქმნილ ასტრალურ ადამიანთა ჩანასახებშია შემონახული. ამის გამო ასტრალური კაცობრიობა იძულებულია ორ ჯგუფად გაიყოს. ერთი მათგანი ზემოქმედებს გაზისებრ ნივთიერებაზე და მასში საკუთარ გამოსახულებას თავად ქმნის. მეორე ჯგუფს გაცილებით მეტი ძალუბს. მას შეუძლია გადაამუშაოს სხვა ორივე სახის ნივთიერება და შექმნას საკუთარი გამოსახულება – შემდგარი, როგორც ცოცხალი ეთერის, ისე მისი სხვა სახისებანაც, რომელიც ელემენტარულ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოქმნის მიზეზს წარმოადგენს. დაე, ეთერის ამ სახეს ქიმიური ეთერი ეწოდოს. ასტრალურ ადამიანთა მეორე ჯგუფმა უფრო მძლავრი უნარი მხოლოდ იმის მეშვეობით შეიძინა, რომ საკუთარი თავიდან გამოყო ასტრალურ არსებათა გარკვეული ნაწილი (კერძოდ, კი, პირველი ჯგუფი) და იგი შავი სამუშაოს შესასრულებლად

გაწირა. შავი სამუშაოს შემსრულებელი ეს ძალები მას რომ თავის თავში შეეკავებინა, ვერც თავად შეძლებდა განვითარებას. ამრიგად, აქ მიმდინარეობს პროცესი, როცა რაიმე უმაღლესი ვითარდება სხვის ხარჯზე, რომელსაც იგი საკუთარი თავიდან გამოყოფს.

ფიზიკური დედამიწის შიგნით ახლა ასეთი სურათი წარმოგვიდგება: წარმოიქმნა არსებათა ორი სახეობა. უპირველეს ყოვლისა, არსებები გაზისებრი სხეულით, რომელზეც გარედან ზემოქმედებენ მისივე კუთვნილი ასტრალური არსებები. ისინი მიეკუთვნებიან ცხოველური რიგის არსებებს და ქმნიან დედამიწის პირველ ცხოველურ სამყაროს. აქ რომ ცხოველთა ეს იერი აღგვეწერა, თანამედროვე ადამიანს იგი რეალობასთან სრულიად შეუსაბამოდ მოეწვენებოდა. მათი იერი (საჭიროა კარგად დავიმასხვროთ, რომ იგი შექმნილია მხოლოდ ჰაეროვანი ნივთიერებისაგან) არ ჰგავს არც ერთ ამჟამად არსებულ ცხოველურ ფორმას. დიდი-დიდი, ისინი შეიძლება ოდნავ მიგამსგავსოთ ამჟამად არსებულ ნიუაროსნებს – ლოკოკინებსა და მოლუსკებს. მსგავსი ცხოველური წარმონაქმნების მხარდამხარ ვითარდება ადამიანის ფიზიკური წარმონაქმნიც. განვითარებაში უფრო წინწასული ასტრალური ადამიანი ქმნის საკუთარ ფიზიკურ გამოსახულებას, რომელიც შედგება ორი სახის ნივთიერებისაგან: სასიცოცხლო ეთერისა და ქიმიური ეთერისაგან. ამრიგად, ჩვენ წინაშეა ადამიანი, რომელიც შედგება ასტრალური სხეულისა და ეთერულ სხეულზე მოქმედი ნაწილისაგან, რომელიც თავის მხრივ, შეიცავს ორი სახის ეთერს: სასიცოცხლო ეთერსა და ქიმიურ ეთერს. სასიცოცხლო ეთერის წყალობით ადამიანის ფიზიკურ გამოსახულებას გააჩნია გამრავლების უნარი, იგი საკუთარი არსებიდან თავისივე მსგავს არსებას წარმოქმნის. ქიმიური ეთერის წყალობით იგი ავითარებს გარკვეულ ძალებს, რომლებიც მიზიდულობისა და განზიდვის თანამედროვე ქიმიურ ძალებს ჰგავს. მათი წყალობით ადამიანის გამოსახულებას ხელეწიფება გარე სამყაროდან მიიზიდოს და შეიქროს გარკვეული ნივთიერებები, რათა განზიდვის ძალის მეოხებით შემდგომ ისინი ხელახლა გამოყოს. ცხადია, ეს ნივთიერებები შეიძლება მხოლოდ ზემოაღწერილი ცხოველური სამყაროსა და საკუთრივ ადამიანური სამყაროდან აიღონ. აქ იწყება კვება. ამდენად, ადამიანის ეს პირველი

გამოსახულებანი იყვნენ ცხოველჭამიები და კაციჭამიები. ამ არსებათა გვერდით კვლავ რჩებიან ადრინდელ არსებათა შთამომავლებიც, რომლებიც მხოლოდ სასიცოცხლო ეთერისგან შედგებიან. ისინი სუსტდებიან და ჭკნებიან, რაღაც იძულებული არიან დედამიწის ახალ პირობებს შეეგუონ. მრავალჯერადი გარდაქმნის შემდეგ მათგან წარმოიქმნებიან გვიანდელი ერთუჯრედიანი ცხოველური არსებები, აგრეთვე ის უჯრედებიც, რომელთაგან შემდგომში უფრო როტული ცხოველური არსებები ყალიბდებიან.

მომდევნო პროცესი ვითარდება შემდეგნაირად: ჰაეროვანი ნივთიერება იხლიჩება ორად, ერთი მათგანი ხდება უფრო მკვრივი – წყალი; ხოლო მეორე რჩება ჰაერისებურად. ქიმიური ეთერიც ნივთიერებათა ორ მდგომარეობად იშლება. ერთი უფრო მკვრივდება და წარმოქმნის იმას, რასაც იქ სინათლის ეთერი უნდა ვუწოდოთ. იგი ანიჭებს ეთერის მქონე ამ არსებებს ნათების უნარს; მაგრამ ქიმიური ეთერის ნაწილი რჩება ისეთივე, როგორიც იყო. ახლა გადავიდეთ ფიზიკურ დედამიწაზე, რომელიც შედგება შემდეგი ნივთიერებებისაგან: წყალი, ჰაერი, სინათლის ეთერი, ქიმიური ეთერი და სასიცოცხლო ეთერი; იმისათვის, რომ საკუთრივ ასტრალურმა არსებებმა შეძლონ ყველა ამ ნივთიერებაზე ზემოქმედება, იგივე პროცესი თავიდან მეორდება: უმაღლესი საკუთარ განვითარებას გამოყოფილი უმდაბლესის ხარჯზე ახორციელებს. ამის წყალობით წარმოიქმნება შემდეგი სახის ფიზიკური არსებები: უპირველეს ყოვლისა, ისეთები, რომელთა ფიზიკური სხეულიც წყლისა და ჰაერისაგან შედგება. მათზე ზემოქმედებს გამოყოფილი, უხეში ასტრალური არსებები. ამ გზით წარმოიქმნება ცხოველთა ახალი ჯგუფი, ადრინდელებთან შედარებით უფრო უხეში ნივთიერობით; ფიზიკურ არსებათა სხვა ახალი ჯგუფი ფლობს სხეულს, რომელიც შეიძლება წყალთან შერეული ჰაერისა და სინათლის ეთერისაგან შედგებოდეს. ეს არსებები ძალიან ჰყვანან მცენარეებს, მაგრამ თავიანთი გარეგნული იერით დღევანდელი მცენარეებისგანაც ასევე ძალზე განსხვავდებიან. მაშინდელ ადამიანს წარმოადგენს მხოლოდ მესამე ახალი ჯგუფი. მისი ფიზიკური სხეული შედგება სამი სახის ეთერისგან: სინათლის, ქიმიური და სასიცოცხლო ეთერისგან. თუ გავიხსენებთ, რომ მათ გვერდით არსებობას აგრძელებენ ძველი ჯგუფების შთამომავლებიც,

მაშინ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაოდენ მრავალფეროვანი იყვნენ ცოცხალი არსებები მიწიერი ყოფიერების იმქანიდელ სტადიაში.

ამას მოხდევს უმნიშვნელოვანესი კოსმიური მოვლენა. გამოიყოფა მზე. ამასთან ერთად, უბრალოდ, დედამიწას ტოვებენ გარკვეული ძალები, რომლებიც შემადგენელი ნაწილებია იმისა, რაც აქმდე დედამიწაზე სასიცოცხლო ეთერში, ქიმიურ და სინათლის ეთერში არსებობდა. ამდენად, ეს ძალები თითქოსდა გამოიყვანეს აღრინდელი დედამიწიდან. ამის წყალობით ძირეული ცვლილებები განიცადა ადრე ამ ძალების შემცველმა მიწიერ არსებათა ყველა ჯგუფმა. ისინი გარდაიქმნენ. უპირველეს ყოვლისა, ეს გარდაქმნა ზემოხსენებულ მცენარეულ არსებებს შექმნა. ამ არსებებს მათვის ნიშანდობლივი სინათლის ეთერულ ძალთა ნაწილი მოაცილეს. მათ, როგორც სულიერ არსებებს, განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუ წარომეული სინათლის ძალა მათზე გარედან იმოქმედდებდა. ამგარად, მცენარეები მზის სინათლის გავლენის ქვეშ მოექცნენ. რაღაც მსგავსი განიცადეს აგრეთვე ადამიანურმა სხეულებმაც. ამიერიდან საკუთარი სიცოცხლისუნარიანობისთვის მათი სინათლის ეთერიც საჭიროებდა მზის ეთერთან ურთიერთქმედებას. ეს შექმნა არა მარტო იმ არსებებს, რომლებმაც სინათლის ეთერი უშუალოდ დაკარგეს, არამედ – სხვებსაც, ვინაიდან სამყაროში ყოველივე ერთობლივად მოქმედებს. თავიანთ მიწიერ თანამომქმედა მეოხებით ადრე ნათდებოდნენ და ამ სინათლის სხივთა ქვეშ ვითარდებოდნენ ცხოველური ფორმები, რომლებიც სინათლის ეთერს თავად არ შეიცავდნენ. ახლა ისინიც ირიბად მოექცნენ მათ მიღმა მყოფი მზის გავლენის ქვეშ. ადამიანურმა სხეულმა კი განსაკუთრებით მზის სინათლის აღმქმედი ორგანოები განივითარა. ეს იყო ადამიანური თვალის პირველი ჩანასახები.

მზის გამოსვლამ დედამიწაზე ნივთიერებათა შემდგომი გამკვრივება გამოიწვია. თხევადი ნივთიერებიდან წარმოიქმნა – მკვრივი; სინათლის ეთერიც ასევე გაიყო სხვა სახის სინათლის ეთერად და ისეთად, რომელიც სხეულებს სითბოს მიღების უნარს ანიჭებს. ამის წყალობით დედამიწა იქცა ისეთ საცხოვრისად, რომელიც სითბოს ივითარებდა. დადამიწის ყველა არსება ამ სითბოს გავლენის ქვეშ მოექცა. ასტრალურში კი ხელახლა უნდა განვითარებულიყო პროცე-

სი, რომლის მსგავსიც განხორციელდა ადრე, როცა რიგი არსებები სხვების ხარჯზე ამაღლდნენ. გამოიყო ნაწილი არსებებისა, რომელთაც უხეშ, მყარ ნივთიერებებზე ზემოქმედების უნარი გააჩნდათ და ამით დედამიწისთვის ძინერალური სამყაროს მკვრივი, ძვლოვანი ჩანასახი წარმოიქმნა. თავდაპირველად ბუნების ყველა უმაღლესი სამყარო ამ მკვრივ მინერალურ ძვლოვან მასაზე ჯერ კიდევ ვერ მოქმედებდა. ამიტომაც არსებობს დედამიწაზე მკვრივი მინერალური სამყარო და მცენარეული სამყარო, რომლის ყველაზე მკვრივ ნივთიერებას წყალი და ჰაერი წარმოადგენს. მცენარეულ სამყაროში აღწერილ პროცესთა გზით ჰაეროვანი სხეული თავად გამკვრივდა წყლის ღონებდე. ამის გვერდით არსებობდნენ სრულიად განსხვავებული ფორმის ცხოველებიც, ერთი – ჰაეროვანი, ხოლო მეორე – თხევადი სხეულის ფორმით. გამკვრივების პროცესის ზეგავლენის ქვეშ თავად ადამიანური სხეულიც მოექცა. საკუთარი ყველაზე მკვრივი სხეული მან თხევად მდგომარეობამდე გაამყარა. მისი ეს თხევადი სხეული განიმსჭვალა წარმოქმნილი სითბური ეთერით, რამაც მას მიანიჭა ნივთიერობა, რომელსაც ალბათ აირისებრი შეიძლება ვუწოდოთ. სულისმეცნიერულ ლიტერატურაში ადამიანური სხეულის ეს ნივთიერი მდგომარეობა აღინიშნება, როგორც ცეცხლოვანი ნისლის მდგომარეობა. ამ სხეულში ადამიანი ცეცხლოვანი ნისლიდან გარდაისახა.

აკაშა-ქრონიკის კვლევა აქ ძალზე მიუახლოვდა იმ კოსმიურ კატასტროფას, რომელიც დედამიწიდან მთვარის გამოსვლასთან იყო დაკავშირებული.

## მთვარის გამოსცლა

აუცილებელია, ვიცოდეთ, რომ ადამიანმა მხოლოდ მოგვიანებით მიიღო ის მყარი ნივთიერება, რასაც ამჟამად საკუთარს უწოდებს, ოღონდ შემდგომ ეს პროცესი მხოლოდ თანდათანობით ხორციელდებოდა. განვითარების ახლახან აღწერილ პერიოდში, თუ ვინმე მოისურვებს, წარმოდგენა შეიქმნას საკუთარ სხეულებრიობაზე, ყველაზე უკეთ ეს მაშინ გამოუვა, როცა მას წყლის ორთქლის ან ჰაერში მოლივლივე ღრუბლის მსგავსად წარმოიდგენს, მაგრამ, ცხადია, ასეთი შედარება რეალობას მხოლოდ გარეგნული თვალსაზრისით ასახავს. ვინაიდან ცეცხლოვანი ღრუბელი – „ადამიანი“, გაცოცხლებული და ორგანიზებულია შინაგანად, ხოლო იმასთან მიმართებით, რადაც იქცა ადამიანი მოგვიანებით, მისი მშვინვიერი ყოფიერება იმ საფეხურზე ჯერ კიდევ მოვლემარედ და სრულიად ბუნდოვანი ცნობიერების მქონედ უნდა წარმოვიდგინოთ. ამ არსებას ჯერაც აკლია ის ყოველივე, რასაც შეიძლება ინტელექტი, გონიერება და განსჯა ვუწოდოთ. იგი გადაადგილდება (უფრო სწორად ლივლივებს, ვიდრე დადის) სხეულის ასოების მსგავსი ოთხი ორგანოს დამხარებით, წინ, გვერდზე, უპან – ყველა მიმართულებით. ამ არსებათა სამშვინველზე ზოგიერთი რამ უკვე ითქვა.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამ არსებათა მოძრაობები ან სხვა სასიცოცხლო გამოვლინებები უაზროდ და მოუწესრიგებლად მიედინებოდეს. პირიქით, ისინი სრულიად კანონზომიერი იყვნენ. ყოველივე მომხდარს აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა. ოღონდ ეგ იყო, რომ წარმმართველი ქალა და გონება საკუთრივ არსებებში არ იმყოფებოდა. ისინი, შეიძლება ითქვას, უფრო მათ მიღმა მყოფი გონებით იმართებოდნენ. მათზე უფრო მაღალგანვითარებული და მომწიფებული არსებები როგორდაც დვივდებოდნენ მათ გარშემო და ამ არსებებს ხელმძღვანელობდნენ. ვინაიდან ცეცხლოვანი ნისლის უმნიშვნელოვანებს ძირითად თვისებას წარმოადგენდა ის, რომ მასში შეიძლებოდა ადამიანური არსებები (მათი ყოფიერების ზემოაღწერილ საფეხურზე) განსხვაულებულიყვნენ. ამავე დროს მასში განსხვაულება უმაღლეს არსებებსაც შეეძლოთ და გამომდინარე აქედან, ადამიანთან ჰარმონიულ ურთიერთქმედებაში ყოფნაც. ყოველგვარი სწრაფვები, ინსტინქტები და ვნებები ადამიანმა ისეთ საფეხურამდე მიიყვანა, რომ მათ

შეეძლოთ ამ ცეცხლოვან ნისლში თავმოყრა. ხოლო სსენჯბულ სხვა არსებებს თავიანთი აზროვნებითა და გონიერი მოღვაწეობით შეეძლოთ ამ ცეცხლოვან ნისლში ქმნადობა. მათ გააჩნდათ აგრეთვე უმაღლესი უნარებიც, რომლებითაც უფრო მაღალ სფეროებამდე აღწევდნენ. მათი გადაწყვეტილუბები და იმპულსები ამ სფეროებიდან მოდიოდა, მაგრამ ცეცხლოვან ნისლში ეს გადაწყვეტილებები საქმით ვლინდებოდა. ადამიანები დედამიწაზე ყოველივეს ახორციელებდნენ ადამიანურ ცეცხლოვან-ნისლისებრ სხეულთა მართებული ურთიერთობის წყალობით ამ უმაღლეს არსებათა ასეთივე სხეულებთან. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ზევით უმაღლესისკენ ისწრაფოდა. ცეცხლოვან ნისლში მას უნდა განევითარებინა უფრო მაღალი (ადამიანური თვალსაზრისით) თვისებები, ვიდრე მანამდე გააჩნდა. სხვა არსებები კი ქვევით, მატერიალურისკენ ისწრაფოდნენ. ისინი იმყოფებოდნენ თავიანთი შემოქმედებითი ძალების სულ უფრო და უფრო მკვრივ ნივთიერ ფორმებში გამოვლენის გზაზე. მათთვის ეს სულაც არ წარმოადგენს დაცემას, ამ სიტყვის უფრო ფართო გაგებით. საჭიროა, მთელი სისრულით გავიაზროთ სწორედ ეს პუნქტი. ნივთიერობის უფრო მკვრივი ფორმების სამართვად გაცილებით მეტი სიძლიერე და მოხერხებაა საჭირო, ვიდრე უფრო ფაქიზისა. ამჟამინდელი ადამიანის მსგავსად, ეს მაღალი არსებებიც თავიანთი განვითარების ადრინდელ პერიოდებში შეზღუდულ ძალას ფლობდნენ. თანამედროვე ადამიანის მსგავსად, მათი ძალაუფლებაც ოდესდაც მხოლოდ „მათ შეგნით“ მომხდარზე ვრცელდებოდა. უხეში გარეგანი მატერია არც მათ ემორჩილებოდა. ახლა კი ეს არსებები ისწრაფოდნენ იმ მდგომარეობისკენ, რომ შესძლებოდათ გარეგანი საგნების, როგორც მაგიურად მართვა, ისე წარმართვაც. ამდენად, აღწერილ პერიოდში ისინი ადამიანს წინ უსწრებდნენ. ადამიანი ზევით იმ მიზნით ისწრაფოდა, რომ საკუთარი გონება თავდაპირველად უფრო ფაქიზ მატერიაში განესხვეულებინა, რათა შემდგომში გარეთ ემოქმედა. მაღალმა არსებებმა კი თავიანთი გონება ადრევე განასხვეულეს და ახლა მაგიური ძალა ამ გონების გარემომცველ სამყაროში ჩართვისთვის შეიძინეს. ამრიგად, ადამიანი ცეცხლოვანი ნისლის საფეხურის გავლით ადიოდა ზევით, ხოლო ისინი იმავე საფეხურის გავლით ეშვებოდებუნ ქვევით, თავიანთი ძალაუფლების გასავრცელებლად.

შეიძლება ცეცხლოვან ნისლში უფრო ქმედითნი იყვნენ ის არსებები, რომელთაც ადამიანი იცნობს, როგორც ვნებებისა და ლტოლვების უმდაბლეს ძალებს. ცეცხლოვანი ნისლის აღნიშნულ საფეხურზე, როგორც საკუთრივ ადამიანი, ისე უზენაესი არსებებიც, ამ ძალებით სარგბლობდნენ. ეს ძალები ისე მოქმედებდნენ ზემოაღწერილ ადამიანურ სურათ-ხატებზე და მის შიგნითაც, რომ ადამიანს შეეძლო განევითარებინა ორგანოები, რომლებიც შემდგომში მას აზროვნებისა და აქედან გამომდინარე, პიროვნების ჩამოყალიბების უნარს მიანიჭებდა. მოცემულ საფეხურზე ეს ძალები უზენაეს არსებებშიც ისე მოქმედებენ, რომ ამ არსებებს შეუძლიათ ისინი მიწიერი ცხოვრების პირობებზე უპირვენო შემოქმედებითი მუშაობისთვის გამოიყენონ. ამ არსებათა წყალობით დედამიწაზე ჩნდებიან წარმონაქმნები, რომლებიც გონების კანონთა ანარეკლებს წარმოადგენენ. ამდენად, ვნების ძალთა მოქმედების მეშვეობით ადამიანში წარმოიქმნება გონების საკუთარი ორგანოები, ხოლო მის გარშემო ჩნდება გონებით აღსავსე ორგანიზმები.

ახლა თვალყური მივაღეულოთ ამ პროცესის შემდგომ პერიოდს, ან, უმჯობესია აკაშა-ქრონიკაში აღბეჭდილი წარმოვიდგინოთ რამდენადმე გვიანდელ პერიოდში. მაშინ აღმოჩნდება, რომ დედამიწას გამოყეო მთვარე. მოხდა უდიდესი გადატრიალება. სიოპოს მნიშვნელოვანი ნაწილმა ადამიანის გარემომცველი საგნები დატოვა. ამის წყალობით საგანთა ნივთიერობა კიდევ უზეში და მკვრივი გახდა. ადამიანი იძულებულია ამ გაცივებულ გარემოში იცხოვოს. მას ეს ძალუმს მხოლოდ მაშინ, თუ საკუთარ ნივთიერობას შეცვლის; ამავე დროს, ნივთიერების გამკრივებასთან დაკავშირებულია იერის შეცვლაც, ვინაიდან ცეცხლოვანი ნისლის მდგომარეობაშ სულ სხვა რადაცას დაუთმო ადგილი დედამიწაზე. ამის შედეგად, აღნიშნული უმაღლესი არსებებისთვის ცეცხლოვანი ნისლი უკვე აღარ წარმოადგენს შესაფერის გარემოს საკუთარი მოღვაწეობისთვის. ამიტომ მათ უკვე აღარ შეუძლიათ, თავიანთი ზეგავლენა განავრცონ ადამიანთა ცხოვრების იმ მშვინვიერ გამოვლინებებზე, რომლებიც ადრე მათი მოღვაწეობის უმთავრეს სარბიელს წარმოადგენდა; მათ ძალაუფლება მოიპოვეს ადამიანის იმ წარმონაქმნებზე, რომლებიც ცეცხლოვანი ნისლიდან თავად შექმნეს. მათ მოღვაწეობაში ეს ცვლილება ადამიანური იერის შეცვლის პარალელურად

მიმდინარეობდა. ამ წარმონაქმნის ერთი ნაწილი, მოძრაობის ორი ორგანოთი, გარდაიქმნა სხეულის ქვედა ნახევრად და უმთავრესად ამის წყალობით იქცა კვებისა და გამრავლების მატარებლად. დანარჩენი ნაწილი კი თითქოსდა ზევით მიუმართება. მოძრაობის ორ სხვა ორგანოსგან ხელების ჩანასახი წარმოიქმნა. ხოლო ორგანოები, რომლებიც ჯერ კიდევ ადრე ემსახურებოდა კვებასა და გამრავლებას, გარდაიქმნა მეტყველებისა და აზროვნების ორგანოებად. ადამიანი გაიმართა. აი, ესაა მთვარის გამოსვლის პირდაპირი შედეგი. მთვარესთან ერთად დედამიწის სხეულიდან გაქრა ის ძალებიც, რომელთა დახმარებით ადამიანს, ცეცხლოვან ნისლში არსებობის პერიოდში, ჯერ კიდევ შეეძლო თვითგანაყოფიერება და მისივე მსგავსი არსებების წარმოქმნა გარედან ჩაურევლად. მთელი მისი ქვედა ნახევარი, რასაც ხშირად უმდაბლეს ბუნებას უწოდებენ, უმაღლეს არსებათა გონივრულად ორგანიზებული გავლენის ქვეშ მოექცა. რითაც ადრე ამ არსებებს თავად შეეძლოთ ემართათ ადამიანში იმის წყალობით, რომ ძალები, რომლებიც ამჟამად მთვარეში განცალკევებულია, ჯერ კიდევ დედამიწასთან იყო შეერთებული, ახლა იძულებული არიან ეს ჩამოყალიბონ ორივე სქესის ურთიერთქმედებით. აქედან გასაგებია, რომ ხელდასხმულები მთვარეს განიხილავდნენ, როგორც გამრავლების ძალთა სიმბოლოს. ეს ძალები, ასე ვთქვათ, მთვარესთან არიან დაკავშირებული. მთვარესთან ნათესაობა აკავშირებთ აღნიშნულ უმაღლეს არსებებსაც და გარკვეულწილად მთვარის ღმერთებს წარმოადგენენ. მთვარის გამოყოფამდე ისინი ადამიანში მოქმედებდნენ მისივე ძალებით, შემდგომში კი ეს ძალები ადამიანის გამრავლებაზე გარედან მოქმედებდნენ. იმის თქმაც შეიძლება, რომ ის კეთილშობილი სულიერი ძალები, რომლებიც ადრე ცეცხლოვანი ნისლის მეოქებით ზემოქმედებდნენ ადამიანის კიდევ უფრო მძლავრ ლტოლვებზე, ამჟამად დაეშვნენ ქვევით, რათა თავიანთი ძლევამოსილება გამრავლების სფეროზე განავრცონ. მართლაც, ამ სფეროში მოქმედებენ კეთილშობილური ღვთაებრივი ძალები, რომლებიც არეგულირებენ და ორგანიზებას უწევენ მას. ამაში გამოიხატება იდუმალი მეცნიერების ის უმნიშვნელოვანესი ღებულება, რომელიც ამბობს: „უზენაესი, კეთილშობილური, ღვთაებრივი ძალები, როგორც ჩანს, ადამიანური ბუნების უმდაბლეს ძალებს ემსგავსებიან. სიტყვა „როგორც ჩანს“ აქ უნდა მივი-

დოთ მთელი თავისი მნიშვნელობით. რადგანაც ოკულტური ჭეშმარიტება აბსოლუტურად გაუგებარი დარჩებოდა, თუ ეცდებოდნენ გამრავლების ძალებში თავისთავად რაღაც მდაბალი დაეხახათ. ამ ძალებში რაღაც დამდუპველი მხოლოდ იმ შემთხვევაში იარსებებს, თუ ადამიანი მათ ბოროტად გამოიყენებს, აიძულებს რა მათ, ემსახურო მის ვნებებსა და სწრაფებს და არა მაშინ, როცა იგი გააკეთოდ შობილებს მათ იმ ცნობიერებით, რომ ამ ძალებში დვოაებრივი სულიერი ძალაა ჩადგებული. მაშინ ადამიანი მათ ჩაყენებს დედამიწის განვითარების სამსახურში და გამრავლების საკუთარი ძალების დახმარებით ხსენებული უმაღლესი არსებების ჩანაფიქრებს ადასრულებს. მთელი ამ სფეროს გაკათილ შობილება და მისი დვოაებრივი კანონებისადმი დაქვემდებარება, — ესაა იდუმალთმეტყველების სწავლების არსი და არა მისი ჩაკვლა. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მხოლოდ ზედაპირული აღქმისა და გაუგებლობის დამახინჯების შედეგი, რაც ოკულტიზმის ძირითადი დეტულებების ასკეტიზმში მდგომარეობს.

აქ ჩანს, რომ ადამიანის მეორე, ზედა ნახევარში ისეთი რამ განვითარდა, რაზეც ზემთაღწერილი უმაღლესი არსებების გავლენა აღარ ვრცელდება. ამ ნახევარზე ძალაუფლებას თავიათო ხელში სხვა არსებები იდებენ. ესენი არიან არსებები, რომლებმაც, მართალია, განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურზე ადამიანებს გაუსწრეს, მაგრამ არც იმდენად, როგორც მთვარის ღმერთებმა. მათ ჯერაც ვერ შეძლეს ცეცხლოვან ნისლში რაიმე ძალის განვითარება, მაგრამ ახლა დადგა მათი ჯერიც, რადგან განვითარება გადავიდა შემდგომ მდგომარეობაში, როცა ცეცხლოვანი ნისლის წყალობით ადამიანური გონების ორგანოებში წარმოიქმნა რადაც, რასაც უფრო ადრეულ პერიოდში თავად ისინიც ეხებოდნენ. გარედან მოქმედი და მოწესრიგებული გონება მთვარის ღმერთებში უკვე აღრევე წარმოიქმნა. მათ ეს გონება გააჩნდათ ცეცხლოვანი ნისლის ეპოქის დადგომაშეც და შეეძლოთ გარედან ემოქმედათ მიწიერ საგნებზე, მაგრამ ზემოხსენებული არსებები უფრო ადრეულ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყვნენ მისული გარედან ამგვარად მოქმედი გონების წარმოქმნამდე. ამიტომ ცეცხლოვანი ნისლის ეპოქას ისინი საამისოდ მოუმზადებლები შეხვდნენ. ახლა კი ეს გონება ადამიანებში უკვე არსებობდა და ეს არსებები ამ ადამიანურ გონებას დაეპატრონნენ, რათა მისი მეშ-

ვეობით მიწიერ საგნებზე ემოქმედათ. როგორც ადრე მთვარის ღმერთები ზემოქმედებდნენ მთელ ადამიანზე, ასევე ზემოქმედებენ ახლა ისინი ადამიანის მხოლოდ ქვედანახევარზე; ზედა ნახევარი კი – აღნიშნული დაბალი არსებების გავლენას განიცდის. ასე ექცევა ადამიანი ორმაგი წინამდღოლობის ქვეშ. ქვედა ნაწილით იგი იმყოფება მთვარის ღმერთების ძალაუფლების ქვეშ, ხოლო წარმოქმნილი ინდივიდუალობით ემორჩილება იმ არსებათა წინამდღოლობას, რომელთაც მათივე ბელადის – „ლუციოფერის“ სახელით აერთიანებენ. ამდენად, სარგებლობენ რა ადამიანური გონების გამოღვიძებული ძალებით, ლუციოფერული ღმერთები თავიანთ განვითარებას ამთავრებენ. ადრე მათ ამ საფეხურამდე მიღწევა ჯერ კიდევ არ შეეძლოთ. ამით ისინი ადამიანს თავისუფლების უნარსა და „სიკუთხბოროტების“ გარჩევის ნიჭსაც გადასცემენ. მართალია, ადამიანური გონების ორგანო წარმოქმნება მხოლოდ მთვარის ღმერთთა თაოსნობით, მაგრამ ამ წარმონაქმნს ისინი დატოვებდნენ მთვლელმარჯ მდგომარეობაში, რადან ეს ღმერთები მისი გამოყენების საჭიროებას არ განიცდიდნენ. მათ საკუთარი გონებრივი ძალები გააჩნდათ. ლუციოფერულ არსებებს კი საკუთარი თავისოთვის უნდა გამოემუშავებინათ ადამიანური გონი და მიწიერ საგნებთან ურთიერთობა მოეგვარებინათ. ამის წყალობით იქცნენ ისინი ადამიანთა მასწავლებლად ყველაფერში, რაც შეიძლება ადამიანურმა გონიერებამ განახორციელოს. მათ არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ იმაზე მეტი, ვიდრე – შთამაგონებლები. მათ შეეძლოთ გონების განვითარება არა საკუთარ თავში, არამედ მხოლოდ ადამიანში. ამის შედეგად დედამიწაზე წარმოქმნა მოღვაწეობის ორი მიმართულება. ერთი მოძინარეობდა უშუალოდ მთვარის ღმერთებისაგან და იმთავითვე კანონზომიერი, მართებული და გონივრული იყო. მთვარის ღმერთებმა ადრეულ ეპოქებში უკვე განვლეს საკუთარი განსწავლის პერიოდი და შეცდომაში ჩავარდნის საშიშროებისაგან უკვე შორს იღგნენ. ხოლო ადამიანებთან ერთად მოქმედ ლუციოფერულ ღვთაებებს ცნობიერების გახსნამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლდათ. მათი წინამდღოლობით ადამიანს უნდა მოეძია საკუთარი არსების კანონები. ლუციოფერის წინამდღოლობით იგი თავად უნდა გამხდარიყო, როგორც „ერთი იმ ღვთაებათაგანი“.

ახლა იბადება კითხვა: თუ ცეცხლოვანი ნისლის ეტაპზე ლუციოფერულმა არსებებმა თავიანთი განვითარებით ვერ მიაღ

წიქს გონიერებით გამსჯვალულ შემოქმედებამდე, მაშინ სად ჩამორჩნენ? მიწიერი განვითარების რომელ საფეხურამდე ვრცელდებოდა მათი უნარი მთვარის ღმერთებთან ერთობლივი სამუშაოს შესასრულებლად? აკაშა-ქრონიკა ამაზე პასუხს იძლევა. მათ შეეძლოთ, მიწიერ შემოქმედებაში მონაწილეობა მიეღოთ დედამიწისაგან მზის გამოყოფამდე. ირკვევა, რომ, მართალია, ამ მომენტამდე ისინი მთვარის დვთაებებთან შედარებით გაცილებით უმნიშვნელო სამუშაოს ასრულებდნენ, მაგრამ მაინც ირიცხებოდნენ დვთაებრივ შემოქმედოა გუნდში. დედამიწისა და მზის გაყოფის შემდეგ დედამიწაზე დაწყებული მოღვაწეობისთვის (კერძოდ კი, მუშაობა ცეცხლოვან ნისლში) მზად იყვნენ მხოლოდ მთვარის დვთაებები და არა ლუციფერული სულები. ამიტომ მათთვის დადგა შეყოვნების, მოლოდინის პერიოდი და ლუციფერულმა არსებებმა ოვიანთი მოლოდინიდან გამოსვლა შეძლეს მხოლოდ საერთო ცეცხლოვანი ნისლის უკუქცევის შემდეგ, როცა ადამიანურმა არსებებმა მუშაობა იწყეს გონების საკუთარ ორგანოთა წარმოქმნაზე, ვინაიდან გონების შექმნა ენათესავება მზის მოღვაწეობას; ადამიანურ ბუნებაში გონის ამოტივტივება წარმოადგენს შინაგანი მზის ამობრწყინებას. ეს ნათქვამია არა მარტო ხატვანი, არამედ სრულიად რეალური აზრითაც. ასე ჰპოვეს ამ სულებმა ადამიანის შინაგან სიღრმეში მზებთან დაკავშირებული თავიანთი მოღვაწეობის განახლების შესაძლებლობა, როცა დადამიწიდან ცეცხლოვანი ნისლის ეპოქა უკუიქცა.

აქედან ჩვენთვის ისიც ირკვევა, თუ საიდან წარმოიშვა სახელი „ლუციფერი“ რაც ნიშნავს „სინათლის მატარებელს“ და რატომ აღნიშნავენ იდუმალთმეტყველებაში ამ არსებებს „მზის დვთაებებად“.

შემდგომ გადმოცემული გასაგები გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მზერას მიწიერი განვითარების წინა პერიოდს მივაპყრობთ. ეს უნდა მოხდეს „აკაშა-ქრონიკის“ მომდევნო თავებში. იქ ნაჩვენები იქნება, თუ როგორი განვითარება განვლეს დედამიწასთან დაკავშირებულმა არსებებმა სხვა პლანეტებზე, ვიდრე დედამიწაზე გადმოვიდოდნენ. მაშინ „მზის“-ა და „მთვარის დვთაებათა“ ბუნებას უფრო ახლოს გავეცნობით. ამავე დროს ცხოველთა, მცენარეთა და მინერალური სამყაროების განვითარებასაც სრულად მოეფინება ნათელი.

შემდგომ თავებში საუბარი იქნება ადამიანის განვითარებასა და „მიწიერ პერიოდამდე“ მასთან დაკავშირებულ არსებებზე; ვინაიდან, როცა ადამიანმა საკუთარი ბედისწერა დაუკავშირა „დედამიწად“ სახელდებულ პლანეტას, მას უკვე განვლილი ჰქონდა განვითარების მთელი რიგი საფეხურისა, რომლითაც იგი გარკვეულწილად შემზადდა მიწიერი არსებობისთვის. საჭიროა განვასხვაოთ სამი ასეთი საფეხური, რომლებსაც პლანეტარული განვითარების სამ საფეხურს უწოდებენ. იდუმალთმეტყველებაში ამ საფეხურებისთვის განკუთვნილი სახელებია: სატურნის, მზისა და მთვარის პერიოდები. შემდგომში გაირკვევა, რომ ამ დასახელებებს თაგიღარ არაფერი აქვთ საერთო ფიზიკურ ასტრონომიაში ამ სახელთა მატარებელ დღევანდელ ციურ სხეულებთან. თუმცა ღრმა შემეცნების მატარებელ მისტიკოსს, უფრო ფართო გაგებით, გარკვეული დამოკიდებულება მათთანაც გააჩნია. ამასთან, მიიჩნევენ, რომ ადამიანი, დედამიწაზე გადმოსვლამდე, სხვა პლანეტებზეც ბინადრობდა; ამ „სხვა პლანეტებში“ საჭიროა ვიგულისხმოთ მხოლოდ საკუთრივ დედამიწასა და მის ბინადართა განვითარების უფრო ადრეული მდგომარეობა. სანამ „დედამიწად“ იქცეოდა, დედამიწამ და მასთან დაკავშირებულმა ყველა არსებამ განვლო – სატურნის, მზისა და მთვარის მდგომარეობები. არსებითად, სატურნი, მზე და მთვარე უძველეს პერიოდებში, გარკვეული სახით, დედამიწის სამი განსხვაულებაა და ის, რასაც ამ მიმართებით სატურნი, მზე და მთვარე ეწოდება, ამჟამად ისევე არ არსებობს ფიზიკური პლანეტის სახით, როგორც არ არსებობენ ადამიანის ადრინდელი ფიზიკური განსხვაულებები ამჟამინდელის გვერდით. რა ვითარება იყო ადამიანისა და დედამიწაზე მცხოვრებ სხვა არსებათა „პლანეტარულ განვითარებასთან“ დაკავშირებით, სწორედ ეს იქნება ძირითადი თემა „აკაზა-ქრონიკის“ მომდევნო თავებში. ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს, რომ აღნიშნულ სამ მდგომარეობას უფრო ადრინდელი არ უსწრებდა; ყოველივე, რაც მათ წინ უსწრებდა, ბნელითაა მოცული და იდუმალთმეტყველურ კვლევას ჯერჯერობით არ ძალუს მას ნათელი მოჰყინოს; ვინაიდან ეს კვლევა ეფუძნება არა გონებით ჰგრებას ან წმინდა ცნებათა კრებულს, არამედ რეა-

ლურ ხულიერ გამოცდილებას. როგორც ჩვენი ფიზიკური თვალი გაშლილ მინდორში მზერას მიაწვდენს მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე და პორიზონტს იქით კი ვერ სწვდება, ასევე, „სულიერ მზერასაც“ დროში ხედვა მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე ძალუბს. იდუმალთმეტყველება ეფუძნება გამოცდილებას და ის შინაგანად ამ გამოცდილებით კმაყოფილდება. მხოლოდ უნიჭო პედანტს სურს, გამოიკვლიოს, რაც იყო სამყაროში „სულ თავიდან“, ან „არსებითად, რატომ შექმნა დმერთმა სამყარო?“. იდუმალთმკვლევრისთვის საკითხი პირიქით დგას, – როგორმე გაიგოს, რომ შემეცნების გარკვეულ საფეხურზე ამგვარ კითხვებს უკვე აღარ სვამებ; რადგანაც სულიერი გამოცდილებით ადამიანს ეხსნება ყოველივე, რაც დედამიწაზე საკუთარი დანიშნულების აღსასრულებლად სჭირდება. ვინც მოთმინებით შეისისხლხორცებს იდუმალთმკვლევრის გამოცდილებებს, დაინახავს, რომ შინაგანი სულიერი გამოცდილების მიღებით ადამიანი მისოვის აუცილებელ ყვალდა კითხვას ზუსტ პასუხს გასცემს. მაგალითად, შემდგომ თავებში განვიხილავთ, თუ რაოდენ სრულყოფილად ამოიხსნება „ბოროტების წარმოშობის“ საკითხი და ბევრი სხვაც, რომლისკენაც ადამიანი უნდა ისწრაფოდეს; ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ადამიანი კერახდოს შეძლებს „სამყაროს წარმოშობისა“ და იმ სხვა საკითხების გადაწყვეტას, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მას ეს ძალუბს; ოღონდ საამისოდ ჯერ უნდა განვლოს შემეცნება, რომელიც უშუალო სულიერი გამოცდილების შიგნით ეხსნება. მაშინ იგი მიხვდება, რომ ეს საკითხები სულ სხვანაირად უნდა დასვას, ვიდრე აქამდე აკეთებდა.

ადამიანი მით უფრო თავმდაბალია, რაც მეტი სიღრმით შეისისხლხორცებს ჰქეშმარიტ იდუმალთმეტყველებას. იგი მხოლოდ მაშინ გაიგებს, თანდათანობით როგორ უნდა მომწიფდეს და იქცეს ღირსად გარკვეული შემეცნებისთვის. ბოლოს და ბოლოს სიამაყე და კადნიერება გადაიქცევა ადამიანის ისეთ თვისებათა სახელწოდებად, რომელიც შემეცნების გარკვეულ საფეხურზე ყოველგვარ აზრს პკარგავს. თუნდაც უმნიშვნელო შემეცნებათა მოპოვებით ადამიანი დაინახავს, რაოდენ განუზომელია მის წინ გადაშლილი გზა. სწორედ ცოდნის შეძენით იგებს ადამიანი, „თუ რამდენად ცოტა იცის“ და მაღლდება იმ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობამდე, რომელსაც ზეგრძნობად შემეცნების

ბებზე საუბრისას თავისთავზე იდებს. საქმე ის არის, რომ კაცობრიობას ამ ზეგრძნობად შემეცნებათა გარეშე არსებობა არ ძალუს; ამ შემეცნებათა გამავრცელებელი საჭიროებს თავმდაბლობასა და ნამდვილ, ჰეშმარიტ თვითკრიტიკას, აგრეთვე თვითშემეცნებისკენ ურყევ სწრაფვასა და უდიდეს სიფრთხილეს.

აუცილებელია ამ დამატებითი შენიშვნების გაცემება სწორედ აქ, რადგან ახლა მოვგიწევს, ავმაღლდეთ შემეცნებათა უფრო მაღალ ფორმებამდე, ვიდრე „აკაშა-ქრონიკის“ წინა თავებში შეიძლება მოვიძიოთ.

კაცობრიობის წარსულში ჩახედვასთან ერთად, რომელიც მომდევნო თავებშია გადმოცემული, შემდგომში თვალი მომავალსაც უნდა შევავლოთ, რადგანაც ჰეშმარიტ სულიერ შემეცნებას შეიძლება მომავალიც გაეხსნას, თუნდაც იმ დოზით, როგორიც ადამიანს საკუთარი დანიშნულების აღსასრულებლად სჭირდება. ვინც არ ცნობს იდუმალომეტყველებას და საკუთარი ცრურწმენების თვალთახედვიდან უბრალო ბოდვისა და ფანტასტიკის სფეროს მიაკუთვნებს ყოველივეს, რაც მისგან მომდინარეობს, იგი მომავალთან ამგვარ დამოკიდებულებას ყველაზე ნაკლებად გაიგებს. მიუხედავად ამისა, შეიძლებოდა აქ ნათქამი უბრალო ლოგიკურ განსჯასაც გასაგები გაეხადა. ოღონდ მსგავსი ლოგიკური განსჯა მისაღებია მხოლოდ მანამდე, სანამ ადამიანთა ცრურწმენებს ესადაგება. ცრურწმენები ყოველგვარი ლოგიკის უდიდესი მტერია.

წარმოიღგინეთ: თუ ზუსტად განსაზღვრულ პირობებში შევაერთებთ გოგირდს, უანგბადსა და წყალბადს, მაშინ უცილობელი კანონის თანახმად გოგირდმჟავა უნდა წარმოიქმნას. ქიმიის მცოდნეს შეუძლია იწინასწარმეტყველოს, რა მოხდება შესაბამის პირობებში ზემოაღნიშნული სამი ნივთიერების შერწყმით. ამდენად, სწავლული ქიმიკოსი საგნობრივი სამყაროს განსაზღვრულ სფეროში წინასწარმეტყველს წარმოადგენს და მისი წინასწარმეტყველება მცდარი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბუნების კანონები მოულოდნელად შეიცვლებოდა. იდუმალომეტყველი სულიერ კანონებს იკვლევს ისეთივე სიზუსტით, როგორც ფიზიკოსი ან ქიმიკოსი მატერიალურ კანონებს. იგი ამას აკეთებს ისე და ისეთი მკაცრი წესით, როგორც სულიერ სფეროში კვლევას შეეფერება; ოღონდ ამ უდიდეს

სულიერ კანონებზეა დამოკიდებული კაცობრიობის განვითარება. როგორც უანგბადი, წყალბადი და გოგირდი მომავალში არასოდეს შეერთდებიან ბუნების კანონთა საწინააღმდეგოდ, ასევე სულიერ სამყაროშიც, ცხადია, არასოდეს მოხდება ისეთი რამ, რაც სულიერ კანონებს შეეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, ვინც ამ კანონებს იცნობს, მას მომავლის კანონზომიერების განჭვრებაც ძალუბს.

აქ განზრას არის მოვანილი კაცობრიობის მომავალი ბედისწერის წინასწარმეტყველური განსაზღვრის სწორედ ეს მაგალითი, რადგან ჰეშმარიტი იდუმალთმეტყველების მიერ ეს წინასწარმეტყველება სწორედ ასეა გაბებული. ვინც გაითავისებს ოკულტიზმის ამ რეალურ თვალსაზრისს, მისთვის გამოირიცხება ის საპირისპირო მოსაზრებაც, თითქოს მოვლენათა მსვლელობის წინასწარგანსაზღვრულობის გამო ადამიანი ყოველგვარ თავისუფლებას კარგავს. წინასწარ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ის, რაც რადაც კანონს ექვემდებარება; მაგრამ ნებელობა კანონით არ დგინდება. როგორც ურყევია უანგბადის, წყალბადისა და გოგირდის შერწყმა გოგირდმჟავად, კველა შემთხვევაში მხოლოდ განსაზღვრული კანონის საფუძველზე, სწორედ ასევე შეიძლება ადამიანის ნებელობაზე იყოს დამოკიდებული იმ პირობების შექმნა-ჩამოყალიბება, რომელშიც ეს კანონი იმოქმედებს. სამყაროს მომავალ დიად მოვლენებსა და ადამიანის ბედისწერასთან მიმართებითაც იგივე ხდება. იდუმალთმეტყველარი მათ წინასწარ ჰვრეტს, თუმცა ეს თავიდან ჯერ კიდევ ადამიანური თვითნებობით უნდა გამოიწიონ. სწორედ ასევე განჭვრეტს ოკულტური მკვლევარი ადამიანური თავისუფლების მიერ განხორციელებულსაც. ეს რომ შესაძლებელია, ამაზე წარმოდგენა შემდგომმა ცნობებმა უნდა შეგიძებას, ოღონდ საჭიროა გავიაზროთ ფიზიკური მეცნიერებისა და სულიერი შემეცნების გზით მიღებული წინასწარგანსაზღვრისათვის დამახასიათებელი ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება. ფიზიკური მეცნიერება დაფუძნებულია გონებრივ გაგებაზე და ამიტომ მისი წინასწარმეტყველებაც, რომელიც ეყრდნობა განსჯას, დასკვნებს, მოსაზრებებს და ა. შ. ასევე მხოლოდ გონებრივია; სულიერი შემეცნებით მიღებული წინასწარმეტყველება კი, პირიქით რეალური უმაღლესი ჰვრეტისა თუ აღქმისგან მომდინარეობს. იდუმალთმკვლე

ვარმა მკაცრად უნდა დაიცვას თავი იმ წარმოდგენებისან, რომლებიც ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ განსჯას, მოსაზრებებს, გონებით ჭვრებასა და ა. შ. მან უნდა იაროს სრული განდგომის გზით და ბოლომდე გააცნობიეროს, რომ ყოველგვარი გონებით ჭვრება, გონით ფილოსოფოსობა და ა. შ. ჭეშმარიტი სილვას ზიანს აყენებს. ეს ქმედებები მთლიანად განეკუთვნება ადამიანის უმდაბლეს ბუნებას, ხოლო ჭეშმარიტი უმაღლესი შემეცნება იწყება მხოლოდ იქ, სადაც ეს ბუნება ადამიანში უზენაეს არსებამდე აღწევს. ამ მტკიცებაში თავისთავად არაფერია საწინააღმდეგო ისეთი ქმედებებისა, რომლებიც თავიანთ სფეროში არა მარტო სავსებით მართებულია, არამედ უაღრესად მართლზომიერიც. საერთოდ, არაფერია თავისთავად უმაღლესი ან უმდაბლესი, არამედ იგი ასეთია მხოლოდ რაღაცასთან დაკავშირებით. ერთი მიმართებით მაღლა მდგომი შესაძლოა, სხვა რომელიმე კუთხით ძალზე დაბლა იღდეს; მაგრამ ხილვით შესამეცნებელი, შეუძლებელია უბრალო მსჯელობითა თუ გონების შესანიშნავი წარმოსახვის მეოხებით შეიმეცნონ. ჩვეულებრივი გაგებით, რაც არ უნდა „ჭკვიანი“ იყოს ადამიანი, ეს „ჭკუა“ სრულიადაც ვერ დაეხმარება ზეგრძნობად ჭეშმარიტებათა შემეცნებაში. პირიქით, მან მთლიანად უნდა თქვას მასზე უარი და მიეცეს მხოლოდ უმაღლეს სილვას. მაშინ იგი მოვლენებს აღიქვამს უბრალოდ, „ჭკვიანური“ დაფიქრების გარეშე, ისე, როგორც დაუფიქრებლად აღიქვამს მინდორში ყვავილებს. მას აქ ვერ უშველის დაფიქრება იმასთან დაკავშირებით, როგორ გამოიყურება მდელო; აქ ყველგვარი მახვილგონიერება უძლურია და ეს ზენა სამყაროებში ხედვასაც ეხება.

ყოველივე, რაც ამ ფორმით ადამიანის მომავალზე წინასწარმეტყველურად შეიძლება ითქვას, ემსახურება, მართლაც, პრატტიული მნიშვნელობის მქონე ყველანაირ იღეალს. ღირებულება რომ გააჩნდეს, იდეალები სულიერ სამყაროშიც ისევე ღრმად უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც ბუნების კანონები – უბრალოდ ბუნების სამყაროში. განვითარების კანონებს მსგავსი ჭეშმარიტი იდეალები უნდა წარმოადგენდეს. სხვაგვარად ისინი დაემყარება ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულ მეოცნებეობასა თუ ფანტაზიას და ხორცს ვერასდროს შეისხამს. მსოფლიო ისტორი-

ის ყველა დიადი იდეალი წარმოიშვა ნათელმხილველური შემეცნებისგან, ყველაზე ფართო გაგებით; ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ყველა ეს დიადი იდეალი მომდინარეობს დიადი იდუმალთმკვლევრებისა თუ ხელდასხმულებისგან; ხოლო დანარჩენი – კაცობრიობის წარმართვაზე მომუშავე რიგითი ხელდასხმულები, ხელმძღვანელობენ იდუმალთმკვლევრებისგან მიებული ცნობიერი ან (უმეტეს შემთხვევაში) ქვეცნობიური მითითებებით. მთელი ქვეცნობიერი დასაბამს, ბოლოს და ბოლოს, მაინც რაღაც ცნობიერიდან იღებს. სახლის მშენებლობაზე მომუშავე კალატოზი „ქვეცნობიერად“ ეგუება საგნებს, რომლებიც სავსებით გაცნობიერებულია მათვის, ვინც განსაზღვრა სახლის მშენებლობის სტილი თუ ადგილი, სადაც უნდა აღემართათ იგი და ა. შ. მაგრამ თვით ამ ადგილისა და სტილის განსაზღვრაშიც ისეთი რამეა ჩადებული, რაც გაუცნობიერებელი რჩება განმსაზღვრელებისთვისაც, თუმცა შეგნებული ან გაცნობიერებულია სხვების მიერ. მაგალითად, მხატვარმა იცის, რატომ ითხოვს მოცემული სტილი ერთ შემთხვევაში სწორ, მეორე შემთხვევაში კი – მრუდ ხაზს და ა. შ. ხოლო, ვინც საკუთარი სახლის მშენებლობისას ამ სტილს იყენებს, შესაძლოა, ამ „რატომს“ ვერც აცნობიერებს. სამყაროსა და ადამიანური განვითარების უდიდესი მოვლენების შესახებაც იგივე ითქმის; გარკვეულ სფეროში მომუშავე ადამიანთა უპან უფრო მაღალკვალიფიციური და ცნობიერი თანამშრომლები დგანან. ასე იშლება ზევით და ქვევით შემეცნების კიბის საფეხურები. ჩვეულებრივ ადამიანებზე ზევით დგანან გამომგონებლები, მხატვრები, მკვლევრები და ა. შ. მათ ზემოთ – იდუმალთმეტყველი ხელდასხმულები, ამ ხელდასხმულებზე მაღლა კი – ზეადამიანური არსებები. სამყაროსა და კაცობრიობის განვითარება ჩვენთვის ცხადი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავერკვევით, რომ ჩვეულებრივი ადამიანური ცნობიერება წარმოადგენს ცნობიერების მხოლოდ ერთ-ერთ ფორმას და არსებობს უფრო მაღალი და ღრმა ფორმებიც. ოღონდ არც აქ შეიძლება ამ გამოთქმების („მაღლა“ და „უფრო ღრმა“) შეცდომით გამოყენება. მათ მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იმ თვალსაზრისისთვის, რომელიც ადამიანს ამა თუ იმ მომენტში გააჩნია. ამ მხრივ ისინი შეგვიძლია შევადაროთ „მარჯვენასა“ და „მარცხენას“; როცა ადამიანი დგას რაიმე განსაზღვრულ

ადგილას, მაშინ ზოგი საგანი განლაგებულია „მარჯვნივ“, დანარჩენი კი – „მარცხნივ“. თუ ადამიანი გადაიწევს ოდნავ მარჯვნივ, მაშინ ადრე მის მარჯვნივ მდებარე საგანი უკვე მარცხნივ აღმოჩნდება. რეალურად იგივე ხდება ცნობიერების საფეხურებთან მიმართებითაც, რომლებიც ჩვეულებრივ ადამიანურ ცნობიერებაზე „მაღლა“ ან „ღრმად“ მდებარეობენ. როცა ადამიანი თავად აღწევს განვითარების მაღალ საფეხურს, მაშინ ცნობიერების სხვა საფეხურისადმი მისი დამოკიდებულებებიც იცვლება. ეს ცვლილებები სწორედ ცნობიერების განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია აქ მაგალითად მოვიყვანოთ ცნობიერების სხვა მსგავსი საფეხურიც.

ჩვენთვის ასეთ მაგალითებს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ფუტკრის სკა, ან ცხოვრების ის გასაოცარი სახელმწიფოებრივი წესრიგი, რომელიც ჭიანჭველების ბუდეშია გამეფებული. სხვადასხვაგვარ მწერთა (დედალი და მამალი ჭიანჭველები, მუშები) ერთობლივი მუშაობა საგვარით კანონზომიერად მიმდინარეობს. ცალკეულ ჯგუფებზე სამუშაოს განაწილება შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ როგორც სრულქმნილი სიბრძნის გამოვლენა. ის, რაც იქ ხდება, გარკვეული ცნობიერების შედეგია, ზუსტად ისევე, როგორც ფიზიკურ სამყაროში (ტექნიკა, ხელოვნება, სახელმწიფო და ა. შ.), ადამიანის დაფუძნება წარმოადგენს მისი ცნობიერების შედეგს. ოღონდ ეგაა, რომ ის ცნობიერება, რაც საფუძვლად უდევს ფუტკრის სკას ან ჭიანჭველების ბუდეს, შეუძლებელია მოვიძიოთ იმ ფიზიკურ სამყაროში, რომელშიც ჩვეულებრივი ადამიანური ცნობიერება იჩენს თავს. მოვლენის არსის მონიშვნისთვის საჭიროა იგი გამოვხატოთ დაახლოებით შემდეგნაირად: ადამიანს ჩვენ გვთულოთ ფიზიკურ სამყაროში. ამ ადამიანის ფიზიკური ორგანოები თუ მთელი სხეულიც იმგვარადაა მოწყობილი, რომ მისი ცნობიერებაც, უპირველეს ყოვლისა, ამ ფიზიკურ სამყაროში უნდა ვეძიოთ. სხვაგვარად არის ვითარება ფუტკრის სკასა თუ ჭიანჭველების ბუდეში. ზემოხსენებული ცნობიერების ძიებისას უდიდესი შეცდომა იქნებოდა, იმავე აზრით რომ შევჩერებულიყავით მათ ფიზიკურ სამყაროზე, როგორც – ადამიანთან დაკავშირებით. პირიქით, აქ ჩვენ საგუთარ თავს უნდა ვუთხრათ: ფუტკრის სკისა თუ ჭიანჭველების ბუდის მომწყობი არსების ძიებისას, ჩვენ არ უნ-

და შეგჩერდეთ იმ სამყაროზე, რომელშიც თავიანთი ფიზიკური სხეულით ფუტკრები და ჭიანჭველები ცხოვობენ. „ცნობიერი სული“ უძალ სხვა სამყაროში უნდა ვეძიოთ. ადამიანთან მიმართებით ფიზიკურ სამყაროში მცხოვრები ეს ცნობიერი სული, ზემოხსენებული ცხოველური კოლონიებისთვის ზეგრძნობად სამყაროში უნდა ვეძებოთ. თუ საკუთარი ცნობიერებით ადამიანი მოახერხებდა ამ ზეგრძნობად სამყაროში შედწევას, იგი შეძლებდა სრულიად ცნობიერად მისაღმებოდა „ჭიანჭველასეულ და ფუტკრისეულ სულს“, როგორც დისეული არსება. ნათელმხილველს ეს მართლაც ძალუშს. ამრიგად, მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ისინი არიან არსებები, რომელთა ცნობიერება სხვა სამყაროებში იმყოფება და რომლებიც ფიზიკურ სამყაროში იქრებიან მხოლოდ საკუთარი ფიზიკური ორგანოებით – ცალკეული ფუტკრებითა და ჭიანჭველებით. სავსებით შესაძლებელია, რომ ამჟამინდელი ადამიანის მსგავსად, თავისი განვითარების ადრეულ პერიოდებში ფუტკრის სკისა თუ ჭიანჭველათა ოჯახისმაგვარი ცნობიერება ფიზიკურ სამყაროში უკვე არსებობდა, მაგრამ შემდეგ ამაღლდა და ფიზიკურ სამყაროში დატოვა მხოლოდ საკუთარი მუშაორგანოები, კერძოდ, ცალკეული ჭიანჭველები და ფუტკრები. განვითარების ამგვარი მსვლელობა მომავალში ადამიანსაც აუცილებლად ელის. გარკვეულ დონეზდე იგი უკვე დღესაც განხორციელებულია ნათელმხილველებში. ფიზიკურ სამყაროში თანამედროვე ადამიანის ცნობიერების მუშაობა ეფუძნება თავისი ფიზიკური ნაწილაკების (ტვინის და ნერვული სისტემის მოლეკულები) სრულიად განსაზღვრული სახით შეერთებას. ზემოთ გადმოცემული ასევე ზუსტია სხვა მხრივაც (იხ. ჩემს წიგნში „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემცნება“), რაც აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს. ადამიანის უფრო მაღალი განვითარებით ტვინის მოლეკულათა ჩვეულებრივი კავშირი მართლაც შესუსტდება. მათ შორის კავშირი უფრო თავისუფალი იქნება, ასე რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ნათელმხილველის ტვინი მართლაც შეიძლება შევადაროთ ჭიანჭველების ბუდეს, თუმცა ანატომიურად ამ დაყოფის დანახვაც კი შეუძლებელია. სამყაროს სხვადასხვა ადგილში მოვლენები სრულიად განსხავებულად ვითარდება. ჭიანჭველების ბუდის ცალკეული მოლეკულები (კერძოდ, თვით ჭიანჭველები

ბი) შორეულ წარსულში ერთმანეთთან ისევე მჯიდროდ იყვნენ დაკავშირებული, როგორც ამჟამად – ადამიანის ტვინის მოლექულები. იმ უძველეს დროში მათი შესაბამისი ცნობიერებაც ისევე იმყოფებოდა ფიზიკურ სამყაროში, როგორც – დღევანდელი ადამიანის ცნობიერება. მომავალშიც, როცა ადამიანური ცნობიერება გადასახლდება „ზენა“ სამყაროში, ფიზიკურ სამყაროში გრძნობად ნაწილაკთა კავშირი ისევე თავისუფალი იქნება, როგორც – ცალკეული ჭიანჭველების კავშირი ამჟამად. ის, რაც ოდესმე ფიზიკურად განხორციელდება ყველა ადამიანისათვის, უკვე ახლა ხდება ნათელმხილველის ტვინთან მიმართებით; ოდონდ ეგაა, რომ გრძნობად სამყაროში არ არსებობს საკმარისად ფაქიზი ინსტრუმენტი, რომელიც გამოავლენდა იმ კავშირთა შესუსტებას, რაც თან ახლავს სსვებზე ასე წინ წასულ განვითარებას. მსგავსად იმისა, როგორც ფუტკრებში წარმოიქმნება სამი კატეგორია: დედალი ფუტკარი, მამალი ფუტპარი (მუქთახორი) და მდედრი მუშები, ასევე წარმოიშობა „ნათელმხილველის ტვინშიც“ მოლექულების სამი კატეგორია, ანუ შეიძლება ითქვას, წარმოიქმნებიან ცალკეული ცოცხალი არსებები, რომლებიც ზენა სამყაროებში შეღწეულ ნათელმხილველურ ცნობიერებას ცნობიერ ურთიერთქმედებაში მოჰყავს.

ცნობიერების სხვა საფეხურს წარმოადგენს ის, რასაც ჩვეულებრივ ერის ან რასის სულს უწოდებენ, ამასთან ისე, რომ რაიმე მკაფიოდ განსაზღვრული ვერც წარმოუდგენიათ. თუმცა იღუმალოთმკვლევრისთვის იმ საერთო, სიბრძნით აღვსილ მოღვაწეობას, რომელიც ვლინდება ცალკეული ერის ან რასის წევრთა ერთობლივი თანაცხოვრებისას, საფუძვლად რადაც ცნობიერება უდევს. იღუმალოთმეტყველური კვლევით ეს ცნობიერებაც ისევე შეიძლება მოიძიო სხვა სამყაროში, როგორც ფუტკრის სკისა თუ ჭიანჭველების ბუდის ცნობიერება. ოდონდ ამ „ეროვნული“ და „რასობრივი ცნობიერებისთვის“ ფიზიკურ სამყაროში ორგანოები არ არსებობს, მაგრამ ისინი არსებობს მხოლოდ ე.წ. ასტრალურ სამყაროში. მსგავსად იმისა, როგორც ფუტკრის სკის ცნობიერება ახორციელებს საპუთარ სამუშაოს ფიზიკური ფუტკრების მეშვეობით, ასევე მოქმედებს ეროვნული ცნობიერებაც ამავე ერის წარმომადგენელთა ასტრალური სხეულების დახმარებით. ამდენად, „ერებისა და რასის ამ

სულთა“ სახით ჩვენ ვმსჯელობთ სულ სხვაგვარ არსებებზე, ვიდრე ადამიანში ან – ფუტკრის სკაში. კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ადამიანთან დაკავშირებით უმაღლესი და უმდაბლესი არსებების რეალურობის მკაფიოდ წარმოსაჩენად, მაგრამ ესეც საკმარისია, რათა მომდევნო თავებში აღწერილ ადამიანის განვითარების გზებს შესავალი წავუმდღვაროთ; ვინაიდან ადამიანის ჩამოყალიბებას შეიძლება ჩაგწვდეთ მხოლოდ მაშინ, როცა მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, თუ როგორ ვითარდება იგი იმ არსებებთან ერთად, რომელთა ცნობიერებებიც მისი ცნობიერებისგან სრულიად განსხვავებულ სამყაროებში არსებობს. ადამიანის სამყაროში მომხდარი დამოკიდებულია ცნობიერების სხვა საფეხურზე მდგომ მსგავს არსებებზეც და ამიტომ გასაგები მხოლოდ მათთან კავშირში გახდება.

## დედამიწის უარმოშობის შესახვა

თითოეულ ადამიანს საკუთარი ცხოვრების გზაზე, დაბადებისთანავე უწევს სხვადასხვა საფეხურის გავლა დაწყებული ჩვილობიდან, შემდეგ ბავშვობის ასაკისა და ა. შ. მოწიფულ მამაკაცამდე თუ ქალამდე; ასევე იგივე ხდება მთლიანად მთელი კაცობრიობის განვითარებისას. ამჟამინდელ მდგომარეობამდე იგი მთელი რიგი საფეხურის გავლით განვითარდა. იმ საშუალებათა დახმარებით, რომლითაც ნათელმხილველია აღჭურვილი, შესაძლებელია, თვალი მივადევნოთ განვითარების იმ სამ მთავარ საფეხურს, რომლებიც დედამიწის წარმოქმნასა და მისი, როგორც კოსმიური სხეულის ამგვარი განვითარების არენად გადაჭცევამდე გაიარეს. ამდენად, ამჟამად ჩვენ ვეხებით ადამიანის უდიდესი სამყაროსეული ცხოვრების მეოთხე საფეხურს. აქ საჭიროა თავიდანვე გავამახვილოთ ყურადღება ამასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ფაქტზე. შინაგანი დასაბუთება გამოვლინდება თვით თხრობის მსგლელობისას, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვეულებრივი სასაუბრო ენით ისე, რომ იდუმალთმეტყველებაში გამოყენებულ გამოხატვის მეოთხებს არ მივმართოთ.

ადამიანი არსებობდა მაშინაც, როცა ჯერ კიდევ არ იყო არანაირი დედამიწა. ოდონდ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ (როგორც ამაზე წინა თავებში უკვე მივანიშეთ), თითქოს ადამიანი ადრე სხვა პლანეტებზე ბინადრობდა და დედამიწაზე გარდებულ მომენტში გადმოსახლდა. პირიქით, თავად დედამიწა ვითარდებოდა ადამიანთან ერთად. დედამიწამაც ადამიანის მსგავსად განვლო განვითარების სამი მთავარი საფეხური, ვიდრე ჩვენ მიერ ამჟამად სახელდებულ „დედამიწად“ ჩამოყალიბდებოდა. ჯერჯერობით აუცილებელია, როგორც „აკაშა-ქრონიკის“ წინა თავებში იყო მითითებული, მთლიანად გავთავისუფლდეთ იმ მნიშვნელობისაგან, რასაც თანამედროვე მეცნიერება უკავშირებს „სატურნის“, „მზისა“ და „მთვარის“ სახელებს, თუ გვსურს, მართებულად აღვიქვათ ის, რაც ამ სფეროში იდუმალთმეტყველს ძალუს, გვამცნოს. ამ სხეულებს არც შემდგომში დავუკავშირებოთ რაიმე სხვა მნიშვნელობას, გარდა იმისა, რასაც მომდევნო ინფორმაციებში უშუალოდ იდუმალთმეტყველების საფუძველზე გადმოვცემთ.

„დედამიწად“ ჩამოყალიბებამდე, კოსმიურ სხეულს, რომელზეც მიმდინარეობდა ადამიანის ცხოვრება, გააჩნდა სამი სხვა ფორმა, რომლებსაც სატურნს, მზეს და მთვარეს უწოდებენ. ამრიგად, შეიძლება ვისაუბროთ ოთხ პლანეტაზე, რომლებზეც ადამიანური განვითარება ოთხ მთვარ საფეხურს გადის. საქმე ის არის, რომ დედამიწა სანამ უშუალოდ „დედამიწად“ ჩამოყალიბდებოდა, წარმოადგენდა მთვარეს, უფრო აღრე – მზეს, ხოლო კიდევ უფრო აღრე – სატურნს. ჩვენ უფლება გვაქვს აგრეთვე (როგორც ეს მომდევნო ცნობებიდან გაირკვევა) გავითვალისწინოთ განვითარების სამი შემდგომი საფეხურიც, რომელთაც მოგვიანებით გაივლის დედამიწა, ან ასევე (აქ უმჯობესია ითქვას) ის კოსმიური სხეულიც, რომელიც ამჟამინდელ დედამიწამდე ვთარდებოდა. იდუმალომეტყველებაში ამ სამ შემდგომ საფეხურს იუპიტერს, ვენერასა და ვულკანს უწოდებენ. ამრიგად, აღრეულ პერიოდებში კოსმიურმა სხეულმა, რომელთანაც ადამიანის ბედისწერა დაკავშირებული, უკამ განვლო განვითარების სამი საფეხური და ამჟამად მეოთხეზე იმყოფება. მან მომავალში უნდა განვლოს კიდევ სამი საფეხური, ვიდრე არ განვითარდება ყველა ის უნარი, რომელსაც ადამიანი ატარებს თავის თავში, საკუთარი სრულყოფილების მწვერვალის მიღწევამდე.

ამასთან, საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანისა და მისი კოსმიური სხეულის განვითარება არ მიმდინარეობს ისე თანდათანობით, როგორც ცალკეული ადამიანის გადასვლა ხდება ჩვილობის ასაკიდან ბავშვობის ასაკში და ა. შ., სადაც ერთი მდგომარეობა მეტ-ნაკლებად შეუმჩნევლად გადადის მეორეში. პირიქით, აქ ხდება გარკვეული შესვენებები. სატურნის მდგომარეობა უშუალოდ მზის მდგომარეობაში არ გადადის. სატურნისა და მზის განვითარების საფეხურებსა და აგრეთვე ადამიანური კოსმიური სხეულის შემდგომ ფორმებს შორისაც ძევს შუალედური მდგომარეობები, რომლებიც შეიძლება შევადაროთ ორი დღის ერთმანეთისგან გამყოფ ღამეს, ან იმ ძილისმაგვარ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება მცენარის თესლი მანამ, სანამ ხელახლა სრულ მცენარედ არ ამოიზრდება. ამ მოვლენების გამოხატვის იმ ფორმის თანახმად, რომელიც აღმოსავლეთშია მიღებული, განვითარების ისეთ მდგომარეობას, რომელშიც ცხოვრება ჩქეფს გარეგნულად, თანამედ-

როგორ თეოსოფია „უწოდებს მანვანტარას (Manvantara), ხოლო უძრაობის, სიმშვიდის შუალედურ პერიოდს – პრალაიას (Pralaya). ევროპული იდუმალთმეტყველების სულისკვეთებით პირველ მდგომარეობას შეიძლება მივუსადაგოთ სიტყვა „ლია წრებრუნვა“, მეორეს კი – „იდუმალი ანუ დახურული წრებრუნვა“. მიღებულია აგრეთვე სხვა ადნიშვნებიც. სატურნი, მზე, მთვარე, დედამიწა და ა. შ. – ეს „ლია წრებრუნვებია“, მათ შორის არსებული სიმშვიდის პერიოდები კი – „დახურული“.

ძალზე არასწორი იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ სიმშვიდის პერიოდებში ყველანაირი სიცოცხლე პავდება, თუმცა ამგვარი შეხედულება ამჟამად ბევრ თეოსოფიურ წრეში გვხვდება. როგორც ძილის დროს არ წყვეტს ადამიანი სიცოცხლეს, ასევე არ წყდება მისი ცხოვრება და მისივე კოსმიური სხეულის სიცოცხლეც „დახურული წრებრუნვის“ (პრალაია) პერიოდში. ოდონდ სიმშვიდის პერიოდებში ცხოვრებისეული მდგომარეობის აღქმა შეუძლებელია „ლია წრებრუნვისას“ განვითარებული გრძნობებით, ისევე, როგორც ადამიანი ძილში ვერ აღიქვამს თავის გარშემო მომხდარს. თუ რატომ გამოიყენება განვითარების მდგომარეობების აღსანიშნავად გამოოქმდა „წრებრუნვა“, მომდევნო თავებში გაირკვევა. ხოლო ასეთი „წრებრუნვის-თვის“ აუცილებელი დროის გრანდიოზულ შუალედებზე მხოლოდ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

შესაძლებელია მოვიძოოთ ამ წრებრუნვათა თანმიმდევრობის ერთიანი ძაფი, თუ მათში ადამიანური ცნობიერების განვითარებას წინასწარ თვალს მივადევნებთ. ყველა დანარჩენი კი, შეიძლება თანმიმდევრულად მივაკუთვნოთ ცნობიერების ამ მიმოხილვას. ადამიანის მიერ საკუთარი მიწიერი ყოფიერების განმავლობაში განვითარებულ ცნობიერებას (ეკროპული იდუმალთმეტყველების მიხედვით) „ნათელ, დღის ცნობიერებას“ უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი სამყაროსეულ საგნებსა თუ არსებებს აღიჭვამს საკუთარი რეალური გრძნობების დახმარებით და მათზე წარმოდგენებსა თუ იდეებს საკუთარი ჭრუისა და გონების მეოხებით იქმნის. მაშინ იგი გრძნობად სამყაროში ამ აღქმების, წარმოდგენებისა და იდეების შესაბამისად მოქმედებს. ეს ცნობიერება ადამიანმა თავისი კოსმიური განვითარების მხოლოდ მეოთხე მთავარ საფეხურზე განი-

ვითარა. ამგვარი ცნობიერება სატურნზე, მზესა და მთვარეზე ჯერაც არ არსებობდა. იქ ადამიანი ცნობიერების სხვა მდგომარეობებში ცხოვრობდა. ამის შესაბამისად, განვითარების წინა სამი საფეხური შეიძლება მივიჩნიოთ ცნობიერების დაბალი მდგომარეობის გახსნად.

ცნობიერების ყველაზე დაბალი მდგომარეობა სატურნზე განვითარების პერიოდში იქნა გავლილი. უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს ცნობიერების მდგომარეობა მზეზე, რომელსაც მოსდევს მთვარის და ბოლოს, დედამიწის ცნობიერება.

ცნობიერების ეს გაცილებით ადრეული მდგომარეობები მიწიერისგან უმთავრესად ორი ნიშნით განსხვავდება, სიცხადის ხარისხითა და იმ არეალით, რომელზეც ადამიანის აღქმა ვრცელდება. სიცხადის ყველაზე დაბალი ხარისხი ცნობიერებას სატურნზე გააჩნდა. იგი სრულიად ბუნდოვანი იყო. ამიტომ, ძნელია, ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ბუნდოვანებაზე, რადგანაც ძილის ბუნდოვანებაც კი ერთი საფეხურით მაღლაა, ვიდრე ცნობიერების ეს მდგომარეობა. თანამედროვე ადამიანი მას შეიძლება მხოლოდ ე.წ. ღრმა ტრანსის არანორმალური მდგომარეობისას მიუბრუნდეს. იდუმალთმეტყველების სულისკვეთებით ნათელ ხილვამდე ამაღლებულ ადამიანსაც შეუძლია მასზე მართებული წარმოდგენა შეიქმნას, ოღონდ თავად იგი ცნობიერების ამგვარ მდგომარეობაში სრულებითაც არ ცხოვრობს. პირიქით, იგი მაღლებება სხვა, გაცილებით მაღალ ცნობიერებამდე, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით, მაინც – იმ პირველადის მსგავს ცნობიერებამდე. მიწიერი განვითარების თანამედროვე საფეხურზე ჩვეულებრივი ადამიანისთვის მის მიერ ოდესდაც განვლილი ეს მდგომარეობა „მკაფიო, დღის ცნობიერებითაა“ ჩახშობილი; მაგრამ ღრმა ტრანსს მიცემული „მედიუმი“ ხელახლა გადადის მასში და იმგვარად აღიქვამს, როგორც აღიქვამდა ოდესდაც ყველა ადამიანი „სატურნის პერიოდში“. მაშინ ამგვარ მედიუმს, ტრანსის დროს თუ გამოღვიძების შემდეგ, შეუძლია ისაუბროს იმის მსგავს განცდებზე, რომლებსაც სატურნზე ჰქონდა ადგილი; ოდონდ, ცხადია, საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ „მსგავსებაზე“ და არა „იგივეობაზე“, ვინაიდან სატურნზე მომხდარი ფაქტები ერთხელ და სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ხოლო ზოგიერთი ფაქტი, რომელიც მათ გარკვეულ

წილად ენათესავება, ადამიანის გარშემო დღესაც თამაშდება. ამ უკანასკნელის აღქმა მხოლოდ „სატურნზე“ არსებულის მსგავს ცნობიერებას შეუძლია. ზემოაღნიშნული სულისკვეთების ნათელმხილველი, როგორც ხსენებული მედიუმი, ამჟამად აღწევს ისეთ ცნობიერებას, როგორიც „სატურნზე“ არსებობდა. ამასთან ერთად ინარჩუნებს საკუთარ „მკაფიო დღის ცნობიერებასაც“, რომელიც ადამიანს სატურნზე ჯერ კიდევ არ გააჩნდა და რომელსაც მედიუმი ტრანსის დროს კარგავს. ამდენად, მართალია, ნათელმხილველი თავად არ იმყოფება სატურნზე იმ დროს არსებული ცნობიერების მდგრმარეობაში, მაგრამ შეუძლია მასზე წარმოდგენა შეიქმნას, მაშინ როდესაც თავისი სიცხადით სატურნზე არსებული ამგვარი ცნობიერება რამდენიმე საფეხურით დაბლა დგას თანამედროვე ადამიანურ ცნობიერებაზე, თუმცა აღქმის მოცულობით ამ უკანასკნელს აღემატება. კერძოდ, მიუხედავად მთელი თავისი ბუნდოვანებისა, მას შეუძლია დატალურად აღიქვას საკუთარ კოსმიურ სხეულში მომხდარი, ამასთან სატურნზე თავისივე სხეულთან კავშირში მყოფ სხვა კოსმიურ სხეულთა საგნებსა და არსებებსაც დააკვირდეს. მას ძალუბს, აგრეთვე გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს ამ საგნებსა და არსებებზე (საეჭვოა, შესხენება სჭირდებოდეს იმას, რომ სხვადასხვა კოსმიური სხეულის ამგვარი დაკვირვება სრულიად განსხვავებულია თანამედროვე ადამიანის მიერ მეცნიერული ასტრონომიის მეშვეობით წარმოებულისგან. ასტრონომიული დაპკირვება ემყარება „მკაფიო, დღის ცნობიერებას“ და ამიტომ სხვა კოსმიურ სხეულებს გარედან აღიქვამს. სატურნის ცნობიერება კი, პირიქით, დაანარჩენ კოსმიურ სხეულებში მომხდარის უშაულო განცდასა და თანაზიარობას წარმოადგნს; შესაძლოა მთლიანად არა, მაგრამ გარკვეულწილად მაინც მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ სატურნის ბინადარი ისევე განიცდიდა საგნებსა და სხვა კოსმიურ სხეულებში მიმდინარე მოვლენებს, და ასევე საკუთარსაც, როგორც თანამედროვე ადამიანი განიცდის საკუთარ სხეულში გულის ფეთქვას, ან რაღაც ამის მსგავსს).

სატურნზე ეს ცნობიერება ნელა ვითარდება. იგი, როგორც კაცობრიობის განვითარების პირველი მთავარი საფეხური, გაივლის მთელ რიგ დაქვემდებარებულ საფეხურს, რომელსაც ევროპულ იდუმალთმეტყველებაში „მცირე

წრებრუნვებს“ უწოდებენ. თეოსოფიურ ლიტერატურაში ამ „მცირე წრებრუნვებს“ მიეკუთვნა სახელი „წრები“, ხოლო მათ მომდევნო ქვედაყოფებს, კიდევ უფრო მცირე წრებრუნვებს – „გლობები“. ამ დაქვემდებარებულ წრებრუნვებზე მომდევნო თავებში ვისაუბრებოთ. აქვე, მათი განხილვის გაადვილების მიზნით, ჯერ თვალს მივადევნებოთ განვითარების მხოლოდ მთავარ საფეხურებს. ჯერჯერობით საუბარი იქნება ასევე მხოლოდ ადამიანზე, თუმცა მისი განვითარების თანადროულად მიმდინარეობს აგრეთვე, როგორც მასზე დაბლა, ისე მაღლა მდგომი არსებებისა და საგნების განვითარებაც. შემდეგში ადამიანის წინსვლას ბუნებრივად უერთდება ის, რაც სხვა არსებების განვითარებას ეხება.

როდესაც სატურნზე დასრულდა ცნობიერების გახსნა, დადგა სიმშვიდის (პრალაის) ზემოსსენებული ერთ-ერთი ხანგრძლივი პერიოდი. ამის შემდეგ ადამიანის კოსმიური სეეჭლიდან განვითარდა ის, რასაც იდუმალთმეტყველებაში „მზეს“ უწოდებენ. მზეზე ხელახლა გამოიღვიძეს ძილს მიცემულმა ადამიანურმა არსებებმაც, რომლებშიც ნიჭის სახით ჯერ კიდევ ადრე, სატურნზე აღმოცენებული ცნობიერება არსებობდა. თავდაპირველად მათ ჩანასახის მდგომარეობიდან ხელახლა სწორედ იგი გამოიყვანეს. შეიძლება ითქვას, რომ მზეზე ადამიანმა გაიმეორა სატურნის მდგომარეობა, სანამ უფრო ზევით ამაღლდებოდა. ოღონდ აქ იგულისხმება გამეორება არა ჩვეულებრივი, არამედ სხვაგვარი ფორმით. ხოლო ფორმათა გარდაქმნაზე საუბარი მოგვიანებით, მცირე წრებრუნვათა აღწერის დროს იქნება. განსხვავება ცალკეულ „გარემოებებშიც“ სწორედ მაშინ გამოაშკარავდება. ჯერჯერობით კი მხოლოდ ცნობიერების განვითარებას განვიხილავთ. სატურნის მდგომარეობის გამჟორების შემდეგ დგება ადამიანის „მზისეული ცნობიერების“ ჟამი. იგი ერთი საფეხურით უფრო მკაფიოდ წინარეზე, სამაგიეროდ რამდენადმე შეუმცირდა თვალთახედვის არეალი. თავის ამჟამინდელ ცხოვრებისეულ მდგომარეობაში, უსიზმრო ღრმა ძილში, ადამიანი ფლობს იმის მსგავს ცნობიერებას, როგორიც მას ოდესდაც მზეზე ჰქონდა. ოღონდ, ვინც ვერ ფლობს ნათელ ხილვის უნარს, ან არ არის მედიუმი, მას არ ძალუს საგნებისა და მოვლენების იმგვარი აღქმა, როგორიც მზის ცნობიერებას უპასუხებს. ტრანსის მდგომარეობაში ჩაფლულ მედიუმთან და ჭეშმარიტი ნათელი

მხილველის უმაღლეს ცნობიერებასთან დაკავშირებით იგივე შეიძლება გავიმეოროთ, რაც უკვე ითქვა სატურნზე არსებულ ცნობიერებაზე. მზის ცნობიერების მოცულობა განვითნილია მხესა და მასთან უახლოეს კავშირში მყოფ კოსმიურ სხეულებზე. მზის ბინადარს მხოლოდ მზისა და მის მსგავსთა თანაგანცდა შეუძლია იმგვარად, როგორადაც განიცდის ამჟამინდელი ადამიანი (თუ კიდევ ერთხელ გამოვიყენებოთ ზემოთ მოყვანილ შედარებას) საკუთარ გულისცემას. ამდენად, სატურნის ბინადარიც განიცდიდა იმ კოსმიურ სხეულთა ცხოვრებასაც, რომლებიც უშუალოდ სატურნის უახლოეს სფეროს არ განეკუთვნებოდა.

როდესაც მზის საფეხურმა განვლო შესაბამისი დაქვემდებარებული წრებრუნვები, მასაც პრალიას პერიოდი დაუდგა. ადამიანური კოსმიური სხეული თავის „მოვარის არსებობაში“ პრალიას შემდეგ იღვიძებს. კიდევ უფრო მეტად განვითარებამდე, ადამიანი აქ ისევ გადის სატურნისა და მზის საფეხურებს ორი მცირე წრებრუნვის დროს. შემდეგ იგი თავის მოვარისეულ ცნობიერებაში შეაბიჯებს. ამაზე წარმოდგენის შექმნა უკვე ადვილია, რადგან არსებობს გარკვეული მსგავსება ცნობიერების ამ საფეხურსა და სიზმრით განმსჭვალულ ძილს შორის; განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ აქაც საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ მხვავებაზე და არა იგივეობაზე. ვინაიდან, მოვარის ცნობიერება, მართალია, სიზმრის მსგავს სურათ-ხატებში მიედინება, მაგრამ ეს სურათ-ხატები ისევე შეესაბამება ადამიანის გარშემო არსებულ საგნებსა და მოვლენებს, როგორც – თანამედროვე „მკაფიო, დღის ცნობიერების“ წარმოდგენებს. ოდონდ ამ შესაბამისობაში ჯერაც ყველაფერი ბუნდოვანია, შეიძლება ითქვას, ხატოვანი. ეს ხელშესახებად შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ. დავუშვათ, მოვარისეული არსება მიუახლოვდა რაიმე საგანს, კოქვათ მარილს (ცხადია, მაშინ „მარილი“ ამჟამინდელი სახით ჯერ კიდევ არ არსებობდა; მაგრამ გასაგები რომ იყოს, იძულებული ვართ შედარებებითა და სურათ-ხატებით შემოვიფარგლოთ). თანამედროვე ადამიანის წინამორბედი ეს მოვარისეული არსება საკუთარი თავის გარეთ სივრცობრივად გაშლილ საგანს, განსაზღვრულ ფერსა და ფორმებს ვერ აღიქვამს. თუმცა ამა თუ იმ საგანთან მიახლოება მოვარისეული არსების შიგნით იწვევს თითქოსდა

გარკვეული სურათ-ხატის, კერძოდ, სიზმრის მსგავსი სურათ-ხატის აღმოცენებას. ამ სურათ-ხატს ახასიათებს გარკვეული ფერადოვნება, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მოცემული საგანი. თუ იგი ესიმპათიურება ამ არსებას და სასურველია მისი ცხოვრებისთვის, მაშინ შეფერილობა იქნება ნათელი, მოყვითალო ელფერით, ან მწვანე; თუ საქმე ეხება არასიმპათიურ საგანს ან ამ მთვარისეული არსებისთვის საზიანოს, მაშინ სისხლისფერ-წითელი ელფერი ჩნდება. დღევანდელი ნათელმხილველიც სწორედ ამგვარად ხედავს. ოდონდ ამ ხილვისას იგი ინარჩუნებს სრულ ცნობიერებას, მაშინ როცა მთვარეზე ბინადრობისას მხოლოდ სიზმრისებრ, ბუნდოვან ცნობიერებას ფლობდა. ამ ბინადრის „შიგნით“ წარმოქმნილ სურათ-ხატებს გარემოსთან სრულიად განსაზღვრული დამოკიდებულება გააჩნდათ. მათში არაფერი იყო თვითნებური. ამიტომ შეიძლებოდა, ამ სურათ-ხატებით ეხელმძღვანელდათ. ამ სურათ-ხატოვანი შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფნი ისევე მოქმედებდნენ, როგორც მოქმედებენ ამჟამად გრძნობადი აღქმების შთაბეჭდილებით. ამ სიზმრისებრი ცნობიერების (მესამე მთავარი საფეხურის) განვითარება „მთვარის წრებრუნვის“ ამოცანას წარმოადგენდა. ხოლო, როცა „მთვარემ“ გაიარა შესაბამისი „მცირე წრებრუნვები“, ხელახლა დადგა სიმშვიდის (პრალაია) პერიოდი. ამის შემდეგ კი წყვდიადიდან გამოკრთა „დედამიწა“.

ადამიანის განვითარების მეოთხე მთავარი საფეხური დედამიწაზე მიმდინარეობს. ესაა ცნობიერების ის მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი ჩვენს დროში იმყოფება; ამის მიღწევამდე თავად მას და მასთან ერთად მთელ დედამიწასაც, სამ მცირე წრებრუნვაში (თეოსოფიურ ლიტერატურაში „წრეებად“ წოდებული), ხელახლა ერთიმეორის მიყოლებით უნდა გაემეორებინა სატურნის, მზისა და მთვარის მდგომარეობები. ამჟამად ადამიანი დედამიწის მეოთხე წრებრუნვაში ცხოვრობს. იგი ამ წრებრუნვის ნახევარს რამდენადმე უკვე გადასცდა. ცნობიერების ამ საფეხურზე ადამიანი აღიქამს არა მარტო საკუთარ სამშვინველში გარემოს ქმედებით წარმოქმნილ სიზმრისეულ სურათ-ხატებს, არამედ მისთვის საგნები „გარეთა სივრცეშიც“ ჩნდება. მაგალითად, შესაბამისი საგნის მიახლოებისას, მთვარეზე და აგრეთვე დედამიწაზეც (მისი განმეორებადი საფეხურების პერიოდში), ადამიანის სამშვინველში ფერადოვანი სურათ-ხატი ჩნდებოდა. მთელი ცნობიერება შედგებოდა ამგვარად შემოსული და უკუქცეული სურათ-ხატებისგან, ხმებისგან და ა. შ. ფერი ჩნდება მხოლოდ ცნობიერების მეოთხე მდგომარეობის დადგომის შემდეგ უკვე არა მარტო სამშვინველში, არამედ სივრცებრივად შემოსაზღვრულ გარეგნულ საგნებშიც; ხოლო ხმა უკვე ადარ არის მხოლოდ სამშვინველის შინაგანი ქდერადობა, არამედ თვით საგანი ქდერს სივრცეში. ამიტომ ცნობიერების მეოთხე მიწიერ მდგომარეობას იღუმალომებულებაში „საგნობრივ ცნობიერებასაც“ უწოდებენ. იგი განვითარების მსვლელობის დროს ნელა და თანდათანობით გამომუშავდა, იმ გზით, როცა გრძნობათა ფიზიკური ორგანოები ნელ-ნელა იქმნებოდა და შესაძლებელს ხდიდა მრავალფეროვანი გრძნობადი თვისებების გარეგნულ საგნებში აღქმას. მაგრამ აწ უკვე განვითარებული გრძნობების გარდა არსებობს ჯერ კიდევ ჩანასახის სახით სხვებიც, რომლებიც გაიშლება მომდევნო მიწიერ ეპოქებში და გრძნობად სამყაროს ამჟამინდელზე კიდევ უფრო მრავალფეროვნად წარმოაჩენს.

ადრინდელი ადამიანი თავის თავში აღიქამდა ფერადოვან, ქდერად და ა. შ. სამყაროს, რომელიც მიწიერ ცხოვრებაში მისთვის გარეთ, სივრცეში გამოდის. სამაგიე-

როდ მის შიგნით ჩნდება სხვა სამყარო – წარმოდგენებისა და აზრების სამყარო. მოვარისეული ცნობიერების დროს წარმოდგენების ან აზრების სამყაროზე საუბარიც ზედმეტია. იგი მხოლოდ ზემოაღწერილი სურათ-ხატებისგან შედგება. საკუთარი აღქმის საგნებზე წარმოდგენებისა და აზრების შექმნის უნარი ადამიანში მიწიერი განვითარების დაახლოებით შეა პერიოდში (არსებითად, იგი უკვე რამდენადმე ადრე მზადდება) წარმოიშობა. სწორედ ეს უნარი უკრის საფუძველს მეხსიერებისა და თვითცნობიერების წარმოქმნას. მხოლოდ წარმოდგენის უნარის მქონე ადამიანს ძალუძის მის მიერვე აღქმულზე მოგონების გამომუშავება. მხოლოდ მოაზროვნე ადამიანი იძენს გარემოსაგან თავისთავის, როგორც დამოუკიდებელი, თვითცნობიერი არსების განსხვავების უნარს და სწავლობს საკუთარი თავის, როგორც „მე“-ს შეცნობას. ამდენად, ზემოაღწერილი პირველი სამი საფეხური ცნობიერების საფეხურებს წარმოადგენს; მეოთხე კი არის არა მარტო ცნობიერება, არამედ თვითცნობიერება.

ამჟამინდელი თვითცნობიერებისა და აზრობრივი ცხოვრების შიგნით ხელახლა წარმოიქმნება საფუძველი კიდევ უფრო მაღალი მდგომარეობებისათვის. ცნობიერების ამ მდგომარეობების განცდა ადამიანს მოუწევს იმ უახლოეს პლანეტებზე, რომლებადაც დედამიწა თავისი ამჟამინდელი იერის შემდეგ გადაიქცევა. ურიგო არ იქნებოდა, თუ ცნობიერების ამ მომავალ მდგომარეობებზე და მაშასადამე, მომდევნო პლანეტებზე ცხოვრების შესახებაც რამდენიმე სიტყვას ვიტყოდით; რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, ნათელმხილველი (ცნობილ მიზეზთა გამო, მათზე სხვა აღილას იქნება საუბარი) თავის თანამომექებს განვითარებით წინ უსწრებს. ამდენად, მას უკვე ამჟამად გამოუმუშავდება ცნობიერების ის მდგომარეობები, რომელთაც დანარჩენი კაცობრიობა მხოლოდ პლანეტარული განვითარების მსვლელობისას მიაღწევს. ამის გამო ნათელმხილველის ცნობიერებაში ჩვენ უკვე გაგვაჩნია კაცობრიობის შემდგომი საფეხურების სურათ-ხატები. ამიტომაც ცნობიერების სამი მომდევნო მდგომარეობა ყველა ადამიანში ჩანასახის სახით უკვე ახლავე ძევს. ნათელმხილველური კვლევა ფლობს საშუალებებს, რომლებიც მიუთითებენ, თუ რა შეიძლება ამ ჩანასახებიდან წარმოიქმნას.

ჩვენ თუ ვიტყვით, რომ ნათელმხილველი უკვე ამჟამად ივითარებს ცნობიერების იმ მდგომარეობებს, რომელთაც მთელი კაცობრიობა მხოლოდ მომავალში მიაღწევს, მაშინ, ცხადია, ეს უნდა გავიგოთ ერთგარი შეზღუდვით. მაგალითად, ამჟამად ნათელმხილველი მშვინვიერ სამყაროში გამოიტანებს ისეთ ხედვას, რომელიც მომავალში ადამიანთან ფიზიკურად გამოვლინდება; ადამიანის ეს მომავალი ფიზიკური მდგომარეობა თანამედროვე ხელდასხმულის შესაბამის მშვინვიერ მდგომარეობას ზუსტად შეესატყვისება. განვითარდება თავად დედამიწაც, რისი წყალობითაც მის მომავალ ფიზიკურ ბინადართ ამჟამინდელისგან სრულიად განსხვავებული ფორმები ჩამოუყალიბდებათ; ეს ფიზიკური ფორმები ამჟამინდელ მშვინვიერ და სულიერ სამყაროებში მხადვება. მაგალითად, რასაც დღეს ნათელმხილველი ჭვრეტს როგორც ადამიანის ფიზიკური სხეულის გარეშე არსებულ ნათელ და ფერადოვან ღრუბელს ე. წ. „აურას“, მომავალში ფიზიკურ ფორმად გარდაიქმნება. ამჟამინდელისაგან განსხვავებული გრძნობის ორგანოები მომავალ ადამიანს ამ განსხვავებული ფორმების აღქმის უნარს მიანიჭებს; მაგრამ ნათელმხილველი საკუთარი სულიერი გრძნობებით მომავლის გრძნობადი არსებების (მაგალითად, აურას) პირველსახეს უკვე ახლავე ჭვრეტს. მისთვის შესაძლებელია მომავლის განჭვრეტა, რომლის თავისებურებებზე შეხედულებანი, ამჟამინდელი მეტყველებისა და თანამედროვე ადამიანური წარმოდგენების დახმარებით, ცხადია, მხოლოდ უდიდესი ძალისხმევით შეიძლება მოვიპოვოთ;

ცნობიერების თანამედროვე მდგომარეობაში წარმოდგენები აჩრდილებს წააგავს და გარე სამყაროს ფერად და ხმაურიან საგნებთან შედარებით უფერულია. ამიტომაც საუბრობს ადამიანი წარმოდგენებზე, როგორც რაღაც „არარეალურზე“. „შიშველი აზრი“ უპირისპირდება საგანს თუ არსებას, რომელიც „რეალურია“, რაღგან გრძნობებით აღიქმება; მაგრამ წარმოდგენები და აზრები თავისთავში ატარებენ საიმისო მონაცემებსაც, რომ ისევ სინამდვილედ, ხატ-სახედ იქცეს. როდესაც ადამიანი საუბრობს, თუ როგორ წარმოიდგინა „წითელი“, წითელი საგნის არსებობის გარეშე, მაშინ ეს წარმოდგენა რეალური „სიწითლის“ მხოლოდ ბუნდოვანი სურათ-ხატია. მოგვიანებით ადამიანი მიაღწევს იმას, რომ მის სამშვინველში ამოიზრდება არა

მხოლოდ „წითლის“ ბუნდოვანი წარმოდგენა, მაშინ, როცა გაიაზებს „წითელს“, არამედ იგი მის წინაშე რეალურად წარმოჩნდება. მას შეძლება არა მარტო წარმოდგენა, არა-მედ სურათ-ხატების შექმნაც. ამით ადამიანი მიაღწევს რა-დაც იმის მსგავსს, რაც მთვარისეული ცნობიერებისას უკვე არსებობდა. ამ დროს მასში სურათ-ხატები სიზმრების მსგავსად კი არ მიიქცევ-მოიქცევა, არამედ მათ გამოიწვევს სრული თვითცნობიერებით, ისევე როგორც ამჟამად იწვევს წარმოდგენებს. აზრი რომელიმე ფერზე იქნება – თავად ფერი, ხოლო წარმოდგენა ხმაზე – თავად ხმა და ა. შ. მომავალში სურათ-ხატების სამყარო ადამიანის სამშვინ-ველში მიიქცევ-მოიქცევა თავისივე ნებით, მაშინ, როცა ადამიანის მთვარისეული ყოფიერების დროს იგივე სამყა-რო მთელ მის შინაგან არსებას ადამიანისგან ყოველგვა-რი შემწეობის გარეშე აღავსებდა. ამასთან, გარეგანი საგ-ნობრივი სამყაროს სივრცობრივი ხასიათიც არ გაქრება. ფერის წარმოდგენისთანავე წარმოქმნილი ფერი იქნება არა ხატოვანება სამშვინველში, არამედ გარეთ, სივრცეში განეფინება. ამის შედეგად ადამიანს შეეძლება აღიქვას უფრო მაღალი რანგის საგნები და არსებები, ვიდრე ამჟა-მად გარს ახვევია. ეს საგნები და არსებები უფრო ფაქიზ სულიერ და მშვინვიერ რანგს განეკუთვნება; ასე რომ, ისინი არ იფარება გრძნობების ახლანდელ ფერებში, არა-მედ ისხსნება უფრო ფაქიზ მშვინვიერ და სულიერ ფერებ-სა თუ ხმებში, რომელთა გამოდვიძებას მომავლის ადამია-ნი საკუთარი სამშვინველიდან შეძლებს.

ამდენად, ადამიანი უახლოვდება იმ მდგომარეობას, რო-მელშიც დაეუფლება ამგვარი აღქმებისათვის გამოსადეგ თვითცნობიერ ხატოვან ცნობიერებას.<sup>3</sup> დედამიწის მომავა-ლი განვითარება, ერთი მხრივ, წარმოდგენებისა და აზრე-ბის თანამედროვე ცხოვრებას სულ უფრო მაღალ, ფაქიზ და სრულყოფილ გაფურჩქვნამდე მიიყვანს; მეორე მხრივ კი უკვე ამ პერიოდში თვითცნობიერი ხატოვანი ცნობიერებაც

<sup>3</sup> ასეთი შეხამება: „თვითცნობიერი ხატოვანი ცნობიერება“, შეიძ-ლება უცნაურად მოგვეჩენოს, მაგრამ იგი ყველაზე უკეთ გამოხა-ტავს საქმის არსს. თუ გნებავთ, შეიძლება ასედაც ითქვას: „ხატოვანი თვითცნობიერება“.

თანდათან ჩამოყალიბდება; ადამიანში ეს უკანასკნელი თავის სრულყოფილ სიცოცხლეს მიაღწევს მხოლოდ იმ უახლოეს პლანეტაზე, რომელ პლანეტადაც გარდაიქმნება დედამიწა და რომელსაც იღუმალობებულებაში „იუპიტერს“ უწოდებენ. მაშინ ადამიანი თავისი თანამედროვე (ამჟამინდელი) გრძნობადი აღქმისათვის სრულიად უცნობ არსებებთან ურთიერთობის დამყარებას შეძლებს. გასაგებია, რომ ამის წყალობით სრულიად სხვაგვარი ხდება არა მარტო აღქმის სამყარო, არამედ მთლიანად იცვლება როგორც საქმეები, ასევე გრძნობებიცა და გარემოსადმი ყველანაირი დამოკიდებულებაც. ღღეს, როგორც ძალუმს ადამიანს, ცნობიერი გავლენა იქონიოს მხოლოდ გრძნობად არსებებზე, ასევე შეეძლება მას მომავალში სრულიად სხვა ძალებსა და ძალაუფლებაზე მოახდინოს ზემოქმედება. მან თავადაც შეიძლება განიცადოს საკუთარი ცნობიერებისთვის სავსებით ხელმისაწვდომი გავლენები ამჟამინდელისგან სრულიად განსხვავებული სფეროებიდან. განვითარების ამ საფეხურზე ყოფნისას შობასა და სიკვდილზე (თანამედროვე მნიშვნელობით) საუბარიც კი დაუშვებელია. რადგანაც ჟამი „სიკვდილისა“ დგება მხოლოდ იმის წყალობით, რომ ცნობიერება მიმართულია გარე სამყაროსკენ, რომელთანაც ურთიერთობას იგი გრძნობათა ფიზიკური ორგანოების მეოხებით ამყარებს. როდესაც გრძნობათა ეს ფიზიკური ორგანოები უარს აცხადებენ მომსახურებაზე, წყდება ყველანაირი მიმართება გარე სამყაროსთან, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი „მოკვდა“; როდესაც მისი სამშვინველი გარე სამყაროს გავლენების აღქმას ფიზიკური ორგანოების მეშვეობით კი არ მიაღწევს, არამედ საკუთარი ძალით შექმნილი სურათ-ხატების მეშვეობით, მაშინ ცნობიერება მიდის იმ წერტილამდე, რომელზეც მას ძალუმს გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარება საკუთარი ნებით, ანუ სამშვინველის სიცოცხლის შეწყვეტა მისივე ნებელობის გარეშე შეუძლებელია. იგი გახდა შობისა და სიკვდილის ბატონი. ამდენად, ეს ყოველივე, თვითცნობიერ ხატოვან ცნობიერებასთან ერთად „იუპიტერზე“ განხორციელდება. სამშვინველის ამ მდგომარეობას „ფსიქიკურ მდგომარეობასაც“ უწოდებენ.

სამშვინველის უახლოესი მდგომარეობა, რომელ მდგომარეობამდეც ადამიანი ვითარდება მომდევნო პლანეტაზე – „ვენერა“, წინარეგსგან იმით განსხვავდება, რომ ახლა სამ-

შვინველს ძალუბს არა მარტო სურათ-ხატების, არამედ საგნებისა და არსებების შექმნაც. ეს ხდება ოვითცნობიერი საგნობრივი ცნობიერების, ანუ ზეფსიქიკური ცნობიერების დროს. ხატოვანი ცნობიერების დახმარებით ადამიანს ხელეწიფება რამდენადმე აღიქვას ზეგრძნობადი სამყაროს არსებები და საგნები, აგრეთვე ძალუბს, საკუთარი ხატოვანი წარმოდგენების გამოღვიძებით მათზე გავლენაც იქონიოს; მისი ღრმა რწმენით, მაგალითად, იმის განსახორციელებლად, რაც მას სურს ასეთი ზეგრძნობადი არსებისგან, ამ უკანასკნელმა საკუთარი ძალები უნდა აამოქმედოს. აქ ადამიანი გაბატონებულია სურათ-ხატებზე და ძალუბს მათი დახმარებით გარკვეული ქმედებები განაპირობოს, მაგრამ საკუთრივ ძალებზე იგი ჯერ კიდევ ვერ ბატონობს. როდესაც გამომუშავდება ადამიანის ოვითცნობიერი საგნობრივი ცნობიერება, მაშინ იგი სხვა სამყაროთა შემოქმედებით ძალებზე გაბატონებასაც მიაღწევს. ადამიანი შეძლებს სხვა არსებების არა მარტო ადქმასა და მათზე ზემოქმედებას, არამედ – მათ შექმნასაც.

ცნობიერების განვითარების მსვლელობა ასეთია: თავდაპირველად იგი დაბინდულია; ადამიანი ჯერ სრულებითაც ვერ აღიქვამს საგნებსა და არსებებს; იგი სწოდება მხოლოდ საკუთარი საშვინველის შინაგან განცდებს (სურათ-ხატებს). შემდეგ კი აღქმის უნარი ვითარდება. და ბოლოს, აღქმის უნარის მქონე ცნობიერება შემოქმედებითში გადაიზრდება. მეოთხე მიწიერი წრებრუნვის შემდეგ, იუპიტერის ცხოვრებაში გადასვლამდე, დედამიწას მოუწევს კიდევ სამ, მცირე წრებრუნვათა გავლა. ისინი ხელს უწყობენ აგრეთვე მიწიერი ცხოვრების შემდგომ სრულყოფას, ისე, როგორც აღვწერთ ქვემოთ, როცა შვიდივე პლანეტაზე მცირე წრებრუნვებისა და მათ ქვედაყოფათა განვითარებას შევეხებით. როდესაც სიმშვიდის (პრალაიას) გავლის შემდეგ დედამიწა გარდაიქმნება იუპიტერად, მაშინ ოთხ მცირე წრებრუნვაში უნდა განმეორდეს წინა ოთხი: სატურნის, მზის, მთვარისა და დედამიწის მდგომარეობები. მხოლოდ იუპიტერის მეხუთე წრებრუნვაში მიაღწევს ადამიანი იმ საფეხურს, რომელიც ზემოთ აღნიშნულია, როგორც იუპიტერისთვის დამახასიათებელი ცნობიერების მდგომარეობა. შესაბამისად, „ვენერას ცნობიერებაც“ მხოლოდ ვენერას მექქვე წრებრუნვის პერიოდში იჩენს თავს.

აქვე მოკლედ უნდა შევეხოთ ერთ ფაქტს, რომელიც მომდევნო თავებში გარკვეულ როლს ითამაშებს. ესაა ის სისწრაფე, რომლითაც მიმდინარეობს განვითარება ცალკეულ პლანეტებზე. სახელდობრ, იგი ყველა პლანეტაზე ერთნაირი არ არის. თავდაპირველად ცხოვრება ყველაზე დიდი სისწრაფით სატურნზე მიედინება; შემდეგ მზეზე სიჩქარე უფრო მცირდება, მთვარეზე კიდევ უფრო ნაკლებია, ხოლო ყველაზე მდოვრედ ცხოვრება დედამიწაზე მიედინება. თავად მასზე მოძრაობა, თვითცნობიერების განვითარების მომენტამდე, სულ უფრო და უფრო ნელდება. ამის შემდეგ სიჩქარე ისევ მატულობს. ამდენად, ჩვენს დროში ადამიანმა თავისი განვითარების ყველაზე ნელტემპს უკვე გადააბიჯა. ცხოვრებამ ისევ იწყო აჩქარება. იუპიტერზე ეს ისევ მთვარის სიჩქარეს მიაღწევს, ხოლო ვენერაზე – მზის სიჩქარეს.

იდუმალთმეტყველებაში „ვულკანს“ უწოდებენ უგანასკნელ პლანეტას, რომელიც ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ მიწიერ გარდაქმნათა რიგს და ამდენად, იგი ვენერას მომდევნო პლანეტაა. ამ პლანეტაზე კაცობრიობა მიაღწევს თავისი განვითარების დღესდღეობით მონიშნულ უზენაეს მიზანს. ცნობიერების იმ საფეხურს, რომელშიც მაშინ ადამიანი შეაბიჯებს, ეწოდება „დმგრთში ნეტარება“, ანუ ასევე სულიერი ცნობიერებაც. მას ადამიანი წინა ექვსი საფეხურის განმეორების შემდეგ, ვულკანის მეშვიდე წრებრუნვის დროს მიაღწევს. ამ პლანეტის ცხოვრების შესახებ დიად ბევრი რამის თქმა ნებადართული არ არის. იდუმალთმეტყველებაში მასზე შემდეგნაირად საუბრობენ: „ვულკანსა და მის ცხოვრებაზე თავი არ უნდა იმტკრიოს არც ერთმა ისეთმა სამშვინველმა, რომელიც საკუთარი აზროვნებით ჯერაც დაპატირებულია ფიზიკურ სხეულთან“. ეს ნიშნავს, რომ ვულკანის შესახებ რაღაცა შეიძლება გაიგონ მხოლოდ უმაღლესი რანგის იმ ოკულტისტმა მოწაფეებმა, რომელთაც ხელეწიფებათ საკუთარი ფიზიკური სხეულის მიტოვება და ზეგრძნობადი შემეცნებების ათვისება ფიზიკური სხეულის გარეშე.

ასე აირეკლება შვიდ პლანეტარულ გარდაქმნაში ცნობიერების შვიდი საფეხური კაცობრიობის განვითარების მსვლელობის დროს; თითოეულ საფეხურზე ცნობიერებამ უნდა განვლოს კიდევ შვიდი დაქვემდებარებული მდგომარეობა, რომ-

ლებიც უკვე მითითებულ მცირე წრებრუნვებში (თეოსოფიურ თხზულებებში ამ შვიდ წრებრუნვას „წრეებს“ უწოდებენ) განხორციელდება. მათზე მაღლა მდგომ „ცნობიერების მდგომარეობათა“ საპირისპიროდ, ამ დაქვემდებარებულ მდგომარეობებს დასავლურ იდუმალთმეტყველებაში „ცხოვრების მდგომარეობებს“ უწოდებენ; ამბობენ აგრეთვე სხვაგვარად, რომ ცნობიერების ყოველი მდგომარეობა შვიდ „სამეფოს“ გაივლის. ამ გამოთვლის თანახმად კაცობრიობის მთელ განვითარებაში უნდა განვასხვაოთ  $7X7=49$  მცირე წრებრუნვები ანუ „სამეფოები“ (თეოსოფიაში მიღებულია გამოთქმა – „წრეები“). შემდგომ თითოეულმა მცირე წრებრუნვამ უნდა განვლოს კიდევ უფრო მცირე ქვედაყოფები, რომელთაც უწოდებენ „ფორმის მდგომარეობებს“ (თეოსოფიის ენაზე – „გლობები“). ეს მოგვცემს კაცობრიობის სრული წრებრუნვისთვის  $49X7=343$  სხვადასხვა „ფორმის მდგომარეობებს“. უახლოეს თავებში, რომლებშიც ამ განვითარებაზე იქნება საუბარი, დავინახავთ, რომ მთლიანის მიმოხილვა არც ისე ძნელია, როგორც თავდაპირებელად რიცხვ 343-ის გაგონებისას შეიძლება მოგვეჩვენოს. გაირკვევა, რომ ადამიანს მხოლოდ თავისი ამ განვითარების გაცნობის შემთხვევაში ძალუბს საჭუთარ თავს მართებულად გაუგოს.

კაცობრიობის გრანდიოზული განვითარება, სატურნიდან ვულკანამდე შვიდი საფეხურის გავლით, შევაღარეთ მიწიერ სამყაროში ცხოვრების გზას შობიდან სიკვდილამდე, დაწყებული ყრმობიდან, ბავშვობიდან და ა. შ. სიბურემდე. ეს შედარება შეიძლება კიდევ უფრო შორს გავრცელდეს. ისევე, როგორც თანამედროვე კაცობრიობაში ცალკეული თაობები არა მარტო მისდევენ ერთმანეთს, არამედ არსებობენ კიდევ გვერდიგვერდ, ან ცნობიერების საფეხურთა განვითარების დროსაც როგორც ცხოვრობენ გვერდიგვერდ მოხუცი, მამაკაცი თუ ქალი, ახალგაზრდა და ა. შ. არსებობენ სატურნზეც არა მარტო ადამიანის წინაპრები სატურნისეული ბუნდოვანი ცნობიერებით, არამედ მათთან ერთად ცხოვრობენ სხვა არსებებიც, რომელთაც უკვე განივითარეს ცნობიერების უფრო მაღალი საფეხურები. ამდენად, სატურნის განვითარების დასაწყისში უკვე არსებობდნენ ნატურები მზისეული, სხვები ხატოვანი (მთვარისეული) ცნობიერებით, მესამენი თანამედროვე ადამიანის მსგავსი ცნობიერებით, მეოთხე ჯგუფი – თვითცნობიერი (ფსიქიკური) ხატოვანი ცნობიერებით, მეხუთე – თვითცნობიერი (ზეფსიქიკური) საგნობრივი ცნობიერებით, მეექვსენი შემოქმედებითი (სულიერი) ცნობიერებით, მაგრამ ამით არსებების ყველა სახეობა ჯერ არ ამოწურულა. ცხადია, ვულკანის საფეხურის შემდეგ ადამიანი აგრძელებს განვითარებას და ცნობიერების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავა. გარეგანი თვალი როგორადაც იმზირება ნისლიან-ბუნდოვან სივრცეში, ასევე ჭვრებს სულიერ სივრცეში ნათელმხილველის შინაგანი თვალი ცნობიერების კიდევ ხუთ სხვა ფორმას, თუმცა მათი აღწერა სრულიად შეუძლებელია. ამდენად, მთლიანად შეიძლება ცნობიერების თორმეტ საფეხურზე გისაუბროთ.

ამრიგად, სატურნზე ადამიანი კიდევ თერთმეტი სხვა სახეობის არსებით იყო გარემოცული. უმაღლესი სახეობის ოთხმა არსებამ თავისი ამოცანები აღასრულდა ჯერ კიდევ განვითარების იმ საფეხურებზე, რომლებიც სატურნზე ცხოვრებას წინ უსწრებდნენ. თავიანთი განვითარებით ამ არსებებმა მიაღწიეს ისეთ მაღალ საფეხურს, რომ ამიერიდან მათი შემდგომი განვითარება ადამიანური სფეროს

მიღმა არსებულ სამყაროებში მიმდინარეობდა. ამიტომ აქ მათზე საუბარი არ შეიძლება და არცაა საჭირო.

სატურნზე დანარჩენი სახის არსებები, – შვიდი, ადამიანის გარდა, – მონაწილეობას იღებს ადამიანის განვითარებაში. ამასთან, ისინი იქცევიან, როგორც შემოქმედი ძალები და თავიანთ მსახურებას აღასრულებენ იმგვარად, როგორც შემდგომ თავებში აღვწერთ.

მათ შორის ყველაზე ამაღლებულმა არსებებმა სატურნის განვითარების დასაწყისშივე მიაღწიეს ცნობიერების იმ საფეხურს, რომელსაც ადამიანი მხოლოდ ვულკანზე ცხოვრების შემდეგ აითვისებს, ანუ ესაა უმაღლესი შემოქმედებითი (ზესულიიერი) ცნობიერება. ამ „შემოქმედთ“ ოდესაც ადამიანურობის საფეხურებიც ასევე უნდა გაევლოთ. ეს სატურნის წინამორბედ კოსმიურ სხეულებზე ხორციელდებოდა. კაცობრიობის განვითარებასთან კავშირს ისინი ჯერ კიდევ სატურნის ცხოვრების შუა პერიოდამდე ინარჩუნებდნენ. „შემოქმედთ“ ამაღლებული, ფაქიზი სხივოსანი სხეულის გამო, იდუმაღლომებყველებაში მათ „სხივოსან სიცოცხლეს“ და ასევე „სხივოსან ცეცხლსაც“ უწოდებენ. იმდენად, რამდენადაც ამ სხეულის შემაღგენელ ნივთიერებას გააჩნია გარკვეული შორეული მსგავსება ადამიანის ნებელობასთან, ამიტომ მათ აგრეთვე „ნებელობის სულებსაც“ უწოდებენ. ეს სულები არიან სატურნზე ადამიანის შემოქმედნი. საკუთარი სხეულიდან ისინი ასხივებენ ნივთიერებას, რომელიც სატურნზე შეიძლება ადამიანური ცნობიერების მატარებლად იქცეს. განვითარების იმ პერიოდს, რომლის დროსაც ეს ხორციელდება, ეწოდება სატურნის პირველი მცირე წრებრუნვა (თეოსოფიური ლიტერატურის ენაზე – „პირველი წრე“) ადამიანის მიერ ამ სახით მიღებული ნივთიერი სხეული მისივე გვიანდელი ფიზიკური სხეულის პირველ ჩანასას წარმოადგენს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ „ნებელობის სულებმა“ ადამიანის ფიზიკურ სხეულს საფუძველი სატურნის პირველი წრებრუნვის პერიოდში ჩაუყარეს; ეს ჩანასასი მაშინ სატურნისოვის დამახასიათებელ ბუნდოვან ცნობიერებას ფლობდა.

სატურნის ამ პირველ მცირე წრებრუნვას დანარჩენი ეჭვის წრებრუნვა მოსდევს. ამ წრებრუნვების განმავლობაში ადამიანი ვერ აღწევს ცნობიერების უფრო მაღალ საფეხურს; ამიერიდან ხორციელდება მათ მიერ მიღებული ნივთიერი

სხეულის დამუშავება, სადაც სხვა სახეობის ზემოსსენებული არსებები უაღრესად მრავალგვარ მონაწილეობას იღებენ.

„ნებელობის სულებს“ მოჰყვებიან არსებები შემოქმედებითი (სულიერი) ცნობიერებით, რომლის მსგავსს ადამიანი ვულკანზე მიაღწევს: მათ „სიბრძნის სულებს“ უწოდებენ. ქრისტიანულ იდუმალთმეტყველებაში ამ სულებს ეწოდებათ „ხელმწიფებანი“ (Kyriotetes), მაშინ როცა „ნებელობის სულებს“ ეწოდებათ „საყდარნი“ (Thronoi).<sup>4</sup> სატურნის მეორე წრებრუნვის პერიოდში ისინი საკუთარ განვითარებას რამდენადმე წინ სწევენ და ამასთან, ადამიანის სხეულზე ზემოქმედებენ იმგვარად, რომ მასში „სიბრძნით ადვსილ წყობას“, გონიერ აგებულებას ნერგავენ. უფრო ზუსგად, ადამიანზე ეს მუშაობა იწყება მაშინვე, როგორც კი გაიფლის პირველი წრებრუნვის ნახევარი და მთავრდება დაახლოებით მეორე წრებრუნვის ნახევარში.

<sup>4</sup> ქრისტიანული მოძღვრების ნამდვილად მცოდნემ იცის, რომ იგი უცილობლად შეიცავს წარმოდგენებს ადამიანზე მაღლა მდგომ ამ სულიერ არსებებზე, მაგრამ რადაც დროიდან მხოლოდ გარეგანად ქცეულმა სარწმუნოებრივმა მოძღვრებამ ეს წარმოდგნები დაკარგა. ვინც ამ საკითხს რეალურად ჩაუდრმავდება, დაინახავს, რომ ეგზოთერული ქრისტიანობის მხრიდან იდუმალთმეტყველებასთან შესაძარებლად უმნიშვნელო საფუძველიც კი არ არსებობს; პირიქით, ეს იდუმალთმეტყველება სრულ პარმონიაშია ჭეშმარიტ ქრისტიანობასთან. თუ თეოლოგები და რელიგიური მოძღვარნი იდუმალთმეტყველებას შეისწავლიდნენ, მაშინ ქრისტიანობის ძალით მასში უნდა დაენახათ თავიანთი საუკეთესო დამხმარე და დამცველი ახლანდელ დროში; ისიც ცხადია, რომ უამრავი თეოლოგი სრულიად მატერიალისტურად აზროვნებს; მნიშვნელოვანია, რომ ამჟამად თვით ქრისტიანული შემეცნების გავრცელების მიზნით გამოცემულ თხზულებაშიც შეიძლება ამოვიკითხოთ, თითქოს ანგელოზები „ბავშვებისა და ძიქებისთვის“ არსებობენ. ასეთი მტკიცება ქრისტიანული სულის აბსოლუტური უცოდინარობისგან მომდინარეობს. მსგავსი რამ შეიძლება ამტკიცოს მხოლოდ მან, ვინც ჭეშმარიტ ქრისტიანობას მოჩვენებითად წინ წასული „მეცნიერებისთვის“ გასწიორავს. მაგრამ დადგება უამი, როდესაც უფრო მაღალგანვითარებული მეცნიერება მსგავს ბავშვურ მტკიცებას გადააბიჯებს და საქმის რეალურ არსზე გადავა.

თვითცნობიერი (ზეფსიქიკური) საგნობრივი ცნობიერების ქონება მესამე სახეობის არსებებს ეწოდებათ „მოძრაობის სულები“ ანუ, ასევე „ქმედების“. ქრისტიანულ იდუმალ-თმეტყველებაში მათ ჰქვიათ „ძალის“ (Dunameis). თეოსოფიურმა მოძღვრებამ ეს წარმოდგენები დაკარგა. ლიტერატურაში ისინი შეიძლება გამოიხატოს ასეთი ფორმით – „Mahat“. სატურნის მეორე წრებრუნვის შუა პერიოდიდან საკუთარი განვითარების მიმდინარეობას ისინი უკავშირებენ ადამიანის ნივთიერი სხეულის შემდგომ დამუშავებას, რომელშიც მოქმედების ძალით აღსავს ე მოძრაობის უნარს ნერგავენ. ეს მუშაობა დასასრულს სატურნის მესამე წრებრუნვის შუა პერიოდში უახლოვდება.

ამ მომენტიდან მუშაობას იწყებენ მეოთხე სახეობის არსები, რომელთაც „ფორმის სულებსაც“ უწოდებენ. ისინი ფლობენ თვითცნობიერ ხატოვან (ფსიქიკურ) ცნობიერებას. ქრისტიანული იდუმალთმოძღვრება მათ უწოდებს „უფლებანი“ (Exusiae). მათი შრომის წყალობით ადამიანის ნივთიერი სხეული, რომელიც მანამდე წარმოადგენდა თავისებურ მოძრავ დრუბელს, ახლა განსაზღვრულ (პლასტიკურ) ფორმას იძენს. „ფორმის სულების“ ეს მოღვაწეობა სატურნის მეოთხე წრებრუნვის შუა პერიოდში მთავრდება.

ამას მოხდევს „წყვდიადის სულების“ მოღვაწეობა, რომელთაც აგრეთვე „პიროვნების სულებს“ ანუ „თვითების“ (ეგოიზმის, Selbsttheit) სულებს უწოდებენ. ამ საფეხურზე მათვის დამახასიათებელია ისეთი ცნობიერება, რომელიც თანამედროვე ადამიანურ მიწიერ ცნობიერებას ჰგავს. უკვე ნივთიერი ფორმის ქონება ადამიანურ სხეულში ისინი ბინადრობენ, როგორც „სამშვინველის“, მსგავსად იმისა, როგორც დღეს არის ადამიანური სამშვინველი საკუთარ სხეულში დამკვიდრებული. ისინი სხეულში ნერგავენ გრძნობათა იმ ორგანოების ჩანასახებს, რომლებიც ადამიანურ სხეულში მოგვიანებით მიწიერი განვითარების პერიოდში განვითარდება; ოდონდ საჭიროა, კარგად გავიაზროთ, რომ ეს „გრძნობათა ჩანასახები“ ადამიანის ამჟამინდელი გრძნობათა ორგანოებისაგან ჯერაც არსებითად განსხვავდება. მიწიერი ადამიანი ასეთი „გრძნობათა ჩანასახების“ საშუალებით ვერაფრის აღქმას ვერ შეძლებდა; ვინაიდან ადამიანისთვის გრძნობათა ორგანოების მიერ მოწოდებულმა სურათ-ხატებმა ჯერ უნდა გაიარონ უფრო ფაქიზი,

მზეზე შექმნილი ეთერული სხეული, აგრეთვე ასტრალური სხეული, რომელიც თავის არსებობას მთვარეზე განვლილ განვითარებას (ეს ყოველივე მოღვაწო თავებში გაირკვევა) უმაღლის. მაგრამ „პიროვნების სულებს“ შეუძლიათ საკუთარ სამშვინველში ისე გადამუშაონ „გრძნობათა ჩანასახების“ მიერ მიწოდებული სურათ-ხატები, რომ ისინი მათი დახმარებით შეძლებენ გარებანი საგნების იმგვარად აღქმას, როგორც ეს ადამიანს საკუთარი მიწიერი განვითარების პერიოდში ძალუძა. ადამიანურ სხეულზე მუშაობის დროს „პიროვნების სულები“ თავიანთ საკუთარ „ადამიანურობის საფეხურსაც“ გადიან. ასე რომ, სატურნის მეოთხე წრებრუნვის შუა ხანებიდან მეხუთის შუა პერიოდამდე ისინი ადამიანებს წარმოადგენენ. ამდენად, ეს სულები ადამიანურ სხეულში თვითებას, ეგოზმს ნერგავენ. ვინაიდან, სატურნზე მათ მხოლოდ თავად მიაღწიეს საკუთარი ადამიანურობის საფეხურს, ამიტომ, ისინი ადამიანის განვითარებასთან კიდევ დიდხანს იქნებიან დაბაგშირგბული. აქედან გამომდინარე, მომდევნო წრებრუნვებშიც, რაც შექება ადამიანს, მას ჯერ კიდევ მოუწევს მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება. ეს მუშაობა თვითების ხანერგვის სულისპერებით გამუდმებით მოქმედებს. „პიროვნების სულების“ ზემოქმედებას უნდა მივაწეროთ თვითების გადაგვარება თავაერძობად, აგრეთვე ისიც, რომ მათი ბრალია ადამიანის ყველანაირი დამოუკიდებლობა. „პიროვნების სულების“ გარეშე ადამიანი დასრულებულ არსებად, „პიროვნებად“ ვერასოდეს გადაიქცეოდა. ქრისტიანული იდუმალომოძღვრება მათ გამოსახატავად იყენებს გამოქმას: „მთავარნი“ (Archai იგივე საწყისნი), ხოლო თეოსოფიურ ლიტერატურაში მათ აზურებს უწოდებენ.

სატურნის მეხუთე წრებრუნვის დახმალოებით შუა პერიოდიდან ამ სულების მუშაობა იცვლება „ცეცხლის შვილების“ მუშაობით, რომლებიც ამ საფეხურზე ჯერ კიდევ მქრქალ, ხატოვან, ადამიანის მთვარისეული ცნობიერების მსგავს ცნობიერებას ფლობენ. თავიანთი ადამიანურობის საფეხურს ისინი მხოლოდ მომდევნო პლანეტა – მზეზე აღწევენ. ამიტომ აქ მათი მუშაობა გარკვეულ დონემდე ჯერ კიდევ ქაცხნობიერია და თითქოსდა ძილში ხორციელდება. თუმცა ამ მუშაობის წყალობით გამოცოცხლდება წინა წრებრუნვის „გრძნობათა ჩანასახების“ მოღვაწეობა.

„ცეცხლის სულთა“ მიერ შექმნილი სხივოსანი სურათ-ხატები გრძნობათა ამ ჩანასახებიდან გარეთ გამოანათებს. ამდენად, ადამიანის წინაპარი თავისებურ მანათობელ არსებამდე მაღლდება. მაშინ, როცა მანამდე სატურნზე ცხოვრება სრული სიბრუნვით იყო მოცული, ახლა ადამიანი იწყებს ამ საყოველთაო სიბრუნვით ნათებას. – ამ საყოველთაო სიბრუნვით საკუთარი ადამიანური ყოფიერებისთვის ჯერ „პიროვნების სულები“ გამოაღვიძეს. სატურნზე თვით ადამიანურ არსებას საკუთარი ნათების ძალით სარგებლობა ჯერ კიდევ ძალუმს. მისი „გრძნობათა ჩანასახების“ ნათების ძალას თავისთავად არაფრის გამოხატვა არ შეეძლო, მაგრამ ამ ძალის დახმარებით სხვა, გაცილებით ამაღლებული არსებები თავიანთოვის გამოცხადების შესაძლებლობას სატურნის ცხოვრებაში პოულობენ. ადამიანური არსების წინაპართა სინათლის წყაროს მეონებით ისინი საკუთარი არსებიდან რაღაცას პლანეტაზე ასხივებენ. ეს ამაღლებული არსებები განეკუთვნება იმ ოთხთა რიგს, რომლებზეც ზემოთ ითქვა, რომ თავიანთი განვითარებით მათ უკვე გაწყვიტეს ყოველგვარი კაგშირი ადამიანურ ყოფიერებასთან. მათთვის ყოველგვარი საჭიროების მიუხედავად, ეს არსებები ახლა თავიანთი „თავისუფალი ნებით“ საკუთარი ბუნებიდან რაღაცას ასხივებენ. ქრისტიანული იდუმალთმოძღვრების მიხედვით აქ საუბარია სერაფიმების (Seraphim), „საყოველთაო სიყვარულის სულების“ გამოცხადებაზე. ეს მდგომარეობა სატურნის წრებრუნვის შუა პერიოდამდე გრძელდება.

შემდეგ დგება იმ არსებათა მოქმედების უმი, რომლებიც ამ საფეხურზე ფლობენ ისეთ ბუნდოვან ცნობიერებას, როგორიც ამჟამინდელი ადამიანისთვის ღრმა, უსიზმრო ძილის დროსაა დამახასიათებელი. ესენი არიან „ბინდის შვილები“, „ცისკრის სულები“ (თეოსოფიურ თხზულებებში მათ Lunar Pitris ან, ასევე Barhishad-Pitris უწოდებენ). ისინი ადამიანურობის საფეხურს მხოლოდ მთვარეზე აღწევენ. ამიტომ აქ, დედამიწაზე, ისინიც და მათი წინამორბედნი, „ცეცხლის შვილებიც“ უკვე ადამიანურობის საფეხურგავლილნი აღმოჩნდებიან. დედამიწაზე „ბინდის შვილები“ წარმოადგენენ უზენაეს არსებებს და ქრისტიანული იდუმალთმოძღვრება მათ უწოდებს „ანგელოზებს“ (Angeli) მაშინ, როცა ცეცხლის შვილებისთვის იგი იყე-

ნებს გამოთქმას „მთავარანგელოზნი“ (Archangeloi). ბინდის შეიღები ადამიანის უკვე წამოზრდილ წინაპარში ავითარებენ რაღაც გონის მსგავსს, რომლითაც სარგებლობა ბუნდოვანი ცნობიერების გამო თვით მას ჯერ არ ძალუძს. ამ გონის მეშვეობით ახლა ისხებიან უფრო ამაღლებული არსებები ისევე, როგორც ადრე გრძნობათა ჩანასახების მეოხებით ისხებოდნენ სერაფიმები. ამჟამად ადამიანური სხეულების საშუალებით პლანეტაზე იღვრება იმ სულების გონი, რომელთაც ქრისტიანული იდუმალთმოძღვრება „ქრუბიმებს“ (Cherubim) უწოდებს.

სატურნის მეშვიდე წრებრუნვის დაახლოებით ნახევრის გავლის შემდეგ დგება ახალი მოღვაწეობის პერიოდი. სახელდობრ, ახლა ადამიანმა უკვე მიაღწია ისეთ მდგომარეობას, როცა შეუძლია საკუთარ ნივთიერ სხეულზე ქვეცნობიერად იმუშაოს; ამგვარი მოღვაწეობით სატურნის სრულიად ბუნდოვან ყოფიერებაში ადამიანი ქმნის საკუთარი „სული-ადამიანის“ (შეად. ჩემს „თეოსოფიას“) პირველ ჩანასახს, რომელიც მთელი თავისი სისავსით მხოლოდ კაცობრიობის განვითარების მიწურულს გაიხსნება. თეოსოფიურ ლიტერატურაში მას „Atma“-ს უწოდებენ. ესაა კ. წ. ადამიანური მონადის უზენაესი წევრი. ამ საფეხურზე იგი საკუთარი თავისთვის სრულიად ბუნდოვანი და ქვეცნობიერი იქნებოდა. მსგავსად იმისა, როგორც გაიხსნენ სერაფიმები და ქრუბიმები თავიანთი თავისუფალი ნებით წინა ორ ადამიანურ საფეხურზე, ასევე მოქმედებენ ახლა საყდარნი (Thronoi), ანუ ის არსებები, რომლებმაც საკუთარი არსებიდან ადამიანური სხეული თვით სატურნის ყოფიერების დასაწყისში გამოასხივეს, „სული-ადამიანის“ (Atma) ჩანასახი მთლიანად იმსჭვალება ნებელობის სულთა ძალებით და ამ ძალის განვითარებას უკელა მომდევნო საფეხურზე ინახავს. მართალია, განვითარების მოცემულ საფეხურზე საკუთარი ბუნდოვანი ცნობიერებით ადამიანს ჯერ სრულებითაც არ ძალუძს ამ ჩანასახების დანახვა, მაგრამ მოგვიანებით, მისი განვითარების შემდეგ, ეს ჩანასახი საკუთრივ ადამიანის ცნობიერებისთვისაც გაიბრწყინებს.

ეს მუშაობა არც სატურნის ცხოვრების მიწურულის-თვის მთავრდება; იგი გრძელდება და განვითარილია მზის პირველ წრებრუნვამდე. უნდა გვახსოვდეს, რომ ზემოაღნიშნული უზენაესი არსებების მუშაობა არ ემთხვევა მცი-

რე წრებრუნვათა (ანუ „წრეთა“) დასაწყისსა და დასასრულს, არამედ იგი იწყება ერთ-ერთის შუა პერიოდში და მომდევნოს შუახნამდე გრძელდება. თავის უდიდეს მოღვაწეობას იგი სწორედ წრებრუნვებს შორის სიმშვიდის პერიოდში ახორციელებს. იგი ზრდას იწყებს წრებრუნვის შუა პერიოდიდან (მანვანტარა), მაქსიმალურად ძლიერდება სიმშვიდის პერიოდში (პრალაია) და კლებულობს მომდევნო წრებრუნვის დროს (უკვე ითქვა, რომ სიმშვიდის პერიოდში სიცოცხლე არ წყდება).

ზემოთქმულიდან ნათელია აგრეთვე, თუ რა თვალსაზრისით ამბობს ქრისტიანული იდუმალომებულება, რომ „დასაბამიდან ჟამისა“ პირველად გაიხსნენ სერაფიმები, ქრუბიმები და საყდარნი.

ამგვარად, ჩვენ დავაკვირდით სატურნის მსვლელობას იმ მოქენტამდე, როდესაც მისი სიცოცხლე პრალაიას პერიოდის გავლით გადადის საკუთარ განვითარებაზე მზის ცხოვრებაში.

\*\*\*

მიმოხილვის გაადვილების მიზნით ქვემოთ მოცემულია ამ პირველი პლანეტის ფაქტებისა და მოვლენების განვითარების შემაჯამებელი შედეგი.

I. ეს ის პლანეტაა, რომელზეც იხსნება ყველაზე ბუნდოვანი ადამიანური ცნობიერება (დრმა ტრანსის ცნობიერება). მის პარალელურად იქმნება ადამიანის ფიზიკური სხეულის პირველი ჩანასახი.

II. ეს განვითარება შვიდი დაქვემდებარებული საფეხურის (მცირე წრებრუნვების ანუ „წრეების“) გავლით მიმდინარეობს. თითოეულ საფეხურზე ადამიანური სხეულის სრულყოფაზე მუშაობენ უზენაესი არსებები, კერძოდ:

1. პირველ წრებრუნვაში – ნებელობის სულები (საყდარნი, Throne);

2. მეორე წრებრუნვაში – სიბრძნის სულები (ხელმწიფებანი, Kyriotetes, Herrschaften);

3. მესამე წრებრუნვაში – მოძრაობის სულები (ძალი, Dynameis, Mächte);

4. მეოთხე წრებრუნვაში – ფორმის სულები (უფლებანი, Exusiae, Gewalten);

5. მეხუთე წრებრუნვაში – პიროვნების სულები (მთავარნი ანუ საწყისნი, Archai, Urkräfte);
  6. მეექვსე წრებრუნვაში – ცეცხლის შვილების სულები (მთავარანგელოზნი, Erzengel);
  7. მეშვიდე წრებრუნვაში – ბინდის შვილების სულები (ანგელოზნი, Engel);
- III. მეოთხე წრებრუნვის დროს პიროვნების სულები (მთავარნი), მაღლდებიან ადამიანურობის საფეხურამდე.
- IV. მეხუთე წრებრუნვიდან იხსნებიან სერაფიმები.
- V. მეექვსე წრებრუნვიდან იხსნებიან ქერუბიმები.
- VI. მეშვიდე წრებრუნვიდან იხსნებიან საყდარნი, ჰეშმარიტად „ადამიანის შემოქმედნი“.
- VII. უკანასკნელი გამოცხადების მეოხებით პირველი პლანეტის მეშვიდე წრებრუნვაში წარმოიქმნება „სული-ადამიანის“ („ატმა“) ჩანასახი.

## მზის ცხოვრება

სატურნის უდიდეს კოსმიურ პერიოდს მოსდევს მზის კოსმიური პერიოდი; მათ შორის კი სიმშვიდის (პრალაია) პერიოდი ძევს. ყოველივე ადამიანური, რაც სატურნზე განვითარდა სიმშვიდის (პრალაიას) პერიოდში, იძენს ისეთ ხასიათს, რომელიც განეკუთვნება მზისეული ადამიანის გვიანდელ განვითარებას, ისევე, როგორც თესლი მიეკუთვნება მისგანვე ამოზრდილ მცენარეს. სატურნის ადამიანმა საკუთარი თავი თითქოს ჩანასახის სახით დატოვა, რათა იგი გარკვეული სახის ძილის შემდეგ მზისეულ ადამიანად გარდაიქმნას.

ამჟამად ეს უგანასკნელი მზეზე გადის საკუთარი ცნობიერების მეორე საფეხურს, რომელიც პგავს იმგვარ მდგომარეობას, როგორშიც ვარდება ადამიანი ახლაც, უსიზმრო, მშვიდი ძილის დროს. ეს მდგომარეობა, რომლითაც ამჟამად ხორციელდება ღვიძილის მდგომარეობის შეწყვეტა, გარკვეულწილად წარმოადგენს მოგონების ნაშთს მზისეული განვითარების პერიოდზე. იგი შეიძლება შევადაროთ აგრეთვე ცნობიერების იმ ბუნდოვან მდგომარეობას, რომელშიც დღეს მცენარეული სამყარო იმყოფება. ვინაიდან, სინამდვილეში, მცენარეში უნდა შევიცნოთ ძილში ჩაფლული არსება.

კაცობრიობის განვითარების ჩასაწვდომად საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ მეორე დიდი წრებრუნვის დროს მზე ჯერაც პლანეტას წარმოადგენდა და უძრავი ვარსკვლავის ყოფიერებამდე მხოლოდ მოგვიანებით ამაღლდა. იდუმალ-თმეტყველების თვალთახედვიდან უძრავ ვარსკვლავს უწოდებენ ისეთ ვარსკვლავს, რომელიც სასიცოცხლო ძალებს ერთ (ან რამდენიმე) შორეულ პლანეტას უგზავნის. მეორე წრებრუნვის დროს მზე ამგვარ ვარსკვლავს არ წარმოადგენდა. იგი ჯერაც უერთდებოდა იმ არსებებს, რომელთაც ძალას ანიჭებდა. ეს არსებები (ცხადია, განვითარების მაშინდელ საფეხურზე ადამიანიც) ჯერ კიდევ მზეზე ცხოვრობდნენ. ჯერაც არ არსებობდა მზისგან გამოყოფილი პლანეტარული დედამიწა, არც მოვარე. ყველანაირი ნივთიერება, ძალები და არსებები, რომლებიც ახლა დედამიწაზე და დედამიწაში ცხოვრობენ და ყოველივე, რაც ამჟამად მთვარეს ეკუთვნის, ჯერ კიდევ მზის შიგნით იმყოფებოდა.

ეს ყოველივე მის ნიგოიერებათა, ძალთა და არსებათა ნაწილს წარმოადგენდა. მხოლოდ მომდევნო (მესამე) უდიდესი წრებრუნვის პერიოდში გამოყოფი მზეს ის (როგორც განსაკუთრებული პლანეტა), რასაც იდუმალომეტყველებაში მთვარეს უწოდებენ. ეს დღევანდელი მთვარე კი არ იყო, არამედ ჩვენი დედამიწის წინამორბედი, შეიძლება ითქვას, მისი წარსული გარდასხეულება (რეინკარნაცია). დედამიწა ამ მთვარისგან მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც მან საკუთარი მატერიიდან გამოყოფი და უკუაგდო ის, რასაც ამჟამად მთვარეს უწოდებენ. ამდენად, მესამე წრებრუნვაში ადრინდელი პლანეტარული მზის ნაცვლად ორი სხეული არსებობდა. კერძოდ: უძრავი ვარსკვლავი – მზე და მისგან გამოცალკევებული პლანეტარული მთვარე. მზისგან გამოყოფისას ამ უკანასკნელმა თან გაიყოლია ადამიანი და ის დანარჩენი არსებები, რომლებიც მზის წრებრუნვისას ადამიანის თანამგზავრებად ვითარდებოდნენ. ახლა მთვარის არსებებს მზე გარედან უზავნის იმ ძალებს, რომლებსაც მანამდე ისინი იღებდნენ უშუალოდ მისგან, როგორც საკუთარი ბინადრობის ადგილიდან. მესამე (მთვარის) წრებრუნვის შემდგომ ისევ სიმშვიდის (პრალაია) პერიოდი დადგა. მისი მიმდინარეობისას ორი გაყოფილი სხეული (მზე და მთვარე) ისევ შეერთდა და თესლისთვის ნიშანდობლივი ძილის მდგომარეობა ერთად განვლეს. მეოთხე წრებრუნვის პერიოდში მზე და პლანეტარული მთვარე ძილის წყვდიადიდან თავდაპირველად ერთიან სხეულად იდდგნენ. ამ წრებრუნვის პირველ ნახევარში მზისგან გამოყოფი ჩვენი დედამიწა ადამიანითა და მისი თანამგზავრებით. ოდნავ მოგვიანებით მან უკუაგდო ამჟამინდელი მთვარეც, ასე რომ, ამიერიდან არსებობს სამი წევრი, როგორც ყოფილი პლანეტა-მზის შთამომავლები.

ადამიანმა და საკურნის აღწერისას უკვე ნახევნებმა არსებებმა თავიანთი განვითარების მომდევნო საფეხური მეორე უდიდესი კოსმიური პერიოდის დროს, პლანეტარულ მზეზე განვლეს. სატურნზე თანდათანობით განვითარებული ადამიანის გვიანდელი ფიზიკური სხეულის ჩანასახი ჩნდება მზის წრებრუნვის დასაწყისში, მსგავსად მცენარისა, რომელიც თესლიდან აღმოცენდება. აქ იგი აღარ იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო. ეს ჩანასახი იმსჭვალება მეორე, უფრო ფაქიზი სხეულით, თავისთავში უფრო მეტად

აღვხილი ძალით – ეთერული სხეულით. მაშინ, როცა სატურნზე ადამიანის სხეული წარმოადგენდა თავისებურ ავტომატს (სრულიად უსიცოცხლოს), აქ უკვე ეთერული სხეულის დახმარებით, რომელიც მას ნელ-ნელა მთლიანად მსჭვალავს, იგი ცოცხალ არსებად გარდაიქმნება. ამ გზით ადამიანი თავისებური სახის მცენარედ გადაიქცევა. რასაკვირველია, იერით ის ამჟამინდელ მცენარეებს სრულიადაც არ ჰგავს. საკუთარი ფორმებით იგი უფრო თანამედროვე ადამიანს მოგვაგონებს, მაგრამ თავის ჩანასახი მიმართულია ქვემოთ მზისეული ცენტრისკენ, როგორც ამჟამად მცენარის ფესვი; ხოლო ფეხების ჩანასახები მიმართულია ზევით, როგორც ახლა მცენარის ყვავილი. ეს მცენარეულ-ადამიანური წარმონაქმნი თავისუფალი მოძრაობის უნარს ჯერ არ იყო დაუფლებული.<sup>5</sup>

ადამიანი ასეთი მხოლოდ შვიდი მცირე წრებრუნვიდან (წრეებიდან) მეორის დროს ხდება. ამ მცირე წრებრუნვებიდან პირველის განმავლობაში ადამიანურ წარმონაქმნში ეთერული სხეული ჯერ არ არსებობს. აქ ისევ მოკლედ მეორდება იგივე, რაც სატურნის პერიოდში გაიარეს. ადამიანის ფიზიკური სხეული თავის ავტომატურ ხასიათს ჯერ კიდევ ინარჩუნებს, მაგრამ საკუთარ პირვანდელ ფორმას ოდნავ იცვლის. თუ იგი დარჩებოდა ისეთივე, როგორიც იყო სატურნზე, მაშინ ეთერული სხეულის თავშესაფრად ვერ გადაიქცეოდა. იგი ისე გარდაიქმნება, რომ შეუძლია ამ სხეულის მატარებლად იქცეს. მომდევნო ექვსი წრებრუნვის განმავლობაში ეთერული სხეული სულ უფრო და უფრო მეტად გამომუშავდება, ხოლო ფიზიკურ

<sup>5</sup> რასაკვირველია, თანამედროვე გრძნობადი ადქმების მიმდევარი ადამიანისთვის წარმოუდგენელია, რომ ადამიანი, როგორც მცენარეული არსება, ოდესდაც თვით მზეზე ცხოვრობდა. შეუძლებლად გვერვენება, რომ ცოცხალ არსებას შეეძლო ერთსება ისეთ ფიზიკურ პირობებში, როგორიც აუცილებელია დაიშვას ამ ფაქტისთვის, მაგრამ თანამედროვე ფიზიკურ დედამიწას მხოლოდ ამჟამინდელი მცენარე შეეგუა. იგი ამ სახით მხოლოდ იმიტომ განვითარდა, რომ შესაბამის გარემოში არსებობდა. მზეზე მცენარეული არსება იმყოფებოდა სულ სხვა სასიცოცხლო პირობებში, რომელიც მზის იმჟამინდელ ფიზიკურ პირობებს შეესაბამებოდა.

სხეულზე მოქმედ მისივე ძალთა ზეგავლენით ეს ფიზიკური სხეულიც თანდათან უფრო სრულყოფილ ფორმას იძებს. აქ ადამიანზე გარდამქმნელ სამუშაოს ახორციელებები ის სულები, რომლებიც ზემოთ, სატურნის განვითარების აღწერის დროს, უკვე ვახსენეთ.

„სხივოსან სიცოცხლეებად“ ანუ „ცეცხლებად“ (იგივე ნებულობის სულები, ხოლო ქრისტიანულ იდუმალთმოძვრებაში – Throne, ანუ „საყდარნი“) სახელდებული სულები ამ პროცესში უკვე ადარ მონაწილეობენ. ამ სულებმა თავიანთი შესაბამისი სამუშაო სატურნის პირველი წრებრუნვის პირველ ნახევარში დაასრულეს. მზის პირველი წრებრუნვის დროს შეინიშნება „სიბრძნის სულების“ (ქრისტიანულ იდუმალთმოძვრებაში Kyriotetes ანუ ხელმწიფებანი) მუშაობა; ადამიანურ განვითარებაში ისინი სატურნის პირველი წრებრუნვის დაახლოებით შეა პერიოდში ჩაერივნენ. ახლა „სიბრძნის სულები“ მუშაობას აგრძელებენ მზის პირველი წრებრუნვის პირველ ნახევარში, იმეორებენ რა მომდევნო საფეხურებზე, ერთიმეორის მიყოლებით, ფიზიკური სხეულის სიბრძნით ადსავსე აგებულებას. ოდნავ მოგვიანებით ამ მუშაობას უერთდება „მოძრაობის სულების“ (ქრისტიანულად, ძალი – Dianameis, ხოლო თეოსოფიურ ლიტერატურაში – Mahat) მუშაობა. ამით მეორდება სატურნის წრებრუნვის ის პერიოდი, როცა ადამიანურმა სხეულმა მოძრაობის უნარი შეიძინა. ამდენად, იგი თავის მოძრაობას უკვე ხელახლა იწყებს და აფართოებს. ასევე ერთიმეორეს მიყოლებით იმეორებენ საკუთარ სამუშაოს „ფორმის სულები“ (Exusiae), „წყვდიადის“ (იგივე პირვნების სულები, ქრისტიანულად „მთავარნი“ – Archai, თეოსოფიაში – აზურები), შემდგომ „ცეცხლის შვილები“ (მთავარანგელოზნი) და ბოლოს, „ბინდის შვილები“ (ანგელოზნი, Lunar-Pitris). ამით აღინიშნება მზის პირველი წრებრუნვის (პირველი წრის) ექვსი მცირე პერიოდი. მეშვიდე მცირე პერიოდში ხელახლა შემოდიან „სიბრძნის სულები“ (ხელმწიფებანი Kuriotetes). მათ თავიანთი მუშაობის პერიოდში ადამიანის სხეული აქციეს ბრძული აგებულების მქონედ, ახლა კი მის მოძრავ ნაწილებს თვით სიბრძნით აღვსილ მოძრაობის უნარს ანიჭებენ. ადრე ბრძული მხოლოდ ის იყო, თუ როგორაა სხეული აგებული, ახლა კი საკუთრივ მოძრაო-

ბა იქცევა შინაგანი სიბრძნის გამოხატულებად. მზის პირველი წრებრუნვა აქ მთავრდება. ამდენად, იგი შედგება შვიდი ერთმანეთის მომდევნო მცირე წრებრუნვისგან, რომელთაგან თითოეული სატურნის წრებრუნვებიდან (სატურნის წრეებიდან) ერთ-ერთის მოკლე გამეორებას წარმოადგენს. თეოსოფიურ ლიტერატურაში ჩვევად დამკიდრდა, რომ ამ შვიდ მცირე წრებრუნვას ეწოდოს „გლობები“, რომლებიც ერთად შეადგენენ ერთ, ე. წ. „წრეს“ (ამდენად, ერთი „წრე“ გადის შვიდ „გლობას“).

სიმშვიდის (პრალაიას) პერიოდის შემდეგ, მზის პირველ წრებრუნვას ახლა მეორე მოსდევს. ცალკეულ, ყველაზე მცირე წრებრუნვებს ანუ „გლობებს“ მოგვიანებით უფრო დეტალურად აღვწერთ; ახლა მზის მომდევნო წრებრუნვაზე გადავიდეთ. უკვე პირველის დასასრულს ადამიანური სხეული მომწიფდა ეთერული სხეულის მისაღებად მხოლოდ იმის წყალობით, რომ მას „სიბრძნის სულებმა“ სიბრძნით აღსავს მოძრაობა შეაძლებინეს; იმავდროულად განვითარდნენ თვით „სიბრძნის სულებიც“. განხორციელებული სამუშაოს მეშვეობით, მათ მოიპოვეს საკუთარი არსებიდან ნივთიერების იმგვარად გადმოიღვრის უნარი, როგორც გადმოდვარეს იგი სატურნის წრებრუნვის დასაწყისში „ცეცხლებმა“ (საყდარნი) და ამით ფიზიკური სხეულისთვის ნივთიერი საფუძველი შექმნეს. „სიბრძნის სულების“ ნივთიერება წარმოადგენს „ეთერს“ ანუ თავისთავში მოძრავ და ძალით აღსავს სიბრძნეს, სხვა სიტყვებით – „სიცოცხლეს“. ამდენად, ადამიანის ეთერული ანუ სასიცოცხლო სხეული წარმოადგენს „სიბრძნის სულების“ (ხელმწიფებანი) გადმოღვრის შედეგს. ეს გადმოღვრა გრძელდება მზის მეორე წრებრუნვის შუა პერიოდამდე, როცა „მოძრაობის სულებს“ შეუძლიათ ისევ შეუდგნენ ახალ მოღვაწეობას. აქამდე მათი მუშაობა შეიძლებოდა მხოლოდ ადამიანის ფიზიკურ სხეულზე გავრცელებულიყო. ახლა იგი გადადის ეთერულზე და მასში ძალით აღსავს ქმედითობას ნერგას. ასე გრძელდება მზის მესამე წრებრუნვის შუა პერიოდამდე. შემდეგ მუშაობას იწყებენ „ფორმის სულები“ (უფლებანი). მათი წყალობით ეთერული სხეული, რომელიც აქამდე ღრუბლების მსგავსად მოძრაობდა, განსაზღვრულ სახეს (ფორმას) იძენს. მზის მეოთხე წრებრუნვის შუახნის-თვის ეს „ფორმის სულები“ იძენენ ცნობიერებას, რომელ-

საც ადამიანი დაუფლება ვენერაზე – მისთვის დედამიწის ყოფიერების მომდევნო პლანეტაზე. ესაა ზეფსიქიკური ცნობიერება. მას, როგორც საკუთარი მოღვაწეობის შედეგს, „ფორმის სულები“ მზის მესამე და მეოთხე წრებრუნვის პერიოდში მიაღწევენ. ამასთან, ეთერულის დახმარებით, მათ მოიპოვეს უნარი ცოცხალ გრძნობად გარდაქმნან სატურნის პერიოდში ეთერულთან მოგვიანებით წარმოქმნილი გრძნობათა ის ჩანასახები, რომლებიც მანამდე მხოლოდ ფიზიკურ აპარატებად რჩებოდნენ.

ასეთივე სახით ამაღლდნენ ამ დროს „წყვდიადის სულები“ (ქრისტიანულ იდუმალთმოძღვრებაში „მთავარნი“, იგივე „საწყისნი“ Archai, ოეოსოფიაში – „აზურები“), ფსიქიკური ცნობიერების საფეხურამდე, რომელსაც, როგორც შეგნებულ ხატოვან ცნობიერებას, ადამიანი მხოლოდ იუპიტერზე განივითარებს. ამის საშუალებით მათ ეძლევათ შესაძლებლობა ასტრალური სამყაროდან ცნობიერად იმოქმედონ. ამ დროს რომელიმე არსების ეთერული სხეული შესაძლოა ასტრალური სამყაროს ზეგავლენის ქვეშ მოექცეს. ასე იმოქმედეს „წყვდიადის სულებმა“ ადამიანის ეთერულ სხეულთან დაკავშირებით. მათ ადამიანის ამ ეთერულ სხეულში ჩანერგეს თვითების (დამოუკიდებლობისა და თავკერძობის) სულისკვეთება, როგორც ეს ადრე ფიზიკურ სხეულზე განხორციელდა. ამდენად, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ჩანერგეს თანდათან ამ სულებმა ეგოიზმი ადამიანური არსების ყველა ორგანოში. დაახლოებით ამ პერიოდში „ცეცხლის შვილებმა“ (მთავარანგელოზები) მიაღწიეს ცნობიერების იმ საფეხურს, რომელსაც ამჟამად ადამიანი ფლობს, როგორც ღვიძილის ცნობიერებას. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ახლა ისინი ადამიანები ხდებიან. გარე - სამყაროსთან გარკვეული კავშირის დასამყარებლად მათ შეუძლიათ ადამიანის ფიზიკური სხეულით სარგებლობა. ამგარადვე შეეძლოთ „პიროვნების სულებს“ (Archai) ფიზიკური სხეულით სარგებლობა სატურნის მეოთხე წრებრუნვის შუა პერიოდიდან. ოდონდ გარკვეული სახის აღქმისთვის ისინი გრძნობათა ჩანასახებს იყენებდნენ. ხოლო „ცეცხლის შვილები“ ბუნებით არიან ისეთი, რომ თავიანთი სამშვინველის სითბოს გარემომცველ სამყაროში აფრქვევენ. ადამიანის ფიზიკური სხეული ახლა უკვე იმდენად განვითარდა, რომ მათ შეუძლიათ იგივეს განხორციე-

ლება მისი მეშვეობით. მათი სითბო მოქმედებს კვერცხებს გადაფოფრილი კრუხის სითბოს მსგავსად, ანუ აქვს სიცოცხლის გამდვიძებელი ძალა. ადამიანსა და მის თანამგზავრებში არსებული სიცოცხლის ეს გამდვიძებელი ძალა მაშინ ეთერულ სხეულში მთლიანად „ცეცხლის შვილებმა“ ჩანერგეს; ამრიგად, წარმოიშობა ისეთი სითბო, რომელსაც ყველა ცოცხალი არსება საკუთარი გამრავლებისთვის აუცილებელი პირობის სახით ფლობს. მოგვიანებით ნახავთ, თუ როგორ გარდაიქმნა ეს სითბური ძალა მზისაგან მოვარის გამოყოფისას.

დაახლოებით მეხუთე წრებრუნვის შუახანებში თავად „ცეცხლის შვილები“ იმდენად მომწიფდნენ, რომ შეეძლოთ, ეთერულ სხეულში ჩაენერგათ ის უნარი, რომელსაც ადრე ადამიანის ფიზიკური სხეულის მეშვეობით ახორციელებდნენ. ეთერულ სხეულზე მუშაობაში ისინი ენაცვლებიან „პიროვნების სულებს“, რის შედეგადაც ეს ეთერული სხეული გამრავლების უნარს აამოქმედებს. ამ დროს ისინი ფიზიკურ სხეულს მიანდობენ „ბინდის ანუ ცხოვრების შვილებს“ (ანგლოზებს ქრისტიანობაში, ხოლო Lunar-Pitris თეოსოფიაში), რომელთაც ამასობაში მიაღწიეს იმ მკრთალ ბუნდოვან ცნობიერებას, როგორსაც ადამიანი მოვარეზე დაეუფლება. სატურნზე ისინი ადამიანის წინაპარს თითქოსდა გონების ზოგიერთი ორგანოთი ასაჩუქრებდნენ. ახლა „ბინდის შვილები“ გამოიმუშავებენ ადამიანური სულის ფიზიკურ იარაღს, რომლითაც განვითარების შემდგომ საფეხურებზე ცნობიერად ისარგებლებენ. ამის შედეგად უკვე მეხუთე წრებრუნვის შუა პერიოდიდან ადამიანური სხეულის მეონებით სერაფიმებს შეუძლიათ მზეზე გახსნა (გამოცხადება) უფრო სრულყოფილად, ვიდრე სატურნზე იუო შესაძლებელი.

მზის მექქსე წრებრუნვის შუახანებიდან თვით ადამიანი განვითარდა იმდენად, რომ ძალუბს არაცნობიერად იმუშაოს საკუთარ ფიზიკურ სხეულზე. ამდენად, ამ თვალსაზრისით ამიერიდან იგი ცელის „ბინდის შვილებს“. ამ მოღვაწეობის წყალობით ადამიანი ბუნდოვნად ქმნის იმ სულიერი არსების პირველ ჩანასახს, რომელსაც „სიცოცხლე-სულს“ (Buddhi) უწოდებენ. ამ „სიცოცხლე-სულის“ შეცნობამდეც იგი საკუთარი განვითარების მხოლოდ გვანდლელ საფეხურებზე მივა. სატურნის მეშვიდე წრებრუნვი-

დან როგორი ნებაყოფლობითაც ჩადვრიან „საყდარნი“ საკუთარ ძალებს იმ დროს წარმოქმნილ „სული-ადამიანის“ ჩანასახში, ასევე აფრქვევენ ახლა ქერუბიმები საკუთარ სიბრძნეს, რომელიც მას შემდეგ ადამიანის „სიცოცხლე-სულს“ განვითარების ყველა მომდევნო საფეხურზე თან სდევს. მზის მეშვიდე წრებრუნვის შუა ხანებიდან ხელახლა იჩენს თავს „სული-ადამიანი“ (Atma), რომლის ჩანასახს საფუძველი ჯერ კიდევ სატურნზე ჩაეყარა. იგი უერთდება „სიცოცხლე-სულს“ (Buddhi) და წარმოიქმნება გაცოცხლებული მონადი (Atma-Buddhi). იმ დროს, როცა ადამიანი არაცნობიერად მუშაობს თავის ფიზიკურ სხეულზე, „ბინდის შვილები“ საბუთარ თავზე იდებენ იმას, რაც ეთერული სხეულის შემდგომი განვითარებისთვის უნდა განხორციელდეს. ამ თვალსაზრისით ისინი „ცეცხლის შვილთა“ მემკვიდრეებს წარმოადგენენ. კერძოდ, ისინი ამ ეთერულ სხეულში ასხივებენ თავიანთი ცნობიერების სურათსაცებს და ამის წყალობით, გარკვეული სიზმრისეული მდგომარეობისას სარგებლობენ „ცეცხლის შვილების“ მიერ აღძრული ამ სხეულის გამრავლების ძალით. ამით ისინი ამზადებენ იმ ძალით ტკბობის განვითარებას, რომელიც ადამიანსა და მასთან ერთად მცხოვრებ არსებებში მოგვიანებით (მთვარეზე) განვითარდება.

სატურნზე ადამიანი თავის ფიზიკურ სხეულში შეიქმნა. ეს უკანასკნელი მაშინ ჯერ არ იყო გაცოცხლებული. იდუმალთმეტყველებაში ასეთ უსიცოცხლო სხეულს მინერალს უწოდებენ. ამიტომ, შეიძლება ასევე ითქვას, რომ სატურნზე ადამიანი მინერალს წარმოადგენდა, ანდა ის, რომ იგი გადიოდა მინერალური სამყაროს საფეხურს. ამ ადამიან-მინერალს ამჟამინდელი მინერალის ფორმა არ ჰქონდა. ამჟამად არსებულ მინერალთა მსგავსი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ეს ადამიანი-მინერალი, რომელიც თესლის ჩანასახის მსგავსად ხელახლა წარმოიქმნა ძილის წყვდიადიდან, მზეზე გაცოცხლდა. იგი ადამიან-მცენარედ იქცა. ადამიანმა მცენარეული სამყაროს საფეხური განვლო, მაგრამ ყველა ადამიანი-მინერალი ამ სახით არ გაცოცხლებულა. ეს არც მოხდებოდა, რადგანაც ადამიანი-მცენარე საკუთარი სიცოცხლისთვის მინერალურ საფუძველს საჭიროებდა. როგორც დღეს შეუძლებელია მცენარეთა არსებობა მინერალური სამყაროს გარეშე, რომ-

ლისგანაც იღებენ ისინი თავიანთ ნიკოერებებს, ასევე იყო მზეზე ადამიან-მცენარესთან მიმართებითაც. ამიტომ საქუთარი შემდგომი განვითარებისთვის მას ადამიანის ჩანასახ-თა ნაწილი უკან უნდა მოეტოვებინა. რადგანაც მზეზე არ-სებობდა სატურნისგან განსხვავებული პირობები, ამიტომ უკუგდებულმა მინერალებმა მიიღეს სულ სხვა იერ-სახე, ვიდრე სატურნზე გააჩნდათ. ადამიან-მცენარეთა სამყაროს გვერდით წარმოიქმნა მეორე სფერო – განცალკევებული მინერალური სამყარო. როგორც ვხედავთ ადამიანი გადა-დის ზედა სამყაროში, ხოლო თავის თანამგზავრებს ქვედა-ში აგდებს. ჩვენ მომავალშიც არაერთხელ დავინახავთ, თუ როგორ მეორდება მოვლენათა ასეთი მსვლელობა განვითა-რების მომდევნო საფეხურებზე. იგი განვითარების ძირითად კანონს ესადაგება.

\*\*\*

მიმოხილვის გაადვილების მიზნით აქაც მოვიყვანთ მზე-ზე განვითარების (ფაქტების) შემაჯამებელ შედეგებს.

I. მზე წარმოადგენს იმ პლანეტას, რომელზეც ადამია-ნური ცნობიერების მეორე მდგომარეობა ვითარდება. ჭრ-ძოდ – ძილი უსიზმროდ. ეთერულ სხეულთან შეერთებით ადამიანის ფიზიკური სხეული გარკვეული სახის მცენარე-ულ ყოფიერებამდე მაღლდება.

II. ეს განვითარება შვიდ დაქვემდებარებულ საფეხურს (მცირე წრებრუნვებს ანუ „წრეებს“) გადის.

1. ფიზიკურ სხეულთან მიმართებით ამ წრებრუნვებიდან პირველში, რამდენადმე შეცვლილი ფორმით, მეორდება სა-ტურნზე განვითარების საფეხურები.

2. პირველი წრებრუნვის ბოლოს იწყება „სიბრძნის სუ-ლების“ (Kiriotes) მიერ ეთერული სხეულის გადმოღვრა.

3. მეორე წრებრუნვის შუახანებში ამ სხეულზე მუშაო-ბას „მოძრაობის სულების“ (Dunameis) იწყებენ.

4. მესამე წრებრუნვის შუახანებში დასაბამი ეძლევა „ფორმის სულების“ (Exusiai) მიერ ეთერულ სხეულზე მოღვაწეობას.

5. მეოთხე წრებრუნვის შუახანებში „პიროვნების სუ-ლების“ (Archai) წყალობით ეს სხეული იძენს თვითებას.

6. ამავე დროს, ადრე მასზე მომუშავე ძალთა დახმა-რებით ფიზიკური სხეული იმდენად წინ წაიწევს, რომ მი-

სი მეშვეობით გეოთხე წრებრუნვიდან „ცეცხლის სულებს“ (Archangeloi) შეუძლიათ ადამიანურობის საფეხურამდე ამაღლება.

7. მეხუთე წრებრუნვის შუახანებში „ცეცხლის სულები“, რომელთაც ადრე ადამიანურობის საფეხური განვლეს, ეთერულ სხეულზე მუშაობას საკუთარ თავზე იღებენ. ამ დროს ფიზიკურ სხეულზე „ბინდის შვილები“ (Angeloii) მოქმედებენ.

8. დაახლოებით მეექვებე წრებრუნვის შუახნიდან ეთერულ სხეულზე მუშაობა „ბინდის შვილებზე“ გადადის. ადამიანი თავად ამუშავებს ფიზიკურ სხეულს.

9. მეშვიდე წრებრუნვის შუა პერიოდში წარმოქმნა გაცოცხლებული მონადა.

ძველი მზის კოსმიურ ეპოქას მოჰყვა ძველი მთვარის კოსმიური ეპოქა, რომლის განმავლობაში ადამიანი საპუთარი ცნობიერების შვიდი მდგომარეობიდან ივითარებს – მესამეს. პირველი წარმოიქმნა სატურნის შვიდი წრებრუნვის დროს, მეორე – მზის განვითარების ეპოქა; მეოთხე – ის არის, რასაც ადამიანი ამჟამად, მიწიერი ცხოვრების განმავლობაში, თანდათან ავითარებს. ცნობიერების დანარჩენი სამი მდგომარეობა მომდევნო პლანეტებზე განხორციელდება. სატურნზე ადამიანის ცნობიერების მდგომარეობას ვერ შევადარებოთ დღევანდელი ადამიანის ვერანაირ ცნობიერებას, რადგან იგი უსიზმრო ძილის ცნობიერებაზე ბევრად უფრო ბუნდოვანი იყო; მაგრამ მზის ცნობიერება უკვე შეიძლება შევადაროთ ამ უსიზმრო ძილის მდგომარეობას, ანუ ძილში ჩაფლული მცენარეული სამყაროს ამჟამინდელ ცნობიერებას. ამასთან, ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობთ მხოლოდ ანალიტიკზე. ძალიან არასწორად ვიფიქრებდით, თუ ჩავთვლიდით, რომ უდიდეს კოსმიურ პერიოდებში ზოგიერთი პროცესი აბსოლუტურად იმგვარადვე მეორდება. ამ აზრითვე უნდა გავიგოთ, როცა დღეს მთვარისეულ ცნობიერებას ადარებენ იმას, რასაც იგი რამდენადმე პგავს, კერძოდ კი – სიზმრით ადსავსე ძილის ცნობიერებას. ეს ეგრეთ წოდებული ხატოვანი ცნობიერებაა, რომელსაც ადამიანი მთვარეზე აღწევს. მსგავსება ის არის, რომ თვით არსების შიგნით, როგორც მთვარისეულ, ისე სიზმრისებრ მდგომარეობაში, ისეთი სურათ-ხატები წარმოჩნდება, რომელთაც გარე სამყაროს საგნებსა და არსებებთან გარკვეული დამოკიდებულება აქვთ; ეს სურათ-ხატები არსებითად არ წარმოადგენენ ამ საგნებისა და არსებების ისეთ ზუსტ ანარეკლს, როგორც თანამედროვე მღვიძარე ადამიანის შემთხვევაში. სიზმრისეული სურათ-ხატები წარმოადგენს მხოლოდ დღის განცდების ანარეკლს ან იმ მოვლენების სიმბოლურ გამოხატულებას, რომლებიც მმინარე ადამიანის გარშემო და აგრეთვე, სიზმრის მნახველი პიროვნების შიგნით განხორციელდება; სიზმრისეული განცდების ამ სამივე შემთხვევისათვის მაგალითების მოყვანა ძალზე ადვილია. უპირველეს ყოვლისა, ყველასთვის ნაცნობია სიზმრები, რომლებიც სხვას

არაფერს წარმოადგენენ თუ არა დღის განცდების არეულ, მეტ-ნაკლებად წარსულში გადატანილ სურათ-ხატებს. მეორე შემთხვევის მაგალითად შეიძლება გამოდგეს მდგომარეობა, როდესაც მძინარეს ეჩვენება, რომ ესმის შორიახლოს ჩაგლილი მატარებლის ხმაური, გამოდვიძებისას კი ამჩნევს, რომ ამ სიზმარში მის გვერდით დადგებული საათის წიქწიკი აისახა. მესამე ტიპის სიზმრის მაგალითია ის შემთხვევა, როდესაც მავანს ესიზმრება თითქოს იგი იმყოფება ოთახში, რომელმაც ზემოთ, ჭერში საზიზდარი ცხოველები შეიკედლა, ხოლო გამოდვიძებისას აღმოჩნდება, რომ ასეთი ფორმით მისივე თავის ტკივილი გამოიხატა. თუ სურთ, ასეთი არეული სიზმრებიდან მთვარისეული ცნობიერება წარმოიდგინონ, მაშინ საჭიროა გაიცნობიერონ, რომ თუმცა „ხატოვნების“ თვისება მისთვისაც ნიშანდობლივია, მაგრამ არეულობისა და თვითნებობის ნაცვლად აქ სრული წესრიგია გაბატონებული. მართალია, მთვარისეული ცნობიერების სურათ-ხატები ჯერ კიდევ სიზმრისეულ სურათ-ხატებზე ნაკლებად ჰგვანან იმ საგნებს, რომელთაც მათ მიაკუთვნებენ, მაგრამ სამაგიეროდ ხატოვნებასა და საგანს შორის სრული შესაბამისობა სუფევს. საქმე ის არის, რომ ჩვენს დროში, მიწიერი განვითარების ფარგლებში, მთლიანი საგნის გამოხატულებაა – წარმოდგენა, წარმოსახვა. ასე მაგალითად, წარმოდგენა „მაგიდა“ საკუთრივ მაგიდის გამოხატულებაა. მთვარისეულ ცნობიერებაში ეს ასე არ არის. მაგალითად, დავუშვათ, რომ მთვარისეული ადამიანი მისთვის რაიმე სიმპათიურ ან სასურველ საგანს უახლოვდება. მაშინ მისი სამშვინველის შიგნით წარმოჩნდება ნათელი ხასიათის ფერადოვანი სურათ-ხატი. თუ მას უახლოვდება რაიმე საზიანო ან არასიმპათიური, მაშინ მასში უგვანო, შავბნელი სურათ-ხატი წარმოიქმნება. თუმცა წარმოსახული წარმოადგენს არა ანარეკლს, არამედ საგნის იმგვარ სიმბოლურ სურათ-ხატს, რომელიც საგნის არსეს სრულიად განსაზღვრულად და კანონზომიერად პასუხობს. ამის გამო მსგავსი სიმბოლური წარმოდგენის მქონე არსებას შეუძლია საკუთარ ცხოვრებაში ამ სურათ-ხატებით იხელ-მდღვანელოს. ამრიგად, მთვარისეული წინაპრის მშვინვიერი ცხოვრება მიედინება სურათ-ხატებში, რომელთაც ჩვენს სიზმრებთან აერთიანებს მყისიერება, ლივლივი და

სიმბოლურობა, მაგრამ მათგან თავიანთი სრულიად კანონზომიერი ხასიათით განსხვავდებიან.

ადამიანის მთვარისეულ წინაპართა ხატოვანი ცნობიერების განვითარებას ფიზიკურ და ეთერულ სხეულებთან ერთად, საფუძვლად დაედო მესამე წევრის წარმოქმნა. ამ მესამე წევრს ასტრალური სხეული ეწოდება. იგი მხოლოდ მთვარის მესამე მცირე წრებრუნვის დროს – ეგრეთ წოდებულ მთვარის მესამე წრეზე წარმოიქმნა. მთვარის პირველი ორი წრებრუნვა სატურნსა და მზეზე განვლილის მხოლოდ გამეორებებს წარმოადგენს. ცხადია, არ შეიძლება ეს გამეორებაც ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს სატურნსა და მზეზე მომხდარი ყველა ფაქტი კიდევ ერთხელ განხორციელდება. ის, რაც მეორდება (ფიზიკური და ეთერული სხეულის წარმოქმნა), ამავე დროს იმგვარად იცვლება, რომ მთვარის მესამე წრებრუნვაში ადამიანური ბუნების ეს ორივე წევრი შეიძლება ასტრალურ სხეულს შეუერთდეს, რაც მზეზე არ მოხდებოდა.

მთვარის მესამე პერიოდის დროს (უფრო სწორად, ეს პროცესი იწყება დაახლოებით მეორის შუახანებში) მოძრაობის სულები (Dynamēis) საკუთარი ბუნებიდან ადამიანურ სხეულში ასტრალურს ღვრიან. მეოთხე წრებრუნვაში (მესამის შუახანებში) ფორმის სულები (Exusiai) ამ ასტრალურ სხეულს ისე აყალიბებენ, რომ მის სურათ-ხატს, მთელ მის ორგანიზაციას ძალუბს შინაგანი პროცესების საკუთარ თავში განვითარება. ეს პროცესები ატარებენ იმგვარ ხასიათს, როგორსაც ამჟამად ცხოველებსა და ადამიანში სწრაფვებს, წყურვილებს, ანუ სურვილთა სამყაროს უწოდებენ. მთვარის მეოთხე წრებრუნვის შუახნიდან პიროვნების სულები წარმოაჩენენ იმას, რაც მათთვის მთავარ ამოცანად იქცევა მთვარის მეხუთე წრებრუნვის დროს: ასტრალურ სხეულში ისინი ნერგავენ თვითებას, ისევე, როგორც ეს წინა კოსმიურ პერიოდებში ფიზიკურ და ეთერულ სხეულებთან მიმართებით გააკეთეს; აღნიშნულ მომენტში (მთვარის მეოთხე წრებრუნვის შუახანში) ფიზიკური და ეთერული სხეულების იმ დონეზე განსავითარებლად, რომ მათ დამოუკიდებელი ასტრალური სხეული შეეკედლებინათ, ისინი მათივე მაორგანიზებელ სულებს განვითარების მთელი რიგი საფეხურების გავლით უნდა მიეყვანათ. ეს ხორციელდება შემდეგნაირად: მთვა-

რის პირველ წრებრუნვაში („წრეში“) ფიზიკური სხეული აუცილებელ სიმწიფემდე მიჰყავთ მოძრაობის სულებს, მეორე წრებრუნვაში – ფორმის სულებს, მესამის ღროს – პიროვნების სულებს, მეოთხეში – ცეცხლის სულებს, მეხუთეში კი – ბინდის სულებს. უფრო ზუსტად, ბინდის სულების ეს მუშაობა ხორციელდება მთვარის მეოთხე წრებრუნვის შუახნიდან, ასე რომ, სწორედ იმ მომენტში, როცა პიროვნების სულები მოქმედებენ ასტრალურ სხეულზე, ბინდის შვილები ფიზიკურ სხეულზე მუშაობენ. ეთერულ სხეულთან მიმართებით ეს ხორციელდება შემდგენაირად: მთვარის პირველი წრებრუნვის ღროს ეთერული სხეულის-თვის აუცილებელ თვისებებს მასში ნერგავენ სიბრძნის სულები, მეორეში – მოძრაობის სულები, მესამეში – ფორმის სულები, მეოთხეში – პიროვნების სულები და მეხუთეში – ცეცხლის სულები. უფრო ზუსტად, ცეცხლის სულების ეს მოღვაწეობა ისევ პიროვნების სულების ასტრალურ სხეულზე მუშაობის პარალელურად მიმდინარეობს, ამიტომ იგი იწყება მთვარის მეოთხე წრებრუნვის შუახნიდან და გადადის მეხუთეში.

ამ პერიოდში ადამიანურ წინაპარს თუ განვიხილავთ მთლიანობაში, როგორადაც იგი მთვარეზე ჩამოყალიბდა, მაშინ შეიძლება ითქვას: მთვარის მეოთხე წრებრუნვის შუა პერიოდიდან მოყოლებული, ადამიანი შედგება – ფიზიკური სხეულისგან, რომელშიც მუშაობენ ბინდის შვილები – ეთერული სხეულისგან, რომელშიც მოქმედებენ ცეცხლის სულები და ბოლოს – ასტრალური სხეულის-გან, რომელშიც პიროვნების სულები მუშაობენ. ის ფაქტი, რომ განვითარების ამ ეტაპზე ბინდის შვილები ამუშავებენ ფიზიკურ სხეულს, ნიშნავს, რომ ისინი მაღლდებიან ადამიანურობის საფეხურამდე, როგორც ეს გააკეთეს სატურნზე პიროვნების სულებმა, ხოლო მზეზე, იმავე წრებრუნვისას – ცეცხლის სულებმა. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამჟამად ასევე განვითარებული ფიზიკური სხეულის „გრძნობათა ჩანასახები“, მთვარის მეოთხე წრებრუნვის შუახნიდან შესაძლებელია ბინდის სულებმა მათივე დახმარებით, მთვარეზე გარეგანი საგნებისა და მოვლენების აღსაქმელად გამოიყენონ. თვით ადამიანი კი მხოლოდ დედამიწაზე განვითარდება იმდენად, რომ მეოთხე წრებრუნვის შუა პერიოდიდან თავადვე შეძლებს ამ გრძნობებით

სარგებლობას. სამაგიეროდ, მთვარის დაახლოებით მეხუთე წრებრუნვაში („წრეში“) იგი აღწევს იმას, რომ უკვე ძალუს ფიზიკურ სხეულზე შეუცნობლად მუშაობა. ამ მუშაობით საკუთარ ბუნდოვან ცნობიერებაში იგი „თვით-სულის“ (Manas, შდო. ჩემი „თვით-სულია“)\* პირველ ჩანასახს ქმნის. ეს „თვით-სული“ მომავალში, კაცობრიობის განვითარების განმავლობაში, მთლიანად გაიხსნება. სწორედ ეს შეადგენს მოგიანებით „სული-ადამიანისა“ (Atma) და „სიცოცხლე-სულის“ (Buddhi) შერწყმით ადამიანის უზენაეს სულიერ ნაწილს. როგორც განმსჭვალეს სატურნზე საყდრება ანუ ნებელობის სულებმა „სული-ადამიანი“ (Atma), ხოლო მზეზე იგივე განახორციელეს ქრუბიმებმა „სიცოცხლე-სულთან“ (Buddhi) მიმართებით, ასევე მოქმედებენ ახლა ხერაფიმები „თვით-სულთან“ (Manas) დაკავშირებით. ისინი მსჭვალავენ ამ „თვით-სულს“ და ამით მასში ნერგავენ უნარს, რომელიც განვითარების გვიანდელ საფეხურებზე (დედამიწაზე) გარდაიქმნება ადამიანური წარმოდგენის იმ უნარად, რომლის წყალობითაც ადამიანს, როგორც მთა ზროვნე არსებას, შეუძლია გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობის დამყარება. აქვე უნდა ითქვას, რომ მთვარის მექქსე წრებრუნვის შუა პერიოდიდან ისევ შემოდის „სიცოცხლე-სული“ (Buddhi), მეშვიდის შუახნიდან „სული-ადამიანი“ (Atma) და ორივე უერთდება „თვით-სულს“ (Manas); ასე რომ, მთვარის მთლიანი კოსმიური პერიოდის დასასრულისთვის „უმაღლესი ადამიანი“ უკვე შემზადებულია. ამის შემდეგ ეს უკანასკნელი ეძლევა ძილს ყოველივე იმასთან ერთად, რაც მთვარეზე განვითარდა და გადის სიმშვიდის (პრალაიას) პერიოდს, რათა საკუთარი განვითარება პლანეტა დედამიწაზე განაგრძოს.

იმ დროს, როცა მთვარის მეხუთე წრებრუნვის შუა პერიოდიდან და შემდგომ მექქსეში, ადამიანი საკუთარ ფიზიკურ სხეულზე ბუნდოვანი ცნობიერებით მუშაობს, მის ეთერულ სხეულზე ბინდის შვილები მუშაობენ. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, წინა ეპოქაში („წრეში“) ფიზიკურ სხეულზე მუშაობით მათ საკუთარი თავი მოამზადეს საიმისოდ, რათა ახლა ეთერულ სხეულში შეენაცვლონ სულებს, რომლებმაც, თავის მხრივ, ასტრალურ სხეულზე მუშაობის გამოცდილება პიროვნების სულებისგან გადმო-

იდეს. ამავე დროს უფრო მაღალ სფეროებამდე ამაღლდნენ პიროვნების სულებიც. ეთერულ სხეულზე ბინდის შვილების მუშაობა ნიშნავს, რომ ისინი საკუთარი ცნობიერების მდგომარეობას ეთერული სხეულის ცნობიერების სურათ-ხატებს უკავშირებენ. ამის წყალობით ისინი მათში საგან-თაგან გამოწვეულ სიხარულსა და გულისტკივილს ნერგა-ვენ. ამ თვალსაზრისით მზეზე მათი მოღვაწეობის არენას მხოლოდ ფიზიკური სხეული წარმოადგენდა. ამიტომ, იქ სიხარული და ტანჯვა დაკავშირებული იყო მხოლოდ ამ სხეულის ქმედებებთან, მის მდგომარეობებთან. ახლა კი საქმე სხვაგვარადაა. ამიერიდან სიხარული და ტანჯვა ეთერულ სხეულში წარმოქმნილ სიმბოლურ სურათ-ხა-ტებს უკავშირდება; ამასთან ერთად, ადამიანურ ბუნდოვან ცნობიერებაში ბინდის შვილები განიცდიან გრძნობების იმავე სამყაროს, რომელიც საკუთარ მიწიერ ცნობიერება-ში ადამიანმა თავის თავში უნდა განიცადოს. იმავდროუ-ლად ასტრალურ სხეულში ცეცხლის შვილები მოქმედე-ბენ. ისინი უვითარებენ მას გარე სამყაროსადმი ცოცხალი თანაშეგრძენებისა და თანაზიარობის უნარს. ზემოაღწერი-ლის შესაბამისად ეთერულ სხეულში ბინდის შვილების მიერ გამოწვეული სიხარული და მწუხარება არაქმედით (პასიურ) ხასიათს ატარებს. ისინი უფრო გარე სამყაროს უმოქმედო ანარეკლებს წარმოადგენენ. ხოლო ასტრალურ სხეულში ცეცხლის სულები იწვევენ ცოცხალ აფექტებს, სიყვარულსა და სიძულვილს, მრისხანებას, შიშს, საშინე-ლებას, ბობოქარ ვნებებს, ინსტინქტებს, სწრაფვასა და ა. შ. გამომდინარე იქიდან, რომ მანამდე ამ სხეულში პიროვ-ნების სულებმა (აზურები) თავიანთი არსება ჩანერგეს, ახ-ლა ეს აფექტები თავს იჩენენ თვითებაში, განკერძოებუ-ლობაში. საჭიროა გავიხსენოთ, თუ როგორია ამ დროს ადამიანის წინაპარი მთვარეზე. იგი ფლობს ფიზიკურ სხე-ულს, რომლის საშუალებითაც ბუნდოვან ცნობიერებაში ავითარებს „თვით-სულს“ (Manas), ამასთან შემოსილია ეთერული სხეულით, რომლის მეოხებით ბინდის სულები სიხარულსა და ტანჯვას გრძნობენ. და ბოლოს, ადამიანის ეს წინაპარი ფლობს ასტრალურ სხეულს, რომელიც ცეც-ხლის სულების წყალობით აფორიაქებულია სწრაფვებით, აფექტებით, ვნებებით; მთვარისეული ადამიანის ეს სამივე წევრი საგნობრივ ცნობიერებას ჯერ კიდევ სრულიად

მოკლებულია. ასტრალურ სხეულში მიიქცევ-მოიქცევიან სურათ-ხატები, რომლებიც ამ აფექტთა მგზნებარებით არიან გამსჭვალული. დედამიწაზე, ანუ როცა დადგება მოაზროვნე საგნობრივი ცნობიერების პერიოდი, ეს ასტრალური სხეული წარმოსახვითი აზროვნებისთვის მორჩილ გამტარად ანუ იარაღად იქცევა; მაგრამ ახლა, მთვარეზე, იგი საკუთარი დამოუკიდებლობის მთელი სისაგსით წარმოჩნდება. ამდენად, ეს ასტრალური სხეული აქ თავისთავად უფრო ქმედითუნარიანი და მოძრავია, ვიდრე შემდგომ, დედამიწაზე. თუ შევეცდებით მის დახასიათებას, შეიძლება ითქვას, რომ ესაა ადამიანი-ცხოველი. თუმცა იგი გარკვეულწილად უფრო მაღალ საფეხურზეა, ვიდრე დედამიწის ამჟამინდელი ცხოველები. იგი თავის თავში მთლიანად ცხოველური მდგომარეობის თვისებებს ატარებს. გარკვეული თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი გაცილებით ველური და აულაგმავია, ვიდრე ამჟამინდელი ცხოველური თვისებები. ამიტომ ყოფიერების ამ საფეხურზე ადამიანს შეიძლება ვუწოდოთ არსება, რომელიც თავისი განვითარებით დაბას თანამედროვე ცხოველსა და ამჟამინდელ ადამიანს შორის. ადამიანი მომავალშიც ზუსტად ამ გზით რომ განვითარებულიყო, იგი ველურ, აულაგმავ არსებად გადაიქცეოდა. მიწიერი განვითარება ნიშნავს ადამიანში ცხოველური თვისების რამდენადმე შემცირებას, მის მოთვალის. ეს მოაზროვნე ცნობიერების საქმეა.

თუ მზეზე განვითარებულ ადამიანს ადამიანი-მცენარე ვუწოდეთ, მაშინ მთვარისეულ ადამიანს შეიძლება ადამიანი-ცხოველი დავარქვათ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მსგავსი რამის განსავითარებლად გარემომცველი სამყაროც ასევე შეიცვლებოდა. ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ადამიან-მცენარეს მზეზე განვითარება მხოლოდ იმის წყალობით შეეძლო, რომ ადამიანი-მცენარის სამყაროს გვერდით მინერალების დამოუკიდებლი სამყაროც ვითარდებოდა. მთვარის პირველი ორი პერიოდის („წრეების“) დროს ორივე სამყარო – მცენარეული და მინერალურიც, ხელახლა გამოდის წყვდიადიდან. მათი ცვლილება ვლინდება მხოლოდ იმით, რომ ორივე რამდენადმე უფრო ტლანქი და მყარი გახდა. მთვარის მესამე წრებრუნვისას მცენარეულ სამყაროს გარკვეული ნაწილი გამოიყოფა. იგი მეტ სიტლანჯემდე საყოველთაო გადასვლაში არ მონაწილეობს. ამით ეს ნაწილი

იძენს იმ ნივთიერებას, რომლისგანაც შეიძლება ადამიანის ცხოველური არსების წარმოქმნა. სწორედ იგი იძლევა ადამიანის ზემოაღწერილ სამმაგ არსებას, უფრო მაღალ-განვითარებულ ეთერულ სხეულთან და ხელახლა წარმოქმნილ ასტრალურ სხეულთან შერწყმით; მაგრამ მზეზე წარმოქმნილ მთელ მცენარეულ სამყაროს ცხოველურ მდგომარეობამდე განვითარება არ ძალუბს. კინაიდან საპუთარი ყოფისთვის ცხოველური არსებები მცენარეთა არსებობას გულისხმობენ. მცენარეული სამყარო ცხოველთა სამყაროს საფუძველს წარმოადგენს. როგორც მზისეულმა ადამიანმა შეძლო მცენარემდე ამაღლება მხოლოდ საპუთარ თანამგზავრთა ნაწილის უფრო მკვრივ მინერალურ სამყაროში ჩამოგდებით, იგივე ხდება ამჟამად მთვარისეულ ადამიან-ცხოველთან მიმართებითაც. იგი უფრო მკვრივ მცენარეულ მდგომარეობაში ტოვებს იმ არსებათა ნაწილს, რომლებიც ჯერ კიდევ მზეზე მის მსგავს მცენარეულ ბუნებას ატარებენ; როგორც მთვარისეული ადამიანი-ცხოველი არ ჰგავს თანამედროვე ცხოველს, არამედ უკავია შუალედური მდგომარეობა დღევანდელ ცხოველსა და დღევანდელ ადამიანს შორის, ასევე შუალედური მდგომარეობა უჭირავს მთვარისეულ მინერალსაც ამჟამინდელ მინერალსა და ამჟამინდელ მცენარეს შორის. იგი საპუთარ თავში რაღაც მცენარეულს ატარებს. კლდეები მთვარეზე არსებითად არ წარმოადგენს ქვებს დღევანდელი მნიშვნელობით; ისინი ცოცხალ, აღმოცენებად, ზრდად ხასიათს ატარებენ. ასევე მთვარის მცენარეც გარკვეულ ცხოველურ თვისებებთან არის წილნაკარი.

მთვარის ადამიან-ცხოველს ძვლები ჯერ კიდევ არა აქვს გამყარებული. მისი ჩონჩხი ჯერ კიდევ ხრტილისებრია. ამჟამინდელთან შედარებით, მთელი მისი ბუნება რბილია. ამის შესაბამისად, მისი მოძრაობაც სხვაგვარია. იგი სიარულის გზით კი არ გადააღილდება, არამედ უფრო ხტუნვით, ან თითქოს ლივლივითაც. ეს ასეც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც მაშინ მთვარეს (თანამედროვე დედამიწის მსგავსად) არ გააჩნდა ფაქიზი, პაეროვანი ატმოსფერო, მაგრამ მისი გარსი იყო გაცილებით მკვრივი, დღევანდელ წყალზე უფრო მკვრივიც კი. ამ სქელთხევად სტიქიაში ადამიანი მოძრაობდა წინ და უკან, ზევით და ქვევით. ამ სტიქიაში ცხოვრობდნენ მინერალები და მცენა-

რეებიც, რომლებისგანაც იგი თავისთვის საკვებს ისრუ-  
ტავდა. ამ სტიქიაში იყო აგრეთვე დავანებული ძალაც,  
რომელიც შემდგომ, დედამიწაზე მთლიანად გადაიტანეს  
საკუთრივ არსებებზე – ესაა განაყოფიერების ძალა. ადა-  
მიანს მაშინ ორსქესიანობა ჯერ არ პქონდა გამომუშავე-  
ბული, არამედ რჩებოდა ერთსქესიან არსებად და გარე-  
მომცველი პაერი-წყლისაგან წარმოიშობოდა; ვინაიდან  
სამყაროში ყოველივე იმყოფება გარდამავალ საფეხურებ-  
ზე, ამიტომ მთვარის იმ უკანასკნელ პერიოდებში ადამია-  
ნურ-ცხოველურ არსებებში უკვე წარმოიქმნა ორსქესიანო-  
ბა, როგორც შემზადება დედამიწაზე მათი გვიანდელი  
მდგომარეობისთვის.

მთვარის მექქსე და მეშვიდე წრებრუნვები წარმოადგე-  
ნებ ყველა აღწერილ პროცესთა ერთგვარ უცუქცევას, მაგ-  
რამ იმავდროულად ასაკადასული მდგომარეობის თავისე-  
ბურ განვითარებასაც, მანამ, სანამ, ბოლოს და ბოლოს  
ყოველივე არ შევა სიმშვიდის (პრალაია) პერიოდში, რათა  
ძილის შემდეგ დედამიწაზე გადაინაცვლოს.

ადამიანის ასტრალური სხეულის განვითარება დაკავ-  
შირებულია ცნობილ კოსმიურ მოვლენასთან, რომელიც  
ასევე უნდა აღიწეროს. მზის კოსმიური განვითარების შემ-  
დგომი სიმშვიდის (პრალაიას) პერიოდის გავლისთანავე,  
როდესაც გამოღვიძებისას მზე ხელახლა გამოდის წყვდია-  
დიდან, ყოველივე, რაც ამ აღორძინებულ პლანეტაზე ბი-  
ნადრობს, მასზე ჯერ კიდევ მკვიდრობს როგორც ერთი  
მთლიანი. ხელახლა გამოღვიძებული მზე უკვე აღარაა  
ისეთი, როგორიც ადრე იყო. მისი ნივთიერება უკვე ად-  
რინდელივით მთლიანად და გამჭოლად აღარ ანათებს. პი-  
რიქით, მასში უფრო მეტად ბნელი ძალები ჭარბობს. ეს  
უკანასკნელი როგორდაც გამოიყოფა ერთგვაროვანი მასი-  
დან და მეორე წრებრუნვიდან („წრიდან“) სულ უფრო და  
უფრო დამოუკიდებელ წევრად გვევლინება; ამით ეს მზი-  
სეული სხეული ბისკვიტისმაგვარი ხდება. იგი შედგება  
ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი გაცილებით დიდია  
მეორეზე, მაგრამ ორივე ჯერ კიდევ შუალედური წევრი-  
თაა შეკავშირებული. მესამე წრებრუნვის შემდეგ ეს ორი  
სხეული მთლიანად განცალკევდება. ახლა მზე და მთვარე  
წარმოადგენებ ორ სხეულს და მთვარე მზის გარშემო  
წრიულად მოძრაობს. მთვარესთან ერთად მზისგან გამოი-

ყოფიან ის არსებებიც, რომელთა განვითარება ზემოთ აღვწერეთ. ამიერიდან ასტრალური სხეულის განვითარება განცალკევებულ მთვარეზე მიმდინარეობს. აღნიშნული კოსმიური მოვლენა ქვემოაღწერილი შემდგომი განვითარების პირობას წარმოადგენს. ვიდრე ეს არსებები, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი, საკუთარ ძალებს იღებდნენ უშუალოდ თავიანთი მზისეული ადგილსამყოფლიდან, მათი განვითარება აღნიშნულ საფეხურს ვერ მიაღწევდა. მეოთხე წრებრუნვაში („წრეში“) მთვარე წარმოადგენს დამოუკიდებელ პლანეტას და ყოველივე, რაც აქ აღნიშნული პერიოდისთვის იყო აღწერილი, სწორედ ამ პლანეტაზე, მთვარეზე ხორციელდება.

\* \* \*

მიმოხილვისათვის აქ ხელახლა შევაჯამებთ პლანეტა მთვარისა და მისი არსებების განვითარების საერთო შედეგს.

I. მთვარე ესაა პლანეტა, რომელზეც ადამიანი ავითარებს ხატოვან ცნობიერებას თავისი ალეგორიული (სიმბოლური) ხასიათით.

II. პირველი ორი წრებრუნვის („წრეების“) განმავლობაში მიმდინარეობს სატურნისა და მზის მოვლენების იმგვარი გამეორება, რომელიც ადამიანის მთვარისეულ განვითარებას ამზადებს.

III. მოძრაობის სულთა გადმოღვრის წყალობით მესამე წრებრუნვაში ასტრალური სხეული ყოფიერებას იძენს.

IV. ამ მოვლენასთან ერთად ხელახლა გაღვიძებული ერთიანი მზისეული სხეულიდან გამოიყოფა მთვარე და იწყებს მზის დარჩენილი ნაწილის გარშემო მიმოქცევას. ადამიანთან დაკავშირებულ არსებათა განვითარება ამიურიდან მთვარეზე მიმდინარეობს.

V. მეოთხე წრებრუნვის პერიოდში ბინდის სულები ბინადრობენ ადამიანურ ფიზიკურ სხეულში და ამის მეშვეობით ადამიანობის საფეხურამდე მაღლდებიან.

VI. წარმოქმნილ ასტრალურ სხეულში პიროვნების სულები (აზურები) დამოუკიდებლობას ნერგავენ.

VII. მეხუთე წრებრუნვისას ადამიანი საკუთარ ფიზიკურ სხეულზე ბუნდოვანი ცნობიერებით იწყებს მუშაობას.

ამის წყალობით ადრე არსებულ მონადას უერთდება „თვით-სული“ (Manas).

VIII. მთვარის ყოფიერების დროს ადამიანის ეთერულ სხეულში გითარდება რაღაც სახის სიხარული და ტანჯვა, რომელიც პასიურ ხასიათს ატარებს. ასტრალურ სხეულში კი, პირიქით, ჩნდება რისხვის, სიძულვილის, ინსტინქტების, გნებებისა და ა. შ. აფექტები.

IX. ორ წინა სამყაროს, მცენარეულსა და მინერალურს, რომლებსაც აგდებენ უფრო დაბალ საფეხურამდე, უერთდება ცხოველური სამყარო, რომელშიც ახლა თავად ადამიანიც იმყოფება.

მთელი ამ კოსმიური პერიოდის დასასრულს მთვარე სულ უფრო მეტად უახლოვდება მზეს და როცა დგება სიმშვიდის (პრალაია) შუალედური მდგომარეობა, ისინი ისევ ერთდებიან მთლიან სხეულად, რომელიც შემდეგ გადის ძილის მდგომარეობას, რათა კვლავ გამოიღვიძოს ახალ ხანაში – დედამიწის ხანაში.

წინა თავებში ვაჩვენეთ, თუ როგორი თანმიმდევრობით წარმოიქმნება ადამიანის ე. წ. „მდაბალი ბუნების“ შემადგენელი ნაწილები: ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულები. ასევე აღვწერეთ, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას ახალი სხეულის ყოველი მიერთებისას ძველი სხეული, რათა შეძლოს გვიან წარმოქმნილი სხეულის მატარებელი და იარაღი იყოს. ამ პროგრესთანაა დაკავშირებული ადამიანური ცნობიერების სრულყოფაც. სანამ ადამიანს გააჩნია მხოლოდ ფიზიკური სხეული, მისთვის ასევე დამახასიათებელია მხოლოდ სრულიად ბუნდოვანი ცნობიერება, რომელიც არ ჰგავს დღვევანდელ უსიზმრო ძილსაც კი, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ადამიანისთვის ეს უკანასკნელი მდგომარეობა უკვე „არაცნობიერს“ წარმოადგენს. ეთერული სხეულის გაჩენის შემდგომ ადამიანი აღწევს ისეთ ცნობიერებას, როგორიც დღეს უსიზმრო ძილის დროს ახასიათებს. ასტრალური სხეულის წარმოქმნასთან ერთად გაჩნდა ბუნდოვანი ხატოვანი ცნობიერება, რომელიც ემსგავსება (მაგრამ არ არის იგივე) იმას, რასაც დღეს ადამიანი სიზმრის ხილვისას საკუთარ თავს მიაწერს. ცნობიერების ამჟამინდელი მეოთხე მდგომარეობა უნდა აღვწეროთ, როგორც მიწიერი ადამიანის ცნობიერება. იგი გამომუშავდება მეოთხე უდიდესი კოსმიური პერიოდის, სახელდობრ დედამიწის პერიოდის განმავლობაში, რომელიც სატურნის, მზისა და მთვარის ზემოაღწერილ წინა პერიოდებს მოჰყვება.

სატურნის პერიოდის სხვადასხვა საფეხურზე წარმოიქმნა ადამიანის ფიზიკური სხეული. მაშინ მას ჯერ კიდევ არ შეეძლო ეთერული სხეულის ტარება. ეს უკანასკნელი მას მხოლოდ მზის წრებრუნვის დროს შეუერთდა. ამასთან, მზის თანმიმდევრულ წრებრუნვებში ფიზიკური სხეული ისე გარდაიქმნებოდა, რომ შეეძლო ეთერული სხეულის მატარებლად ქცეულიყო, უფრო ზუსტად – ეთერულ სხეულს შეეძლო ფიზიკურ სხეულში ემოქმედა. მთვარის განვითარების დროში მათ ასტრალური სხეულიც შეუერთდა. ეთერული და ფიზიკური სხეულები კვლავ გარდაიქმნებ იმგვარად, რომ შეეძლოთ აღმოცენებული ასტრალური სხეულისთვის აუცილებელ იარაღად და მატარებლად

ქცეულიყვნებ. ამდენად, მთვარეზე ადამიანი წარმოადგენს არსებას, რომელიც ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულებისაგან შედგება. ეთერული სხეულის წყალობით მას ძალუძს შეიგრძნოს სიხარული და ტანჯვა, ხოლო ასტრალური სხეულის მეოხებით იგი აფექტებით – მრისხანებით, სიძულვილით, სიყვარულით და ა. შ. გამსჭვალულ არსებას წარმოადგენს.

როგორც უპავ ადინიშნა, ამ არსების სხვადასხვა ორგანოზე უზენაესი სულები მუშაობენ. ბინდის სულების წყალობით ასე მიიღო მთვარეზე ეთერულმა სხეულმა სიხარულისა და ტანჯვის განცდის უნარი; ცეცხლის სულებმა კი ასტრალურ სხეულში აფექტები ჩანერგეს.

ამის პარალელურად სამი უდიდესი წრებრუნვის განმავლობაში სატურნზე, მზესა და მთვარეზე რაღაც სხვაც ხორციელდებოდა. სატურნის უკანასკნელი წრებრუნვისას ნებელობის სულების (საყდარნი) დახმარებით სული-ადამიანი (Atma) წარმოიქმნა. ქრუბიმთა ხელშეწყობით მზის ბოლოს წინა წრებრუნვისას მას სიცოცხლე-სული (Buddhi) შეერწყა. ხოლო ამ ორივეს, მთვარის ბოლოდან მესამე წრებრუნვისას (ანუ მეხუთეზე), სერაფიმების მეოხებით თვით-სული (Manas) შეუერთდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ სამ უდიდეს წრებრუნვათა დროს წარმოიქმნა ადამიანის ორი განსხვავებული საწყისი: მდაბალი ადამიანი, რომელიც შედგება ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულებისაგან და მაღალი, ანუ უზენაესი ადამიანი, რომელიც შედგება სული-ადამიანის (Atma), სიცოცხლე-სულისა (Buddhi) და თვით-სულისაგან (Manas). ადამიანის მდაბალი და უზენაესი ბუნება თავდაპირველად განსხვავებული გზებით მიღიოდა.

მიწიერი განვითარების დანიშნულებაა ადამიანის ორად გაყოფილ საწყისთა შეერთება.

თავდაპირველად, მეშვიდე მცირე წრებრუნვის შემდეგ, მთვარის მთელი ყოფიერება ჯერ ძილის (პრალაიას) ერთგვარ მდგომარეობაში გადადის. ამის წყალობით, ასე ვთქვათ, ყოველივე აირ-დაირვა და ერთ განურჩეველ მასაში ითქვითება. მზე და მთვარე, რომლებიც უკანასკნელი დიდი წრებრუნვისას გაიყვნენ, კალავ ერწყმიან ერთმანეთს მთვარის უკანასკნელი წრებრუნვის დროს.

შემდგომში, როდესაც ყოველივე კვლავ გამოდის ძილის მდგომარეობიდან, პირველი მცირე წრებრუნვის დროს თავდაპირველად არსებითში უნდა განმეორდეს სატურნის მდგომარეობა, მეორე წრებრუნვისას – მზის და მესამის დროს – მთვარის წრებრუნვა. ამ მესამე წრებრუნვის დროს, მზისგან ხელმეორედ გამოყოფილ მთვარეზე არსებები იძენს ყოფიერების დაახლოებით ისეთ ფორმას, როგორიც უკვე ჰქონდათ მთვარეზე. მდაბალი ადამიანი წარმოადგენს შუალედურ არსებას ამჟამინდელ ადამიანსა და ცხოველს შორის, მცენარეებს კი შუალედური მდგომარეობა უკავიათ ამჟამინდელ ცხოველურ და მცენარეულ ბუნებას შორის, ხოლო მინერალებს ამჟამინდელი უსიცოცხლო ხასიათი მხოლოდ სანახევროდ გააჩნიათ; თავიანთი მეორე ნაწილით კი ჯერ კიდევ სანახევროდ მცენარეებს წარმოადგენენ.

მესამე წრებრუნვის მეორე ნახევარში უკვე სხვა რაღაც მზადდება. მინერალები გამყარდნენ, მცენარეებიც ნელ-ნელა კარგავენ მგრძნობიარობის ცხოველურ ხასიათს, ხოლო ერთიანი ცხოველურ-ადამიანური სახეობიდან ორი კლასი ვითარდება. ერთი – რჩება ცხოველურობის საფეხურზე, მეორე კი – პირიქით, საკუთარი ასტრალური სხეულის გაორებას განიცდის. იგი იხლიჩება უმდაბლეს ნაწილად, რომელიც აფექტების მატარებლად რჩება და – უმაღლეს ნაწილად, რომელიც აღწევს გარკვეულ დამოუკიდებლობამდე ისე, რომ ძალუმს, უმდაბლეს ფიზიკურ სხეულზე, ეთერულსა და ქვედა ასტრალურ სხეულებზე თავისებური ძალაუფლება იქონიოს. ახლა ამ უმაღლეს ასტრალურ სხეულს ეუფლებიან პიროვნების სულები, რომლებიც მასში ნერგავენ დამოუკიდებლობას და ამით – თავკურძობასაც. ხოლო ცეცხლის შვილები საკუთარ სამუშაოს ახორციელებენ მხოლოდ ადამიანის უმდაბლეს ასტრალურ სხეულზე, მაშინ, როცა ბინდის შვილების მოღვაწეობა თავს იჩენს ეთერულში, ხოლო ფიზიკურში – მუშაობას იწყებს ის ძალოვანი არსება, რომელიც შეგვიძლია ადამიანის ჭეშმარიტ წინაპრად მივიჩნიოთ. იგივე ძალოვანმა არსებამ საყდართა (Thronoi) დახმარებით სატურნზე სული-ადამიანი (Atma) წარმოშვა, მზეზე ქერუბიმთა ხელშეწყობით – სიცოცხლე-სული (Buddhi), ხოლო მთვარეზე სერაფიმებთან ერთად – თვით-სული (Manas). ახლა

ეს ყოველივე იცვლება. საყდარნი, ქერუბიმები და სერაფიმები ადიან სულ უფრო მაღალ სფეროებამდე და სულიერი ადამიანი მათ ნაცვლად ხელშეწყობას სიბრძნის (Kyriotetes), მორაობისა (Dynamis) და ფორმის (Exusiai) სულებისგან იღებს. ახლა ისინი ოვით-სულს, სიცოცხლე-სულს და სული-ადამიანს (Manas-Buddhi-Atma) შეუერთდნენ. დედამიწის მესამე წრებრუნვის მეორე ნახევარში ამ არსებათა შემწეობით ძალოვანი ადამიანური არსება საკუთარ ფიზიკურ სხეულს ქმნის. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანია ფორმის სულების მოქმედება. ისინი ადამიანურ სხეულს უკვე იმგვარად აგებენ, რომ ეს უკანასკნელი მეოთხე წრებრუნვის (თანამედროვე ანუ მეოთხე წრის) გვიანდელი ადამიანური სხეულის თავისებურ წინამორბედს წარმოადგენს.

ჩამორჩენილ ცხოველურ არსებათა ასტრალურ სხეულში მოქმედებას აგრძელებენ მხოლოდ ცეცხლის სულები, ხოლო მცენარეთა ეთერულ სხეულში – ბინდის შვილები. სამაგიეროდ ფორმის სულები მონაწილეობას მინერალური სამყაროს გარდაქმნაში იღებენ. სწორედ ისინი ამყარებენ მას უფრო და ამგვარად მასში გაძვავა-ბულ, მკვიდრ ფორმებს ნერგავენ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს სხენებულ სულთა მოქმედების არეალი მხოლოდ ზემოაღნიშნულით შემოიფარგლებოდეს. ამასთანავე, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს მათი მოღვაწეობის მხოლოდ მთავარი მიმართულებები. ყველა სულიერი არსება მეორეხარისხოვანი სახით ყველგან ერთობლივად მოქმედებს. ასე მაგალითად, აქ აღნიშნულ პერიოდში ფორმის სულებს გარკვეული წვლილი მიუძღვით აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ფიზიკურ სხეულებზე გაჩადუბულ მოღვაწეობაშიც.

მას შემდეგ, რაც ეს ყოველივე განხორციელდა დედამიწის მესამე წრებრუნვის დასასრულს, ყველა არსება (აგრეთვე მზე და მთვარეც) ხელახლა ერწყმის ერთმანეთს და შემდეგ ძილის შედარებით ხანმოკლე პერიოდს (მცირე პრალაიას გავლით) გადის. აქ ყველაფერი ისევ ერთიან, განურჩეველ მასად (ქაოსად) იქცევა. ამ მდგომარეობის დასასრულს იწყება დედამიწის მეოთხე წრებრუნვა, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმუოფებით.

უპირველეს ყოვლისა, ამ განურჩეველი მასიდან ჩანასახის სახით გამოიყოფა ყოველივე, რაც ადრე უკვე არსებობდა, როგორც მინერალური, მცენარეული, ცხოველური და ადამიანური სამყაროების არსებები. თავდაპირველად დამოუკიდებელი ჩანასახის სახით, შეიძლება ხელახლა გაჩნდეს მხოლოდ ადამიანთა წინაპარი, რომლის უმაღლეს ასტრალურ სხეულზე წინა მცირე წრებრუნვის დროს პირვენების სულები (Archai) მუშაობდნენ. მინერალური, მცენარეული და ცხოველური სამყაროების ყველა დანარჩენ არსებას დამოუკიდებლად არსებობა ჯერაც არ ძალუძა (იმიტომ, რომ ამ საფეხურზე ყველაფერი იმყოფება იმ მაღალ სულიერ მდგომარეობაში, რომელსაც „უფორმო“ ანუ „Arupa“-ს მდგომარეობა ეწოდება. განვითარების თანამედროვე საფეხურზე მხოლოდ უმაღლესი ადამიანური აზრებია, – მაგალითად, მათემატიკური იდეები და ზნეობრივი იდეალები, – ნაქსოვი იმ ნივთიერებისგან, რომელიც აღნიშნულ საფეხურზე ნიშანდობლივია ყველა არსებისთვის). ხოლო, ამ ადამიანურ წინაპრებზე დაბლა მდგომი შეიძლება წარმოჩნდეს მხოლოდ როგორც უფრო მაღალ არსებოთა ნაღვაწის შედეგი. ამგვარად, თავდაპირველად ცხოველები არსებობენ, როგორც ცეცხლის სულების ცნობიერების, მცენარეები კი, როგორც ბინდის შვილების ცნობიერების მდგომარეობები. მინერალებს კი ორმაგი აზრობრივი ყოფიერება გააჩნიათ. უპირველეს ყოვლისა, ისინი არსებობენ, როგორც სენებულ ადამიანურ წინაპართა აზრების ჩანასახი, ხოლო შემდეგ, როგორც ფორმის სულების ცნობიერებაში არსებული აზრები. ასევე არსებობს ფორმის სულების ცნობიერებაში „უზენაესი ადამიანიც“ (სული-ადამიანი, სიცოცხლე-სული და თვით-სული).

შემდეგ ყველაფრის თავისებური გამკვრივება თანდათან ხორციელდება; უახლოეს საფეხურზე ეს სიმკვრივე ჯერაც ისეთია, რომ აზრთა სიმკვრივეს არ აღემატება. ამ საფეხურზე უპავ შეუძლიათ წარმოჩნდა წინა წრებრუნვისას წარმოქმნილ ცხოველურ არსებებს. ისინი გამოიყოფიან ცეცხლის სულების ცნობიერებიდან და დამოუკიდებელ აზრ-არსებებად იქცევიან. ამ საფეხურს „ფორმირებულ“ ანუ „Rupa“-ს მდგომარეობას უწოდებენ. აქ ადამიანი წინ მიიწევს იმ მხრივ, რომ მისი აზრის აქამდე უფორმო დამოუკიდებელი სხეული ფორმის სულებისგან იძენს სხეულს,

რომელიც უფრო უხეშად ფორმირებულ აზრ-ნივთიერებათაგან შედგება. ცხოველები, როგორც დამოუკიდებელი არსებები, აქ მხოლოდ ამ ნივთიერებებისგან შედგებიან.

ახლა მიმდინარეობს შემდგომი გამკვრივება. ამ დროს მიღწეული მდგომარეობა ხატოვანი ცნობიერების სიზმრისებრი წარმოდგენებისგან მოქსოვილს შეიძლება შევადაროთ. ამ საფეხურს „ასტრალურს“ უწოდებენ. ადამიანური წინაპარი კვლავ წინ მიიწვეს. მისი არსება ორ სხვა ნაწილთან ერთად იღებს კიდევ ერთ სხეულს, რომელიც აღნიშნული ნივთიერებისგან შედგება. ამდენად, მას ახლა გააჩნია საკუთარი არსების შინაგანი უფორმო ბირთვი, აზრი-სხეული და ასტრალური სხეული. ასეთივე ასტრალურ სხეულს იძენენ ცხოველებიც, ხოლო ბინდის სულების ცნობიერებისგან თავისუფლდებიან მცენარეები, როგორც დამოუკიდებელი ასტრალური არსებები.

შემდგომი განვითარება გამკვრივების ისეთ კონდიციამდე მიღწევაა, რომელსაც ფიზიკურს უწოდებენ. თავდაპირველად აქ გვაქვს ძალზე დახვეწილი ფიზიკური და უფაქიზესი ეთერული მდგომარეობები. ფორმის სულების წყალობით ადამიანური წინაპარი თავის აღრინდელ ნაწილებთან ერთად უფაქიზეს ეთერულ სხეულსაც იძენს. ამგვარად, იგი შედგება უფორმო აზრობრივი ბირთვისაგან, ფორმირებული აზრ-სხეულისაგან, ასტრალური და ეთერული სხეულებისაგან. ცხოველებს ფორმირებული აზრ-სხეული, ასტრალური და ეთერული სხეულები გააჩნიათ. მცენარეებს კი – ასტრალური და ეთერული სხეულები. მინერალები აქ დამოუკიდებელ ეთერულ სურათ-ხატებად პირველად წარმოჩნდება. ამრიგად, განვითარების ამ საფეხურზე საქმე ეხება ოთხ სამყაროს: მინერალურ, მცენარეულ, ცხოველურ და ადამიანურ სამყაროებს; თუმცა, მანამდე არსებული განვითარების განმავლობაში, მათ გვერდით კიდევ სხვა სამი სამყაროც წარმოიქმნა; იმ დროს, როდესაც აზრის საფეხურზე („Rupastufe“-ს) ცხოველები გამოეყვნენ ცეცხლის სულებს, პიროვნების სულებმაც საკუთარი არსებიდან გარკვეული სახის არსებები გამოათავისუფლეს. ეს უკანასკნელი შედგება გარკვეული აზრ-მატერიისაგან, რომელიც ხან ღრუბელივით სქელდება, ხანაც გაუხშოვდება და ასე აგრძელებს ქროლვას. მათზე უნდა ვისაუბროთ არა როგორც დამოუკიდებელ არსებებზე, არა

მედ მხოლოდ როგორც ქაოტურ ერთიან მასაზე. პირველ სტიქიურ სამყაროს სწორედ ის წარმოადგენს. ასტრალურის საფეხურზე ცეცხლის სულებისგან რაღაც ამდაგვარი გამოიყოფა. ესაა ჩრდილოვანი სურათ-ხატები ანუ სქემები, რომლებიც ხატოვანი ცნობიერების სიზმრისებრ წარმოდგენებს ემსგავსება. ისინი მეორე სტიქიურ სამეფოს ქმნიან. და ბოლოს, ფიზიკური საფეხურის საწყის ეტაპზე ბინდის სულებისგან გაურკვეველი, ხატოვანი არსებები გამოიყოფა. მათაც არ გააჩნიათ არავითარი დამოუკიდებლობა, მაგრამ შეუძლიათ გამოავლინონ ძალები, რომლებიც ადამიანურ და ცხოველურ ვნებებსა და აფექტებს ჰგავს. ეს არადამოუკიდებელი მოხეტიალე აფექტები ქმნის მესამე სტიქიურ სამეფოს. სიზმრისებრი ხატოვანი ცნობიერებით ან გაცნობიერებული ხატოვანი ცნობიერებით დაჯილდოებულ არსებებს შეუძლიათ მესამე სტიქიური სამყაროს ქმნილებები აღიქვან, როგორც სინათლის ნაკადი, ყვავილების ფანტელი, სუნი, გმო, თუ ყოველაგარი შესაძლო ბგერა და ხმაური; მაგრამ ყველა ასეთი აღქმა უნდა გავიაზროთ, როგორც მოჩვენებით.

ამგვარად, იმ დროს, როცა დედამიწა საკუთარი ასტრალური წინამორბედისგან ნატიფ, ფაქიზ ეთერულ სხეულად მკვრივდება, საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ იგი ძირითადი ეთერული მინერალური მასისა და აგრეთვე, ეთერული მცენარეების, ცხოველური და ადამიანური არსებების კონგლომერატს წარმოადგენს. შემდგომში აქ იმყოფება სამი სტიქიური სამყაროს არსებებიც, რომლებიც სივრცის შუალედებს როგორდაც ავსებენ და სხვა არსებებს შორისაც გაედინებიან.

დედამიწის ამ სხეულზე ბინადრობენ უზენაესი სულიერი არსებები, რომლებიც აღნიშნულ სამყაროებზე (მინერალურ, მცენარეულ, ცხოველურ სამყაროებსა და ადამიანურ არსებაზე) მოღვაწეობის სულ სხვადასხვაგვარ ფორმას ავლენენ. ისინი აყალიბებენ ასე ვთქვათ, სულიერ საზოგადოებას, სულიერ სახელმწიფოს და დედამიწა წარმოადგენს მათ საცხოვრისესა და სახელოსნოს, რომელსაც თან ატარებენ, როგორც ლოკოკინა საკუთარ სახლს. ამასთანავე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ დედამიწასთან ჯერ კიდევ მთლიანადაა შერწყმული ყოველივე, რაც ამჟამად მისგან მზისა და მთვარის სახი-

თაა გამოყოფილი. ეს ორივე ციური სხეული დედამიწას მხოლოდ მოგვიანებით გამოეყოფა.

ამ საფეხურზე „უზენაესი ადამიანი“ (სული-ადამიანი, სიცოცხლე-სული და ოვით-სული, Atma-Buddhi-Manas) ჯერ კიდევ არ არის დამოუკიდებელი. იგი ჯერაც სულიერი სახელმწიფოს წევრია; კერძოდ, იგი უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ფორმის სულებთან ისევე, როგორც ხელები არის ადამიანურ ორგანიზმთან არადამოუკიდებელ წევრთა სახით დაკავშირებული.

ამგვარად, ჩვენ თვალი მივადევნეთ დედამიწის წარმოქმნის გზას მისი ფიზიკური გამკვრივების დაწყებამდე. შემდგომში ვაჩვენებთ, თუ როგორ აგრძელებს ამ მდგომარეობის შიგნით ყოველივე წინსვლას. მაშინ განვითარების ის გზა, რომელსაც აქამდე ვაკვირდებოდით, გამომჟღავნდება დედამიწის განვითარებასთან მიმართებით აკაშა-ქრონიკის პირველ თავებში მოცემულ მასალაში; ოდონდ ამაზე მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

ჩვენ მიერ აღწერილი განვითარების მდგომარეობები – უფორმო, ფორმირებული, ასტრალური და ფიზიკური, ე. ი. ისინი, რომლებიც წარმოქმნიან ქვედაყოფებს მცირე წრებრუნვაში („წრებში“), თეოსოფიურ ლიტერატურაში „გლობებად“ იწოდებიან. ასე რომ, ამ თვალსაზრისით საუბარია „Arupas“-ს, „Rupa“-ს, ასტრალურსა და ფიზიკურ გლობებზე. მავანნი ასეთ აღნიშვნებს არასწორად ჩათვლიდნენ; მაგრამ ამ დასახელებებზე საუბარი უკვე აღარ გვექნება. სინამდვილეში მთავარი ეს კი არ არის, არამედ – საკუთრივ მისი არსში. როცა გულმოღინედ ცდილობებ მის რაც შეიძლება უკეთ აღწერას, ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელთა შერჩევაზე დიდი ზრუნვა. ეს უპანასკნელი ხომ, გარკვეული თვალსაზრისით, ყოველთვის არაზუსტი უნდა აღმოჩნდეს; იმის გამო, რომ აქ გვიწევს სულიერი სამყაროს ფაქტებისთვის ისეთი სახელების დარქმება, რომლებიც გრძნობადი სამყაროდანაა აღებული, ამიტომ, შესაძლებელია მხოლოდ ქარაგმებით საუბარი.

\*\*\*

აქ ადამიანური სამყაროს განვითარება გადმოვეცით იმ მომენტამდე, როცა დედამიწამ საკუთარი ფიზიკური გამკვრივების საწყის ეტაპს მიაღწია. გავისენოთ მოცე-

მულ საფეხურზე ამ ადამიანური სამყაროს განვითარების მდგომარეობა. ის, რაც მოგვიანებით ვლინდება მზის, მთვარისა და დედამიწის სახით, ჯერ კიდევ ერთ სხეულშია გაერთიანებული. ეს უკანასკნელი მხოლოდ ფაქტზე ეთერულ მატერიას ფლობს. ოდენ ამ მატერიას შიგნით ინარჩუნებენ საკუთარ ყოფიერებას ის არსებები, რომლებიც მოგვიანებით ადამიანების, ცხოველების, მცენარეებისა და მინერალების სახით წარმოჩნდებიან. განვითარების შემდგომი მსვლელობისათვის, უპირველეს ყოვლისა, ორად უნდა გაიყოს ერთიანი კოსმიური სხეული, რომელთაგანაც ერთი ჩამოყალიბდება გვიანდელ მზედ, ხოლო მეორე – იმგვარ სხეულად, რომელიც ჯერ კიდევ ერთმანეთში შერწყმულ გვიანდელ დედამიწასა და გვიანდელ მთვარეს შეიცავს. გახლების მომენტი, ამ უკანასკნელი კოსმიური სხეულისთვისაც, უფრო მოგვიანებით დგება. მას გამოეყოფა ის, რაც მთვარედ გარდაიქმნება, ხოლო დედამიწა თავისთავად დარჩება ცალკე, როგორც ადამიანისა და მის თანმხლებ ქმნილებათა საცხოვრისი.

ვინც იცნობს პოპულარულ თეოსოფიურ ლიტერატურას, უნდა გაიცნობიეროს, რომ ერთიანი კოსმიური სხეული ორად გაიყო იმ პერიოდში, რომელშიც ეს ლიტერატურა ათავსებს ე.წ. კაცობრიობის, მეორე მთავარი რასის განვითარებას. ამ რასის ადამიანურ წინაპრებს ფაქტი ეთერული სხეულის მქონე წარმონაქმნების სახით აღწერენ; მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ შეიძლებოდა მსგავსი წარმონაქმნი ჩვენს ამჟამინდელ დედამიწაზეც განვითარებულიყო მას შემდეგ, რაც იგი უკვე გამოეყო მზეს და გამოაგდო მთვარე. ამ გაყოფის შემდეგ მსგავს ეთერულ სხეულთა არსებობა შეუძლებელი გახდა. თუ დავაკირდებით კაცობრიობის განვითარებას იმ წრებრუნვაში, რომელსაც ახლა ვიხილავთ და მოვყავართ დღევანდელობამდე, მაშინ შესაძლებელია მასში განვასხვაოთ მთელი რიგი მთავარი მდგომარეობა, რომელთაგანაც ამჟამინდელი – მეხუთეა. აკაშა-ქრონიკის წინა თავებში ამაზე უკვე ვისაუბრეთ. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ის, რაც აქამდე გადმოცემულის შემდგომი გაღრმავებისთვისაა აუცილებელი. პირველი მთავარი მდგომარეობა ადამიანურ წინაპრებს უაღრესად ფაქტზე ეთერულ არსებებად წარმოაჩენს. მთლად ზუსტი არაა,

როცა პოპულარული თეოსოფიური ლიტერატურა ამ არ-სებებს პირველ მთავარ რასას უწოდებს. არსებითად, ეს მდგომარეობა შენარჩუნებულია მეორე ეპოქაშიც, რომელ-შიც ეს ლიტერატურა მეორე მთავარ რასას ათავსებს. განვითარების ამ საფეხურებამდე მზე, მთვარე და დედა-მიწა ჯერაც ერთიან კოსმიურ სხეულს წარმოადგენს. შემდეგში მზე დამოუკიდებელ სხეულად გამოიყოფა. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ მთვარესთან შეერთებული დედამიწიდან მას თან მიაქვს ყველა ის ძალა, რომლი-თაც შეიძლებოდა ადამიანური წინაპრები მათ ეთერულ მდგომარეობაში შენარჩუნებულიყო. მზის განცალკევებას-თან ერთად ხორციელდება, როგორც ადამიანური ფორმების, ასევე ადამიანის თანმხლებ ქმნილებათა ფორმების გამკვრივებაც. ახლა ეს ქმნილებები, გარკვეულწილად იძულებით უნდა მოეწყონ თავიანთ ახალ საცხოვრისში.

ამ საცხოვრისს არ ტოვებენ მხოლოდ მატერიალური ძალები. მათთან ერთად მიღიან აგრეთვე ის სულიერი არ-სებებიც, რომლებიც, როგორც ადრე ითქვა, სულიერ სა-ზოგადოებას ზემოადწერილ ერთიან კოსმიურ სხეულზე ქმნიან. მათი კოფიერება უფრო მჭიდრო კავშირს ინარჩუ-ნებს მზესთან, ვიდრე – მზის მიერ უკუგდებულ კოსმიურ სხეულთან. ამ არსებებს რომ შეენარჩუნებინათ კავშირი იმ ძალებთან, რომლებიც მოგვიანებით დედამიწასა და მთვარეზე ვითარდებიან, მაშინ ისინი თავიანთოვის შესა-ფერის საფეხურებამდე განვითარებას ვერ შეძლებდნენ. შემდგომში ამ განვითარებისთვის ისინი საჭიროებდნენ ახალ საცხოვრისს. მათ ასეთ საცხოვრისს სთავაზობს მზე, მას შემდეგ, რაც იგი, ასე ვთქვათ, მთვარისა და მი-წიერი ძალებისგან გაიწმინდა. განვითარების იმ საფეხურ-ზე, რომელზეც ამჟამად ეს არსებები იმუოფებიან, მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დედამიწისა და მთვარის ძალებზე, ოღონდ გარედან, მზიდან.

შეიძლება იმის დანახვა, თუ რა არის აღნიშნული გახ-ლების არსი. ამ მოქნებამდე ადამიანზე მაღლა მდგომი ზოგიერთი არსება ზემოადწერილ ერთიან კოსმიურ სხე-ულზე ვითარდებოდა; ახლა მათ თან მიაქვთ ამ სხეულის ნაწილი და დანარჩენს ადამიანსა და მის თანმხლებ ქმნი-ლებებს უტოვებენ.

მზის გამოყოფის შედეგს წარმოადგენდა ადამიანისა და მის თანმხლებ ქმნილებათა განვითარებაში ძირეული გადატრიალება. ყოფიერების უფრო მაღალი საფეხურიდან ისინი, გარკვეულწილად, გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე ჩამოვარდნენ. ისინი უნდა ჩამოვარდნილიყვნენ იმიტომ, რომ ზემოაღნიშნულ უზენაეს არსებებთან უშუალო კავშირი დაკარგეს. მათი განვითარება ბოლოს ჩიხში მოემწყვდეოდა, რომ არ მომხდარიყო სხვა კოსმიური მოვლენები, რომელთაც ხელახლა მისცეს ბიძგი წინსვლას და განვითარება სულ სხვა გზით წარმართეს. შემდგომი განვითარება ამჟამად მთვარეზე თავმოყრილ, ხოლო მაშინ ჯერ კიდევ დედამიწის შიგნით მყოფ ძალებთან ერთად შეუძლებელი იქნებოდა. ამ ძალებთან ერთად თანამედროვე კაცობრიობა კი არ წარმოიქმნებოდა, არამედ მხოლოდ – განსაკუთრებული სახე იმ არსებებისა, რომელებთანაც მესამე დიდ წრებრუნვაში (მთვარის ყოფიერების პერიოდში) აფეხტების – მრისხანების, სიძულვილის და ა. შ. განვითარება უსაზღვრო ცხოველურ მდგომარეობამდე გაძლიერდებოდა.

დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ეს ასევე იყო. მზის მოხლეების პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა ადამიანური წინაპრების მესამე ძირითადი მდგომარეობის წარმოქმნა, რომელიც თეოსოფიურ ლიტერატურაში აღინიშნება როგორც მესამე ძირეული რასის – ლემურიულის მდგომარეობა. განვითარების ამ მდგომარეობის აღნიშვნისათვის გამოთქმა „რასა“ კვლავ არც თუ კარგადაა შერჩეული, იმიტომ, რომ იმას, რასაც დღეს აღნიშნავენ სიტყვით „რასა“, ადამიანის მაშინდელი წინაპარი მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება შევადაროთ. საბოლოოდ უნდა გავერკვეთ, რომ განვითარების ფორმები, როგორც შორეულ წარსულში, ისე მომავალშიც, იმდენად განსხვავდება თანამედროვისაგან, რომ ჩვენს ამჟამინდელ აღნიშვნებს შეიძლება მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა პქონდეს, ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ეს იმ შორეული ეპოქებისთვის ყოველგვარ აზრს კარგავს. არსებითად „რასაზე“ საუბარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნულ მესამე ძირეულ მდგომარეობაში (ლემურიულში) განვითარება დაახლოებით თავის მეორე მესამედს მიაღწევს. მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება ის, რასაც დღეს

„რასას“ უწოდებენ. მაშინ „ამ რასობრივ ხასიათს“ იგი მთელი ატლანტიდური განვითარების განმავლობაში (მეოთხე ძირეული მდგომარეობა) და შემდგომშიც თითქმის ჩვენს დრომდე, ანუ მეხუთე ძირეულ მდგომარეობამდე ინარჩუნებს. თუმცა უკვე ჩვენი მეხუთე პერიოდის დასასრულისთვის სიტყვა „რასა“ კვლავ დაკარგავს ყოველგვარ აზრს. მომავალში კაცობრიობა დანაწევრდება იმგვარ ნაწილებად, რომლებსაც „რასებს“ უკვე ვეღარ ვუწოდებთ. გავრცელებულმა ოეოსოფიურმა ლიტერატურამ ამ მიმართებით ბევრი რამ არიგ-დარია. ეს მოხდა განსაკუთრებით ერთი წიგნის წყალობით, რომელსაც მეორე მხრივ, დიდი დამსახურებაც მიუძღვის; ახალ დროში მან პირველმა მოუტანა თეოსოფიურ მსოფლმხედველობას პოპულარობა, — ეს სინეტის წიგნის\* „ეზოთერული ბუდიზმის“ წყალობით მოხდა. მასში სამყაროსეული განვითარება ისეა ასახული, თითქოს სამყაროსეულ წრებრუნვაში „რასები“ მარადიულად ერთნაირად მჟორდება. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის ასე და ის, რაც იმსახურებს სახელს — „რასა“, ასევე წარმოიქმნება და ქრება. ამიტომ გამოთქმა „რასა“ კაცობრიობის განვითარების მხოლოდ განსაზღვრული მონაკვეთისთვის უნდა გამოგვეყნებინა. ამ მონაკვეთამდე და მის შემდეგ არსებობს განვითარების ფორმები, რომლებიც სულ სხვა რამეს წარმოადგენს, ვიდრე „რასები“. ეს შენიშვნა გაკეთდა მხოლოდ იმიტომ, რომ აკაშა-ქრონიკის ჭეშმარიტი გაშიფვრა მსგავსი შენიშვნისთვის სრულ უფლებამოსილებას იძლევა. ამასთან, გამშიფვრელი საკუთარ თავს ჭეშმარიტ ოკულტურ, სულიერ კვლევასთან სრულ პარმონიაში მოიაზრებს. სხვანაირად მას არასოდეს მოუვიდოდა აზრად, თეოსოფიურ ლიტერატურაში საქმაოდ ცნობილი წიგნების შეხედულებების წინააღმდეგ გალაშქრება. მას შეუძლია გამოთქვას კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, სრულიად ზედმეტი შენიშვნა, რომ „ეზოთერულ ბუდიზმი“ უდიდესი მასწავლებლის მიერ ნახსენები ინსპირაცია არ ეწინააღმდეგება აქ გადმოცემულს და გაუგებრობა წარმოიშვა მხოლოდ იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული წიგნის ავტორმა კაცობრიობის მიერ ამჟამად გამოყენებულ ენაზე თავისებურად გადმოსცა იმ ინსპირაციათა სიბრძნე, რომელიც გამოხატვას ძნელად ექვემდებარება.

კაცობრიობის განვითარების სწორედ მესამე ძირეულ მდგომარეობაში წარმოიქმნენ პირველად „რასები“. ეს მოვლენა დედამიწიდან მთვარის გამოყოფით იყო გამოწვეული. ამ გამოყოფას თან სდევდა სქესების წარმოქმნა; კაცობრიობის განვითარების ამ საფეხურს „აკაშა-ქრონიკის“ წინა თავებში ბევრჯერ შევვხეთ. როდესაც მზეს გამოეყო ჯერაც მთვარესთან შეერთებული დედამიწა, კაცობრიობაში მამაკაცისა და ქალის სქესი ცალ-ცალკე ჯერ კიდევ არ არსებობდა. ყოველი ადამიანური არსება თავის ჯერაც სრულიად ნატივ სხეულში ორივე სქესს აერთიანებდა – ოღონდ საჭიროა დავიმახსოვროთ, რომ ეს ორსქესიანი ადამიანური წინაპრები თანამედროვე ადამიანთან შედარებით განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგნენ. ქვენა მისწრაფები მოქმედებდნენ განუზომელი ენერგიით და სულიერი განვითარების კვალიც კი არ არსებობდა. ამ უკანასკნელის დასაბამი და ამის წყალობით ქმნა მისწრაფების გარკვეულ ჩარჩოებში მომწყდევა, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ზუსტად იმ ღროს, როდესაც დედამიწა და მთვარე გაიყო, დედამიწამ შეაბიჯა სხვა კოსმიური სხეულების ზემოქმედების სფეროში. „აკაშა-ქრონიკის“ შემდგომ თავებში საუბარი მოგვიწევს სწორედ ამ საგანგებო მნიშვნელობით აღსავს ურთიერთქმედებაზე, რომელიც დედამიწას გააჩნია სხვა კოსმიურ სხეულებთან და მის შეხვედრაზე უცხო პლანეტებთან იმ პერიოდში, რომელსაც თეოსოფიური ლიტერატურა ლემურიულს უწოდებს.

განვითარების იგივე მსვლელობა სულ სხვა კუთხით კიდევ ერთხელ უნდა გადმოვცეთ. ეს სრულიად განსაზღვრულ საფუძველზე ხორციელდება. კერძოდ, იმ ჭეშმარიტების განხილვისას, რომელიც ზენა სამყაროებს სულ სხვადასხვა მხრივ ეხება, ზომიერებას არ უნდა გადავაჭარბოთ. საჭიროა გავიცნობიეროთ, რომ ნებისმიერი კუთხით შესაძლებელია მხოლოდ ძალზე მწირი ნარკვევის მიწოდება. მხოლოდ თანდათანობით, როდესაც ერთსა და იმავე საგანს განიხილავ სხვადასხვა მხრიდან, მიღებული შთაბეჭდილებები ერთმანეთს უფრო მეტი სიცოცხლით აღვხილ სურათ-ხატებში ავსებენ. მხოლოდ მსგავსი სურათ-ხატები და არა მშრალი სქემატური ცნებები, ემბარება ადამიანს, რომელიც ზენა სამყაროებში შეღწევას ეს-

წრაფვის. რაც უფრო ცოცხალია ეს სურათ-ხატები და მდიდარია მისი ფერადოვნება, მით მეტია უზენააქ რეალობასთან მიახლოების იმედი. რა თქმა უნდა, ნათელია, რომ ზენა სამყაროებიდან მიღებული სურათ-ხატებია სწორედ ის, რაც ჩვენს დროში უამრავი თანამედროვის უნდობლობას იმსახურებს. ბევრი მათგანი სიამოვნებით უსმენს, როცა უყვებიან მთელ რიგ გონიო სქემებსა და ქვედაყოფებზე (მაქსიმალურად მეტი შესაძლო სახელებით), დევახანაზე, პლანეტარულ განვითარებასა და ა. შ. მაგრამ მყისვე გაჯიუტდებიან, როცა ვინმე გადაწყვეტს ზეგრძნობადი სამყაროების აღწერას ისე, როგორც მოგზაური აღწერს სამხრეთ ამერიკის ლანდშაფტს. მიუხედავად ამისა, საჭიროა, საკუთარ თავს ვუთხრათ, რომ მხოლოდ ცხოვრებისეული, ცოცხალი სურათ-ხატებით შეიძლება მივიღოთ რადაც რეალურად სასარგებლო და არა მკვდარი სქემებისა და სახელების მეშვეობით.

ამ თავში ამოსავალი წერტილი ადამიანი იქნება. ამჟამად დედამიწაზე მცხოვრები ადამიანი შედგება ფიზიკური სხეულის, ეთერული ანუ სასიცოცხლო სხეულის, ასტრალური სხეულისა და „მე“-ხგან. ადამიანის ამ ოთხველა ბუნებას თავის თავში უმაღლესი განვითარების მონაცემები გააჩნია. „მე“ გარდაქმნის „მდაბალ“ სხეულებს და ამის მეოხებით მათში ადამიანური ბუნების უმაღლეს წევრებს ნერგავს. „მე“-ს დახმარებით ასტრალური სხეულის გაკეთილშობილება და განწმენდა „ოვით-სულს“ (Manas) წარმოქმნის; ეთერული ანუ სასიცოცხლო სხეულის გარდაქმნა „სიცოცხლესულს“ (Buddhi) წარმოშობს; ხოლო ფიზიკური სხეულის გარდაქმნა – ჰეშმარიტ „სული-ადამიანს“ (Atma); მიწიერი განვითარების თანამედროვე პერიოდში ასტრალური სხეულის გარდაქმნა გამაღებით მიმდინარეობს. ეთერული და ასტრალური სხეულების ცნობიერი გარდაქმნა გვიანდელ პერიოდებს განეკუთვნება. ჩვენს დროში მას დასაბამი მიუცა მხოლოდ ხელდასხმულებთან (იდუმალთცოდნებსა და მათ მოწაფეებთან). ადამიანის ეს სამმაგი გარდაქმნა ცნობიერ პროცესს წარმოადგენს; მას წინ უსწრებდა, დედამიწის განვითარებაში აქამდე განხორციელებულ პერიოდში, მეტ-ნაკლებად არაცნობიერი გარდაქმნა; ასტრალური, ეთერული და ფიზიკური სხეულების ამ არაცნობიერ გარდაქმნაში უნდა ვეძიოთ გრძნობადი სამშვინველის, განსჯითი სამშვინველისა და ცნობიერი სამშვინველის წარმოშობა.<sup>6</sup>

ახლა საჭიროა გაეკრკვეთ, ადამიანის სამი სხეულიდან (ფიზიკური, ეთერული და ასტრალური) რომელია თავის სახეობაში ყველაზე სრულყოფილი. ადვილად შეიძლება შევცდეთ და ფიზიკური სხეული მდაბალ და ამდენად ყველაზე არასრულყოფილად მივიჩნიოთ. ამასთან, ამ შეცდომაში ადამიანია დამნაშავე. მართალია, მომავალში ასტრალური და ეთერული სხეულებიც მიაღწევენ უმაღლეს

<sup>6</sup> ყოველივე ამის უფრო დეტალურ აღწერას იხილავთ ჩემს წიგნში: „ბავშვის აღზრდა სულისმეცნიერების თვალსაზრისით“ და ჩემს თხზულებაში: „სულისმცოდნება. ზეგრძნობადი სამყაროს შემუცნება და ადამიანის დანიშნულება“.

სრულყოფილებას, მაგრამ ამჟამად ფიზიკური სხეული თავის სახეობაში გაცილებით სრულყოფილია, ვიდრე – დანარჩენები. ზემოხსენებული შეცდომა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანის ამ ფიზიკურ სხეულს უბნების სამყაროებს შორის ყველაზე მდაბალთან – მინერალურთან ბევრი რამე აქვს საერთო. ვინაიდან ადამიანს ეთერული სხეული საერთო აქვს გაცილებით მაღალ მცენარეულ სამყაროსთან, ხოლო – ასტრალური სხეული ცხოველურ სამყაროსთან; მართალია, ადამიანის ფიზიკური სხეული შედგება ისეთივე ნივთიერებებისა და ძალებისაგან, რომელიც ვრცელ მინერალურ სამყაროში გვხვდება, მაგრამ ადამიანურ სხეულში ამ ნივთიერებებისა და ძალების ურთიერთქმედების სახე, მისი აგებულება სიბრძნისა და სრულყოფილების გამოხატულებას წარმოადგენს. ვინც მეტ-ნაკლები ძალისხმევით შეისწავლის ამ აგებულებას არა მარტო ფხიზედი გონებით, არამედ სამშვინველის მთელი გრძნობით, უმაღლ დარწმუნდება, რომ ეს ასეა. ავიდოთ ადამიანის ფიზიკური სხეულის რომელიმე ნაწილი და დაგაკვირდეთ მაგალითად, ბარძაყის ძვლის ზედა ნაწილს. იგი ნივთიერების მთლიან მასას კი არ წარმოადგენს, არამედ შედგება ძალზე ოსტატურად აგებული სხვადასხვა მიმართულების პატარა ფირფიტებისგან. ჩვენს დროში ვერანაირი საინჟინრო ხელოვნება ვერ შეძლებდა ხიდის კარკასის ან რაიმე მსგავსის ასე ბრძნულად აგებას. რადგანაც დღეს მსგავსი რამ ადამიანური სიბრძნის მთელ სრულქმნილებას ჯერ კიდევ აღემატება. ეს ძვალი ისე ბრძნულადაა აგებული, რომ ნივთიერების უმცირესი დანახარჯითა და ფირფიტების გარკვეული განაწილების გზით მიაღწიოს აუცილებელ სიმტკიცეს, რათა ამ ძვალს დაყრდნობილი ადამიანური ტანის მთელი სიმძიმე ატაროს. უმცირესი რაოდენობის ნივთიერება ემსახურება იმ ამოცანას, რომ მისი მეშვეობით მაქსიმალურად შესაძლო უდიდეს ძალისმიერ ქმედებას მივაღწიოთ. ბუნების სამშენებლო ხელოვნების მიერ შექმნილ მსგავს სრულყოფილ ქმნილებას შეიძლება მხოლოდ გაოცებით ჩაუღრმავდე. არანაკლებ გაკვირვებას იწვევს გასაოცრად აგებული ადამიანური ტვინი თუ გული, მეტიც, მთლიანად ადამიანის ფიზიკური სხეული. ახლა ამას შეიძლება შევადაროთ სრულყოფილების ის დონე, რომელსაც ადამიანის განვითარების დღევანდელ საფეხურ-

ზე თუნდაც ასტრალურმა სხეულმა მიაღწია. იგი წარმოადგენს ტკბობისა და უკმაყოფილების, ვნებების, სწრაფვების, სურვილებისა და ა. შ. მატარებელს; როგორ ესხმის თავს ეს ასტრალური სხეული ფიზიკური სხეულის ბრძნულ აგებულებას? იმ სიამეთა უმეტესი ნაწილი, რომლითაც ადამიანი სარგებლობს, გულისთვის შეამს წარმოადგენს. აქედან გამოდის, რომ გულის ფიზიკური აგებულების განმაპირობებელი მოღვაწეობა უფრო ბრძნულია, ვიდრე ასტრალური სხეულის მოღვაწეობა, რომელიც ზოგჯერ ებრძვის კიდეც ამ სიბრძნეს. მართალია, მომავალში ასტრალური სხეული ამაღლდება უფრო დიდ სიბრძნემდე, მაგრამ ჩვენს დროში თავის სახეობაში იგი ჯერ კიდევ არ არის ისე სრულყოფილი, როგორც ფიზიკური სხეული – საკუთარში. შეიძლებოდა იგივე გაგვემეორებინა ეთერულ სხეულთან და აგრეთვე ამ არსების „მე“-სთან დაკავშირებითაც, რომელმაც სიბრძნემდე ყოველ წამს, ცდუნებებისა და ილუზიებისაგან ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გააღწიოს.

თუ შევადარებთ ადამიანის წევრთა სრულყოფილების ხარისხებს, ადვილად გაირკვევა, რომ ამჟამად თავის სახეობაში ყველაზე სრულყოფილი ფიზიკური სხეულია, სრულყოფილების უფრო დაბალ საფეხურზეა ეთერული სხეული, ასტრალური – კიდევ უფრო დაბალზე, ხოლო ადამიანის ნაწილთა შორის მისი „მე“ თავის სახეობაში ყველაზე არასრულყოფილია. ეს იმის გამო, რომ ადამიანური ადგილსამყოფლის პლანეტარულ განვითარებათა შიგნით ყველაზე მეტი მუშაობა ადამიანის ფიზიკურ სხეულზე ხორციელდებოდა. ის, რასაც დღეს ადამიანი ატარებს ფიზიკური სხეულის სახით, სატურნის, მზის, მთვარისა და დედამიწის (დღევანდელ საფეხურისამდე) განვითარებათა ყველა საფეხურზე ცხოვრობდა. ამ პლანეტარული სხეულების ყველანირი ძალა ადამიანის ფიზიკურ სხეულზე რიგრიგობით მუშაობდა; ასე რომ, მას შეეძლო საკუთარი სრულყოფილების ამჟამინდელი საფეხურისთვის ნელ-ნელა მიეღწია. ამდენად, იგი თანამედროვე ადამიანური ბუნების ყველაზე უხუცესი წევრია. ეთერული სხეული იმ სახით, როგორადაც კლინდება დღეს ადამიანში, სატურნზე საერთოდ არ არსებობდა. ადამიანს იგი პირველად მზის განვითარების პერიოდში შეუერთდა. ამრიგად, მასზე, როგორც ფიზიკურ სხეულზე, ოთხი პლანეტარული სხეულის ძალები კი არ

მუშაობდა, არამედ მხოლოდ – სამი: კერძოდ, მზის, მთვარისა და დედამიწის. ამიტომ მას განვითარების მხოლოდ მომდევნო პერიოდში შეუძლია იქნის თავის სახეობაში ისე სრულყოფილი, როგორიც ფიზიკური სხეულია ახლანდელ დროში. ასტრალური სხეული ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს მხოლოდ მთვარის პერიოდში შეუერთდა, ხოლო „მე“ – დედამიწის პერიოდში.

ახლა საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანის ფიზიკურმა სხეულმა სატურნზე მიაღწია თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურს და ეს უკანასკნელი შემდგომში მზეზე იმგვარად გაგრძელდა, რომ ამიერიდან ეთერული სხეულის ტარება შესძლებოდა. სატურნზე ამ ფიზიკურმა სხეულმა მიაღწია იმას, რომ გადაიქცა ძალზე რთულად აგებულ, მაგრამ უსიცოცხლო მექანიზმად. ამ მექანიზმის აგებულების სირთულემ საბოლოოდ მისი დაშლაც გამოიწვია. ვინაიდან ამ სირთულემ ისეთ მაღალ ხარისხს მიაღწია, რომ არ შეეძლო მასში მოქმედი წმინდა მინერალური ძალებით შენარჩუნებულიყო. საერთოდ, სატურნის დაღუპვაც ადამიანურ ფიზიკურ სხეულთა ამ ნგრევამ განაპირობა. დღევანდელი ბუნების ყველანაირი სამყაროს, კერძოდ: მინერალურ, მცენარეულ, ცხოველურ და ადამიანურ სამყაროთა შორის, სატურნზე მხოლოდ ეს უკანასკნელი იმყოფებოდა. ყოველივე, რასაც დღეს ვიცნობთ ცხოველების, მცენარეებისა და მინერალების სახით, სატურნზე არ არსებობდა. ბუნების ამჟამინდელი ოთხი სამყაროდან ამ კოსმიურ სხეულზე მხოლოდ ადამიანი იმყოფებოდა თავისი ფიზიკური სხეულით, რომელიც სინამდვილეში გარკვეული სახის რთულ მინერალს წარმოადგენდა. სხვა სამყაროები წარმოიქმნენ იმის წყალობით, რომ ერთმანეთის მომდევნო კოსმიურ სხეულებზე ყველა არსებას არ შეეძლო საკუთარ განვითარებაში საბოლოო მიზნამდე მიღწევა. ამდენად, სატურნის საბოლოო მიზანს სრულად სატურნზე წარმოქმნილი ადამიანური სხეულების მხოლოდ ნაწილმა მიაღწია. ამ მიზნამდე მიღწეულმა ადამიანურმა სხეულებმა თავიანთი ძველი ფორმით მზის პერიოდში გამოიღვიძეს, თითქოსდა ახალი ყოფიერებისთვის და ეს ფორმა ეთერული სხეულით იყო განმსჭვალული. ამის მეოხებით ისინი სრულყოფილების უფრო მაღალ საფეხურამდე განვითარდნენ. ისინი გარკვეული სახის ადამიან-მცენარედ იქცნენ. ადამიანური სხე

ულების იმ ნაწილს, რომელმაც სატურნზე ვერ მიაღწია თავისი განვითარების საბოლოო მიზანს, დაკარგული უნდა აქნაზღაურებინა მზის პერიოდის განმავლობაში, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე ამ განვითარებისთვის სატურნზე არსებობდა. ამიტომ იგი ჩამორჩა იმ ნაწილს, რომელმაც სატურნზე თავისი განვითარების საბოლოო მიზანს სრულად მიაღწია. ამის გამო მზეზე, ადამიანური სამყაროს გვერდით, ბუნების მეორე სამყაროც წარმოიქმნა.

შეცდომა იქნებოდა გვევარაუდა, თითქოს თანამედროვე ადამიანურ სხეულში არსებული ყველა ორგანო უკვე სატურნზევე ჩადეს. ეს ასე არაა. უპირატესად მხოლოდ ადამიანური სხეულის შინაგან გრძნობათა ორგანოებს შეუძლიათ საკუთარი დასაბამი იმ შორეულ პერიოდებს მიაკუთვნონ. ასეთი უძველესი წარმომავლობა აქვთ თვალის, ყურისა და ა. შ., პირველ ჩანასახებს, რომლებიც სატურნზე ჩამოყალიბდნენ მინერალურ სხეულებად, დაახლოებით იმგვარად, როგორც დღეს დედამიწაზე „უსიცოცხლო კრისტალი“ ყალიბდება. შესაბამისმა ორგანოებმა კი თავიანთი თანამედროვე ფორმა მიიღეს იმის წყალობით, რომ ყოველ მომდევნო პლანეტარულ პერიოდში ისევ და ისევ გარდაიქმნებოდნენ და სულ უფრო მეტ სრულყოფილებას აღწევდნენ. სატურნზე ისინი მხოლოდ ფიზიკურ აპარატს წარმოადგენდნენ; ეს იყო და ეს. შემდგომ კი მზეზე გარდაიქმნენ, რადგანაც ისინი ეთერულმა ანუ სასიცოცხლო სხეულმა განმსჭვალა. ამით ისინი ჩაებნენ ცხოვრების ფერხულში. ისინი გაცოცხლებულ ფიზიკურ აპარატებად იქცნენ. მათ შეუერთდა ადამიანის ფიზიკური სხეულის ისეთი ნაწილები, რომელთაც მხოლოდ ეთერული სხეულის ზემოქმედებით შეეძლოთ განვითარება; ესენია: ზრდის, კვებისა და გამრავლების ორგანოები. თავისოთავად ცხადია, რომ ამ ორგანოთა პირველი ჩანასახები, როგორადაც წარმოიქმნენ ისინი მზეზე, ფორმის სრულყოფილებით ასევე ვერ შეეძრებიან იმავე ორგანოთა დღევანდელ ფორმებს. მაშინ ადამიანურმა სხეულმა, ფიზიკური და ეთერული სხეულების ერთობლივი მოდგაწეობით, ჩაინერგა ის უმაღლესი ორგანოები, რომლებიც ამჟამად ჯირკვლებში ამოიზარდნენ. ამდენად, მზეზე ადამიანის ფიზიკური სხეული წარმოადგენს ჯირკვლების სისტემას, რომელზეც შესაბამის საფეხურზე

მდგომი გრძნობათა ორგანოებია აღსქვდილი. განვითარება კიდევ უფრო წინ მიდის მთვარეზე. ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს ასტრალური სხეული უერთდება. ამასთან გრძნობათა და ჯირკვლების სხეულში ჩაწევრიანდება ნერვული სისტემის პირველი ჩანასახი. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთმანეთის მომდევნო პლანეტარული განვითარების პერიოდებში ადამიანის ფიზიკური სხეული სულ უფრო როულდება. მთვარეზე იგი ნერვების, ჯირკვლებისა და გრძნობათა ორგანოებისგან შედგება. გრძნობათა ორგანოებმა ორმაგი გარდაქმნა და სრულყოფილება უკვე განვლებს, ნერვები კი თავიანთ პირველ საფეხურზე დგანან. თუ მთვარის ადამიანს განვიხილავთ, როგორც მთლიანს, იგი შედგება სამი წევრის: ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულებისაგან. ფიზიკური სხეული სამწევრაა; თავის დანაწევრებაში იგი სატურნის, მზისა და მთვარის ძალათა მუშაობას მოიცავს. ეთერული სხეული ორწევრაა, მოიცავს მხოლოდ მზისა და მთვარის ძალათა მუშაობის შედეგს. და ბოლოს, ასტრალური სხეული ჯერ კიდევ ერთწევრაა: მასზე მხოლოდ მთვარის ძალები მუშაობდნენ. ასტრალური სხეულის მიღებით მთვარის ადამიანს მიეცა უნარი შეგრძნებათა ცხოვრებისთვის, გარკვეული შინაგანი განცდებისათვის. მას ძალუბს საკუთარი ასტრალური სხეულის შიგნით თავისივე გარემოცვაში მომხდარის ხატ-სახეები შეიქმნას. გარკვეული თვალსაზრისით შესაძლებელია ამ სურათ-ხატების შედარება თანამედროვე ადამიანური ცნობიერების სიზმრისეულ სურათ-ხატებთან; ოდონდ ისინი გაცილებით ცოცხალი, ფერადოვანია და რაც მთავარია, მათ გააჩნიათ ურთიერთობა გარე სამყაროსთან, მაშინ, როცა თანამედროვე სიზმრები ყოველდღიური ცხოვრების უბრალო გამოძახილი, ანდა გარეგნული და შინაგანი მოვლენების სრულიად ბუნდოვანი ანარეკლებია. მთვარისეული ცნობიერების ხატ-სახეები სრულიად შეესაბამებოდნენ იმას, რასაც ისინი გარე სამყაროში მიეკუთვნებოდნენ. მაგალითად, დავუშვათ, რომ ზემოაღწერილის მსგავსი მთვარის ადამიანი, რომელიც შედგება ფიზიკური და ასტრალური სხეულებისაგან, მთვარის რომელიმე სხვა არსებას მიუახლოვდა. მართალია, იგი ვერ მოახერხებდა მის აღქმას სივრცობრივი საგნის მსგავსად (ეს შესაძლებელი გახდა ადამიანის მიწიერი ცნობიერებისას), მაგრამ მიუხედავად

ამისა მისი ასტრალური სხეულის შიგნით წარმოიქმნებოდა ხატოვანება, რომელიც თავისი ფერითა და ფორმით აძლევული ზუსტი გამოხატულება იქნებოდა იმისა, ატარებდა თუ არა ეს არსება მთვარის ადამიანისადმი სიმპათიას ან ანტიპათიას, შეეძლო თუ არა მას მისთვის სასარგებლო ანდა საშიში გამხდარიყო. ამიტომ მთვარის ადამიანს შეეძლო საკუთარ ქმედებებში, თავისივე ხატოვან ცნობიერებაში წარმოქმნილ ამ ხატ-სახეთა შესაბამისად ეხელმძღვანელა. ეს ხატ-სახეები მისთვის გარემომცველ სამყაროში გასარკვევად სრულყოფილ საშუალებას წარმოადგენდა. ხოლო ფიზიკურ სხეულში საფუძველი ჩაეყარა ნერვულ სისტემას იმავე ფიზიკური საშუალებით, რომელიც ასტრალურმა სხეულმა ბუნების მდაბალ სამყაროებთან ურთიერთობისთვის გამოიყენა.

მთვარის პერიოდის განმავლობაში ზემოადწერილი გარდაქმნა ადამიანზე რომ განხორციელებულიყო, ამისთვის აუცილებლად ხელი უნდა შეეწყო ერთ უდიდეს კოსმიურ მოვლენას. ასტრალური სხეულისა და მისი შესაბამისი ნერვული სისტემის წარმონაქმნის ჩართვა ფიზიკურ სხეულში შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ მანამდე ერთიანი სხეულის ქონე მზე ახლა ორად – მზედ და მთვარედ გაიხლია. პირველმა მიაღწია უძრავი ვარსკვლავის ხარისხს, ხოლო მეორე – დარჩა პლანეტად, როგორსაც წარმოადგენდა ადრე მზე და დაიწყო ბრუნვა იმავე მზის გარშემო, რომელსაც თავად გამოეყო. ამის წყალობით უოველივემ, რაც მზესა და მთვარეზე არსებობდა, უმნიშვნელოვანესი გარდაქმნა განიცადა. გარდაქმნის ამ პროცესს თვალყური უნდა მივაღევნოთ იმდენად, რამდენადაც იგი მთვარის ცხოვრებას ეხება. ფიზიკური და ეთერული სხეულებისგან შემდგარი ადამიანი მზისგან მთვარის გამოყოფისას კავშირში ამ უკანასკნელთან დარჩა. ამით მან შეაბიჯა არსებობის სულ სხვა პირობებში, ვინაიდან მთვარემ მზისგან აიღო მასში არსებული ძალის მხოლოდ ნაწილი. საკუთარი კოსმიური სხეულიდან ადამიანზე ახლა მხოლოდ ეს ნაწილი მოქმედებდა. ძალია დანარჩენი ნაწილი მზემ თავისთვის დაიტოვა. ამდენად, ეს ნაწილი მთვარეს და მასთან ერთად მის ბინადარ ადამიანსაც გარედან ეგზაგნებოდა. ადრინდელი პირობები რომ შენარჩუნებულიყო და მზის ძალებიც ადრინდელივით ჩაღვრილიყო ადამიანში

მისივე ცხოვრების არენიდან, მაშინ ვერ წარმოიქმნებოდა ის შინაგანი ცხოვრება, რომელიც ასტრალურ სხეულში ამოზრდილ სურათ-ხატებში ვლინდებოდა. მზის ძალა გარედან აგრძელებდა ზემოქმედებას ფიზიკურ და ეთერულ სხეულებზე, რომლებზეც იგი აღრე უკვე ზემოქმედებდა. მან ამ ორივე სხეულის ნაწილი დატოვა დიად ზემოქმედებისთვის, რომელიც გახლების შედეგად ხელახლა წარმოქმნილი კოსმიური სხეულისაგან, – კერძოდ მთვარისგან მოდიოდა. ამდენად, მთვარეზე ადამიანი ორმაგი (მზისა და მთვარის) ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მთვარის ზემოქმედებას უნდა მივაწეროთ ის, რომ ფიზიკური და ეთერული სხეულებიდან წარმოიქმნებ ის წევრები, რომელთაც ასტრალური სხეულის ჩანერგვა შესაძლებლად აქციეს. ხოლო ასტრალურ სხეულს ხატოვნების შექმნა მხოლოდ მაშინ ხელეწიფება, როცა მზის ძალები მასში მისივე საკუთარი პლანეტიდან კი არ იღვრება, არამედ – გარედან. მთვარის ზემოქმედებამ იმდენად შეცვალა გრძნობებისა და ჯირკვლების ორგანოთა ჩანასახები, რომ მათ შეეძლოთ ნერვული სისტემის შემოერთება. ხოლო მზის ზემოქმედებამ შესაძლებელი გახადა ამ ნერვული სისტემის მიერ წარმოქმნილ სურათ-ხატებსა და მთვარის გარეგნულ მოვლენებს შორის ზემოაღწერილი შესაბამისობის განხორციელება.

განვითარების ასეთი სახით გაგრძელება მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე შეიძლებოდა. იგი ამ ზღვარს რომ გადასცდენოდა, მაშინ მთვარისეული ადამიანი თავის შინაგან ხატოვან ცხოვრებაში გაიყინებოდა. ამის გამო მას მზესთან ყველანარი კავშირი უნდა გაეწყვიტა. როცა საქმე აქამდე მივიდა, მზემ ისევ მიიღო მთვარე ისე, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისინი კვლავ ერთ სხეულად იქცნენ. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ადამიანმა არ მიაღწია იმას, რომ წინააღმდეგობა გაეწია საკუთარი გამყარებისთვის, რომელიც მთვარეზე უნდა დამდგარიყო. ამის განხორციელების შემდეგ მოხდა ხელახლი გაყოფა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთვარემ თან წაიღო მზის ძალებიც, რომლებიც მან ადრე ვერ მოიპოვა. ამით იყო განპირობებული ის, რომ გარკვეული დროის შემდეგ გახლება კიდევ ერთხელ მოხდა. ის, რაც უკანასკნელად გამოყო მზეს, იყო კოსმიური სხეული, რომელიც შეიცავდა ყველა იმ ძალასა და არსებას, რომელიც ამჟამად დედამიწასა და მთვარეზე ცხოვრობდა. ამდენად, იმ

დოროს დედამიწა საკუთარ წიაღში დღეს მის გარშემო მბრუნავ მთვარეს ჯერ კიდევ შეიცავდა. ეს უკანასკნელი მასზე რომ დარჩენილიყო, დედამიწა ვერასძროს გახდებოდა ისეთი ადამიანური განვითარების არენა, როგორიც დღეს მასზე ხორციელდება. დასაწყისში ჯერ მთვარის ამჟამინდელი ძალები უნდა მოეცილებინათ; ამრიგად, ადამიანი უნდა დარჩენილიყო განწმენდილ მიწიერ არენაზე და თავისი განვითარება მასზე უნდა გაეგრძელებინა. ამგვარად ძველი მზისგან სამი კოსმიური სხეული წარმოიქმნა. ამ სამი კოსმიური სხეულიდან ახალი მზისა და ახალი მთვარის ძალები გარედან ეგზავნებოდა დედამიწას და იმავდროულად, ცხადია, მის ბინადარსაც. კოსმიურ სხეულთა განვითარებაში მსგავსი წინგადადგმული ნაბიჯის წყალობით შესაძლებელი გახდა, რომ ადამიანის სამწევრა ბუნებაში, როგორსაც წარმოადგენდა იგი მთვარეზე, მეოთხე წევრი – „მე“ შემოსულიყო. ეს შეერთება დაკავშირებული იყო ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულების სრულყოფასთან. ფიზიკური სხეულის სრულყოფა განაპირობა მის შემადგენლობაში თბილი სისხლის დამამზადებელი გულ-სისხლძარღვთა სისტემის შესვლამ. თავისთავად ცხადია, რომ გრძნობების, ჯირკვლებისა და ნერვულ სისტემათა ორგანოებს ისეთი ცვლილება უნდა განეცადათ, რომ ადამიანურ ორგანიზმში თბილი სისხლის ხელახლა წარმომქმნელ სისტემასთან შესისხლხორცებულიყვნენ. გრძნობათა ორგანოები იმგვარად გარდაიქმნა, რომ შეიძლებოდა ძველი მთვარის ჩვეულებრივი ხატოვანი ცნობიერებიდან შექმნილიყო საგნობრივი ცნობიერება, რომელიც განაპირობებს გარეგნული საგნების აღქმას და, რომელსაც ადამიანი ამჟამად დვიძილისას ანუ გამოღვიძებიდან დამინებამდე მიმდინარე პერიოდში ფლობს. ძველ მთვარეზე გრძნობები ჯერ კიდევ არ იყო გარეთ გამოსული; ცნობიერების სურათ-სატები შიგნიდან ჩნდებოდა; გარეთ გრძნობების ეს გახსნა სწორედ მიწიერი განვითარების მონაპოვარია.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ყველა ადამიანურმა სხეულმა, რომელთაც სატურნზე ჩაეყარათ საფუძველი, ვერ მიაღწია მათვის მონიშნულ მიზანს და ამდენად, მზეზე ადამიანური სამყაროს იმჟამინდელი სახის გვერდით ბუნების მეორე სამყარო წარმოიქმნა. ახლა საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ განვითარების ყოველ მომდევნო საფეხურზე: მზეზე, მთვარესა და დედამიწაზე, არსებათა გარკვეული ნაწილი ყოველ

თვის ჩამორჩებოდა თავის მიზანს და ამის მეოხებით ბუნების ქვედა სამყაროები ჩნდებოდა. მაგალითად, ადამიანთან ყველაზე ახლოს დგას ცხოველთა სამყარო, რომელიც ჟავე სატურნზევე ჩამორჩა, მაგრამ შემდგომში მზესა და მთვარეზე მისთვის არახელსაყრელ პირობებში, ნაწილობრივ მაინც წამოეწია საკუთარ განვითარებას, ასე რომ, დედამიწაზე იგი, მართალია, ადამიანს ვერ გაუთანაბრდა, მაგრამ ადამიანის მსგავსად, მაინც მოიპოვა გარკვეული უნარი, რათა თბილი სისხლი მაინც მიეღო, ვინაიდან დედამიწის პერიოდამდე ბუნების არც ერთ სამყაროს თბილი სისხლი ჯერ არ ჰქონია. დღევანდელი ცხოველები ცივი (ანდა პერიოდულად თბილი) სისხლით, აგრეთვე ზოგიერთი მცენარე, წარმოიქმნებ იმის წყალობით, რომ მზის ქვედა სამყაროთა ზოგიერთი არსებები ისევ და ისევ ჩამორჩნებ იმ საფეხურს, რომელსაც ამ სამყაროს სხვა არსებებმა მიაღწიეს. თანამედროვე მინერალური სამყარო ყველაზე გვიან, ანუ მთლიანად მხოლოდ მიწიერი პერიოდის განმავლობაში შეიქმნა.

ოთხწევრა მიწიერი ადამიანი, მზისა და მთვარისგან განიცდის ამავე კოსმიურ სხეულებთან დაკავშირებულ ძალთა ზეგავლენას. მზიდან მისკენ მოედინება ძალები, რომლებიც ხელს უწყობენ წინსვლას, ზრდასა და ჩამოყალიბებას, ხოლო მთვარისგან გამამყარებელი და მაფორმირებელი ძალები მოედინება. ადამიანი რომ მხოლოდ მზის გავლენის ქვეშ იყოს, იგი განუზომლად სწრაფად ზრდის პროცესში დაინგრეოდა. ამიტომ მას ოდესმე, გარკვეული დროის შემდეგ უნდა დაეტოვებინა მზე და ქველ, გამოყოფილ მთვარეზე აღექვა ძალები, რომლებიც ძალზე სწრაფ წინსვლას შეაჩერებდნენ. ახლა იგი მას დიდი სხიო რომ დაკავშირებოდა, მაშინ მისი ზრდის ეს შეჩერება ადამიანს ამ გამყარებული ფორმის საბოლოო გამაგრებამდე მიიყანდა. ამის გამო გადავიდა იგი შემდგომ მიწიერ წარმონაქმნში, რომელშიც ორივე ზეგავლენა შესაბამისი ფორმით ერთმანეთს აწონას-წორებს. იმავდროულად მინიჭნებულია ის მომენტი, როცა ოთხწევრა ადამიანურ არსებაში შემოდის კიდევ რაღაც უზენაესი: სამშვინველი, როგორც შინაგანი არსება.

ადამიანის ფიზიკური სხეული თავისი ფორმით, თავისი მოქმედებით, მოძრაობით და ა. შ. არის ქმედება და გამოხატულება იმისა, რაც ხდება სხვა წევრებში – ეთერულ სხეულში, ასტრალურ სხეულსა და „მე-ში. „აკაშა-ქრონიკის“

წინა თავებში ნაჩვენები იყო, განვითარების მსვლელობის დროს ეს სხვა წევრები ფიზიკური სხეულის ფორმირებაში თანდათანობით როგორ ებმებოდნენ. სატურნის განვითარების პერიოდში არც ერთი ამ წევრთაგანი ადამიანის ფიზიკურ სხეულთან ჯერ არ იყო დაკავშირებული. ამ წარმონაქმნის საფუძველი სწორედ იმ დროს ჩაეყარა. თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ის ძალები, რომლებიც მოგვიანებით ეთერული სხეულიდან, ასტრალური სხეულიდან და „მე“-დან ზემოქმედებდნენ ფიზიკურ სხეულზე, მასზე თვით სატურნის პერიოდში არ მოქმედებდნენ. ისინი უკვე მაშინაც მოქმედებდნენ, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით – გარედან და არა შიგნიდან. სხვა წევრები კი ჯერ არ იყვნენ წარმოქმნილი და ადამიანის ფიზიკურ სხეულთან განსაკუთრებული სახით ჯერაც არ იყვნენ შეერთებული. მოგვიანებით მასში გაერთიანებული ძალები მოქმედებდნენ გარკვეულწილად თითქოსდა გარემოცვიდან, სატურნის ატმოსფეროდან და ამ სხეულის პირველ ჩანასახს უყრიდნენ თავს. შემდგომ მზეზე ეს ჩანასახი იმის გამო გარდაიქმნა, რომ ამ ძალთა ნაწილი ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ ადამიანურ ეთერულ სხეულში და ახლა ფიზიკურ სხეულზე არა მარტო გარედან, არამედ შიგნიდანაც მოქმედებდა. მთვარეზე, ასტრალურ სხეულთან მიმართებითაც იგივე მოხდა. ხოლო დედამიწაზე ადამიანის ფიზიკური სხეული კიდევ ერთხელ, უკვე მეოთხედ გარდაიქმნა და გადაიქცა „მე“-ს საცხოვრისად, რომელი „მე“-ც ამჟამად მასში მუშაობს.

ჩვენ ვხედავთ, რომ სულისმეცნიერული კვლევის თვალსაზრისით ადამიანის ფიზიკური სხეული საკუთარ იერსა და მოქმედების ხასიათში რაღაც მყარს, რაღაც რეალურად ჩამოყალიბებულს არ წარმოადგენს. იგი მუდმივი გარდაქმნის პროცესშია. მსგავსი გარდაქმნა მისი განვითარების ამჟამინდელ მიწიერ პერიოდშიც ხორციელდება. ადამიანის ცხოვრება მხოლოდ მაშინაა გასაგები, როცა შეგიძლია წარმოიდგინო ეს გარდაქმნა.

ადამიანის ორგანოებზე სულისმეცნიერული დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი თავიანთი განვითარების განსხვავებულ საფეხურებზე დგანან. ადამიანურ სხეულში არის ორგანოები, რომლებიც თავიანთი ამჟამინდელი სახით დამავალ, დანარჩენები – აღმავალ განვითარებაში იმყოფება; მომავალში დამავალ განვითარებაში მყოფნი თავიანთ

მნიშვნელობას ადამიანისთვის სულ უფრო მეტად დაკარგავენ. მათ უკვე განვლენ თავიანთი ამოცანების გაფურჩქვნის პერიოდი, ამიტომაც ელოდებათ კვდომა და ბოლოს ადამიანური სხეული მათ დაკარგავს. ბევრი მათგანი ჯერაც ჩანასახის მდგომარეობაშია. მომავალში ისინი უფრო სრულყოფილი ფორმით, უფრო მაღალი ამოცანებით განვითარდებიან. სხვათაშორის, პირველს განეკუთვნება გამრავლების, თავისივე მსგავსის წარმომქმნელი ორგანოებიც. მომავალში ისინი თავიანთ ამოცანას გადასცემენ სხვა ორგანოებს, ხოლო თავად ყველანაირ მნიშვნელობას დაკარგავენ. დადგება დრო, როცა ისინი ადამიანის სხეულში წარმოგვიდება გადაგვარებული სახით და მათში მხოლოდ ადამიანის დიდი ხნის წინანდელი განვითარების დასაბუთებას დაინახავენ.

სხვა ორგანოები, როგორიცაა მაგალითად, გული და მისი მახლობელი წარმონაქმნები, გარკვეული თვალსაზრისით, თავიანთი განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებიან. ისინი მხოლოდ მომაგალში განივითარებენ სრულად იმას, რაც ახლა მათში ჩანასახის სახით დევს. ამ მოვლენათა სულისმეცნიერული თვალთახედვა სრულიად სხვა რამეს ჭვრებს გულსა და ე. წ. სისხლის მიმოქცევასთან მიმართებით, ვიდრე თანამედროვე ფიზიოლოგია, რომელიც მთლიანად მექანიკურ-მატერიალისტურ წარმოდგენებზეა დამოკიდებული. ამასთან, სულისმეცნიერებას ძალუბს, შექი მოჰვინოს თანამედროვე მეცნიერებისთვის კარგად ცნობილ ისეთ ფაქტებს, რომელთა ამოხსნისთვის იგი ვერანაირ პასუხს ვერ პოულობს. ანატომია გვიჩვენებს, რომ ადამიანური სხეულის კუნთები საკუთარი აგებულებით ორგარია. ერთი თავის უმცირეს ნაწილებში გლუკ ბოჭკოებს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი – უმცირეს ნაწილებში სწორ განიგხოლებრიობას ავლენს. გლუკი კუნთები არსებითად ისეთია, რომ თავის მოძრაობაში ადამიანის ნებელობაზე არ არის დამოკიდებული. გლუკი კუნთებია, მაგალითად, ნაწლავების კუნთები, რომლებსაც საკვები გააქვთ თავიანთი თანაბარზომიერი შემცირებებით, ადამიანის ყოველგვარი თვითნებური ზემოქმედების გარეშე. თვალის ფერად გარსმიც ასევე გლუკი კუნთებია. ეს კუნთები ემსახურება მოძრაობას, რომელიც იწვევს თვალის გუგის გაფართოებას სინათლის რაოდენობის შემცირების დროს და მის დაპატარავებას, როცა თვალს ძლიერი სინათლის სხივი ეცემა. ეს

მოძრაობაც არაა ადამიანის სურვილზე დამოკიდებული. პირიქით, ადამიანის ნებელობის ზეგავლენით მოძრაობის განმაპირობებელი კუნთები წარმოადგენს განივზოლებრივს. მაგალითად, ის კუნთები, რომლებიც ხელ-ფეხის მოძრაობას მართავს. ამ საერთო აგებულებიდან გული, როგორც კუნთის ერთ-ერთი სახე, გამონაკლის წარმოადგენს. განვითარების თანამედროვე პერიოდში გული თავის მოძრაობებში არაა დამოკიდებული ადამიანის ნებელობაზე, მიუხედავად ამისა, იგი „განივზოლებრივ“ კუნთს წარმოადგენს. სულთმეტყველება საკუთარი თვალსაზრისიდან გამომდინარე მის საფუძველზე თავისებურად მიუთითებს. გული ამჟამინდელის მსგავსი მუდმივად არ იქნება. მომავალში იგი სხვა ფორმას და სხვა ამოცანას შეიძენს. ამჟამად კი თავისუფალ კუნთად ქცევის გზას ადგას. მომავალში იგი განახორციელებს ისეთ მოძრაობებს, რომლებიც ადამიანის შინაგანი მშვინვიერი იმპულსების შედეგი იქნება. თავისი აგებულებით გული უპავ დღესვე მიანიშნებს საკუთარ დანიშნულებაზე მომავალში, როდესაც მისი მოძრაობაც ადამიანის ნებელობის ისეთივე გამოხატულება იქნება, როგორც ახლა ხელის აწევა ან ფეხით სიარულია. გულზე მსგავსი შეხედულება უკავშირდება ვრცელ სულისმეცნიერულ ცოდნას, რომელიც ეხება გულის მიმართებას კ. წ. სისხლის მიმოქცევასთან. ცხოვრებაზე მექანიკურ-მატერიალისტური სწავლება გულში ხედავს საჭირენი აპარატის სახეს, რომელიც სისხლს მთელ სხეულს თანაბრად აწვდის. აქ გული სისხლის მოძრაობის მიზეზს წარმოადგენს. სულისმეცნიერული ცოდნა კი სულ სხვა რამეს აჩვენებს. სისხლის მთელი პულსაცია, მთელი მისი შინაგანი მოძრაობა მისოვის მშვინვიერი პროცესების გამოხატულებას და მოქმედებას წარმოადგენს. მშვინვიერება სისხლის ამა თუ იმ მდგომარეობის მიზეზია. შიშისაგან გაფითრება, სირცხვილისაგან გაწითლება სისხლში მშვინვიერ მოვლენათა უხეში მოქმედების შედეგია. ყოველივე, რაც სისხლში ხდება, მხოლოდ მშვინვიერ ცხოვრებაში მომხდარის გამოხატულებაა. ამასთან ძალზე ღრმა და იდუმალია ეს კავშირი სისხლის პულსაციასა და სამშვინველის იმპულსებს შორის. ხოლო გულის მოძრაობა სისხლის პულსაციის შედეგია და არა მიზეზი. მომავალში თავისუფალი მოძრაობის გზით გუ-

ლი შეძლებს გარე სამყაროში გამოიტანოს შედეგები იმისა, რაც ადამიანური სამშვინველის სიღრმეებში იქსოვება.

მსგავს აღმავალ განვითარებაში მყოფი დანარჩენი ორგანოები სუნთქვის ორგანოებია, ანუ თავიანთი დანიშნულებით, იგივე მეტყველების ორგანოები. ჩვენს დროში მათი დახმარებით ადამიანს შეუძლია საკუთარი აზრების პარის ტალღებად გარდაქმნა. ამით იგი სამშვინველის სიღრმეში განცდილს გარე სამყაროში აღდეჭდავს. ადამიანი საკუთარ შინაგან განცდებს პარის ტალღებად გარდაქმნის. პარის ეს ტალღისებური მოძრაობა მის შიგნით აღძრულის გამოხატულებაა. მომავალში იგი სულ უფრო მეტად და მეტად შეძლებს საკუთარი შინაგანი არსება მსგავსი სახით შიგნიდან შვას. ამ მიმართულებით უდიდესი მიღწევა იქნება ის, რომ თავისი სრულყოფილების მწვერვალამდე მისული მეტყველების ორგანოებით იგი შეძლებს საკუთარი არსებიდან თავისივე მსგავსი წარმოქმნას. ამდენად, დღეს მეტყველების ორგანოები გამრავლების მომავალ ორგანოებს ჩანსახის მდგომარეობაში შეიცავენ. ის ფაქტი, რომ მამაკაცს სქესობრივი მომწიფების პერიოდში ხმა ეცვლება, მეტყველების ორგანოებსა და გამრავლების არსს შორის არსებული იდუმალი კავშირის შედეგს წარმოადგენს.

ასევე შეიძლება განვიხილოთ სულისმეცნიერების თვალსაზრისით ადამიანის მთელი ფიზიკური სხეული ყველა თავისი ორგანოთი. აქ საჭირო იყო წინასწარ მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანა. არსებობს სულისმეცნიერული ანატომია და ფიზიოლოგია. არცთუ შორეულ მომავალში თანამედროვე ანატომია-ფიზიოლოგიამ მასში უნდა ეძებოს საკუთარი ცოდნის გამდიდრების საშუალებები ან სულაც მთლიანად შეერწყას მას.

ამ სფეროში განსაკუთრებით თვალში საცემია ის, რომ ზემოთ მოყვანილის მსგავსი ქმედებები ჩვეულებრივი დასკვნებით ან ლოგიკური სპეციულაციებით (ანალოგიებით მიღებული დასკვნების მსგავსად) კი არ უნდა აიგოს, არამედ მხოლოდ ჰეშმარიტი სულისმეცნიერული კვლევიდან უნდა მომდინარეობდეს. ამის აღნიშვნა აუცილებელია, რადგანაც სულ-თმეტყველების გულმოდგინე მიმდევრები ზოგიერთ შემეცნებათა აღქმის შემდეგ, მის იდეათა უსაფუძვლო განვითარებას ძალზე იოლად შეუდგებიან. არაფერია გასაკვირი, თუ ამ

დროს მიიღებენ მხოლოდ განსჯით მოჩვენებებს, რომლებიც განსაკუთრებული სიამოვნებით ამ სფეროებში ჩნდებიან.

ზემოთქმულიდან შეიძლებოდა გაგვეაეთებინა, მაგალითად, ასეთი დასკვნა: ვინაიდან გამრავლების ადამიანური ორგანოები თავიანთი ამჟამინდელი ფორმით მომავალში ყველაზე ადრე დაკარგავენ მნიშვნელობას, ამიტომ შესაძლებელია, წარსულში მათ იგი სწორედ ყველაზე უცუცეს ორგანოებს სწორედ ისინი წარმოადგენენ. მაგრამ ეს არაა სწორი, სწორია პირიქით. მათ თავიანთი ამჟამინდელი იერი ყველაზე გვიან მიიღეს და მას ყველაზე ადრე დაკარგავენ.

სულისმეცნიერული კვლევის წინაშე წარმოჩნდება შემდეგი: მზეზე ადამიანის ფიზიკური სხეული, გარკვეული თვალსაზრისით, მცენარეული ყოფიერების საფეხურამდე ამაღლდა. მაშინ იგი მხოლოდ ეთერული სხეულით იყო განმსჭვალული. მთვარეზე მან მიიღო ცხოველური სხეულის ხასიათი, რაღანაც ასტრალური სხეულით განიმსჭვალა. მის ცხოველურ ბუნებად ამ გარდაქმნაში მოხაწილეობა ყველა ორგანოს არ მიუღია. ზოგიერთი ნაწილი მცენარის საფეხურზე დარჩა. ეს დედამიწაზეც ასეა; „მე“-ს ჩართვის შემდეგ, როცა ადამიანის სხეული ამაღლდა თავის თანამედროვე ფორმამდე, ზოგიერთი ორგანო გარკვეულ მცენარეულ თვისებებს ჯერ კიდევ ატარებდა. ცხადია, ისე არ უნდა წარმოიდგინოთ, რომ ეს ორგანოები ჩვენი ამჟამინდელი მცენარეებივით გამოიყურებოდნენ; ამ ორგანოებს განეკუთვნება გამრავლების ორგანოები. ისინი დედამიწის განვითარების დასაწყისში მცენარეულ თვისებებს ჯერ კიდევ ატარებდნენ. უძველესმა მისტერიალურმა სიბრძნემ ეს იცოდა. მაგალითად, მისტერიათა გადმოცემებითა და ოქმულებებით ნასაზრდოები უძველესი ხელოვნება პერმაფრონდიტებს მცენარის ფოთლების მსგავსი გამრავლების ორგანოებით გამოხატავს. ეს ადამიანის ის წინაპრებია, რომლებსაც ჯერ კიდევ ადრინდელი სახის გამრავლების ორგანოები (იუვნენ ორსქესიანნი) გააჩნდათ. ამის დანახვა მშვენივრად შეიძლება, მაგალითად, რომში კაპიტოლიუმის საკრებულოს ერთ-ერთ პერმაფრონდიტზე. ამ მოვლენათა განვჭრების შემდეგ ევაზე ლეღვის ფოთლის არსებობის ჭეშმარიტ საფუძველსაც გაიგებენ. ასევე იპოვიან მრავალი უძველესი გამოსახულებისთვის სწორ ახ-

სნას, მაშინ როცა თანამედროვე ახსნები ბოლომდე არმიყვანილი აზროვნებიდან მომდინარეობს. სხვათაშორის შევნიშვნავთ, რომ ზემოხსენებული პერმაფროდიტი სხვა მცენარეულ დანამატებსაც ასევე წარმოაჩენს. მისი შექმნისას ჯერ კიდევ არსებობდა ოქმულება, რომ შორეულ წარსულში ზოგიერთი ადამიანური ორგანო მცენარეულიდან ცხოველურ ტიპად გარდაიქმნა.

ადამიანური სხეულის ყველა ეს გარდაქმნა ემსახურება ეთერულ სხეულში, ასტრალურ სხეულსა და „მე“-ში ჩადებული გარდამქმნელი ძალების მხოლოდ გამოხატვას. ადამიანის ფიზიკური სხეულის გარდაქმნას თან სდევს ადამიანური ბუნების უზენაეს წევრთა მოქმედებები. ამიტომ ამ ადამიანური მოქმედების წყობა და ხასიათი შეიძლება, მხოლოდ მაშინ გავიგოთ, როცა ჩავწვდებით „აკაშა-ქრონიკას“, რომელიც გვიჩვენებს ადამიანის უფრო მაღალ მშვინვიერ და სულიერ წევრთა უზენაესი გარდაქმნა მართებულად როგორ ხორციელდება. ყოველგარი ფიზიკური და მატერიალური თავის ახსნას სულიერში პოულობს. მეტიც, როცა სულიერს ჩასწვდებიან, შეიძლება ამ ფიზიკურის მომავალსაც მოვფინოს ნათელი.

შემდგომ თავებში დედამიწასა და ადამიანის მომავალს შევეხებით.<sup>7</sup>

<sup>7</sup> აქ წყდება „აკაშა-ქრონიკის“ გადმოცემა, რომელიც იბეჭდებოდა პერიოდულ ჟურნალ Lucifer Cnosis-ის №13-ში, 1904 წ. ხოლო ცალკე წიგნად გამოიცა 1939 წელს. რედოლფ შტაინერის აქ შეპირებული ცნობები დედამიწასა და ადამიანის მომავალზე მკითხველს შეუძლია იპოვოს შესაბამის თავებში ამავე ავტორის წიგნში „იდუმალთ-მეტყველების ნარკევე“, აგრეთვე რედოლფ შტაინერის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შემდგომი პერიოდის სხვადასხვა შრომაში. იხილეთ რედოლფ შტაინერის მემკვიდრეობის კატალოგი. (მთარგმნელის შენიშვნა).

პიონერი: მომდევნო რასებში გარდასახვისას ჩვენ ახალ თვისებებს შევიძებოთ და ადარ გამოგვადგება სამშვინველის წინარე თვისებები, რომლებიც გამოცდილებით შევიძებეთ; როგორ აიხსნება ის, რომ დღისათვის არაფერია შემორჩენილი კაცობრობის იმ დროს უსაზღვროდ განვითარებული შესაძლებლობებიდან, რომლებიც გამოიხატება ნებისყოფის, წარმოსახვისა თუ ბუნების ძალთა დაუფლებაში?

არსებითად არაფერი იკარგება იმ თვისებებიდან, რომლებსაც სამშვინველი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე იქნებს; მაგრამ უკვე არსებული თვისება ახალი უნარის შეძენისას სულ სხვა ფორმას იდებს. იგი დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ ახალი უნარების საფუძვლად იქცება. მაგალითად, ატლანტიდელებმა მახსოვრობის უნარი შეიძინეს. თანამედროვე ადამიანი ატლანტიდელთა მეხსიერების შესაძლებლობებს მხოლოდ ბუნდოვნად თუ წარმოიდგენს. კოველივე, რაც ჩვენ მეხუთე მირეულ რასაში თანდაყოლილ წარმოსახვათა მეშვეობით წარმოგვიდგება, ატლანტიდაში ჯერ მეხსიერებით შეიძინეს. თანამედროვე ადამიანს ახლა რომ უწევდეს სივრცეზე, დროსა და რიცხვებზე წარმოგენების შექმნა, სულ სხვა სიძნელებს წააწყდებოდა. ვინაიდან თანამედროვე ადამიანმა როგორი განსჯის უნარი უნდა შეიძინოს. ატლანტიდელების ლოგიკა არ გააჩნდათ; მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ადრე შექმნილი მშვინვერი ძალა ახლა საჭითარი ფორმით ბრუნდება უკან, ცნობიერების საზღვარს მიღმა, როდესაც საჭიროა ახლის შეძენა. თუ თახვი იქცევა მოაზროვნე არსებად, მან თავისი ხელოვნური აგებულების დასაუფლებლად საკუთარი უნარები სულ სხვა რამედ უნდა გარდასახოს. სასიცოცხლო ძალთა დაუფლების უნარი გარკვეულწილად, ატლანტიდელებსაც ჰქონდათ. ამ ძალთა მეშვეობით ისინი თავიანთ გასაოცარ მანქანებს ქმნიდნენ. სამაგიეროდ სრულიად მოკლებულნი იყვნენ იმას, რასაც მეხუთე მირეული რასის ადამიანები გალანტს უწოდებენ. მათთან მითებისა და ზღაპრების მსგავსი რამ არ არსებობდა. ჩვენი რასის მითოლოგია ატლანტიდელების მიერ სასიცოცხლო ძალთა დაუფლების უნარს განასახიერებს. მას მხოლოდ ამ ფორ-

<sup>8</sup> ეს კითხვები მკითხველებმა გამოაგზავნეს და იბჭდებოდა იმავე ჯურნალში – Lucifer Crrosis (მთარგმნელის შენიშვნა).

მით შეეძლო ჩვენი რასის გონიერივი მოდვაწეობის საფუძვლად გადაქცევა. ჩვენი რასის დიდი მკვლევრები ატლანტიდური თაობის „ნათელმხილველთა“ ინკარნირებით წარმოშვნენ. ამ მკვლევართა გენიალურ იდეაბში დრომოჭმულია ის, რაც ატლანტიდური ინკარნაციისას მათ ცხოვრებისეულ ძალას ედო საფუძვლად. ჩვენი ლოგიკა, ბუნებისმეტყველება, ტექნიკა და ა. შ. ვითარდება იმ საწყისიდან, რომელსაც საფუძველი ატლანტიდაში ჩაეყარა. მაგალითად, თუ მექანიკოსი უკანვე გარდაქმნიდა თავის კომპინირებულ ძალას, მივიღებდით იმას, რისი ძალაც ატლანტიდელებსაც შესწევდათ. მთელი რომაული სამართალი სხვა არაფერია, თუ არა ადრეული ხანის სახეცვლილი ნებელობა. საკუთრივ ნებელობა ჩრდილში რჩქოდა, მეორეხარისხოვანი იყო და ნაცვლად იმისა, რომ სხვადასხვა ფორმა შეეძინა, თავად გადაიქცა აზროვნების ფორმად, რომელმაც სამართალმცოდნების სახე მიიღო. მშვენიერებისადმი ბერძნების ლტოლვა წარმოიშვა იმ ძალთა დახმარებით, რომელთა საშუალებითაც ატლანტიდელები დიდგბულ ცხოველებსა და მცენარეებს ამრავლებდნენ. ფილიასის\* უანტაზიაში არსებობდა რაღაც, რასაც ატლანტიდელები ჰქეშმარიტ სულიერ არსებათა გარდასახვისას უშუალოდ იკენებდნენ.

შემდეგი პილება: რა დამოკიდებულება არსებობს სულისმუნიერებასა და ე. წ. იდუმალომეტყველებას შორის?

იდუმალომეტყველება ყოველთვის არსებობდა. მას ე. წ. საიდუმლო სკოლებში მისდევდნენ. იდუმალომეტყველების დაუფლება შეეძლო მხოლოდ მას, ვინც გარკვეულ გამოცდებს გაიფლიდა. მას იმდენ ცოდნას აძლევდნენ, რამდენიც მის ინტელექტუალურ, გონიერივ და მორალურ შესაძლებლობას შეესაბამებოდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მართებული უზენაუსი შემეცნება იმ ძალაუფლების გასაღებია, რომელიც მოუმზადებელთა ხელში შეიძლება ბოროტებისთვის გამოიყენონ. სულისმუნიერების წყალობით მოხდა იდუმალომეტყველების უვალაზე ელემენტარულ ჰქეშმარიტებათა პოპულარიზაცია. ამის მიზეზი ეპოქის მოთხოვნილებებში ქვეს. დღეისათვის გონიერივ განვითარებასთან მიმართებაში კაცობრიობა, ასე თუ ისე, თავად მივიდა გარკვეულ წარმოდგენებამდე, რომელიც ადრე საიდუმლო ცოდნის ნაწილს შეადგენდა. ოლონდ იგი ამ წარმოდგენებს დამახიჯებული, კარიკატურული და მავნე ფორმით ითვისებდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს იდუმალომეტყველებმა, რომ საიდუმლო ცოდნის ნაწილი საზოგადოებისთვისაც გაეზი-

არებინათ. ამით კაცობრიობას სთავაზობენ შესაძლებლობას, რომ კულტურის განვითარებით წარმოშობილი წინსვლა ჰქმარიტი სიბრძნით განმსჭვალოს. ახალ აღქმებს ჩვენ საგანთა არსზე ახალი წარმოდგენისკენ მივყავართ. მაგრამ იდუმალომეტყველებაში ჩაღრმავების გარეშე, ეს წარმოდგენები მხოლოდ დამახინჯებულ სურათს ქმნის. ჩვენი ამჟამინდედი ტექნიკა გადის განვითარების უტაკებს, რომელიც კაცობრიობას მხოლოდ მაშინ მოუტანს სარგებლობას, როდესაც ადამიანის სამშვინველი სულისმეცნიერების შესატყვისი აღქმებით გამდიდრდება. სანამ ადამიანებმა არაფერი უწყოდნენ ბუნების თანამედროვე აღქმასა და ტექნიკის მოღერნიზაციაზე, მისაღები იყო ის ფორმა, რომელშიც რელიგიურ წარმოდგენათა უზენაესი სწავლება წმინდა მგრძნობელობითი გზით ხორციელდებოდა. დღეს კაცობრიობა იგივე ჰქმარიტებას გონებისთვის მისაღები ფორმით მოითხოვს. სულისმეცნიერებული მხოლოდ მედველობა თვითნებობაზე კი არაა დამყარებული, არამედ გამომდინარეობს არსებული ისტორიული ფაქტების მართებული გაგებიდან. იდუმალომეტყველების საფუძვლებს კი დღემდე მხოლოდ იგი ეცნობა, ვინც განხდობის გამოცდას გაუძლებს. უკვე გამოქვეყნებულის ნაწილი კი მხოლოდ მათვისაა ხელმისაწვდომი, რომლებიც ზედაპირული ცოდნით არ შემოიფარგლებიან და საგნებს ჰქმარიტად შინაგანად ითვისებენ, აქცევენ რა მათ საჭუთარი ცხოვრების არსად და წარმმართველ ძალად. საუბარია არა სულისმეცნიერების კარგად დაუფლებაზე, არამედ მის განცდაზე, შეგრძნებაზე, აღქმასა და მთელი ცხოვრების ამით განმსჭვალვაზე. ამ საგანთა ჰქმარიტებასაც მხოლოდ ასეთი განმსჭვალულობის მეშვეობით შეიცნობენ. თუ არადა, ისინი დარჩებიან ისეთ რამედ, რისიც „შეიძლება სწამდეთ და არც სწამდეთ“. სრულიად მართებულია, რომ სულისმეცნიერების ჰქმარიტებანი ადამიანს აძლევს ნამდვილ ცხოვრებისუელ საზრდოს, საჯუთარი არსების, ღირსებისა და ყოფიერების შეცნობის საშუალებას, ამასთან მას უდიდეს ყოფით სიმამაცეს ანიჭებს, რადგან ისინი უხსნიან კავშირს მასა და გარემომცველ სამყაროს შორის. გვიქის მოთხოვნილებათა შესაბამის მაღალ მიზნებსა და ჰქმარიტ დანიშნულებაზე ისე მიუთითებენ, რომ ადამიანი რწმენასა და ცოდნას შორის ჭიდილში არ იჭყლიტება. სავსებით შესაძლებელია ერთოდროულად იყო თანამედროვე მეცნიერიც და სულისმეცნიერების მკლევარიც, მაგრამ, რა თქმა უნდა, საჭიროა, ორივეში ერკვეოდე.

ცრუ, აპვიატებული შეხედულებები  
მოჩვენებითი მეცნიერებიდან

ცხადია, რომ თანამედროვეობის სულიერ ცხოვრებაში ბევრი რამაა ისეთი, რაც ჰემმარიტების მაძიებლებს ურთულებს სულისმეცნიერული ცოდნის აღიარებას. სტატიაში: „შეკითხვები თეოსოფიური მოძრაობის ცხოვრებაზე“, მოცემულია მითოება, რომელიც განსაკუთრებით ჰემმარიტების ნამდვილ მაძიებლებს ამ მიმართულებით წაიყვანს. ზოგისთვის შესაძლოა ძალზე ფანტასტიკურად წარმოჩნდეს სულისმეცნიერული გამონათქვამები, რომლებსაც ისინი მძაფიოდ განსჯიან და სჯერათ, რომ მათ თავიანთი თავიდან უნდა შექმნან ის, რაც ფაქტის სახით გაიცენს, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერული კვლევა. ეს კვლევა ეყრდნობა მძლავრ კურთხევას, რამაც ის მიიყვანა კაცობრიობის განვითარებამდე და მუდმივად მიჰყავს. რაოდენ ძლიერად მოქმედებს, როდესაც მავანი პიროვნება, რომელსაც სურს, ამ კვლევის შედეგებზე აგონს სამყაროს ხედვა, ამაყად ამბობს: „უზარმაზარი უფსკრულია ამ ორი ექსტრემალური ცხოვრების გაგებაში: ერთი ამ სამყაროსთვის, მეორე ზეცისთვის. მეცნიერების მეშვეობით კაცობრიობამ დღემდე ვერ იპოვა სამოთხის, გარდაცვლილის ცხოვრებისა თუ ღმერთის ვერანაირი ნაკვალევი. ესაა ქედმადალი მეცნიერება, რომელიც ყველაფერს ზომავს და შლის, რომელსაც არანაირი საიდუმლო არ აშინებს, რომელიც ცას იკვლევს ნისლიანი ვარსკვლავების მიღმა, ხოლო ცოცხალი უჯრედების უსასრულოდ პატარა ატომებს აანალიზებს ისე, როგორც ქიმიურ სხეულებს; ის განმარტავს მზის სუბსტანციას და პაერს გარდაქმნის თხევადად, დედამიწის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში მავრულების გარეშე აგზავნის ტელეგრაფებს, შეუძლია გაუმჯორვალე სხეულის შიგნიდან დანახვა, ასევე ქმნის ხომალდის სახეობებს ცაში თუ წყალქვეშ, ახალ პორიზონტებს გვიხსნის რადიუმისა და სხვა საშუალებების აღმოჩენებით; დღეს ეს მეცნიერება, მას შემდგებ, რაც დაადგინა კავშირი ყველა ცოცხალ არსებასა და მის სახეცვლილ ფორმას შორის, ადამიანის სამშვინველის ორგანოდ, თავისი საფუძვლიანი კვლევების სფეროში, ტგინს ასახელებს.“ (პროფ. აუგუსტე ფორელი\*, „ხიცოცხლე და ხიკვდილი“. მიუნხენი 1908, გვ. 3. პორნიათ, რომ ასეთ საფუძველზე ააშენებენ რწმენას, რაც მედავნდება იმ სიტყვებში, რომელსაც ზემოთქმულს ამა-

ტემის თავად ფორმით: „ჩვენ ამ არაბუნებრივს ვტოვებთ უკან  
და ვტრიალდებით ბუნების წიგნისკენ იმით, რომ ამოვდივართ  
მონისტური ცხოვრების მდგომარეობიდან, რომელიც მხოლოდ  
მეცნიერულ ფაქტებს ითვალისწინებს.“ ასე ხედავს ჭეშმარიტე-  
ბის სერიოზული მაძიებელი თავის თავს თრი მოვლენის წინ  
დაყენებულს, რომელთაგანაც ერთი მას დიდ წინააღმდეგობას  
უქმნის მისთვის უფრო ხელმისაწვდომი ჭეშმარიტი სულისმეც-  
ნიერული წარმოდგენის გააზრების გზაზე. თუ მასში არსე-  
ბობს ასეთი გააზრების შეგრძნება, მაშინ ნატიფი ლოგიკით  
გრძნობს მის შინაგან საფუძველს.

ის შეიძლება მსგავსი განცდებით დაითრგუნოს, თუ თა-  
ვის თავს ორნაირად ეტყვის. უპირველეს ყოვლისა, ავტორი-  
ტეტები, რომლებიც ფლობენ თვალსაჩინო ფაქტების დამტკი-  
ცების უნარებს, თვლიან, რომ ყველაფერი „ზეგრძნობად“  
მხოლოდ უაზრო ფანტაზიები და არამეცნიერულ ცრურწმე-  
ნებია. მეორე მხრივ, არსებობს საფრთხე, საკუთარი თავი მი-  
უდღნა ასეთ „ზეგრძნობადს“ და არაპრაქტიკულ, ცხოვრების-  
თვის გამოუსადეგარ ადამიანად გაქციოს. რადგან ყველაფე-  
რი, რაც პრაქტიკული ცხოვრებისთვის კეთდება, „სინამდვი-  
ლის ნიადაგში“ მყარად უნდა ჩაინერგოს.

ვინც ასეთ კონფლიქტში აღმოჩენდა, ვერავინ შეძლო მარ-  
ტივად მისვლა შემეცნებამდე, თუ როგორ მოქმედებენ სინამ-  
დვილები ეს დამახასიათებელი მოვლენები. ეს რომ შეეძ-  
ლოთ, მაშინ პირველ პუნქტთან დაკავშირებით დაინახავდნენ  
შემდეგს: საბუნებისმეტყველო კვლევის შედეგები არაფერში  
ეწინააღმდეგება სულისმეცნიერებას. ყველგან, სადაც კი  
ძალდაუტანებდლად აკვირდებიან ორივეს დამოკიდებულებას,  
სრულიად სხვა რამეს ხედავენ. მტკიცდება, რომ კვლევის  
ფაქტები მიდის იმ მიზნისკენ, რომელიც მას ძალიან მალე  
სრულ პარმონიაში მიიყვანს ზეგრძნობადი წყაროებიდან  
ბოძებულ სულთან და ამავე დროს იმასთან, რაც გარკვეული  
სფეროებისთვის უნდა დაადგინოს. ასობით შემთხვევა, რომ-  
ელიც ამ მტკიცების დასტურად შეიძლება აქ მოვიყვანოთ,  
მხოლოდ დამახასიათებელი სახით არის წარმოდგენილი.

დედამიწისა და კაცობრიობის განვითარებაზე ჩემს მოხსე-  
ნებებში მივუთითებ, რომ ახლანდელი კულტურული ერების  
წინაპრები ცხოვრობდნენ ისეთ რეგიონში, რომელიც ერთხელ  
დედამიწის ზედაპირის ერთ ადგილას გაიშალა და დღეს  
მეტწილად ატლანტის ოკეანის ფსკერს განეკუთვნება. წიგნში

„აქაშა-ქრონიკიდან“ უფრო მეტად მიუთითოთეს ატლანტიდები წინაპრების მშვინვერ-სულიერ მახასიათებლებზე. მოხსენებების დროსაც არაერთხელ ავსესენით, როგორ გამოიყერებოდა დედამიწის ზედაპირი ძეგლი ატლანტიდის პერიოდში. ითქვა: მაშინ პაერი შედგებოდა წყლის ნისლებისგან. ადამიანი ცხოვრობდა წყლის ნისლში, რომელიც გარკვეული ადგილებისთვის საერთოდ არასდროს იწმინდებოდა მხოლოდ პაერამდე. შეუძლებელი იყო მზისა და მთვარის ისე დანახვა, როგორც ვხედავთ დღეს, რადგან მათ გარს ერტყათ ფერადი ორეოლი. წვიმისა და მზის სინათლის მონაცვლეობა ისე, როგორც ეს დღეს არის, მაშინ არ არსებობდა. ნათელმხილველს შეუძლია ამ უძველესი მიწის გამოკვლეულა: ცისარტყელა მაშინ არ ჩნდებოდა. ის გამოვლინდა მხოლოდ ატლანტიდის შემდგომ პერიოდში. ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ ნისლის ქვეყანაში. ამ ფაქტების დანახვა მხოლოდ ზეგრძნობადი დაკვირვებებით არის შესაძლებელი; ასევე უნდა ითქვას, რომ სულისმკვლევარი, უკეთეს შემთხვევაში, კარგს იზამს, თუ უარს იტყვის საბუნებისმეტყველო მეცნიერული შემეცნების ყველა შედეგის გათვალისწინებით; რადგან ასეთი შედეგები მას უშუალოდ სულისმეცნიერული კალეგის გზაზე შეცდომაში შეიყვანს. ესაა კონსტატაცია, შეადარო ასეთი დასკვნები მსგავს შეხედულებებს, რომელთან მიმართებით გარკვეული საბუნებისმეტყველო მკვლევრები აწმუოში თავს შეზღუდულად გრძნობენ. დღეს არიან მკვლევრები, რომლებიც ფაქტების გამო იძულებული არიან, რომ დედამიწა თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ღრუბლების მასაში იყო გახვეული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აწმუოშიც მოღრუბლეული ნაწილი უფრო მეტია, ვიდრე უღრუბლო, რომ ცხოვრება დღესაც მეტწილად მზის სინათლის ისეთი ზემოქმედების ქვეშა, რომელიც ღრუბლების მასითაა შესუსტებული, რომ არ შეიძლება ითქვას: ცხოვრების განვითარება არსებული ღრუბლების მასაში შეუძლებელი იყო. ესეც იმაზე მიუთითებს, რომ მცენარეების ის ორგანიზმები, რომლებიც უძველესებად შეიძლება ჩაითვალოს, ისეთი იყო, რომ პირდაპირი მზის სინათლის გარეშეც განვითარდნენ. ასე გამოაკლდება უძველეს მცენარეულ სამყაროს ის ფორმები, რომლებიც არსებობს უდაბნოს მცენარეების სახით უშუალოდ მზის სინათლისა და წყლის გარეშე და მხოლოდ პაერს საჭიროებენ. დიახ, მკვლევარმა (ეს იყო ჰილგარდი) ცხოველურ სამყაროსთან დაკავშირებით ასევე განმარტა, რომ

დიდთვალუბა (Riesenauge) გადაშენებული ცხოველუბი (მაგ. იქტიოზავრები) იმას ადასტურებს, როგორი ბინდისებრი განათება ყოფილა მათ ეპოქაში დედამიწაზე. ჩემთვის მიუღებელია ასეთი შეხედულებები, როგორი ლარიბიც არ უნდა ჩანდეს კორექტურა. სულისმეცნიერებს ეს ასევე ნაკლებად აინტერესებთ იმის გამო, რასაც ისინი ადგენენ იმ მიმართულების მეშვეობით, რომელშიც ფაქტების მკვლევრები თავს შეზღუდულად გრძნობენ. ცოტა ხნის წინ მეტ-ნაკლებად ცნობილმა გაზეთმა „კოსმოსი“, გამოაქვეყნა საყურადღებო სტატია, რომ გარკვეული ფაქტები მცენარეული და ცხოველური სამყაროდან მიანიშნებს არსებობის ერთადერთ შესაძლებლობაზე აღრინდეს ატლანტიდის მიწაზე. მსგავსი ფაქტების საკმაო რაოდენობას თუ ერთად მოვუყრით თავს, შესაძლებელია მარტივად ვაჩვენოთ, როგორ მოძრაობს ნამდვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერება ერთი მიმართულებით, რომელიც მომავალში საერთო ნაკადს შეუერთდება, აწმუოში კი შეიძლება სულისმეცნიერების წყაროებით განაყოფიერდეს. შეიძლება გვეთორი არც კი იყოს იმის აღნიშვნა, რომ სულისმეცნიერება საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაქტებს არსად ეწინააღმდეგება. სადაც მასთან დაპირისპირებულების მხრიდან ადგილი აქვს ასეთ წინააღმდეგობას, სწორედ იქ მიუთითებს ის არა ფაქტებზე, არა მედ აზრებზე, რომლებიც ამ მოწინააღმდეგებებმა შექმნეს და რომლითაც მათ სჯერათ, რომ ისინი წარმოადგენენ ფაქტებიდან გამომდინარე აუცილებლობას. სინამდვილეში მაგ. ფორელის ზემოთ ნათქვამ აზრს უმნიშვნელო კავშირიც კი არა აქვს ისეთ ფაქტებთან, როგორიცაა ნისლოვანი ვარსკვლავები (Nebelstern), უჯრედების არსი, ჰაერის გათხევადება და ა.შ. ეს აზრი სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა რწმენას, რომელიც ბევრმა, რწმენის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, თავისი გრძნობად-სინამდვილის საფუძველზე შექმნა და რასაც ისინი ფაქტების გვერდით აყენებენ. ამ რწმენას ახასიათებს რაღაც დამაბრმავებელი თანამედროვე ადამიანებისთვის. შინაგანი შეუწყნარებლობა მას განსაკუთრებული სახით აცდუნებს. ეს აბრმავებს იმით, რომ მხოლოდ მისი საკუთარი აზრი პგონია „მეცნიერეული“, სხვების შეხედულებები კი ცრურწმენებიდან გამომდინარე. ეს აშკარად თვალში საცემია სამშვინველის გამოვლინებების შესახებ ახლახან გამოცემულ წიგნში (ჰერმან ებინგჰაუსი\*, „ფსიქოლოგის მიმოხილვა“), სადაც შეიძლება წაიკითხოთ ასეთი წინადადება: „მომავლის შეუღწევა-

დი სიბნელის წინააღმდეგ დახმარება და მტრული ძალის გადაულახვი ძალაუფლება ქმნის ოულიგიას სამშვინველში. ადამიანებს აფრთხობთ არცოდნის ზეწოლა და დიდი შიში, გამომდინარე ანალოგიური გამოცდილებიდან, რომელიც მან არცოდნისა და უძლეურებისას ბუნებრივი წარმოდგენებით მიიღო; ასევე როგორ შეიძლება მან მიიღოს დახმარება, ხანძრის შემთხვევაში გადამრჩენ წეალსა და ჩეუბის დროს მშველელ მეგობრებზე ფიქრით.“ „დაბალ კულტურულ საფეხურებზე, სადაც ადამიანი თავს ჯერ კიდევ ძალიან უსუსურად გრძნობს, როცა მას ყოველ ნაბიჯზე დიდი საშიშროება ემუქრება, გასაგებია სიმძიმისა და შიშის შეგრძნება, შესაბამისად ბოროტ სულებსა და დემონებზე რწმენა. ამის საპირისპიროდ უფრო მაღალ საფეხურებზე, სადაც არსებობს გაცილებით მომწიფებული შეხედულებები საგნებსა თუ უფრო დიდ ძალებიან მიმართებით, მათ მიმართ ჩნდება გარკვეული ნდობა, ძლიერი ნდობა და წინა პლანზე გამოდის უხილავი ძალების მიმართ ნდობის შეგრძნება, შესაბამისად კარგი და კეთილისმურველი სულებისადმი რწმენა. მთლიანად ერთმანეთის გვერდით რჩება ორივე – შიში და სიყვარული, მუდმივად ნიშანდობლივი ადამიანთა გრძნობებისთვის საკუთარი დმერთების წინაშე, ოდონდ გარემოებების შესაფერისად ერთმანეთთან სხვადასხვა მიმართებით.“ – „ეს არის რელიგიის ფესვები. . . , შიში და აუცილებლობა კი მათი დედაა; მართალია, მას მერქ, რაც ერთხელ შეიქმნა, ის, არსებითად, ავტორიტეტის მიერ ინერგებოდა, თუმცა დიდი ხნის წინ წაიშლებოდა, თუ ორივესგან მუდმივად ხელახლა არ დაიბადებოდა.“ – არასწორი კუთხით გაშუქების გამო კველაფერი როგორ არის არეული და თავდაყირა დაექტენდული ამ მტკიცებულებებზე; უპირველეს ყოვლისა, თავდაყირა დგას რელიგიური წარმოდგენებისა და რელიგიური გრძნობის შინაარსი. რწმენის ზეგავლენით რამდენად მყარად დგას და ფიქრობს ადამიანი იმაზე, რომ მისი აზრი საყოველთაო-დამაკავშირებელი ჰეშმარიტება უნდა იყოს. რელიგიური წარმოდგენის შინაარსი აღებულია ზეგრძნობადი სამყაროს სფეროდან. რელიგიური გრძნობა, მაგ., ზეგრძნობადი არსებების შიში და სიყვარული, ზედმეტი განსჯისა და ყველანაირი ფიქრის გარეშე შინაარსის შემქმნელია, რომ რელიგიური წარმოდგენა რაღაც ჰეშმარიტს საერთოდ არ შეესაბუყვისება. საერთოდ არ ფიქრობენ შესაძლებლობაზე, რომ ზეგრძნობად სამყაროზე შესაძლოა არსებობდეს ნამდვილი გამოცდილება

და ასეთ გამოცდილებაზე დაყრდნობილი სინამდვილე შემ-  
 დგომში შიშისა და სიყვარულის გრძნობას ეჭიდება, როგორც  
 საბოლოოდ ხანძრის დროს არავინ ფიქრობს გადამრჩეველ  
 წყალზე, ჩხების დროს მშველელ მეგობრებზე, თუ ისინი  
 წყალს და მეგობრებს მანამდე არ იცნობდნენ. ასეთი დაკვირ-  
 ვებებით სულისმეცნიერებას ხსნიან, როგორც ფანტასტიკას,  
 რომ რელიგიური გრძნობები ადამიანს აქცევს არსებების შემ-  
 ქმნელად, რომლებსაც რაიმეში გამოსადევად არ მიიჩნევს. აზ-  
 როვნების ასეთი ფორმა ვერ აცნობიერებს, რომ შესაძლებე-  
 ლია, ზეგრძნობადი სამყაროს შინაარსის განცდა, როგორც ეს  
 არის შესაძლებელი აღქმის გარეგნული ორგანოებისთვის,  
 რომ შეიგრძნონ ჩვეული აღქმადი სამყარო. – განსაკუთრებით  
 ხშირია ასეთი შეხედულება: ის ინგრევა მისი რწმენის შედეგე-  
 ბის ისეთ ფორმაში, რომელსაც იგი შემაშფოთებელი სახით  
 აჩენს მოწინაადმდევებესთან. ასე ჩნდება ფორელის ზემოთ მოყ-  
 ვანილ ნაწერში შემდეგი აბზაცი: „თავიდან ჩვენ ვცხოვრობთ  
 არა ასჯერ მართალი, თბილი და საინტერესო გზით „მე“-ში  
 და ჩვენი მომავლის სამშვინველში, არამედ ცივ და ბურუსიან  
*Fata morgana*-ში, ჰიპოთეტურ ცაში, ასევე სავარაუდო ანგელო-  
 ზებისა და მთავარანგელოზების ჰიპოთეტური გალობისა და  
 საყვირების ხმაში, რომელთა წარმოდგენაც არ შეგვიძლია და  
 შესაბამისად არც არაფერს გვეუბნება.“ დიახ, მაგრამ რა სა-  
 ერთო აქვს ამას იმ სინამდვილესთან, რასაც „ქაცი“ „უფრო  
 თბილად“, „უფრო საინტერესოდ“ მიიჩნევს? თუ სწორია, რომ  
 შიშისგან და იმედისგან კი არ უნდა მოდიოდეს სულიერი  
 ცხოვრება, არამედ სწორია, ეს სულიერი ცხოვრება უარყო,  
 რადგან ის ითვლება, როგორც „ცივი“ და „არასაინტერესო“;  
 ასეთი პიროვნებების საპირისპიროდ, რომლებიც ამტკიცებენ,  
 რომ „შეცნიერული ფაქტებით მყარ ნიადაგზე“ დგანან, სულის-  
 მკლევარს გააჩნია შემდეგი პოზიცია – ის მათ ეუბნება: რა-  
 საც თქვენ გეოლოგიდან, პალეონტოლოგიდან, ბიოლოგიი-  
 დან, ფსიქოლოგიდან და ა.შ., ასეთი ფაქტებით ასაბუთებთ,  
 მე ჩემი მხრივ არაფერს უარვეოვ, მაგრამ თქვენი ზოგი მტკი-  
 ცებულება ნამდვილად მოითხოვს კორექტირებას სხვა ფაქტე-  
 ბით. ასეთ კორექტირებას საბუნებისმეტყველო მეცნიერება თა-  
 ვად შემოგვთავაზებს. მიუხედავად ამისა მე ვეთანხმები და,  
 ასე ვთქვაო, ვამბობ „კი“-ს იმასთან მიმართებით, რასაც თქვენ  
 ამტკიცებთ. მე არ ვაპირებ თქვენთან კამათს, თუ ფაქტების  
 სინამდვილეს ამტკიცებთ. თუმცა თქვენი სინამდვილე ჭეშმარი-

ტების მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარე არის სულიერი ფაქტები, რომლებიც ადქმადის მიმდინარეობას ხსნის. ეს ფაქტები კი პიპოთებები კი არის, ან რაღაც, რაც „აქ“ შეუძლებულია წარმოიდგინო, არამედ სულიერი კვლევით მიღებული განცდა, გამოცდილებაა. რაც ოქვენ მოგყავთ ოქვენი დაკვირვების ფაქტებიდან, სხვა არაფერია, თუ არა აზრი, რომ მსგავსი სულიერი ფაქტები არ შეიძლება არსებობდეს. სინამდვილეში ამ მტკიცებულებით ადასტურებთ იმას, რომ თქვენთვის მსგავსი სულიერი ფაქტები უცნობია. აქედან გამომდინარე ასკვნით, რომ ისინი არ არსებობს, რომ ასეთი ადამიანები არიან მეოცნებენი და ფანტაზიორები, რომლებიც ამბობენ, რომ მათ შესახებ რაღაც იციან. სულისმკვლევარი თქვენგან, თქვენი სამყაროდან არაფერს იღებს; ის უბრალოდ უმატებს ამას თავის ნაწილს. მაგრამ თქვენ არ ხართ კმაყოფილი იმით, რომ ის ასე იქცევა; თქვენ ამბობთ, – თუმცა, არა ყოველთვის ნათლად, – რომ არ შეიძლება სხვა რაიმეზე ლაპარაკი, გარდა იმისა, რაზეც თავად ვლაპარაკობთ; ჩვენ კითხოვთ არა მარტო იმას, რომ სხვები დაგვეთანხმონ იმაში, რაც ვიცით, არამედ ვითხოვთ, რომ პატივმოყვარე ფანტაზიით ახსნან ყველაფერი ის, რაზეც ჩვენ არაფერი ვიცით. ვისაც სურს, ასეთ „ლოგიკას“ მიჰყეს, მას ვერც ვერაფრით დაეხმარები. მას უნდა, ამ ლოგიკით გაიგოს შემდეგი აბზაცი: „ჩვენი „მე“ ადრე უშუალოდ ცხოვრობდა ჩვენს ადამიანურ წინაპრებში და ის ჩვენს პირდაპირ თუ არაპირდაპირ შთამომავლობაში ასევე გააგრძელებს ცხოვრებას.“ (ფორელი, „სიცოცხლე და სიკვდილი“, გვ. 21) მაგრამ მან არ უნდა დაურთოს: „ამას მეცნიერება ამტკიცებს“, როგორც ეს აქ მოყვანილ ნაწერში ხდება. რადგან მეცნიერება ამ შემთხვევაში არაფერს „ამტკიცებს“, არამედ ის, ვისი რწმენაც მიჯაჭვულია აღქმის სამყაროს, აწესებს დოგმებს: რაშიც მე ვერაფერს წარმოვიდგენ, ეს ილუზიად უნდა ითვლებოდეს; ხოლო, ვინც ჩემი მტკიცებულების წინააღმდეგ სცოდავს, ნამდვილი მეცნიერების წინაშე სცოდავს.

ვინც ადამიანის სამშვინველი იცის მისი განვითარების პროცესით, მისთვის გასაგებია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერების საოცარი განვითარებით სულები ჯერ ცოტა დაბრმავებულები არიან და დღეს არ შეუძლიათ იმ ფორმით ორიენტირება, რა გზითაც გადმოსცემდნენ ტრადიციულად დიდ ჭეშმარიტებებს. სულისმეცნიერება კვლავ უბრუნებს ასეთ ფორმებს ადამიანებს. ის უჩვენებს, მაგ., ბიბლიაში აღწერილი

სამყაროს შექმნის დღეები როგორ წარმოაჩენს ფაქტებს, რომლებიც ნათელმხილველურ ხედვას ეხსნება. აღქმის სამყაროს მიჯაჭული ადამიანი იპოვის მხოლოდ იმას, რომ სამყაროს შექმნის დღეები ეწინააღმდეგება გეოლოგიის მიღწევებს და ა.შ. სულისმეცნიერება ასევე შორსაა იმისგან, რომ სამყაროს შექმნის დღეების ღრმა ჰეშმარიტებები გააცნობიეროს, როგორც მითები და გამოიყენოს მხოლოდ აღვარიული ან სიმბოლური ახესნის ფორმები. მათვის სრულიად უცხოა, როგორ მოქმედებს ის, ვინც ჯერ კიდევ ეწინააღმდეგება შესაქმის ამ დღეებს მეცნიერული ფანტაზიებით. ასევე არ შეიძლება იმის დაჯერება, რომ სულიერი კვლევა თავის ცოდნას ბიძლი-იდან იღებს. მას აქვს თავისი საკუთარი მეთოდები, ყველა დოკუმენტისგან დამოუკიდებლად პოულობს ჰეშმარიტებას და მას იმეცნებს. ეს გზა ჰეშმარიტების მრავალი თანამედროვე მამიებლისთვისაც აუცილებელია, რადგან ის მოითხოვს სულიერ კვლევას, რომელიც თავის თავში იმავე მახასიათებლებს ატარებს, როგორსაც ბუნებისმეტყველება. ადამიანი უსუსური ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ვერ შეიცნობს ასეთი სულისმეცნიერების არსეს, როცა ცდილობს, ზეგრძნობადი სამყაროს ფაქტები თითქოსდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების თვალსაზრისებზე აგებული დამაბრმავებელი მოქმედებებით მოიშორონ. მსგავსი განწყობა უკვე იგარაუდა ძალზე გული-თადმა ადამიანმა, მაგრამ მან ვერ შეძლო თავისი გრძნობებისთვის სულისმეცნიერული ზეგრძნობადი შინაარსები ეპოვა. ეს პირვენება, შლაიერმახერი\* (ასევე მასზე ახალგაზრდა ლუკე\*), დაახლოებით ოთხმოცი წლის წინ წერდა: „ოქვენ თუ დააკირდებით ბუნებისმეტყველების ამაგინდელ მდგომარეობას, როგორ გარდაიქმნება ის სულ უფრო მეტად ყოვლისმომცველ სამყაროსმცოდნეობად (კოსმოლოგიად), მაშინ რას ფიქრობთ თქვენ მომავალთან დაკავშირებით, მე არ მინდა ვთქვა ჩვენი თეოლოგიისთვის, არამედ ჩვენი ევანგელური ქრისტიანობისთვის . . . , მე ვფიქრობ, რომ საჭიროა ვისწავლოთ, დავეხმაროთ საკუთარ თავს ბევრი რამის გარეშე, რასაც ჯერ არ ვართ შეჩვეული და არაა საჭირო ქრისტიანობის არსთან განუყრელ კავშირზე ფიქრი. მე არ მინდა, ვილაპარაკო შესაქმის ექს დღეზე, მაგრამ შესაქმის ცნება, როგორც ის ჩვეულებრივ ადგენს ხოლმე . . . რამდენი ხანი შეძლებს არსებობას განათლებული მსოფლმხედველობის მეცნიერული კომბინაციების ძალის წინაშე, რომლის წარმევაც არავის შეუძლია? . . . ჩე-

მო ძვირფასო მეგობარო, შემდეგ რა შეიძლება მოხდეს? იმ დროს მე ვეღარ მოვესწრები, ამიტომ შემიძლია მშვიდად დავიძინო; მაგრამ ჩემო მეგობარო, თქვენ და თქვენი თანატოლები, რის გაკეთებას გაიხსენებო?“ (ულმანისა და უმბრაიტის თეოლოგიური კვლევები და კრიტიკა, 1829, გვ. 489). ამ გამონათქვამს წინაპირობად უდევს აზრი, რომ „მეცნიერული კომბინაციები“ გადაიქცევა ფაქტების აუცილებელ შედეგებად. თუ ეს ასე იქნება, მაშინ მათ „ვერავინ“ წაგაროვევთ; ხოლო ვინც თავის გრძნობებს ზეგრძნობადი სამყაროდან მოიგანს, მას შეუძლია მათ ახაროს, რომ ზეგრძნობადი სამყაროს წინააღმდეგ მეცნიერების შემოტევაზე დაკ, „მშვიდად დაწვენენ და დაიძინონ“. შლაიერმახერის ნათქვამი ასრულდა იმდენად, რამდენადაც „მეცნიერულმა კომბინაციებმა“ ფართო წრეებში ადგილი დაიკავა. ამავე დროს თანამედროვეობაში არსებობს შესაძლებლობა, ზეგრძნობად სამყაროს გაეცნო „მეცნიერული“ ფორმით, როგორც გრძნობადი ფაქტების ურთიერთდამოკიდებულებას. ვინც სიღრმისეულად გაეცნობა სულისმეცნიერებას, რისი შესაძლებლობაც დღეს უკვე არსებობს, ამით ის დაცული იქნება რაღაც ცრურწმენებისგან, ამასთან შეძლებს თავისი წარმოდგენის შინაარსში მიიღოს ზეგრძნობადი ფაქტები და ამით ყველა სიკეთესთან ერთად მოიშოროს ცრურწმენები, თითქოს ეს ზეგრძნობადი სამყარო შექმნა შიშმა და აუცილებლობამ. – ვისაც სურს ადიარების მოპოვება ამ შეხედულებით, ის არ იქნება შეფერხებული წარმოდგენებით და მას შეუძლია სინამდვილესა და პრაქსისზე მუშაობა სულისმეცნიერების გარეშეც. ის ასევე შეიმუცებს, რომ ნამდვილი სულისმეცნიერუბა ცხოვრებას კი არ აღარიბებს, არამედ უფრო მეტად ამდიდრებს. მას თავისი ცოდნა ხელს არ შეუშლის, რომ საკმარისად დააფასოს ტელეფონი, მაგრავებელი თუ პაერნაოსნობა; ის ასევე დაინახავს სხვა მრავალ პრაქტიკულ საკონს, რაც აწმყოში უყურადღებოდ რჩებათ, როცა სჯერათ მხოლოდ აღქმული სამყაროსი და აქედან გამომდინარე აღიარებენ არა მთლიან ჭეშმარიტებას, არამედ მხოლოდ მის ნაწილს.

ქურნალში „ლუციფერ-გნოზისი“ №14-35 (1904-1908) რუდოლფ შტაინერი, საერთო სათაურით „აკაშა-ქრონიკიდან“, წერდა სტატიებს, რომლის გაგრძელებასაც იგი შემდგომში აპირებდა. და მაინც, ეს არ მოხდა, ვინაიდან ქურნალის (№35) შემდგომი გამოცემა შეუძლებელი გახდა.

1907/08 წლებში მან ეს სტატიები გამოაქვეყნა სხვადასხვა ქრებულში, ამასთან ცალკეული თავის სათაური შენარჩუნდა.

1939 წელს წიგნის პირველ გამოცემას, მისმა გამომცემელმა მარია შტაინერმა დაურთო წინასიტყვაობა „თანამედროვეობის კულტურა სულისმეცნიერების ჭრილში“ (ქურნალიდან „ლუციფერ-გნოზისი“ №16/1906წ. სექტემბერი) და „აკვიატებული შეხედულებები მოჩვენებითი მეცნიერებიდან“ (ასევე, „ლუციფერ-გნოზისი“ №35/1908წ. მაისი), აგრეთვე ორი კითხვა-პასუხი („ლუციფერ-გნოზისი“ №20 და 21, 1905წ. იანვარი და ოქტომბერი).

ცალკე გამოცემის სახით გამოჩნდა: „ჩვენი ატლანტიდები წინაპრები“. ბერლინი 1908, 1909, 1918, 1920, დორნახი 1928, 1934.

83. . .

7 ეს თქვა კარლ ფოგთმა: კარლ ფოგთის ნაშრომი: „ფიზიოლოგიური წერილები სტრუქტურების ყველა მდგომარეობაზე“, 1845 წელი.

ლუდვიგ ბუნერი, 1824-1899; თავის წიგნში: „ძალა და ნივთიერება“, გამოიცა 1855.

8 ფიქრობებ ლადენბურგიით: ქიმიკოსი ალბერტ ლადენბურგი(1842-1911), მან 1903 წლის 21 სექტემბერს კასელში გერმანელი ბუნებისმეტყველებისა და ექიმების 75 შეგრებაზე წაიკითხა დექტია: „მსოფლმხედველობაზე ბუნების მეტყველების გავლენა“, ლაიპციგი 1903.

მაქს ფერვორნი, 1863-1921.

9 იაკობ მოლეშმატი, 1822-1893, ნიდერლანდური წარმოშობის ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი.

11 ემილ დუ ბოის-რეიმბრდი, 1818-1896. ცნობილი ციტატა: „Ugnorabimus et Ugnorabimus“. ამაზეა საუბარი ორ მოხსენებაში: „ბუნების შემეცნების საზღვრებზე“, 1872; და „სამყაროს შვიდი გამოცანა“, 1880.

12 რაულ ფრანსბა, 1874-1943.

ვაისმანის ხელმძღვანელობით, აუგუსტ ვაისმანი,  
1834-1914, ზოლოგი. „გარეგნული გავლენა, როგორც გან-  
ვითარების გავლენა“, იქნა 1894.

13 დე კრისტიან პუგო დე კრისი, 1848-1935, ნიდერლან-  
დელი ბოტანიკოსი. ძირითადი ნაშრომი: „მუტაციის თეო-  
რია. . .“, ტ. 2, 1901/03.

პ. პ. როდფი, (თარიღები უცნობია). „ბიოლოგიური  
პრობლემები. . .“, II გამოცემა, 1884.

ბოტანიკოს რიჩარდ 1849-1931, ნეოფიტალისტი და პე-  
კელის მიმდევარი. ძირითადი ნაშრომი: „სამყარო, როგორც  
შემოქმედება . . .“, II გამოცემა, ბერლინი 1901.

15 ქიმიკოს ოსკარდი, 1853-1932, „მეცნიერული მატერი-  
ალიზმის გადალახვა“, ლექცია, წაკითხული გერმანელი ნა-  
ტურალისტებისა და ექიმების სამ საყოველთაო შეკრებაზე  
ლიუბეკში, 1895 წლის 20 სექტემბერი.

18 პლატონი კუკა ამ ძველნის უკანასკნელ ნარჩენებზე  
იხ. დიალოგები „ტიმეოსი“ და „პრიტიასი“.

150 შდრ. ჩემი „თეოსოფია“, მოგვიანებით „სულის-  
მცოდნეობა. . .“, (1904), GA 9.

168 სინეგის წიგნის, ა. პ. სინეგი, 1840-1921, „ეზოთერუ-  
ლი სწავლება და იდუმალი ბუდიზმი“, II გამოცემა. ლაიპ-  
ციგი, 1899.

188 ფიდიასი, 500-423 ქრისტეშობამდე, ათენელი მოქან-  
დაკე, ბერძნული კლასიკის წინამორბედი.

190 აუგუსტ ფორელი, 1848-1931, შევიცარიელი ფსიქი-  
ატრი. სწავლობდა სოციალურ ეთიკას და იკვლევდა ჭიან-  
ჭველებს.

193 პერმან ებინგჰაუსი, 1850-1909, მისი „ფსიქოლოგიის  
მიმოხილვა“ გამოვიდა ლაიპციგში 1908.

197 შლაიერმახერი, ფრიდრიხ, 1768-1834, ევანგელისტი,  
თეოლოგი და ფილოსოფოსი.

ლუკა ფრიდრიხ, 1791-1855, ევანგელისტი თეოლოგი.

რუდოლფ შტაინერის ცხოვრება  
და მოღვაწეობა

შემოქმედება, რომელიც რუდოლფ შტაინერმა მომავალ თაობებს დაუტოვა, თავისი შინაარსითა და მოცულობით შეიძლება სრულიად უმაგალითოდ ჩაითვალოს. მისი შრომები, – ოხულებები და სტატიები, – ქმნის საფუძველს იმისთვის, რასაც ის თავისი ცხოვრების განმავლობაში ლექციებსა და კურსებში საკუთარი მსმენელებისთვის, როგორც „ანთროპოსოფიულად ორიენტირებულ სულის-მეცნიერებას“ მუდმივად ახალი ასპექტებით წარმოადგენდა და ხსნიდა. მისი ამ დაახლოებით ექვსი ათას ხუთასზე მეტი ლექციის უდიდესი ნაწილი შემონახულია სტენოგრაფიული ხელნაწერების სახით. ამასთან ერთად მან გააჩადა მხატვრულ სფეროზე აქტიური მოღვაწეობა, რომელმაც თავის აპოგეას მიაღწია პირველი გოეთეანუმის მშენებლობის დროს, რომელიც აიგო დორნახში. ასე წარმოიშვა ურიცხვი მხატვრული, ფერწერული, პლასტიკური და არქიტექტურული ნამუშევარი, მისივე ხელით შესრულებული ესკიზებითა და ნახაზებით.

რუდოლფ შტაინერის ცხოვრების ბოლო წელი გამოირჩეოდა გასაოცარი ინტენსივობითა და მოღვაწეობის მრავალფეროვნებით. საწოლს მიჯაჭვული, ის მაინც აგრძელებდა ინტენსიურ მუშაობას. მარია ფონ სივერს-შტაინერმა მისი ცხოვრების ამ პერიოდს უწოდა: „მისი სულის მძლავრი ამოსუნთქვა“.

რუდოლფ შტაინერის მიერ მოცემული იმპულსებით თანამედროვე დროში დაიწყეს ამ ყველაფრის გათვალისწინება ცხოვრების მრავალი სფეროს განახლებისთვის. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებულია ვალდორფის სკოლები და საბაგშვო ბადები, ბიოლოგიურ-დინამიკური სოფლის მეურნეობა, რომელიც გამორიცხავს შეაძიმიკატების გამოყენებას და ხელს უწყობს ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების აღდენას, აგრეთვე ანთროპოსოფიული კლინიკები და ფარმაცევტული ფირმები, სამკურნალო-პედაგოგიური დაწესებულებები, ევრითმიის სკოლები და უამრავი სხვა, რაც რუდოლფ შტაინერის მიერ მოცემული იმპულსებით წარმოიშვა.

1956 წლიდან „Rudolf Steiner-Nachlaßverwaltung“-ის მეშვეობით ფუნქციონირებს გამომცემლობა „Rudolf Steiner Gesamtausgabe“, რომელმა უკვე 330 ტომზე მეტი გამოსცა. მთლიანად დაგეგმილია 354 ტომის გამოცემა, აქედან დაახლოებით 50 შეადგენს მის შრომებს, დანარჩენი კი – ღერძიებს.

ბიბლიოგრაფიული დაყოფა შეესაბამება „Gesamtausgabe“ კატალოგი – GA, რომელზეც მითითებულია ტომის ნომერი.

### რედოლი შტაინერის ცხოვრების მოკლე მიმოხილვა

1861 – წლის 27 თებერვალს რედოლი იოზეფ ლორენც შტაინერი დაიბადა კრალევიჩში, მაშინდედ უნგრეთში, ამჟამინდელ ხორვატიაში. ის იყო რეინიგზის ტელეგრაფისტის იოჰან შტაინერისა და მისი მეუღლის ფრანცისკას პირველი შვილი. მისი მშობლები წარმოშობით ქვემო ავსტრიიდან იყვნენ. მან ბავშვობა და სიჭავეები გაატარა ავსტრიის სხვადასხვა ადგილას.

1863 – ბავშვობა გაატარა პოტშახში, ავსტრია, სადაც მამამისი სადგურის უფროსი იყო.

1869 – მამა გადაჰყავთ ნოიდორფში. 1872 წლამდე შტაინერი დადოოდა ხოფლის სკოლაში.

1872 – სწავლობს ვინერ-ნოიშტადტის რეალურ სასწავლებელში (საბუნებისმეტყველო გიმნაზიაში). 1877 წელს დაიწყო კანტის შესწავლა.

1879-1882 – სწავლობს ვენის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. ბრწყინვალედ აბარებს გამოცდას სიმწიფის ატესტატზე. პირველი სტუმრობა ვენაში. სწავლობს ფიხტეს. სწავლას იწყებს ვენის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. უფლება მათემატიკას, ფიზიკას, ბუნებისმეტყველებას. ესწრება კარლ იულიუს შროერის ლექციებს ლიტერატურაზე.

1882-1897 – შტაინერს ავალებენ გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომების გამოცემას „გერმანული ნაციონალური ლიტერატურის“ ფარგლებში (GA 1a-e), გამომცემების იოზეფ კიურ-შნერი. გამოდის გოეთეს მორფოლოგიური შრომების ტომი.

1884-1890 – შტაინერი გახდა კერძო მასწავლებელი ვენაში, შექმნების ოჯახში.

1886 – გამოდის მისი: „გოეთეს მსოფლმხედველობის შემცნების თეორიის ძირითადი შტრიხები“ (GA 2). გოეთეს შრომების უდიდესი გამომცემლობა „სოფიას-გამოცემა“.

1888 – რუდოლფ შტაინერი რედაქტირებას უკეთებს „აერმანულ ყოველკვირულს“ ვენაში (GA 31). სწავლობს ესთეტიკას. პარალელურად კითხულობს ლექციებს გოეთეს საზოგადოებაში: გოეთე, როგორც ახალი ესთეტიკის მამა ((GA 30)).

1890-1897 – მუშაობს გოეთესა და შილერის არქევში, ვაიმარში. გამოსცა გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომები, ფერთა თეორიისა და ოსტეოლოგიაზე შრომების გამოკლებით.

1891 – მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი როსტოკის უნივერსიტეტში. დისერტაციის თემა: „შემცნების თეორიის ძირითადი საკითხი, ფიხტეს მეცნიერულ სწავლებაზე განსაკუთრებული აქცენტით“. 1892 წელს გამოვიდა დისერტაციის ვრცელი ვარიანტი: ჰეშმარიტება და მეცნიერება, „თავისუფლების ფილოსოფიის“ შესავალი. GA 3.

1894 – გამოდის „თავისუფლების ვილოსოფია. ერთი თანამედროვე მსოფლმხედველობის ძირითადი შტრიხები. საბუნებისმეტყველო მეცნიერული მუთოდით მშვინვირი დაკარიცვების შედეგები“. GA 4. შეხვედრა ელიზაბეტ ფერსტერ-ნიცშესთან.

1895 – „ფრიდრიხ ნიცშე, თავისი ეპოქის წინააღმდეგ მებრძოლი“. GA 5.

1897 – „გოეთეს მსოფლმხედველობა“, (GA 6).

1899-1904 – გადადის ბერლინში. მუშაობას იწყებს ბერლინის სკოლაში მუშებისთვის. ოტო ერის გარტლებენთან ერთად თავის თავზე იღებს „ლიტერატურული ჟურნალის“ რედაქტორებას. აქტიურად მონაწილეობს „თავისუფალი ლიტერატურული საზოგადოების“ საქმიანობაში.

1900-1901 – „ჰეკელი და მისი მოწინააღმდეგები“, „სამყაროსული და ცხოვრებისეული შეხედულებები XIX ს. I და II ტომი. 1914 წ. დასრულდა და გამოვიდა: „ფილოსოფიის გამოცანები“, (GA 18). დაიწყო ანთროპოსოფიული სალექციო მოღვაწეობა და მიწვევა თეოსოფიური საზოგადოების ბერლინის სექციაში. „მისტიკა, ახალი დროის სულიერი ცხოვრების გარიუაჟზე“, (GA 7).

1902-1912 – დაიწყო ანთროპოსოფიის ჩამოყალიბება და ფორმირება. რეგულარული საჯარო ლექციები ბერლინში და სალექციო მოღვაწეობა მთელ ევროპაში. იანვარში რუდოლფ

შტაინერი გახდა თეოსოფიური საზოგადოების წევრი, ოქტომბერში კი დაფუძნდა გერმანული სექცია და ის გახდა გენერალური მდივანი. მეგობრობა და თანამშრომლობა მარია ფონ სიგერსთან (1914 წლიდან მარია შტაინერი).

1902 – „ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები“, (GA 8).

1903 – დაფუძნდა და დაიწყო ჟურნალ „ლუციფერის“ გამოცემა, რომელსაც მოგვიანებით დაერქვა: „ლუციფერ-გნოზისი“ (სტატიები: GA 34).

1904 – „სულისმცოდნება (ანუ თეოსოფია), ზეგრძნობადი სამყაროს შემეცნება და ადამიანის დანიშნულება“, (1904), GA9.

1904/05 – როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება? (1904/05), GA 10. „აკაშა-ქრონიკიდან“, (GA 11). „უზენაესი შემეცნების საფეხურები“, (GA 10).

1910 – „იღუმალომებტყველების ნარკევი“, (GA 13).

1910-1913 – მიუნხენში დაიდგა მისი ოთხი დრამა-მისტერია (GA 14). ლექციების ციკლი ქრისტოლოგიაში, რომლებშიც მრავალმხრივ არის გაშუქებული ქრისტეს მნიშვნელობა და გოლგოთის მისტერია, როგორც ცენტრალური მოვლენა ქაცობრიობის ევოლუციაში (უშუალოდ ქრისტესა და ქრისტიანობაზე გამოსულია 16 ტომზე მეტი, აგრეთვე სხვადასხვა ციკლში შესულია ცალკეული ლექციები).

1911 – „ადამიანისა და კაცობრიობის სულიერი წინამდღოლება“, (GA 15).

1912 – „სამშვინველის ანთროპოსოფიული კალენდარი, კვირის გამონათქვამები“, (შესულია: GA 40). ადამიანის გზა თვითშემეცნებისკენ, (GA 16).

1913 – თეოსოფიური სახოგადოებიდან გამოსვლა და ან-თროპოსოფიული საზოგადოების დაფუძნება.

„სულიერი სამყაროს ზღურბლი“, (GA 17).

1913-1922 – აღიმართა მთლიანად ხისგან აგებული ორგუმბათიანი პირველი გოეთეანუმი, მთლიანად რუდოლფ შტაინერის მიერ შესრულებული ესკიზებით, ასევე მისი ესკიზებით აიგო რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და სხვადასხვა დანიშნულების შენობა, როგორიცაა დუდეკისა და დე იაგერის სახლები, ევრითმის სამი სახლი, საქვაბე (ცენტრალური გათბობის შენობა, Heizhaus), ტრანსფორმატორი, მინისა და გამომცემლობის სახლები და ა.შ.

1914-1923 – დორნასი და ბერლინი. რუდოლფ შტაინერი კითხულობს ლექციებსა და კურსებს მთელ ევროპაში, ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განახლებისთვის: ხელოვნება, ბუნებისმეტყველება, სოციალური ცხოვრება, მედიცინა, თეოლოგია. 1912 წ. დაფუძნდა მოძრაობის ახალი ხელოვნება „ევრიომია“.

1916-1918 – „ადამიანის გამოცანები“, (GA 20). „სამშვინველის გამოცანები“, (GA 21). „გოეთეს სულიერი სახე გახსნილი მის მიერ თავის „ფაუსტში“ და „ზღაპარი გველსა და შროშანზე“, (GA 22).

1919 – რუდოლფ შტაინერი იწყებს მოძრაობას სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობისთვის, წერს სტატიებს და კითხულობს ლექციებს სამხრეთ გერმანიის სხვადასხვა ქალაქში. „სოციალური საკითხის არსობრივი პუნქტები თანამედროვეობისა და მომავლის აუცილებლობებში“, (GA 23). სტატიები სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობაზე, (GA 24). თავისუფალი ვალდორფის სკოლის დაფუძნება შტატგარტში, რომელსაც რუდოლფ შტაინერი სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა.

1920 – ჯერ კიდევ დაუმთავრებელ პირველ გოეთეანუმში დაიწყო პირველი ანთროპოსოფიული უმაღლესი სკოლის კურსი.

1921 – დაფუძნდა ყოველ კირუებით ჟურნალი „გოეთეანუმი“, სადაც რეგულარულად იძექდებოდა რუდოლფ შტაინერის წერილები და სტატიები, (შესულია: GA 36).

1922 – „კოსმოლოგია, რელიგია და ფილოსოფია“, (GA 25).

1922/23 – წლის 31 დეკემბრის დამეს გოეთეანუმის შენობა ცეცხლმა შთანთქა, რაც მისთვის და მთელი ანთროპოსოფიული საზოგადოებისთვის უდიდესი დარტყმა იყო.

1923 – უწყვეტი სალექციო მოღვაწეობა, დაკავშირებული მოგზაურობებთან. 1923 წ. შობაზე „ანთროპოსოფიული საზოგადოება“ ხელახლა დაფუძნდა, როგორც „საყოველთაო ანთროპოსოფიული საზოგადოება“ რუდოლფ შტაინერის ხელმძღვანელობით.

1923-1925 – ინგენსიურია მისი სალექციო გურსები ანთროპოსოფიული საზოგადოების ფარგლებში. ყოველ კირუებულად წერს თავის დაუმთავრებელ ბიოგრაფიას „ჩემი ცხოვრების გზა“, (GA 28), „ანთროპოსოფიულ თეზისებს“, (GA 26) და მუშაობს დოქტორ იტა ვეგმანთან ერთად წიგნზე „სულისმეცნივრული შემეცნებით თერაპიის გაფართოებისთვის“ (GA 27).

1924 – თავისი ინგენსივობითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით გასაოცარია რუდოლფ შტაინერის ცხოვრების ეს ბო-

ლო წელი. გრძელდება ინტენსიური სალექციო მოღვაწეობა, მათ შორის ევროპის მრავალ ქვეყანაში. იგი ქმნის მეორე გოფ-თეანუმის მაკეტს, რომელიც უკვე მისი სიკვდილის შემდეგ მთლიანად ბეტონისგან აიგო. კითხულობს მრავალრიცხოვან კურსს სხვადასხვა სფეროსთვის, კერძოდ, ლექციებს – ბიო-ლოგიურ-დინამიკური სოფლის მეურნეობის დასაბუთებაზე (სასოფლო-სამეურნეო კურსში), ლექციების კურსს პედაგოგიკაზე, ევრითმაზე, მეტყველებასა და დრამატურგიაზე, ასევე ექიმებისთვის, ქრისტიანთა ოქმის პასტორებისთვის და გოეთუ-ანუმის მუშებისთვის, ლექციების კურსს სახელწოდებით „სამ-კურნალო პედაგოგიკის კურსი“, ახალი თვალსაზრისებიდან ავითარებს მის მიერ ადრე დამუშავებულ თემებს, იძლევა ახალ ეზოთერულ მითითებებს შინაგანი ცხოვრების გაღრმა-ვებისთვის. კითხულობს ლექციებს კარმაზე და იძლევა მითი-თებებს თავისუფალი უმაღლესი სკოლის წევრებისთვის.

ამას ერთვოდა წევრთა ვიზიტები, ძირითადად პირადულ საკითხებზე. ზოგჯერ დღეში ორასამდე ადამიანს იღებდა.

ძალებისგან გამოიყიდა, იძულებული იყო, გადასულიყო წოლით რეჟიმზე, ამის მიუხედავად აგრძელებდა ინტენსიურ მუშაობას. 28 სექტემბერი – უკანასკნელი მიმართვა წევრებს.

„წერილები საზოგადოების წევრებს“, (შესულია: GA 260ა).

1925 წლის 30 მარტს რუდოლფ შტაინერი გარდაიცვალა დორნიახში.

## მითითებები ლიტერატურაზე

შემდგომში სახელმძღვანელოდ და წინამდებარე ტომის გასაღრმავებლად მოცემულია რუდოლფ შტაინერის მომდევნო გამოცემები:

### ლიტერატურა

სულისმცოდნებია. ზეგრძნობადი სამყაროს შემუცნება და ადამიანის დანიშნულება (1904), GA9.

როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემუცნება? (1904/05), GA 10. იდუმალომებულებების ნარკევი (1910), GA 13.

### ლუქვიები

იდუმალომებულებების კარიბჭეთან, 14 ლუქია, შტუტგარტი 1906 წლის 22 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე, GA 95.

როზენკროიცერების თეოსოფია, 14 ლუქია, მიუნხენი, 1907 წლის 22 მაისიდან 6 ოქნისამდე, GA99.

სამყარო, დედამიწა და ადამიანი, . . . 9 ლუქია, დორნახი, 1914 წლის 3-6 ოქტომბერი, 12-26 სექტემბერი, ბაზელი 27 დეკემბერი, GA 156.

ისტორიული აუცილებლობა და თავისუფლება. ბედისწერის ზეგავლენები გარდაცვლილების სამყაროდან (სულიერი არსებები და მათი ზემოქმედება, ტ. III), 8 ლუქია, დორნახი, 1917 წლის 2-22 დეკემბერი, GA 179.

დედამიწის ადრინდელი მდგრადარეობისთვის. 4 ლუქია, დორნახი, 1922 წლის 20-30 სექტემბერი. შესულია ლუქიების ციკლში: „ადამიანის სხეულის, სამშვინველისა და სულის შემუცნებისთვის“, GA 347.

ასოციაცია „კობიტო“ ბამოსაცემად ამზადებს:

რუდოლფ შტაინერი

ანთროპოსოფია. ფრაგმენტი 1910წ.

ამ დაუმთავრებელი თხზულებით რუდოლფ შტაინერს განზრახული პქონდა ანთროპოსოფიული კვლევის შედეგების საფუძველზე წარმოედგინა სწავლება ადამიანის გრძნობებზე.

GA 45

რუდოლფ შტაინერი  
„შესაქმის ბიბლიური ისტორიის  
საიდუმლოებანი“  
GA 122

რუდოლფ შტაინერი  
„ისტორიული სიმპტომატოლოგია“  
GA 185

რუდოლფ შტაინერი  
„გარმის გამოცხადებები“

\* \* \*

დაბეჭდილია  
„ცაგშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას  
რომ საჭიროებენ“ - სტამბაში.

ძმები უბილავების 8